მ. ალექსიშვილი

კათოლიკური ეკლესია იმპერიალიზმის სამსახურში

❀

სახელგამი
1954

ქრისტიანული რელიგია ევროპისა და ამერიკის ბურჟუაზიულ სახელმწიფოებს თავიდანვე ჩაყენებული ჰყავდათ თავიანთი კლასობრივი ინტერესების შენიღბვისა და აგრესიული მიზნების განხორციელების საქმეში. როგორც 1900 წელს ლენინი წერდა, არაქრისტიანული ქვეყნების დაპყრობისა და მათი კოლონიებად გადაქცევისათვის ეს ბურჟუაზიული ქვეყნები თავიანთ აგრესიულ საგარეო პოლიტიკას „ქრისტიანობის გავრცელების მომიზეზებით" ნიღბავდნენ[1]. ამჟამად კი, ქრისტიანული რელიგიის დაცვის საბაბით, ისინი მთელ რეაქციულ ძალებს რაზმავენ „ათეისტური კომუნიზმის" ქვეყნების (ე. ი. საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების) წინააღმდეგ მესამე მსოფლიო ომის გაჩაღებისათვის. ამავე დროს, საშინაო პოლიტიკაში ისინი ქრისტიანობას იყენებენ ახალი ომის მომზადებისათვის საკუთარი ხალხის დაბეჩავების, გადასახადების გადიდებისა და ექსპლოატაციის გაძლიერების მიზნით. ერთი სიტყვით, ამჟამად ქრისტიანობა ყველა თავისი განშტოებით წარმოადგენს ბურჟუაზიული ქვეყნების რეაქციული იდეოლოგიის ერთ-ერთ ქვაკუთხედს და მსოფლიოს ყველა სარწმუნოებათა შორის ერთ-ერთ ყველაზე რეაქციულ რელიგიას.

ეს ითქმის, კერძოდ, ქრისტიანული რელიგიის განშტოების — კათოლიკური ეკლესიის შესახებ. კათოლიკური ეკლესია მეტად მნიშვნელოვან როლს თამაშობს თანამედროვე მსოფლიოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. ამ ეკლესიის მოძღვრებით შენიღბული კათოლიკური პარტიები არა მარტო უდიდეს გავლენას ახდენენ მრავალი ბურჟუაზიული ქვეყნის პოლიტიკაზე, არამედ მათ დასავლეთ ევროპის მთელ რიგ სახელმწი-

[1] ვ. ლენინი, ტ. 4, გვ. 458.

ფოებში (იტალია, საფრანგეთი, ავსტრია, ბელგია, ჰოლანდია, ლუქსემბურგი) შეძლეს კიდეც ხელისუფლების სათავეში მოქცევა.

რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ არის, რომ კათოლიკური პარტიები, რომელნიც ომის წინა პერიოდში ევროპის ზოგიერთ ქვეყნებში არსებობდნენ და შედარებით სუსტნი იყვნენ, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ სოკოსავით გამრავლდნენ და უაღრესად გაძლიერდნენ. საქმე იმაშია, რომ მეორე მსოფლიო ომის დროს ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში კაპიტალიზმის დამსხვრევამ და განვითარების სოციალისტურ გზაზე ამ ქვეყნების გამოსვლამ დანარჩენი, კაპიტალისტური ქვეყნების ბურჟუაზია აიძულა თავისი ინტერესების დამცველი პოლიტიკური პარტიების ძალთა ახალი გადაჯგუფება მოეხდინა.

ბურჟუაზიისათვის ცხადი გახდა, რომ მისი ინტერესების დამცველ სოციალ-დემოკრატიულ, ლიბერალურ, რადიკალურ და მათი მსგავსი სხვა პარტიების გავლენა — ხანგრძლივ პერიოდში მშრომელთა მიერ ამ პარტიების ანტიხალხური და დემაგოგიური ბუნების მიკვლევის გამო — მასებში დაეცა. და სწორედ ამიტომ იყო საჭირო პოლიტიკურ სარბიელზე ისეთი ბურჟუაზიული პარტიების წამოწევა, რომლებიც, ერთის მხრივ, მორწმუნე ადამიანებში მეტი „პატიოსნებისა“ და „სამართლიანობის“ რეპუტაციის შესაძენად ღმერთისა და ქრისტეს სახელით გამოვიდოდნენ და, მეორეს მხრივ, რომელთაც თავიანთი მცირე ასაკის გამო, ჯერ კიდევ მთლიანად არ ექნებოდათ „გატეხილი“ სახელი მასებში.

ამ ახალ პარტიებს თავიანთი პოლიტიკური ბრძოლის არსენალში უნდა ჰქონოდათ როგორც ძველი ბურჟუაზიული პარტიების ნაცადი ეფექტიური ბრძოლის მეთოდები: დემაგოგია, „მემარცხენე“ ფრაზეოლოგია, უხვი, მაგრამ ფუჭი დაპირებები სამართლიანობასა და სოციალურ გარდაქმნებზე და სხვ. ასევე, პოლიტიკური ბრძოლის „ახალი“ საშუალებანი, რომლებშიაც უნდა გამოვლენილიყო მათი უპირატესობა ძველ ბურჟუაზიულ პარტიებზე. სწორედ ასეთ პარტიებად იქნა მიჩნეული კათოლიკური პარტიები, რომელთა „ახალ“ შეია-

რაღებაში შეყვანილი იქნა ქრისტე და ზეციურ ჯალათთა მთელი მისი არმია.

რა თქმა უნდა, ხალხის წინააღმდეგ და სოციალურ მოვლენათა მარცხნივ განვითარების შესანელებლად, რელიგიას ყველა გაბატონებული კლასი, და მათ შორის ბურჟუაზიაც, თავიდანვე იყენებდა და იყენებს. ამ გარემოებას თვითონ ბურჟუაზიის იდეოლოგებიც არ მალავენ. ამერიკელი კონგრესმენი დორნი ამ ცოტა ხნის წინათ დეპუტატთა პალატაში აცხადებდა, რომ ჩვენი ბატონობის შესანარჩუნებლად საჭიროა ერთ ხელში თოფი გვეჭიროს და მეორეში „ბიბლია“-ო. მართლაცდა, როგორც „ბიბლია“, ისე ამ შემთხვევაში თოფიც, სხვადასხვა მხრით ემსახურებიან გაბატონებულ კლასის ინტერესების დაცვას. ლენინი წერდა: „ყველა და ყოველ მჩაგვრელ კლასს თავის ბატონობის დასაცავად სჭირდება ორი სოციალური ფუნქცია: ჯალათის ფუნქცია და ხუცესის ფუნქცია“. ჯალათი თოფით ხელში ან ფიზიკურად აშინებს და ან სპობს ექსპლოატირებულ მეამბოხეს, ხუცესი კი, რომელსაც გერცენმა „ზეციური ჯალათი“ უწოდა, ბიბლიით და სახარებით ხელში, ექსპლოატირებულ ადამიანს უქადაგებს, რომ იგი ამ წუთისოფელში არ დაადგეს ამ ქვეყნის ძლიერთა წინააღმდეგ აჯანყების „მაცდურ გზას“, და ამით თვითვე არ გამოიკეტოს სამოთხეში შესასვლელი კარები. ერთი სიტყვით, ხუცესი ცდილობს, რომ იქ, სამოთხეში შეყვანის შეპირებით, აქ, ექსპლოატირებულ ადამიანში ჩანერგოს მონური მოთმინება, ჩაკლას მასში მეამბოხური სულისკვეთება, რომ ამით უფრო მშვიდად აწარმოონ ექსპლოატატორებმა მისი ექსპლოატაცია. ჯალათი და ხუცესი ისტორიულად გაბატონებული კლასების ინტერესებისა და ექსპლოატაციის დამცველი ტყუპები არიან. მაგრამ მათი კავშირი ახლა, კაპიტალიზმისათვის ყველაზე მეტი გასაჭირის პერიოდში, უფრო მტკიცე შეიქმნა.

ზემოაღნიშნული მიზეზებით აიხსნება, რომ ქრისტიანული რელიგიის, კერძოდ, მისი კათოლიკური განშტოების გამოყენებამ და კათოლიკური პარტიების გაძლიერებამ, განსაკუთრებულ სიმძლავრეს სწორედ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ

მიაღწიეს. ამ პერიოდში კათოლიკურმა პარტიებმა იმპერიალისტური ბურჟუაზიის ინტერესები მოხდენილად გახვიეს ქრისტეს კათოლიკური მოძღვრების სამოსელში, დაიპყრეს კათოლიკი მასების მნიშვნელოვანი ნაწილი და მათზე დაყრდნობით მიაღწიეს კიდეც ხელისუფლების სათავეში მოქცევას დასავლეთ ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში.

კათოლიკური პარტიების ამ წამოწევამ უფრო მეტად გაზარდა კათოლიკური ეკლესიის მსოფლიო ცენტრის — ვატიკანის და მისი უმაღლესი მეთაურის, „ქრისტეს მონაცვლედ“ წოდებული რომის პაპის როლი. რომის პაპმა ვატიკანის უდიდესი სიმდიდრე და მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში გაბნეული 350 მილიონამდე კათოლიკზე მისი გავლენა უყოყმანოდ დაუმორჩილა ამერიკის იმპერიალიზმის პოლიტიკას და, „ათეისტური კომუნიზმის“ მხრივ ქრისტეს მოძღვრებისათვის შექმნილი საფრთხის საბაბით, აქტიურად ჩააბა ვატიკანი უოლ-სტრიტის მაგნატების მიერ საბჭოთა კავშირისა და საერთოდ დემოკრატიული ბანაკის წინააღმდეგ მესამე მსოფლიო ომის მომზადებისა და გაჩაღების საქმეში.

ახალი ომის ბრძოლების საქმეს ვატიკანი ძირითადად ორი მიმართულებით ემსახურება, ერთის მხრივ, მას თავისი უდიდესი კაპიტალის მნიშვნელოვანი ნაწილი დაბანდებული აქვს თვითმფრინავების, არტილერიის, ყუმბარების და ომის სხვა საშუალებათა წარმოებაში; ხოლო მეორეს მხრივ, და რაც მთავარია, ამერიკელი იმპერიალისტების მითითებით, ვატიკანს ქრისტეს მოძღვრება, მისი ყველა მოციქული და კათოლიკური ეკლესიის უზარმაზარი აპარატი გადაყვანილი ჰყავს მესამე მსოფლიო ომის მომზადებისათვის მასების იდეოლოგიურ დამუშავებაზე. ამ მიმართულებით ვატიკანი ცდილობს, რომ ქრისტესა და მისი მოციქულების სახელით, სამოთხის იდეით გატაცებით და ჯოჯოხეთით დაშინების მუქარით, დააჯეროს გულუბრყვილო მორწმუნეები „ათეისტური კომუნიზმის“ წინააღმდეგ ომის „აუცილებლობასა“ და „სარგებლიანობაში“, რათა ამ გზით მიაღწიოს ამერიკის იმპერიალიზმის საზარბაზნე ხორცად მათ გამოყენებას.

ნამდვილად ვატიკანს აწუხებს არა მითიური ქრისტეს მოძღვრების ბედი, არამედ მისი (ვატიკანის) მფარველი კაპიტალისტური სისტემის, საკუთარი ოქროს სეიფების და ამერიკული დოლარის ბედი. დიდი ხანია გამორკვეულია, რომ ქრისტეს მოძღვრებას „ათეისტურ კომუნიზმზე“ უფრო მეტად მტრობს ოქრო, რომელმაც თავდაპირველ გზას გადააცდინა ქრისტეს მოძღვრება და უფრო უხეშად შერყვნა იგი. ეს შერყვნა იმაში გამოიხატა, რომ ოქრომ აიძულა ქრისტიანობის მესვეურები და, პირველ რიგში, თვით ქრისტეს „პირველი მონაცელე“ რომის პაპები, რომ მათ ცემით ცოდვების გამოსყიდვის სიგელებისა და ინდულგენციების გაყიდვის შემოღებით, სამოთხის კარების დაკეტვისა და გახსნის უფლება ჩამოერთმიათ ქრისტესთვის, გადაეცათ ოქროსთვის, და ამით სამოთხეში შესვლა ქრისტეს მოძღვრების აღსრულების ნაცვლად დაეკავშირებინათ ჯიბესთან.

ერთი სიტყვით, თვით „ქრისტეს მონაცელე“ რომის პაპებმა უკვე ძველადვე მოიხსნეს ყოველგვარი შენიღბვა — მათ ოფიციალურად და გაშიშვლებულად დააყენეს ოქრო ქრისტეზე მაღლა. ეს გარემოება მაშინ სრულიად ცხადი იყო პაპებთან ახლო მდგომი პირებისათვის და იმათთვის, ვინც მიხვდა ცემით ცოდვების გამოსყიდვის სიგელებისა და ინდულგენციების გაყიდვის ნამდვილ აზრს. ასე, მაგალითად, XIV საუკუნეში, თვით პაპების რეზიდენციაში მცხოვრები ცნობილი იტალიელი ჰუმანისტი პეტრარკა წერდა: „ოქროზე პაპები ჰყიდიან რაც გინდათ იმას: მათ რიცხვში თვით ქრისტესაც“.

საერთოდ ზედაფენებში ქრისტიანული რელიგიის მთელი ისტორია, ჩვენი დღეების ჩათვლით, ცხადად ამტკიცებს, რომ ორთა ბრძოლაში ოქრო ყოველთვის იმარჯვებდა ქრისტეზე. და როგორც ეს უამრავი ისტორიული ფაქტებით დასტურდება, რომის პაპები ქრისტეს იმდენად სცემდნენ პატივს (როგორც ამას შუა საუკუნეებში რომის ერთ-ერთი პაპი ლეო X თვითონვე აცხადებდა), რამდენადაც ქრისტეს მოძღვრების აბრით ისინი უზრუნველყოფდნენ საკუთარ მშვიდ და შეძლებული ცხოვრების პირობებს. ამიტომ არის, რომ, როდესაც

ქრისტეს ამ მოძღვრებაა რაიმე საფრთხე ექმნებოდა, მათ აწუხებდათ არა თავისთავად ქრისტეს მოძღვრების ბედი, არამედ ის, რომ ქრისტეს მოძღვრების სახით მათ ხელიდან ეცლებოდათ ექსპლოატირებული მასების მორჩილებაში ყოლის უდიდესი საშუალება და ექსპლოატატორთა იოლი ცხოვრების უებარი საყრდენი. რადგან ქრისტიანული რელიგია (ისევე, როგორც კლასობრივ საზოგადოებაში არსებული ყველა სხვა რელიგია) ყოველთვის გაბატონებულ კლასებთან სიმბიოზშია, ე. ი. ურთიერთსარგებლიანობის პრინციპიდან გამომდინარე ერთმანეთს იცავენ, ამიტომ კათოლიკური ეკლესიაც (საერთოდ ქრისტიანობა) გაშმაგებით იცავს ბურჟუაზიული კლასის ინტერესებს და ბურჟუაზიული კლასი კი მის ინტერესებს.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ ცხადია, რომ „ათეისტური კომუნიზმის“ შეტევისაგან ქრისტიანობის, როგორც რელიგიის, დაცვა მხოლოდ საბაბია და არსებითად აქ საქმე ეხება ამერიკის ატომური ბომბებით და ქრისტეს მოძღვრების გაერთიანებული ძალებით ვატიკანის ასეულ მილიარდობით ოქროს და უოლ-სტრიტის მონოპოლისტების უდიდესი კაპიტალის დაცვას. სწორედ ამ გარემოებამ დააკავშირა ვატიკანი ამერიკის იმპერიალიზმთან და შეკრა მათი ერთიანი ფრონტი დემოკრატიული ბანაკის წინააღმდეგ.

თუკი „პაპი და მეფე, მეტერნიხი და გიზო...“ XIX საუკუნის შუა წლებში ერთმანეთთან კომუნიზმის აჩრდილის შიშმა დააკავშირა, როგორც ამის შესახებ მარქსი და ენგელსი წერდნენ, გასაგებია, რომ ჩვენს დროში სოციალიზმის სახით ამ აჩრდილის სინამდვილედ გადაქცევას კიდევ უფრო მჭიდროდ უნდა შეეკავშირებინა ერთმანეთთან ჩვენი დროის პაპები და მაშინდელი გიზოებისა და მეტერნიხების ახლანდელი შემცვლელები: ეიზენჰაუერები, დალესები, ჩერჩილები და მათი მესვეურები. ასეთია სინამდვილე, როგორიც არ უნდა ანგელოზებისა და ღმერთებისაგან ნაკერი პერანგი ჩააცვან მას რომის პაპებმა, ამერიკელმა მონოპოლისტებმა და ზოგიერთმა თავგზააბნეულმა „სწავლულებმა“.

წინამდებარე ნაშრომის ძირითადი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ფარდა ახადოს ქრისტეს მოძღვრების სამოსელში გახვეულ კათოლიკური ეკლესიისა და მისი ცენტრის— ვატიკანის, ახლანდელ მუხანათურ პოლიტიკას და, ამასთან, მასობრივი მკითხველისათვის ნათელი გახადოს, რომ არა მარტო ახლა, არამედ ისტორიულადაც, სამღვდელოებისა და გაბატონებული კლასების მიერ ქრისტეს მოძღვრების დაცვა მხოლოდ ნიღაბი იყო, რომლის იქითაც ყოველთვის იმალებოდა თვით ამ გაბატონებული კლასების (მონათმფლობელური, ფეოდალური და ბურჟუაზიული კლასების) მგლური და მტაცებლური ინტერესები. ამავე დროს, ქრისტიანული რელიგიის კლასობრივი არსის მეტი სიცხადით გამოაშკარავებისათვის, ჩვენ მიზანშეწონილად მივიჩნიეთ ისტორიულ ფონზე გაგვეშალა ეს საკითხი და ზოგად ხაზებში მაინც ფეხდაფეხ მივყოლოდით კათოლიკური ეკლესიის, მისი უმაღლესი ცენტრის — ვატიკანის და „ქრისტეს მონაცვლე“ რომის პაპთა ინსტიტუტის — ევოლუციისა და ტრანსფორმაციის გზას. ამითვე აიხსნება ნაშრომში აღძრული საკითხების სიმრავლე და მათი შორიდან დაწყება.

წინამდებარე ნაშრომისათვის ხელის მოკიდება ჩვენ უმთავრესად იმ გარემოებამ გვიკარნახა, რომ მასობრივი მკითხველისათვის, რომელსაც ამ საკითხზე თითქმის არაერთი ლიტერატურა ქართულ ენაზე არ მოეპოვება, მიგვეცა წიგნი, რომელიც მას დაეხმარებოდა იმ უდიდესი რეაქციული როლის გაგებაში, რასაც ახლა საერთაშორისო ურთიერთობაში და მთელი რიგი ბურჟუაზიული ქვეყნების საშინაო ცხოვრებაში ქრისტიანული რელიგიის კათოლიკური განშტოება, მისი უმაღლესი ცენტრი — ვატიკანი და ამ ვატიკანის მეთაური რომის პაპები თამაშობენ. ქრისტიანული რელიგიის ხასიათის გადმოცემისა და ანალიზის დროს, ჩვენ ზოგიერთი მაგალითები ქართული ლიტერატურიდანაც მოგვყავს, რიგ შემთხვევაში როგორც საილუსტრაციო მასალა და რიგ შემთხვევაში კი იმის ნათელსაყოფად, თუ როგორ არამართლებულად არის გაგებული დღემდე ჩვენს ისტორიოგრაფიაში ქრისტიანული რელიგიის ცალკეული საკითხები.

რელიგიის წარმოშობა. მისი კლასობრივი ხასიათი

რელიგიის წარმოშობის საკითხი პირველად მარქსმა და ენგელსმა ახსნეს მეცნიერულად. მათ უარყვეს ჯერ კიდევ უძველესი დროიდან გავრცელებული შეხედულება, რომელიც რელიგიურ რწმენას ადამიანის თანდაყოლილ თვისებად და ამდენად მის მუდმივ თანამგზავრად აცხადებდა. ძველი ინდოელების (რამაკრიშნა) შეხედულებით, „როგორც ლამპას არ შეუძლია წვა უცეცხლოდ, ასევე ადამიანს არ შეუძლია ცხოვრება უღმერთოდ". რელიგიური რწმენის თანდაყოლილობის თეორია, რომელსაც დღესაც იცავენ რელიგიის ბურჟუაზიული თეორეტიკოსები, თავისი ხასიათით უაღრესად რეაქციულია. იგი, ერთის მხრივ, განუსაზღვრელი დროით სტოვებს ადამიანთა გონებას რელიგიური ცრურწმენისა და ფანატიზმის ტყვეობაში; მეორეს მხრივ კი უაზროდ აცხადებს რელიგიის წინააღმდეგ ბრძოლის მიზანშეწონილებას. ბრძოლა რელიგიის წინააღმდეგ, მათი „მტკიცებით", იმიტომაა უაზრობა, რომ რელიგიური გრძნობის თანდაყოლილობის გამო, მას მაინც არ ძალუძს ამ რწმენისაგან ადამიანის განთავისუფლებაო.

მარქსმა და ენგელსმა დაამტკიცეს, რომ თავდაპირველად ადამიანს არ ჰქონია რელიგია, რელიგიური წარმოდგენები. ენგელსი მარქსის დასაფლავებაზე წარმოთქმულ სიტყვაში აღნიშნავდა, რომ რელიგიის, ისევე როგორც იდეოლოგიის სხვა ფორმების, შექმნას ადამიანი იწყებს თავისი წარმოქმნიდან გარკვეული დროის შემდეგ, თავისი განვითარების შემდგომ საფეხურზე. მარქსის აზრით, წერდა ენგელსი, „...ადამიანებმა პირველ ყოვლისა უნდა იზრუნონ საჭმელზე, სასმელზე, საცხოვრებელ ბინაზე და ტანისამოსზე და მხოლოდ შემდეგ ეწეოდნენ პოლიტიკას, მეცნიერებას, ხელოვნებას,

რელიგიას და სხვა"[1]. რომ რელიგიური რწმენა ადამიანის თანდაყოლილი თვისება არ არის და არც შეიძლება იგი ასეთი იყოს, ამას ამტკიცებს ათეიზმის ისტორია საერთოდ და კერძოდ ჩვენი ქვეყანა, სადაც ათეული მილიონობით ადამიანები სრულიად თავისუფალი არიან ყოველგვარი რელიგიური ცრურწმენისაგან.

მარქსმა და ენგელსმა უარყვეს რელიგიის წარმოშობის შესახებ მეორე შეხედულებაც, რომელიც რელიგიას მატყუარა ადამიანების გამოგონებად სთვლიდა და რომელიც გაბატონებული იყო ძველი ათეისტების, შუა საუკუნეებში თავისუფლად მოაზროვნეთა შორის და ფრანგი განმანათლებლების წრეში. ენგელსი წერდა, რომ თავდაპირველად რელიგია „...სიცრუის რაიმე მონაწილეობის გარეშე წარმოიშობა"[2], და ამიტომ, „ისეთ შეხედულებას, რომლის თანახმად ყველა რელიგია და მასთან ერთად ქრისტიანობაც გამოგონილია მატყუარების მიერ... უკვე აღარავის დაკმაყოფილება აღარ შეეძლო..."[3].

უარყვეს რა ეს მცდარი შეხედულებები, მარქსმა და ენგელსმა მოგვცეს რელიგიის წარმოშობის თავიანთი საკუთარი ახსნა. მარქსი წერდა: „ადამიანი ჰქმნის რელიგიას, რელიგია არ ჰქმნის ადამიანს. სახელდობრ, რელიგია არის თვითცნობიერება და თვითგრძნობა ადამიანისა, რომელსაც თავისი თავი ან ჯერ კიდევ არ მოუპოვებია ანდა იგი კვლავ დაუკარგავს. მაგრამ ადამიანი, — ეს აბსტრაქტული, ქვეყნის გარეთ მსუფევი არსება როდია. ადამიანი, ეს არის სამყარო ადამიანისა, სახელმწიფო, საზოგადოება. ეს სახელმწიფო, ეს საზოგადოება ჰქმნის რელიგიას, სამყარო უკუღმართ ცნობიერებას"[4].

ამგვარად, მარქსის მიხედვით, რელიგიას ქმნის არა აბსტრაქტული ადამიანი, არა კუნძულზე გარიყული რომელიმე

---

[1] ფ. ენგელსი, წერილები კარლ მარქსის სიკვდილის შესახებ, 1933, გვ. 5.

[2] ფ. ენგელსი, ბრუნო ბაუერი და ადრინდელი ქრისტიანობა, 1939, გვ. 4.

[3] იქვე, გვ. 3.

[4] კ. მარქსი, ჰეგელის სამართლის ფილოსოფიის კრიტიკისათვის, შესავალი, 1946, გვ. 5.

რობინზონი, არამედ ადამიანთა სამყაროში, ადამიანთა საზოგადოებაში მცხოვრები ადამიანი, მაგრამ ისეთი, რომელსაც ან ჯერ ვერ მოუნახავს თავისი თავი, ანდა კვლავ დაუკარგავს იგი. ასეთ ადამიანს იმიტომ ვერ მოუნახავს თავისი თავი, რომ მას ჯერ კიდევ ვერ გაურკვევია თავისი ადგილი და თავისი დამოკიდებულება ვერც გარეშე ბუნებასთან და ვერც იმ სოციალურ წრესთან, რომელშიაც მას უხდება ცხოვრება და ყოფნა. მისთვის შეუცნობელია ბუნებისა და სოციალური წრის ის მოვლენები, რომლებიც მასზე ბატონობენ და მის ირგვლივ ხდებიან. ასეთ ვითარებაში ადამიანისათვის უფრო ადვილია ყველა ამ მოვლენის და აგრეთვე საკუთარი თავის წარმოქმნისა და ცვალებადობის მიზეზი ეძებოს არა თვით ამ მოვლენებში, არამედ მათ გარეშე და მათ მაღლა, საიდანაც, როგორც პირველი მიზეზიდან, მისი შემცდარი გაგებით, ეს მოვლენები იღებენ საწყისს. სწორედ ამ ბუნებრივი და სოციალური მოვლენების „წარმომქმნელი“ ყალბი და „ფანტასტიკური მიზეზის“ შექმნით, ადამიანმა შექმნა ადგილი ზებუნებრივი ძალების რწმენისა და ღმერთისათვის.

რელიგიური რწმენის წარმოქმნის შესახებ მარქსის ზემოთ მოყვანილი დებულების შემდგომი გაშლა და დასაბუთება მოგვცა ენგელსმა. აღნიშნულ საკითხზე „ანტი-დიურინგში“ ენგელსი წერდა: „... ყოველი რელიგია ხომ სხვა არა არის რა, თუ არა მხოლოდ იმ გარეგანი ძალების ფანტასტიკური ანარეკლი ადამიანების თავში, რომლებიც ადამიანების ყოველდღიურ არსებობაზე ბატონობენ; ესაა ანარეკლი, რომელშიც მიწიერი ძალები არამიწიერი ძალების სახეს ღებულობენ. ისტორიის დასაწყისში ამ ანარეკლის ობიექტები, უპირველეს ყოვლისა, ბუნების ძალები იყვნენ, რომლებიც სხვადასხვა ხალხის შემდგომ განვითარებაში მრავალგვარ და მრავალფერად განპიროვნებას პოულობენ... მაგრამ ჩქარა ბუნების ძალების გვერდით მოქმედებას იწყებენ საზოგადოებრივი ძალებიც, რომლებიც ისევე უცხო და თავდაპირველად გამოუცნობი არიან ადამიანისათვის, ისევე უპირისპირდებიან მას, ისეთივე მოჩვენებითი ბუნებრივი აუცილებლობით ბატონობენ მასზე, როგორც თვით ბუნების ძალები. ფანტასტიკური

სახეები, რომლებშიც თავდაპირველად მხოლოდ ბუნების საიდუმლოებით აღსავსე ძალები ისახებოდნენ, ახლა საზოგადოებრივ ატრიბუტებსაც იძენენ, ისტორიული ძალების წარმომადგენლები ხდებიან. განვითარების შემდგომ სტადიებზე მრავალი ღმერთის ყველა ბუნებრივი და საზოგადოებრივი ატრიბუტი გადაიტანეს ერთ ყოვლისშემძლე ღმერთზე, რომელიც თავის მხრივ თვით აბსტრაქტული ადამიანის ანარეკლია"[1].

თავის სხვა ნაშრომში რელიგიის წარმომქმნის შესახებ ენგელსი წერდა: „რელიგია მეტად ადრინდელ, პირველყოფილ ხანაში წარმოიშვა ადამიანის უვიცი, ველური წარმოდგენებიდან თავის თავისა და გარეგანი ბუნების შესახებ"[2].

ამგვარად, რელიგიის წარმოშობის საკითხში, რელიგიური რწმენის თანდაყოლილობის ბურჟუაზიული თეორია ყოველგვარ საფუძველს არის მოკლებული. რაც შეეხება მატყუარების მიერ რელიგიის გამოგონებას, ეს თეორიაც ვერ უძლებს ვერავითარ კრიტიკას. და ეს არა მარტო იმიტომ, რომ იმ პირველყოფილ ხანაში, როცა რელიგიის წარმოშობა ივარაუდება, საზოგადოება კლასებად არ იყო დაყოფილი და ამ მოტყუებას არ შეიძლებოდა კლასობრივი საფუძველი ჰქონოდა, არამედ იმიტომაც, რომ მომტყუებელი თვითონ არ უნდა ყოფილიყო მოტყუებული, ე. ი. წინასწარ შემუშავებული სიცრუით, სხვისთვის ღმერთის არსებობის ქადაგების დროს, თვითონ ამ მომტყუებელს არ უნდა ჰქონოდა ღმერთისა და რელიგიის არავითარი რწმენა. ასეთი ადამიანები კი იმ პირველყოფილ ხანაში, როცა რელიგია გაჩნდა, საერთოდ არ არსებობდნენ, რამდენადაც შეგნებულ ათეისტად ყოფნა გარკვეული მოითხოვდა მაღალ კულტურასა და ცოდნას, რაც იმდროინდელ პირობებში არ შეიძლებოდა ვისმე ჰქონოდა.

მაგრამ რელიგიის თავდაპირველ წარმოქმნაში სიცრუის მომენტის და მატყუარების როლის უარყოფა, იმას არ

---

[1] ფ. ენგელსი, ანტი-დიურინგი, 1952, გვ. 378 — 379.

[2] ფ. ენგელსი, ლუდვიგ ფოიერბახი, 1954, გვ. 61.

ნიშნავს, რომ საერთოდ რელიგიიდან, მისი წარმოშობის შემდეგაც, ეს მომენტი გამორიცხული იყოს. თუ თავდაპირველად რელიგია, წერს ენგელსი „... სიცრუის რაიმე მონაწილეობის გარეშე წარმოიშობა, შემდგომ განვითარებაში ძალიან მალე გარდუვალი ხდება ხუცური სიცრუე“[1]. და ეს იმიტომ, რომ რელიგია შემდეგ კლასობრივ ხასიათს ღებულობს და გაბატონებული კლასის ხელში იგი მასებზე ზემოქმედების, მათთვის სულიერი დამბლის დაცემის და მორჩილებაში მათი ყოლის უდიდეს ძალად ხდება.

ექსპლოატირებული მასების მორჩილებაში მოსაყვანად, რელიგიის ამ უდიდესი უარყოფითი ძალის უტილიტალური მიზნით გამოყენების საჭიროებაში მალე რწმუნდებიან გაბატონებული კლასები. ჯერ მონათმფლობელურ, შემდეგ ფეოდალურ და ბოლოს ბურჟუაზიულ კლასებს გამოცდილება იმის გაგებისაკენ უბიძგებს, რომ საკუთარი პრივილეგიური მდგომარეობის შენარჩუნებისათვის საკმარისი არ არის მარტო ჯოხი და მიწიერი ჯალათი პოლიციელის სახით; და რომ მათ თავიანთ სამსახურში უნდა ჩააყენონ რელიგია ზეცის წარმომადგენელი ჯალათის—ხუცესის სახით. ამ ნიადაგზე სახელმწიფოსა და რელიგიას შორის იქმნება მჭიდრო კავშირი. სახელმწიფო იცავს რელიგიას, რელიგია — სახელმწიფოს და ორივე ერთად კი გაბატონებული კლასების ინტერესებს. ყოველივე ამის გამო, თუ რაიმე საფრთხე დაემუქრება რომელიმე მათგანის ინტერესებს, იგი განიხილება ყველა მათგანის საერთო საფრთხედ და იწყება მთელი ფრონტით იერიში მისი ლიკვიდაციისათვის.

აღსანიშნავია, რომ ზოგჯერ თვითონ გაბატონებული კლასების წარმომადგენელნიც არ მალავენ სახელმწიფო ხელისუფლებასთან რელიგიის კავშირს, მათი ინტერესების ერთიანობას და ურთიერთდაცვის საჭიროებას. ასე, მაგალითად, 1770 წელს, როდესაც საფრანგეთის პარლამენტმა დაწვის განაჩენი გამოუტანა ჰოლბახის წიგნებს, რომლებშიაც საერ-

---

[1] ფ. ენგელსი, ბრუნო ბაუერი და ადრინდელი ქრისტიანობა, 1939, გვ. 4.

თოდ რელიგიის და, კერძოდ, ქრისტიანობის მეცნიერული კრიტიკა იყო მოცემული და ათეისტური ლიტერატურის ბრწყინვალე ნიმუშებს წარმოადგენდნენ, პარლამენტში ამ საკითხთან დაკავშირებით გამოსული სახელმწიფო ბრალმდებელი ამბობდა: „სამღვდელოებამ, რომელიც რელიგიის ავტორიტეტს იცავს, და მთავრობამ, რომელიც მონარქიის ავტორიტეტს იცავს, მხარი უნდა დაუჭირონ ერთმანეთს და საერთო ძალ-ღონით ყოველგვარი ხელყოფისაგან დაიცვან რელიგია. რელიგიის დაცვა მთავრობის ვალდებულებაში შედის თუნდაც იმიტომ, რომ ასეთი ხელყოფა მიმართულია არა მარტო ეკლესიის წინააღმდეგ, არამედ თვით სახელმწიფოს წინააღმდეგაც და რომ იგი თანაბრად ემუქრება როგორც რელიგიურ, ისე სამოქალაქო წესრიგს“[1]. „თუნდაც, რომ არ ვილაპარაკოთ, — ამბობდა შემდეგ ბრალმდებელი, — რელიგიის ზეციურ წარმოშობაზე, თვითონ მიწიერი პოლიტიკის ინტერესებიც გვაიძულებს ჩვენ დავიცვათ იგი იმ სახით, რა სახითაც დამკვიდრებულია ჩვენს შორის. როგორ უნდა ვუყუროთ ჩვენ იმათ, ვისაც სურს რელიგიის სიწმიდის დარღვევა? ნუთუ რელიგიის უბედურება ეს არ არის უბედურება სახელმწიფოსი? ნუთუ ერთიცა და მეორეც არ ეყრდნობა საერთო საფუძველს? თუ ჩვენ გავიხსენებთ, რომ ჩვენი საღვთო რელიგია წარმოადგენს ჩვენი კონსტიტუციის შემადგენელ ნაწილს და, რომ მის კანონებს თავისი გამოხატულება აქვს სამოქალაქო კანონებში, რომ მას აქვს თავისი უფლება და პრივილეგია, რომ ქრისტიანსა და მოქალაქეს შორის არსებობს მჭიდრო კავშირი, მაშინ ჩვენ ადვილად გავიგებთ, რომ არ შეიძლება რელიგიაზე თავდასხმა, თუ არ დავარღვევთ საზოგადოებრივ სიწყნარეს, არ მივაყენებთ ზიანს პოლიტიკურ წყობას. აქედან ცხადია, რომ უღმერთო და რწმენის უარყოფის მქადაგებელი ბრწყინვალე დამნაშავეა როგორც მიწიერ, ისე ზეციური უდიდებულესობის შეურაცხყოფაში და, რომ ღმერთის მტერი ამავე დროს ადამიანისა

[1] К. Н. Победоносцев, П. Гольбах, 1923, გვ. 66.

და საზოგადოების მტერიცაა"[1]. საკითხის ამგვარად დაყენებიდან სახელმწიფო ბრალმდებელს გამოყავდა დასკვნა, რომ ჰოლბახის ტიპის ათეისტი მწერლები „ერთი ხელით ცდილობენ შეარყიონ მეფის ტახტი და მეორეთი კი — დაანგრიონ საკურთხეველი"[2].

სწორედ იმიტომ, რომ ექსპლოატირებული კლასების აღშფოთებისა და ამბოხებისაგან დაიცვან მეფის ტახტი და ექსპლოატატორული კლასების ინტერესები, ამ კლასების იდეოლოგები ცდილობენ დანგრევისაგან დაიცვან საკურთხევლები და ათეიზმის შეტევისაგან რელიგია. მათ კარგად იციან, რომ, რამდენადაც მეტად იქნება მოწამლული რელიგიური რწმენით ექსპლოატირებულ ადამიანთა შეგნება, იმდენად მათში ნაკლები იქნება მეფეთა ტახტის დამხვრევისა და ექსპლოატატორული კლასების ბატონობის ლიკვიდაციისაკენ მიმართული მეამბოხური სულისკვეთება და მისწრაფება.

საკითხის ამგვარად დაყენებაში ისინი არც სცდებიან, რადგან, მართლაცდა, ექსპლოატირებულ ადამიანთა ფიზიკურ და კლასობრივ მონობას ადევილებს მათი სულიერი მონობა; ვინაიდან რელიგიის წყალობით სულიერად დამბლა დაცემულ თავის მდგომარეობასთან შერიგებულ და ამქვეყნიური ტანჯვა-ვაების სანაცვლოდ იმ ქვეყნად სამოთხეში შესვლის მოლოდინე ადამიანს არც შეუძლია გაბედულად აღმართოს ხელი ექსპლოატატორთა წინააღმდეგ თავისი ამქვეყნიური ადამიანური უფლებებისათვის. მან ასეთი პრეტენზიის უფლება, გამბედაობა და ხალისი წინასწარ თვითონვე წაირთვა იმით, რომ დაუჯერა ხუცესის ქადაგებას სამოთხისა და ჯოჯოხეთის არსებობის შესახებ. ხოლო ის ვისაც სამოთხე სწამს, სჯერა, რომ სამოთხეში შესასვლელად უმოკლესი მანძილი მონობის და ამქვეყნის ძლიერთა მიმართ წინააღმდეგობის გაუწევლობის გზით მიდის, როგორც ამას რელიგია ქადაგებს, და, რა თქმა უნდა, იგი მეამბოხეც ვერ იქნება.

ექსპლოატირებულ ადამიანებში სამოთხისა და ჯოჯოხეთის არსებობის რწმენის ჩასანერგავად და ამ გზით მეამბოხური

---

[1] К. Н. Беркова, П. Гольбах, 1923, გვ. 69.

[2] იქვე, გვ. 65.

სულისკვეთებისაგან მათ გასათავისუფლებლად, საჭირო ხდება ხუცების უდიდესი არმიის შექმნა. ეს ხუცები პრაქტიკულად ხელმძღვანელობენ გონების მთელ ამ მომწამვლელ პროპაგანდას და ღმერთის სახელით ექსპლოატირებულ მორწმუნეებს უქადაგებენ სიცოცხლეში ყველა უბედურებისა და გაჭირვების ატანას და სამაგიეროს ძიზღვას ჰპირდებიან სამოთხეში, სიკვდილის შემდეგ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ურჩობისათვის მათ ემუქრებიან ჯოჯოხეთით და მუდმივი წამებით საიქიოში. ყოველივე ამის გამო, ორმაგი (სააქაო და საიქიო) შიშისა და წამების მუქარის ქვეშ მოქცეულ ექსპლოატირებული მასების წინაშე, როგორც გერცენი წერდა, მუდმივად არის აღმართული სილუეტი „ან მიწიერი ჯალათის, ან ზეციური ჯალათის — ერთი თოკით ხელში, რომელიც მზადაა დაამთავროს ყველაფერი, მეორე კი ცეცხლით, რომელიც აგრეთვე მზადაა, დაწვას მთელი მარადიულობა“.

მღვდელიც და ჯალათიც გაბატონებული ექსპლოატატორული კლასის ერთ და იგივე დაკვეთას ასრულებენ. ამიტომ, ამბობს შემდეგ გერცენი, „ჯალათი გაცილებით ახლოა მღვდელთან, ვიდრე ეს ჰგონიათ“. ამავე საკითხზე ლენინი წერდა: „ყველა და ყოველ მჩაგვრელ კლასს თავისი ბატონობის დასაცავად სჭირდება ორი სოციალური ფუნქცია: ჯალათის ფუნქცია და ხუცესის ფუნქცია. ჯალათმა უნდა ჩაახშოს ჩაგრულთა პროტესტი და აღშფოთება. ხუცესმა უნდა ანუგეშოს ჩაგრულნი, დაუხატოს მათ კლასობრივი ბატონობის შენარჩუნების დროს გაჭირვებისა და მსხვერპლის შემსუბუქების პერსპექტივები (ამის გაკეთება მეტადრე მოსახერხებელია, თუ არ კისრულობ ასეთი პერსპექტივების „განხორციელების შესაძლებლობას“) და ამით შეარიგოს ისინი ამ ბატონობასთან, მოაშლევინოს მათ რევოლუციური მოქმედება, შეარყიოს მათი რევოლუციური განწყობილება, გატეხოს მათი რევოლუციური გამბედაობა“[1]. და მართლაც, წერდა ლენინი, „ვინც მთელ სიცოცხლეში მუშაობს და გაჭირვებულია, რელიგია ასწავლის მორჩილებას და მოთმინებას სააქაო ცხოვრებაში

[1] ვ. ლ ე ნ ი ნ ი, ტ. 21, გვ. 272.

და ანუგეშებს ზეციური ჯილდოს იმედით"[1]. ამ ფუჭი ზეციური ჯილდოს შეპირებით და მასების რევოლუციური გამბედაობის გატეხის წყალობით კი, წერს ლენინი, რელიგია იმას აღწევს, რომ „მშვიდათ სძინავთ" სტახოვიჩებსაც, ობლომოვებსაც და ყველა ჩვენს კაპიტალისტებს, რომელნიც ამ მასების ექსპლოატაციით ცხოვრობენ![2] ასეთია რელიგიის ნეგატიური და რეაქციული ხასიათი საერთოდ, და განსაკუთრებით კი მას შემდეგ, როცა იგი კლასობრივ ხასიათს ღებულობს.

მარქსიზმის კლასიკოსების მიერ რელიგიის წარმოშობის საკითხის ამგვარად დაყენებაში და მისი კლასობრივი ბუნების გარკვევაში, თავისთავად მოიძებნება პასუხი რელიგიის მოსპობის პირობების შესახებ. რელიგიას ქმნის ადამიანი, რომელსაც ჯერ კიდევ ვერ მოუნახავს თავისი თავი, იმის გამო, რომ ვერ შეუცვნია ბუნებრივი და საზოგადოებრივი მოვლენების ნამდვილი მიზეზები და ვერ გაურკვევია მათთან თავისი დამოკიდებულება; გასაგებია, რომ, როცა ადამიანი თავის ადგილს იპოვნის ამ მოვლენებს შორის, განსაზღვრავს თავის დამოკიდებულებას ამ მოვლენებისადმი, ახსნის მათ მათივე საკუთარი კანონზომიერებით, თავიდან მოიცილებს საკუთარ თავზე მათ სტიქიურ ბატონობას, მაშინ ზებუნებრივი ძალებისა და ღმერთის რწმენისათვის, რომლებიც ადამიანს შეცდომით ჰყავდა მიჩნეული ამ მოვლენების წარმომქმნელ და მმართველ მიზეზად — ადგილი აღარ დარჩება. „რეალური ქვეყნის რელიგიური წარმოდგენა, — წერს მარქსი, — მხოლოდ მაშინ გაქრება, როდესაც ადამიანთა ყოველდღიური პრაქტიკული ცხოვრების პირობები — როგორც ერთმანეთთან, ისე ბუნებასთან ურთიერთობა — მათ აშკარა და გონივრული სახით წარმოუდგება"[3].

ბურჟუაზიულ საზოგადოებაში, სადაც ეკონომიური ცხოვრების კანონები სტიქიურ ხასიათს ატარებს და ადამიანები უკულტურობის და სიბნელის მარწუხში არიან მოქცეული,

---

[1] ვ. ლენინი, ტ. 10. გვ. 83 — 84.

[2] ვ. ლენინი, ტ. 5, გვ. 420.

[3] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, გვ. 45 — 46.

რელიგია კვლავ ახერხებს თავის თავის შენარჩუნებას. „...თანამედროვე ბურჟუაზიულ საზოგადოებაში, — წერს ენგელსი, — ადამიანებზე მათ მიერვე შექმნილი ეკონომიური ურთიერთობანი, მათ მიერვე წარმოებული საწარმოო ძალები ბატონობენ როგორც რაღაც უცხო ძალები. მაშასადამე, არსებობას განაგრძობს რელიგიის, როგორც ანარეკლის იდეოლოგიური პროცესის ფაქტიური საფუძველი და ამ საფუძველთან ერთად არსებობას განაგრძობს აგრეთვე მისი ანარეკლი რელიგიაში. და თუ ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიაც კი ნაწილობრივ იძლევა ამ უცხო ძალთა ბატონობის მიზეზობრივი კავშირის გაგებას, ეს არაფერს ცვლის საქმის ვითარებაში. ბურჟუაზიულ პოლიტიკურ ეკონომიას არ შეუძლია არც კრიზისების თავიდან აცილება საზოგადოდ, არც ცალკე კაპიტალისტების დაცვა ზარალისა, უიმედო ვალებისა და გაკოტრებისაგან, არც ცალკეული მუშების ხსნა უმუშევრობისა და სიღატაკისაგან. დღესაც ამბობენ ხოლმე წინანდებურად: კაცი ბჭობდა, ღმერთი (ე. ი. კაპიტალისტური წარმოების წესის უცხო ბატონობა) განაგებდაო“[1]. ერთი სიტყვით, ენგელსის მიხედვით, ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის მიერ ბურჟუაზიული ეკონომიკის კანონზომიერების მექანიკის ნაწილობრივ ახსნა და მისთვის ერთგვარი ნათელის მოფენა, საკმარისი არ არის იმისათვის, რომ იქ საზოგადოებრივ ცხოვრებაზე რელიგიური შეხედულების არსებობისათვის ნიადაგი გაქრეს. და ეს იმიტომ, რომ ბურჟუაზიულ ქვეყნებში ეკონომიური ცხოვრების კანონები ადამიანებზე სტიქიურად ბატონობენ და ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის მიერ ამ კანონების ასე თუ ისე ახსნას არ შეუძლია მათ ეს სტიქიური ხასიათი დაუკარგოს.

მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ საერთოდ ეკონომიური ხასიათის კანონებს არავითარ გარემოებაში არ შეეძლოთ თავისი სტიქიური ხასიათის „დაკარგვა“. „ამბობენ, — წერს ამხანაგი სტალინი, — რომ ეკონომიური კანონები სტიქიურ ხასიათს ატარებენ, რომ ამ კანონების მოქმედება გარდუვალია,

---

[1] ფ. ენგელსი, ანტი-დიურინგი, 1952, გვ. 379 — 380.

რომ საზოგადოება უძლურია მათ წინაშეო. ეს არ არის სწორი. ეს არის კანონების გაუგებრობა, კანონებისადმი დამოკიდებულება. დამტკიცებულია, რომ საზოგადოება უძლური არ არის კანონების წინაშე, რომ საზოგადოებას შეუძლია, რაკი იგი შეიცნობს ეკონომიურ კანონებს და დაეყრდნობა მათ, შეზღუდოს მათი მოქმედების სფერო, გამოიყენოს ისინი საზოგადოების ინტერესებისათვის და „მოთოკოს" ისინი..."[1].

ეკონომიური კანონების ეს „მოთოკვა", მათი შემეცნების და თვით მათზე დაყრდნობით მათი გამოყენების გზით, შეუძლებელი ხდება ბურჟუაზიულ საზოგადოებაში, რადგანაც ამ კანონების „მარტოოდენ შემეცნება, თუნდაც იგი უფრო ფართო და ღრმა იყოს, ვიდრე ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის შემეცნება, საკმაო არ არის იმისათვის, რომ საზოგადოებრივი ძალები საზოგადოების ბატონობას დაემორჩილონ. ამისათვის, უწინარეს ყოვლისა, საზოგადოებრივი მ ო ქ მ ე დ ე ბ ა ა საჭირო. და როცა ეს მოქმედება შესრულდება, როცა საზოგადოება, მთელი საწარმოო საშუალებების დაპატრონებისა და გეგმაშეფარდებული გამოყენების შემწეობით თავის თავსა და ყველა თავის წევრს იმ მონობისაგან გაათავისუფლებს, რომელშიც ისინი ამჟამად იმყოფებიან მათ მიერვე წარმოებულ საწარმოო საშუალებათა წყალობით, რომლებიც მას უპირდაპირდებიან როგორც უძლეველი უცხო ძალა, მაშასადამე, როცა ადამიანი არა მარტო იაზროვნებს, არამედ აგრეთვე კიდეც განაგებს, მხოლოდ მაშინ გაჰქრება უკანასკნელი უცხო ძალა, რომელიც დღემდე კიდევ ასახვას პოულობს რელიგიაში და ამასთანავე გაქრება თვით ეს რელიგიური ასახვაც იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ მაშინ აღარაფერი დარჩება ასასახველი"[2].

ჩვენს ქვეყანაში ეკონომიური კანონების ღრმა მეცნიერული შეცნობის, საწარმოო საშუალებებზე კერძო საკუთრების გაუქმებისა და გეგმიანი მეურნეობის შექმნის საფუძველზე,

---

[1] ი. ს ტ ა ლ ი ნ ი, სოციალიზმის ეკონომიური პრობლემები სსრ კავშირში, 1953, გვ. 18.

[2] ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, ანტი-დიურინგი, 1952, გვ. 380.

შესაძლებელი გახდა ეკონომიური კანონების „მოთოკვა“. ამ ნიადაგზე ადამიანებს თავიანთი ურთიერთობა ერთმანეთთან და ბუნებასთან შეცნობილად და გააზრებულად წარმოუდგებათ, რის გამოც ეს შეცნობილი და „მოთოკილი“ ურთიერთობა აღარ იძლევა საშუალებას რელიგიაში მისი გაფეტიშებული უკუფენისათვის, რაც წინათ სწორედ მისი შეუცნობელი და, რაც მთავარია, მისი „მოუთოკავი“ ხასიათით იყო განპირობებული. ენგელსის ამ დებულებამ გენიალური დადასტურება ჰპოვა ჩვენს ქვეყანაში, სადაც მასებში რელიგიური რწმენის გაქრობა (თუმცა არამთლიანად) აიხსნება არა მარტო იმით, რომ რელიგიამ ჩვენში კლასობრივი დაკვეთა დაკარგა და ანტირელიგიური პროპაგანდა და ხალხის კულტურა მაღალ საფეხურზე დგას, არამედ იმითაც, რომ საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პირობებში ჩვენი მეურნეობის გეგმიანმა ხასიათმა, ეკონომიური კანონების შეცნობამ, მათმა გამოყენებამ და „მოთოკვამ“ — ამ ეკონომიური კანონების რელიგიური ფეტიშიზმისათვის საფუძვლები გააქრო, ვინაიდან, როგორც მარქსი წერდა, „რელიგია მხოლოდ ილუზორული მზეა, რომელიც ადამიანის გარშემო მოძრაობს მანამდე, სანამ იგი თავისთავის გარშემო მოძრაობას დაიწყებდეს“[1].

---

[1] კ. მარქსი, ჰეგელის სამართლის ფილოსოფიის კრიტიკისათვის, შესავალი, 1946, გვ. 6.

ყველა ზემოთქმულიდან ცხადი ხდება, რომ, რადგანაც „რელიგიური ქვეყანა რეალური ქვეყნის ანარეკლია მხოლოდ"[1], ყველა ეს რელიგიური სისტემები არ შეიძლება იდენტური იყვნენ დეტალებში, რამდენადაც იდენტური არ შეიძლება იყვნენ თვით მათი წარმომქმნელი რეალური ქვეყნები, რომელთა რელიგიურ ასახვასაც ეს სისტემები წარმოადგენენ. ამიტომ, ბუნებრივია, სხვადასხვა რელიგიური სისტემის წარმოქმნის ახსნის საკითხში, პროკრუსტეს ნიველირების მეთოდი არ გამოგვადგება და ყოველ ცალკე შემთხვევებში რელიგიის წარმოქმნის ზოგადი პრინციპებიდან გამოსვლით ჩვენ კონკრეტული ვითარება და პირობები უნდა ვეძებოთ.

ასე დგას ეს საკითხი ქრისტიანული რელიგიის წარმოქმნის მიმართაც, რომლის განხილვაზედაც ჩვენ ახლა გადავდივართ. ენგელსი წერდა: „რელიგია რომ გაიგო, ამისათვის საჭიროა შეგეძლოს განმარტო მისი წარმოშობა და მისი განვითარება იმ ისტორიული პირობებიდან, რომლებშიც იგი აღმოცენდა და მიაღწია ბატონობას. ეს განსაკუთრებით ეხება ქრისტიანობას"[2].

ქრისტიანული რელიგია წარმოიშვა ძველ პალესტინაში (ახლანდელი ისრაელი). ქრისტიანობის წარმოშობა განაპირობა ამ ქვეყანაში ისტორიულად შექმნილმა სოციალ-ეკონომიურმა ვითარებამ. გეოგრაფიულად ბაბილონისა და ეგვიპტის უძველეს კულტურულ ქვეყნებსა და მსოფლიო მნიშვნელობის გადამკვეთ საეჭრო გზებზე პალესტინის მდებარეობამ, აგრეთვე თვით ქვეყნის შიგნით, იუდეიაში — მეცხოველეობის, ისრაელში — მიწათმოქმედების, იერუსალიმში და სხვა ქალაქებში ხელოსნური წარმოების საკმაოდ მძლავრად განვითარე-

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, ტ. I, გვ. 46.

[2] ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, ბრუნო ბაუერი და ადრინდელი ქრისტიანობა, 1939, გვ. 4.

ბამ, ადრევე შექმნეს იქ გვაროვნული წყობილების რღვევის, მონათმფლობელური ურთიერთობის წარმოქმნის და ღრმა კლასობრივი დიფერენციაციისათვის პირობები.

პირველი ათასწლეულის ძველ პალესტინაში მრავლად იყვნენ როგორც უცხო, ე. ი. გარედან შეყვანილი ნასყიდი მონები, ისე დაკაბალების ნიადაგზე წარმოქმნილი ადგილობრივი, ებრაელი მონები. ძველი წელთაღრიცხვის IX და VIII საუკუნეების პალესტინის კანონმდებლობით, როცა მოვალე აღებულ ვალს ვეღარ იხდიდა, მაშინ იგი 6 წლით კრედიტორის მონად ხდებოდა. ფულადი მეურნეობის განვითარებით გამოწვეულ გაღატაკებისა და დაკაბალების ნიადაგზე მონობაში ჩავარდნის გამო მეტად მძიმე მდგომარეობაში იყვნენ ძველი პალესტინის დაბალი ფენები.

საკუთარ მდგომარეობათა შემსუბუქების მიზნით ამ ფენების აჯანყებები და რევოლუციური გამოსვლები მარცხით მთავრდებოდა. ეს გარემოება კი მაშინდელ პალესტინაში ქმნიდა ნოყიერ ნიადაგს წინასწარმეტყველთა მოძრაობის განვითარებისათვის. გაღატაკებულ, დამონებულ და ვალებში ჩავარდნილ „მაშვრალთა და ტვირთმძიმეთა“ შორის (რომლებიც თავიანთი ბრძოლით ვერ აღწევდნენ არსებულ ურთიერთობათა სასურველი მიმართულებით შეცვლას) ადვილად იკიდებდა ფეხს ამ წინასწარმეტყველთა სხვადასხვა მესიონისტური ქადაგებანი. წინასწარმეტყველნი ქადაგებდნენ, რომ ღმერთი არ დატოვებს გაჭირვებულ ადამიანებს უკანონობით შექმნილ ასეთ მძიმე და აუტანელ მდგომარეობაში. იგი ხალხის გასათავისუფლებლად და მოძალადე მდიდართა დასასჯელად მოავლენს „მესიასო“.

ხალხს მესია წარმოდგენილი ჰყავდა ან როგორც ღვთისაგან მირონცხებული და უძლეველი მეფე, ან როგორც ღვთის შვილი. მესიის მოსვლის „... დღეებში მთელი დედამიწა,— ამბობდნენ წინასწარმეტყველები, — სიმართლით შეიმოსება, ერთიანად მოიფინება ხეებით და აღივსება კურთხეული საჩუქრებით და შესაწირავით. ყოველგვარი მარცვლოვანი მცენარე აღმოცენდება მასზე; გაშენებული იქნება მასზე ვენახები და ისინი დაუსრულებლივ გამოსცემენ ღვინოს; თესლი ყოველი,

მიწაზე დათესილი, მოიტანს მოსავალს ერთი-ათასად, ...ვინც იყო მშიერი, მაძღრისად ისაზრდოებს"[1].

წინასწარმეტყველთა ქადაგებით ღარიბი და ჩაგრული ხალხისთვის მესიას მოჰქონდა თავისუფლება, ნეტარი და ადვილი ცხოვრება. ხოლო მდიდრების, მოძალადეების და ამ ქვეყნის პირველ კაცთათვის კი უბედურება და დაღუპვა. მესიის მოსვლას მდიდრებს წინასწარმეტყველები მძიმე ფერებში უხატავდნენ. მაშინ, თქვენ, მიმართავდნენ ისინი მდიდრებს, „არაფერი არ გიხსნით დაღუპვისაგან — არც მეფური ღირსება, მბრძანებლის სიდიადე და ძლევამოსილება, ვერცხლი, მეწამული და ოქრო, საჭმელი და სასმელი: ვითარცა წყალი, გადანთხეული იქნებით თქვენ მთელი თქვენი საუნჯით, მთელი თქვენი სახელითა და დიდებით, დაიღუპებით თქვენ, და სირცხვილეულნი, სასიკვდილო ლახვარით, გაღატაკებულნი შთაგდებული იქნებით ცეცხლოვან ღუმელში"[2].

საქართველოდან დაბრუნებულმა რომის სარდალმა პომპეუსმა 63 წელს (ძვ. წელთაღრიცხვით) დაიპყრო სირიის სახელმწიფო, რომელშიაც მაშინ პალესტინაც შედიოდა, და იგი რომის პროვინციად გამოაცხადა. ადგილობრივი ზედაფენების ექსპლოატაციის შედეგად ისედაც მძიმე მდგომარეობაში მყოფი პალესტინის დაბალი ფენები, რომის დაპყრობის შემდეგ, რომის სავახშო კაპიტალის მოქმედების, დიდი ხარკებისა და გადასახადების გამო, ახლა უფრო მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნენ. როგორც წინათ, ახლაც მათი ყოველგვარი ცდა შინაურ ექსპლოატატორებისაგან თავის დასახსნელად, კვლავ მარცხით თავდებოდა და რომის წინააღმდეგ მიმართული განმათავისუფლებელი მოძრაობაც ვერ აღწევდა გამარჯვებას და ვერ ქმნიდა ხელსაყრელ პირობებს და ისეთ გამოჩენილ ნაციონალურ გმირს, რომელზედაც პალესტინის ხალხი თავის ხსნის იმედებს დაამყარებდა. ასეთ პირობებში, პალესტინის ექსპლოატირებულმა ფენებმა „... დაჰკარგეს რა მატერიალური გათავისუფლების იმედი, მის ნაცვლად

---

[1] ვ. ვ. სერგეევი, ძველი რომის ისტორიის ნარკვევები, ნაწ. II, 1941, გვ. 672.

[2] იქვე, 672.

ეძებდნენ სულიერ გათავისუფლებას, ნუგეშის პოვნას შეგნებაში, რაც მათ სრული სოსოწარკვეთილებიდან იხსნიდა"[1].

ამ სულიერი ნუგეშის ძიება იმდროინდელი ბეჩავი სინამდვილის პირობებში, როცა მას პირველი საუკუნის პალესტინის ვითარება აქ, მიწაზე, ვერ იძლეოდა, ადამიანებს იგი რელიგიაში უნდა გადაეტანათ. როგორც ენგელსი წერს, მათთვის ეს „ნუგეში უნდა წარმოსახულიყო სწორედ რელიგიური ფორმით"[2], ვინაიდან „მაშინდელი მდგომარეობის დროს გამოსავალი მხოლოდ რელიგიაში შეიძლებოდა ყოფილიყო"[3]. მართლაც, პალესტინის „ტვირთმძიმე და მაშვრალთა" ფენებმა ნუგეშის ეს ძებნა რელიგიაში გადაიტანეს და, მესიონისტური ქადაგებებით ადრევე შემზადებული და ახლა გაძლიერებული მოძღვრების წყალობით, მას მესიის სახით ზეციდან დაუწყეს მოლოდინი.

„იოანეს გამოცხადებაში", რომელიც ახლა მიჩნეულია ქრისტიანობის წარმოქმნის პირველი წლების დოკუმენტად და, რომელიც ენგელსის გამორკვევით შედგენილი უნდა იყოს იუდეველთა ომის (66 — 70) დროს, „მესიის" დახმარებით რომაელებისაგან პალესტინის გათავისუფლების რწმენა უკვე გარკვევით არის მოცემული. „ღვთის რისხვის შვიდი ფიალა, — ნათქვამია იქ, — დაინთხევა მიწაზე... უკუნითი-უკუნისამდე იხრჩოლებს ბიწიერებით სავსე ბაბილონის (რომის) მცხოვრებთა წამების კვამლი, და მათ არ ექნებათ მოსვენება არც დღისით, და არც ღამით".

რამდენადაც პალესტინის დაბალი ფენების მდგომარეობა ექსპლოატაციის ორმხრივი წნეხის (ადგილობრივი და რომაული) დროს თანდათან უფრო მძიმე ხდებოდა, იმდენად ხალხის წარმოდგენაში მოტყუებული ნუგეშის სახით ახლოვდებოდა ზეციდან მესიის მოსვლაც. ბოლოს, პალესტინის ხალხის ზეციდან ხსნის მაძიებელმა ცნობიერებამ უკანა რიცხვით დაბადა კიდეც ეს „მესია" ქრისტეს სახით ბეთლემში. ხალხში

---

[1] ფ. ენგელსი, ბრუნო ბაუერი და ადრინდელი ქრისტიანობა, 1939, გვ. 14.

[2] იქვე, გვ. 15.

[3] ფ. ენგელსი, ადრინდელი ქრისტიანობის ისტორიისათვის, 1939, გვ. 30.

გავრცელდა რწმენა, რომ მესია ანუ ქრისტე[1] უკვე მოვიდა ამ ქვეყნად „მაშვრალთა და ტვირთმძიმეთა“ დასახსნელად. მაგრამ, რადგანაც ყველაფერი ეს მხოლოდ ლამაზი ფანტაზია იყო და მას არ შეიძლებოდა მართლა მოჰყოლოდა თან ამ „მაშვრალთა და ტვირთმძიმეთა“ ხსნა, ამიტომ ამ მესიის დამბადებელმა და ზეციდან მიწაზე ჩამომყვანმა რწმენამ ჯერ „ჯვარს აცვა“ ქრისტე და „გაცოცხლების“ შემდეგ, ზეცად ამაღლებით, ისევ მოსწყვიტა მიწას.

„მაშვრალთ და ტვირთმძიმეთ“, რომელთა ხსნაც ვერ მოხერხდა მიწაზე მესიის „მცირეხნით“ ცხოვრების გამო, ქრისტე შეპირდა ხსნას მეორედ მოსვლის დროს, იქამდე კი მათ დაუტოვა თავისი მოძღვრება. ამ მოძღვრებით, როგორც ენგელსი წერს, ქრისტიანობამ „...შეჰქმნა ცა და ჯოჯოხეთი, და გამონახული იქნა გამოსავალი, რომელსაც მაშვრალნი და ტვირთმძიმენი ამქვეყნიური ტანჯვა-ვაებიდან პირდაპირ მარადიულ სამოთხეში მიჰყავდა“[2]. ერთი სიტყვით, ქრისტიანობამ მორწმუნეთა თვალში მაინც დიდი სიქველისა და სათნოების სახელი დაიმსახურა, რადგან ცოცხლად დარჩენილებს ხსნას ქრისტეს მეორედ მოსვლის დროს ჰპირდებოდა, ხოლო ქრისტეს მეორედ მოსვლამდე გარდაცვლილებს, სამოთხეში შეყვანით ანუგეშებდა. ოღონდ, ამ უკანასკნელი დაპირების განხორციელებისათვის საჭირო იყო მორწმუნეებს შეესწავლათ, გაეზიარებინათ და აღესრულებინათ ქრისტეს მოძღვრება.

---

[1] ქართული „ქრისტე“ არის თარგმანი ბერძნული Xristòs („ხრისტოს“-ი). ეს უკანასკნელი კი თავის მხრივ არის თარგმანი ძველი ებრაელური სიტყვა „Maschia“-სი, („მესია“-სი), რომელიც „ღვთისაგან მირონცხებულს“ ნიშნავს.

[2] ფ. ენგელსი, ადრინდელი ქრისტიანობის ისტორიისათვის 1939, გვ. 30.

ქრისტეს ამ მოძღვრების ხასიათის გაგების ირგვლივ რომის უზარმაზარი იმპერიის სხვადასხვა ადგილზე წარმოიქმნა მთელი რიგი სექტები და მიმდინარეობანი. ისინი თავიანთ საკუთარ შეხედულებებს (რომელშიც ასახული იყო მათი წარმომქმნელი ადგილობრივი ვითარება, შეფერადებული ძველი რელიგიური წესებით) აცხადებდნენ ქრისტეს ორთოდოქსალურ მოძღვრებად და ამ ნიადაგზე იბრძოდნენ მისი აღიარების სავალდებულოებისა და სხვა სექტების მისდამი დაქვემდებარებისათვის. ეს ბრძოლა იმით თავდებოდა, რომ ქრისტიანული რელიგია ხანგრძლივი დროის მანძილზე, სხვადასხვა სექტებიდან და ძველი რელიგიებიდან დროების შესაფერად აღებული ცალკეული დებულებების შერწყმით, თანდათან აძლევდა თავის მოძღვრებას სინკრეტული (შერეული) რელიგიის ხასიათს. ბოლოს, არიანობის ერესად აღიარებამ და ალექსანდრიელი მღვდელის ათანასეს ინტერპრეტაციით გაგებული ქრისტიანობის რომის იმპერიის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებამ (325 წ.), უკვე ერთგვარად დასრულებული და ჩამოყალიბებული სახე მისცა ქრისტიანობას, თუმცა ზოგიერთი ცვლილების შეტანა მასში და დროების მიხედვით მისი შეცვლა, შემდეგაც, მთელ მის ისტორიაში გრძელდებოდა.

ქრისტიანობის გამარჯვება, სახელმწიფო რელიგიად მისი გამოცხადება და მისთვის მსოფლიო რელიგიის ხასიათის მიცემა, როგორც ეს ასე ბრწყინვალედ გაარკვია ენგელსმა, ისტორიულად განპირობებული იყო მთელი რიგი ობიექტური ხასიათის მიზეზებით. ჩვენ უკვე ზემოთ ვნახეთ, თუ რა პირობებმა შეუწყვეს ხელი ამ ახალი მესიონისტური რელიგიის წარმოშობას პალესტინაში, სადაც ეს მოძღვრება პირველად ჩაისახა. მაგრამ, ერთია მისი ჩასახვა და წარმოშობა

და მეორეა მისი გავრცელება მსოფლიოს კულტურული ქვეყნების მასშტაბით.

ისტორიაში არაერთი და ორი რელიგიური სისტემა წარმოქმნილა, რომელიც ვერ გასცილებია ნაციონალურ ფარგლებს და იქვე ჩამკვდარა ახალი რელიგიის წარმოშობით. ქრისტიანობის ესოდენ სწრაფი და ფართო გავრცელება, უპირველეს ყოვლისა, აიხსნება მისი ზოგადი მესიონისტური ხასიათით, საეკლესიო საქმეთა ორგანიზაციით, შემგუებლობის დიდი უნარით, რელიგიურ წესთა შესრულების სიმარტივით, ხმელთაშუაზღვეთის სამყაროს ძველი, ნაციონალური რელიგიების კრახით და, რაც მთავარია, იმ დროის რომის იმპერიის სხვადასხვა ქვეყნების სოციალ-ეკონომიური პირობების ნიველირების დაახლოებითი ერთგვარობით.

თუ I საუკუნის პალესტინაში შექმნილი ვითარება საფუძვლად დაედო ახალი მესიონისტური რელიგიის საწყისების წარმოქმნას, რომის მიერ აფრევრაზიაში დაპყრობილ სხვა ქვეყნებში, დაახლოებით მეტ-ნაკლები მსგავსებით ამგვარივე მდგომარეობის არსებობა, საუკეთესო პირობებს ქმნიდა იქ ამ ახალი რელიგიის მიღებისა და გავრცელებისათვის.

მართლაცდა, პალესტინაზე გაცილებით ადრე რომს ათეულობით ქვეყანა ჰქონდა დაპყრობილი აფრევრაზიაში, სადაც რომის ხარკებს, რომის სავახშო კაპიტალს და ადგილობრივ ზედაფენებს არანაკლებ მძიმე მდგომარეობაში ჰყავდათ ჩაყენებული ექსპლოატირებული ფენები, ვიდრე ეს პალესტინაში იყო. ეს იყო ძირითადი სოციალ-ეკონომიური პირობა, რომელიც აადვილებდა ქრისტიანული მესიანიზმის სწრაფ გავრცელებას რომის მიერ დაპყრობილი ქვეყნების დაბალ ფენებში, ხოლო ეს დაბალი ფენები მოცემული ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენდნენ.

ძველი რელიგიების ჩაკეტვა თავიანთ ნაციონალურ ნაჭუჭში (რაც უდიდეს დაბრკოლებას ქმნიდა სხვადასხვა რელიგიების მიმდევარ ხალხთა ურთიერთ დაახლოების საქმეში) აიხსნებოდა იმით, რომ თვით ამ ძველ ქვეყნებს შორის არ იყო პოლიტიკური და განსაკუთრებით კი ასე თუ ისე მყარი ეკონომიური ურთიერთობა. ზოგჯერ ძველი აღმოსავ-

ლეთის ქვეყნებში სხვადასხვა რელიგიურ რწმენათა მომცველი ხალხების გაერთიანება და ისეთი დიდი იმპერიების წარმოქმნა, როგორც იყო ასირიის, სპარსეთის ან მაკედონიის იმპერიები, კონგლომერატულ და ეფემერულ ხასიათს ატარებდნენ და უმთავრესად დამპყრობთა ძალაზე იყვნენ დამყარებული. ამ იმპერიებში გაერთიანებული სხვადასხვა რელიგიის მიმდევარი ხალხები ერთმანეთთან სუსტად იყვნენ კულტურულად და განსაკუთრებით კი ეკონომიურად დაკავშირებული. ამის გამო იქ სუსტი იყო ეკონომიური ცხოვრების ნიველირების აშკარად გამოხატული ტენდენციები და ამ ნიადაგზე ამ იმპერიებში მოქცეული ხალხების ყოფისა და რელიგიის ნიველირების ტენდენციებიც. ძველი აღმოსავლეთის ქვეყნების ამ ეკონომიურ კარჩაკეტილობაში უნდა ვეძებოთ ჩვენ იმის მიზეზი, თუ რატომ ასე დიდხანს ცოცხლობდნენ და ბოგინობდნენ იქ ნაციონალურ საზღვრებში ჩაკეტილი მათი რელიგიები.

ამ ძველი იმპერიებისაგან განსხვავებით, სხვაგვარ მდგომარეობასთან გვაქვს ჩვენ საქმე რომის იმპერიის წარმოქმნის შემდეგ. როგორც ცნობილია, რომის სახელმწიფოს ძლიერებამ თავის კულმინაციურ წერტილს ძველი წელთაღრიცხვის I საუკუნეში მიაღწია, როცა მის იმპერიაში მოექცნენ აფრევრაზიის ქვეყნები ბალტიის ზღვიდან აბისინიამდე და ესპანეთიდან ტიგრსა და ევფრატამდე. რომის უზარმაზარ იმპერიაში ეკონომიური ურთიერთობა ცალკე ქვეყნებს შორის უფრო გაცხოველებული იყო, ვიდრე მანამდე არსებულ ძველ იმპერიებში. ამის გამო რომის სავაჭრო და სავაჭრო კაპიტალის, რომის მართლმსაჯულების და რომაული ყოფის თანდათანობითი ჩანერგვა დაპყრობილი ხალხების ეკონომიკასა და ყოფა-ცხოვრებაში, შლიდა და ანგრევდა მათ ნაციონალურ შეზღუდულობას. ამ ნიადაგზე „საზოგადოებრივი ურთიერთობა პროვინციებში უფრო და უფრო უახლოვდებოდა დედაქალაქსა და იტალიაში არსებულ საზოგადოებრივ ურთიერთობას“[1].

[1] ფ. ენგელსი, ბრუნო ბაუერი და ადრინდელი ქრისტიანობა, 1939, გვ. 10.

იმ დროს, როცა რომის იმპერია ანგრევდა მასში მოქცეული ძველი ქვეყნების პოლიტიკურ და სოციალურ თავისებურებებს და ახდენდა მათ გადაკეთებას რომაულ ყაიდაზე, არ შეიძლებოდა დანგრევასა და შეცვლას გადარჩენოდნენ თვით ამ თავისებურებათა პირობებით წარმოშობილი მათი ძველი რელიგიები. „ხალხთა პოლიტიკურ და სოციალურ თავისებურებებთან ერთად, — წერს ენგელსი, — რომის იმპერიამ დასაღუპავად გასწირა მათი განსაკუთრებული რელიგიებიც. ძველი დროის ყველა რელიგია პირველყოფილი ტომობრივი, უფრო გვიან კი ნაციონალური რელიგიები იყო, რომლებიც თვითეული ხალხის საზოგადოებრივი და პოლიტიკური პირობებიდან წარმოიშვა და მჭიდროდ შეეზარდა მათ. რაკი დანგრეული იქნა მათი ეს საფუძველი, დამსხვრეული იქნა მემკვიდრეობით მიღებული საზოგადოებრივი ფორმები, ძველისძველი პოლიტიკური წყობილება და ეროვნული დამოუკიდებლობა, თავისთავად ცხადია, ინგრეოდა მათთან დაკავშირებული რელიგიაც“[1].

ძველი ნაციონალური და დანგრეული რელიგიების ნაცვლად, ახლა საჭირო ხდებოდა ახალი რელიგიის შექმნა. ამ ახალ და თავისი მასშტაბით საიმპერიო რელიგიად არ შეიძლებოდა გარდაქმნილიყო რომის იმპერიაში არსებული რომელიმე ძველი რელიგია, ვინაიდან მათ ასეთ ძლიერ მოდიფიკაციას ხელს უშლიდა სწორედ ამ კუთხურ განკერძოებულებაში უკვე დიდი ხნის წინათ ჩამოყალიბებული მათი ნაციონალური ხასიათი.

ასეთ ვითარებაში დაღუპული რელიგიების ადგილი უნდა დაეკავებინა ახალ რელიგიას და ისიც ისეთს, რომელიც თავისუფალი იქნებოდა მკვეთრად გამოხატული ნაციონალური ატრიბუტებისაგან. ასეთი რელიგია იყო სწორედ მაშინ ახლადფეხადგმული ქრისტიანობა, რომელსაც თავდაპირველად მართალია გამოჰყვა ზოგიერთი ნაციონალური (ებრაელური) ნიშანი, მაგრამ, რომელიც მან მალე დაჰკარგა თავისი შემდგომი ქმნადობის პროცესში. ქრისტიანობის სწრაფ გა-

[1] ფ. ენგელსი, ბრუნო ბაუერი და ადრინდელი ქრისტიანობა, 1939, გვ. 13.

რცელებას რომის იმპერიის სხვადასხვა ქვეყნებში აჩქარებდა და აადვილებდა სწორედ მისი ადრევე გათავისუფლება თავდაპირველი ნაციონალური დანართისაგან და ყველა ხალხის გათავისუფლების მესიად მისი გარდაქმნა. ეს მოძღვრება კი საყოველთაო მესიანიზმზე მეტად ადვილი მისაღები, გასაგები და ასათვისებელი იყო იმპერიის ყველა ექსპლოატირებული ფენისათვის, მონების ჩათვლით, რომლებშიც მრავლად მოიპოვებოდნენ რომის მიერ დაპყრობილ ყველა ქვეყანაში და, რომელთაც ამ მესიანიზმის გარდა არსებული მდგომარეობიდან ხსნის არავითარი სხვა იმედი აღარ ესახებოდათ.

ქრისტიანული რელიგიის ამ საყოველთაო და ზენაციონალური მოძღვრების შესახებ ერთ-ერთ მაშინდელ ეპისტოლეში ვკითხულობთ: „არ არის არც ბერძენი, არც ებრაელი, არც წინდაცვეთა, არც არაწინდაცვეთა, ბარბაროსი, სკვითი, მონა, თავისუფალი, არამედ ყველა და ყველაფერში არის ქრისტე“[1]. ამგვარად, ქრისტიანობამ ხალხებს შორის ნაციონალური (ბერძენი, ებრაელი, სკვითი და სხვა) და სოციალური (მონა, თავისუფალი) „საზღვრების წაშლით“, თავის თავს საყოველთაო ხასიათი მისცა და ამით გააადვილა თავისი მოძღვრების გავრცელება, როგორც სხვადასხვა ხალხებში, ისე ამ ხალხების სხვადასხვა კლასებში.

ყოველივე ამ მიზეზებთან ერთად, ქრისტიანობის სწრაფ გავრცელებას დიდად უწყობდა აგრეთვე ხელს სხვა რელიგიებთან შედარებით მისი რიტუალისა და წესების მარტივი და ადვილად ასათვისებელი ხასიათი. მართლაცდა, მაშინ, როდესაც ძველ რელიგიებში „მხოლოდ მსხვერპლის მიტანასა და პროცესიებში მონაწილეობით, ხოლო აღმოსავლეთში კიდევ ჭამისა და განბანვის შესახებ უაღრესად დაწვრილებითი ბრძანებების შესრულებით, შეიძლებოდა დაგემტკიცებინა, რომ შენ გარკვეულ რელიგიას ეკუთვნოდი“[2], ქრისტიანობა

---

[1] Н. А. Машкин, История древнего Рима, 1947, გვ. 509.

[2] ფ. ენგელსი, ბრუნო ბაუერი და ადრინდელი ქრისტიანობა, 1939, გვ. 15.

მის მიმდევრად აღიარებისათვის კმაყოფილდებოდა უბრალოდ იმით, რომ ქრისტიანულ თემში შესვლის დროს მორწმუნე მონათლულიყო და ზიარებულიყო.

ქრისტიანობამ უარყო არა მარტო ძველი რელიგიების მიერ მორწმუნეთათვის წაყენებული ეს რთული და ძნელი წეს-ჩვეულებების შესრულება, არამედ აგრეთვე მსხვერპლის შეწირვის სავალდებულოებაც, რაც წინათ მორწმუნეებს მატერიალურად მძიმე პირობებში აყენებდა. ასე, მაგალითად, ძველი ჩინეთის ღმერთს კონფუცს მსხვერპლს სწირავდნენ ყოველი თვის პირველსა და თხუთმეტ რიცხვში, ამათგან წელიწადში ორჯერ—გაზაფხულსა და შემოდგომაზე—ხდებოდა მისთვის ამ პატივის მიგება უფრო დიდი მასშტაბით, როცა მას მსხვერპლად სწირავდნენ 6 ხბოს, 2. 700 ღორს, 5. 800 ცხვარს. 2. 800 ირემს, 2. 700 კურდღელს, აბრეშუმის 27. 600 ნაჭერს და სხვა[1].

როგორც ცნობილია, მსხვერპლის შეწირვა, რომელიც ესოდენ დამახასიათებელი იყო უკლებლივ ყველა ძველი რელიგიისათვის, აგებული იყო პრინციპზე „do ut des" („მე გაძლევ შენ იმიტომ, რომ შენც მომცე მე")[2]. ერთი სიტყვით, მორწმუნე ღმერთს მსხვერპლს სწირავდა იმისათვის, რომ მისი გული მოეგო და აეძულებინა იგი სამაგიერო პატივი გადაეხადა და დახმარება გაეწია ადამიანისათვის, მაშინ, როდესაც ეს მას (ადამიანს) დასჭირდებოდა. ახლა, ქრისტიანული რელიგიის მოძღვრებით. როგორც ამას ახალი წელთაღრიცხვის ორმოციან წლებში მცხოვრები მისი ერთ-ერთი იდეური ბელადი „ქრისტიანობის ნამდვილი მამა" ფილონი ჭადაგებდა, ადამიანი ღმერთის ყურადღებას იმსახურებს და თავისთვის მის დახმარებას უზრუნველყოფს მ ხ ო ლ ო დ გ უ ლ წ რ ფ ე ლ ი მ ო ნ ა ნ ი ე ბ ი ს გზით, რისთვისაც საჭირო აღარ ხდება მსხვერპლის შეწირვა. ქრისტიანობის მიერ მსხვერპლის შეწირვის არასავალდებულოდ მიჩნევამ დიდად გაუადვილა დაბალ ფენებს ამ რელიგიის მიღება.

---

[1] Беттани и Дуглас, Великия религии Востока, 1899, გვ. 96.
[2] С. И. Ковалев, История Рима, 1948, გვ. 164.

ქრისტიანული რელიგიის წარმატების და გავრცელების საქმეში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მთელი მისი საეკლესიო საქმის, მმართველობისა და მეურნეობის ორგანიზაციულად ჩამოყალიბებას, რაც მას საშუალებას აძლევდა მორწმუნეთა ორგანიზებულად გამოსვლისა და დარაზმვისათვის იმ ბრძოლებში, რომელსაც იგი ეწეოდა სხვადასხვა სექტებთან და წარმართულ რელიგიებთან. ამავე ფაქტორებს უნდა მიეკუთვნოს ქრისტიანული რელიგიის შემგუებლობითი ხასიათი, რომელიც მასში უფრო მეტი დოზით იყო მოცემული, ვიდრე იქამდე არსებულ სხვა რელიგიებში. ეს შემგუებლობა კარგად ჩანს განსაკუთრებით ქრისტიანობის თავდაპირველი ეპოქის ისტორიიდან, როცა იგი ვითარების შესაბამისად თვითონაც შეცვლილ სახეს იღებდა და ამით უფრო მეტად ავლენდა სიცოცხლის უნარიანობას და გამძლეობას. ქრისტიანობამ შემგუებლობის უნარი შემდეგაც შეინარჩუნა, როდესაც იგი თანაბრად უწევდა მომსახურეობას სამი სხვადასხვა ფორმაციის (მონათმფლობელური, ფეოდალური და კაპიტალისტური) გაბატონებულ კლასებს, რომელთაგან უკანასკნელს დღესაც დიდი მონდომებით უწევს სამსახურს.

ქრისტეს საკითხის შესახებ

ქრისტეს ვინაობის, ქრისტიანული რელიგიის ისტორიისა და ბუნების შესახებ აუარებელი ლიტერატურა დაგროვდა ოცი საუკუნის განმავლობაში. ქრისტეს ღმერთად მიჩნევის უარყოფა, როგორც საერთოდ ყველა ღმერთისა, რომელიც გარკვეულ ისტორიულ სიტუაციაში ადამიანის გონების მიერ შექმნილი პროდუქტი იყო მხოლოდ, რა თქმა უნდა, არავითარ პრობლემას არ წარმოადგენდა. მთელი სიძნელე იმაში მდგომარეობდა, რომ ძნელი აღმოჩნდა ქრისტიანული რელიგიის წარმოშობის მიზეზების ახსნა, მისი თავდაპირველი ხასიათის და თვით ამ მოძღვრების სახელწოდების წარმოშობის გარკვევა. ამ უკანასკნელ საკითხს ადვილად ხსნიდა ქრისტიანული თეოლოგია. იგი ამტკიცებდა ქრისტეს ნამდვილად არსებობას, როგორც ღმერთისა და მესიის, რომლის მოძღვრებასაც შემდეგ თვით მისი სახელი შეერქვაო. მაგრამ ეს უაზრო შეხედულება, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ადვილად იქნა უარყოფილი.

ქრისტეს შესახებ ე. წ. ისტორიული სკოლა, რომელიც შემდეგ გაჩნდა, ამტკიცებდა, რომ ქრისტე იყო ადამიანი რომის წინააღმდეგ წამოწყებულ ბრძოლებში პალესტინის ხალხის ნაციონალური გმირი და შემდეგ გაღმერთებული, როგორც გამოჩენილი პიროვნება. ამ შეხედულების უბედურება იმაშია, რომ მას ფაქტები არ ეთანხმებიან. საქმე იმაშია, რომ, თუ ვინმე იესო ქრისტე მართლაც იყო რომის წინააღმდეგ პალესტინის ხალხის მიერ წამოწყებული ბრძოლების ნაციონალური გმირი, რაც, რა თქმა უნდა, სრულიად შესაძლებელია, მაშინ არ შეიძლებოდა მის ასეთ მოღვაწეობაზე რაიმე ცნობა არ მოხვედრილიყო იმ დროის რომისა და პალესტინის ისტორიოგრაფიაში, ან მეზობელი ხალხის ლიტერატურაში. ეს წყაროები კი ამ საკითხზე აბსოლუტუ-

რად სდუმან. ეს კი იმის დამამტკიცებელია, რომ ქრისტე საერთოდ არ არსებობდა, და ამიტომ მისი სახელით ცნობილ რელიგიურ მოძღვრებას (ქრისტიანობას) არაფერი კავშირი არა აქვს თვით იმ გამოგონილ ქრისტესთან, რომლის სახელსაც ეს მოძღვრება ატარებს. პრობლემის ამგვარად დაყენების დროს მაინც არ იხსნება საკითხი იმის შესახებ, თუ საიდან უნდა იყოს წარმოქმნილი და რას უნდა ნიშნავდეს თვით ეს სახელწოდება. ამ საკითხს უფრო მეტად ჰფენს ნათელს აკადემიკოს ვიპერის უკანასკნელი გამოკვლევები. „ტერმინი „ხრისტოს“, — წერს ვიპერი, — არის ბერძნული თარგმანი იუდგური Maschiah (რომელიც თავის მხრივ ბერძნულად წარმოითქმება მესიად), რაც ნიშნავდა „ღვთისაგან მირონცხებულს“[1].

ებრალურ სიტყვა „მესიასა“ („ღვთისაგან მირონცხებული“), რომლის სახითაც პალესტინის „მაშვრალნი და ტვირთმძიმენი“, როგორც ჩვენ ზემოთ ვნახეთ, ზეციდან მოელოდნენ ხსნას, და ბერძნულ სიტყვა „ხრისტოს“ („ქრისტე“) შორის იგივეობის დადგენას დიდი მნიშვნელობა აქვს დასმული საკითხის გადაწყვეტისათვის. აქედან გამომდინარეობს, რომ სიტყვა „ქრისტე“ („მესია“) საკუთარი სახელი კი არ არის, არამედ ებრაელების მიერ შექმნილი საერთო ცნებაა მაშვრალთა და ტვირთმძიმეთა დასახმარებლად ზეციდან მოსასვლელი „მირონცხებულის“, „მხსნელის“, „მესიას“ აღსანიშნავად.

იმ დროს ზეციდან ასეთი სასწაულმოქმედი მესიის მოსვლა, ან ღმერთის მიერ რომელიმე მიწიერი არსების ზეადამიანური ძალებით აღჭურვა გაჭირვებაში ჩავარდნილი ხალხის დასახსნელად, ადამიანებს სრულიად რეალურ და შესაძლებელ მოვლენად ესახებოდათ. „ეს ის დრო იყო, — წერს ენგელსი, — როდესაც უთვალსაჩინოეს როლს თამაშობდნენ სასწაულები, ექსტაზები, ხილვანი, მოჩვენებანი, მკითხაობა მომავალზე, ოქროს დამზადება, კაბბალა და სხვა მისტიკური სისულელე. ასეთი იყო ატმოსფერო, რომელშიც წარმოიშვა ადრინდელი ქრისტიანობა, და წარმოიშვა ამასთან ისეთი

[1] Р. Ю. Виппер, Возникновение христианской литературы, 1946, გვ. 107.

კლასის ადამიანებს შორის, რომელიც ყველა სხვა კლასზე უფრო მეტად ითვისებდა ამ ფანტაზიებს ზებუნებრივ საგანთა შესახებ“[1].

იმ დროს სასწაულის მოხდენის უნარს მიაწერდნენ არა მარტო ღმერთსა და ქესიას, არამედ განსოგონილ და ზოგჯერ ისტორიულ პირებსაც. ასე, მაგალითად, მაშინდელ წყაროებში შემორჩენილია ცნობა, სადაც ნათქვამია, რომ რომის იმპერატორმა ვესპასიანემ ეგვიპტეში ყოფნის დროს ერთ ბრმად დაბადებულს თვალები აუხილა ფურთხის მოსმით, ხოლო ერთი დამბლადაცემული პირი კი ხელის შეხებით განკურნაო. პირველ საუკუნეში მცხოვრებ აპოლონ ტიანელის შესახებ ამბობდნენ, რომ, როდესაც რომში ქორწინების დღეს გარდაცვლილი ახალგაზრდა ქალი მიქონდათ დასაკრძალად, ჭუჩაში შემთხვევით შემოხვედრილმა აპოლონმა სანგლოვიარო პროცესია გააჩერა და მიცვალებულის სახელი იკითხა. ხალხს ეგონა იგი სიტყვის თქმას აპირებდა, მაგრამ აპოლონმა მათ განუცხადა: „დადეთ კუბო ძირს, მე შევაშრობ თქვენს ცრემლებსო“. აპოლონი ხელით შეეხო მიცვალებულს, რაღაც გაუგებარი სიტყვები წარმოთქვა, მიცვალებული გააცოცხლა და სახლში დააბრუნა სამხიარულოდ შეცვლილ სანგლოვიარო პროცესიასთან ერთადო.

იმავე აპოლონზე ამბობდნენ, რომ ქალაქ რომში იმპერატორ დომიციანეს მკვლელობას (96 წელს) იგი ქ. ეფესიდან (ათასზე მეტი კილომეტრის დაშორებით) ხედავდა და ეს ამბავი მან მაშინვე ეფესელებს აუწყაო. არსებობს გადმოცემა, რომ რომის იმპერატორმა მარკ ავრელიუსმა კვადების ჯარი ღმერთის დახმარებით პაპანაქება სიცხეში სეტყვითა და მეხის ტყორცნით დაამარცხაო. ვინმე აპიონ ალექსანდრიელის შესახებ ამბობდნენ, რომ მან ჰომეროსის სულის საიქიოდან გამოიხმო სადაურობის საკითხავად და პასუხიც მიიღო. ძველ ებრაულ წიგნებში, რომელთა ავტორობას მოსეს მიაწერენ, აღნიშნულია, რომ მოსემ უდაბნოში მოგზაურობის დროს, როდესაც ებრაელებს წყალი შემოაკლდათ და იხოცებოდნენ,

[1] ფ. ენგელსი, ადრინდელი ქრისტიანობის ისტორიისათვის, 1939, გვ. 17.

კვერთხის ერთი დარტყმით კლდეს წყალი გამოადინაო. შემდეგი დროის წყაროებში (პაულე მოციქულის წიგნებში) ამის შესახებ ნათქვამია, ამ კლდემ ფეხი აიდგა და ებრაელებს უდაბნოში თან დაყვებოდა, რათა ისინი წყლით მოემარაგებინაო.

ძველად გავრცელებულ ფანტასტიკურ ამბებზე ჩვენ იმ მიზნით შევჩერდით, რათა ამ მაგალითებით ცხადგვეყო, რომ იმ დროს მესიის (ქრისტეს) სახით ზეციდან ხსნის მოლოდინი დაუჯერებელ და რაღაც საოცარ აქტად არ შეიძლებოდა ყოფილიყო მიჩნეული და, რომ ეს გარემოება (მესიის მოსვლა) საერთოდ კარგად თავსდებოდა იმ ეპოქის ცრუმორწმუნეობის ერთიან ანსამბლში. ამ ცრუმორწმუნეობისათვის ნიადაგს მაშინდელი ბეჩავი სოციალური პირობები ქმნიდა. როდესაც I საუკუნის პალესტინაში სოციალური კრიზისი უკიდურესობამდე გამწვავდა და ამავე დროს მრავალი უშედეგო ცდის შემდეგ შეიქმნა ილუზია, თითქოს ექსპლოატირებული ფენებისათვის ამ კრიზისიდან მიწიერი გზით გამოსვლა დახურული იყო, მესიანიზმის ქადაგება, რომელსაც ხალხისათვის ხსნა ღეთაებრივი გზით ზეციდან უნდა მოეტანა, უფრო გაძლიერდა.

გაჩნდა მრავალი წინასწარმეტყველი და მოციქული, რომლებიც ხალხს ახარებდნენ და (შექმნილი ვითარების გამო) ადვილადაც აჯერებდნენ ზეციდან ამ მხსნელი მესიის (ქრისტეს) მოსვლის მოახლოებას. ამ ფანატიკური „უგარით“ ამოძრავებული და ზეციდან ხსნის მალე მოსვლით დაიმედებული დაბალი ფენები, დიდი პატივისცემით ეპყრობოდნენ ამ წინასწარმეტყველებს (მახარობლებს), მეტად თავაზიანად იღებდნენ მათ და შესაძლებლობის ფარგლებში გულუხვადაც უმასპინძლდებოდნენ.

დაბეჩავებულ და ხსნასმოწყურებულ ხალხის გულუბრყვილო ნდობას და გულღია მასპინძლობას ბევრი მაშინდელი გაიძვერა ბოროტად იყენებდა, წინასწარმეტყველებას და მოციქულობას პროფესიად იხდიდა, მესიის მოსვლის შესახებ ქადაგებას იწყებდა და, ამ გზით, ისედაც მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილი ხალხიდან მატერიალურ გამოძალვას ეწეო-

და. ქრისტიანული მესიანიზმის მქადაგებლის ასეთი გაიძვერა ტიპი კარგად დაგვიხატა ცნობილმა მწერალმა ლუკიანე სამოსატელმა (120—180 წწ.) თავის ნაწარმოებში „პერეგრინის სიკვდილი". პერეგრინმა თავი განარიდა ქ. პარიონს, სადაც მან საკუთარი მამა დაახრჩო, პალესტინაში ქრისტეს მოძღვრების ქადაგება დაიწყო, და ამ გზით საკმაოდ გამდიდრდა კიდეც. ენგელსს მოჰყავს ლუკიანეს სიტყვები, რომ, როცა ამ გულუბრყვილო ქრისტიანებთან „... მიდის გაქნილი არამზადა, რომელსაც აქვს უნარი მოხერხებულად ისარგებლოს გარემოებებით, მას მალე შეუძლია მდიდარი კაცი გახდეს და თან გულში დასცინოს ამ მიამიტებს"[1].

პერეგრინის მსგავსი გაიძვერა მქადაგებლები, როგორც ჩანს, ცოტანი არ იყვნენ, რადგანაც I საუკუნეში დაწერილ „თორმეტი მოციქულის მოძღვრებაში" პირდაპირ გაფრთხილება ეძლევათ ქრისტიანებს, რათა ისინი ფხიზლად მოეკიდონ მათთან მისულ მქადაგებლებს. „ყოველი მოციქული,— წერია იქ,—ვინც კი გეწვევათ, მიღებული იქნეს, ვითარცა უფალი და დარჩეს იგი არა უმეტეს ერთი დღისა, მაგრამ, თუ საჭიროებამ მოითხოვა, დარჩეს იგი ორ ან სამ დღეს, მაგრამ თუ კიდევ მეტ ხანს დარჩება იგი, მაშინ ის ცრუ წინასწარმეტყველია". შემდეგ აღნიშნულია, თუ წინასწარმეტყველი წასვლისას ორი დღის საგზალზე მეტ პურს ან ფულს მოითხოვს, მაშინ, იგი ამით თვითონვე ააშკარავებს თავის თავს როგორც ცრუ წინასწარმეტყველსო.

გარდა პერეგრინის მსგავსი გაიძვერა მქადაგებლებისა, იყვნენ ისეთებიც, რომლებიც შინაგანი რწმენით ეწეოდნენ ქადაგებას მესიის (ქრისტეს) მოსვლაზე. ამ მოძღვრების (ქრისტიანული მესიანიზმის) ერთ-ერთი პირველი მქადაგებელთაგანი უნდა ყოფილიყო ვინმე იესო, რომელიც სხვა მქადაგებელთა შორის ყველაზე მეტი პოპულარობით სარგებლობდა. იესოს ქადაგების პერიოდში ლიტერატურა ამ ახალ მესიანიზმზე ჯერ კიდევ არ არსებობდა. ქადაგება მესიანიზმის შესახებ ზეპირად ხდებოდა, რაც ქრისტიანული მოძღვრების სხვადასხვა ვარიანტების შესაძლებლობას ქმნიდა. შემდეგ ხანებში,

[1] ფ. ენგელსი, ადრინდელი ქრისტიანობის ისტორიისათვის, 1939, გვ. 9.

როდესაც ასეთი ლიტერატურა უკვე შეიქმნა, მესიანიზმის (Maschia) ანუ მისი ბერძნული შესატყვისი Xristós (ქრისტეს) სახელით არსებული მოძღვრება, როგორც უნდა ვივარაუდოთ, დაკავშირებული იქნა თვით ამ მოძღვრების ერთ-ერთ პირველ და ყველაზე პოპულარულ მქადაგებელ იესოს სახელთან, როგორც უკვე მისი მოძღვრება. მესიანიზმის მქადაგებელ იესოს სახელთან ქრისტეს დაკავშირება ფიქსირებულია ქრისტიანობის ყველაზე უძველეს დოკუმენტში—„იოანეს გამოცხადებაში". ამ დოკუმენტში ჩვენ პირველად გვხვდება ამ მოძღვრების (Maschia ანუ Xpistós) და მისი მქადაგებლის იესოს (jesus) ერთად (jesus Xpistós) აღნიშვნა. საკითხის ამგვარად დაყენებიდან გამომდინარეობს, რომ სახელწოდება „ქრისტე" არ არის არც ღმერთისა და არც კაცის აღმნიშვნელი კერძო სახელობითი ტერმინი, არამედ ჯერ ებრაელების მიერ შექმნილი ზოგადი ცნება მესიის (Maschia) აღსანიშნავად და შემდეგ ბერძნების მიერ იგივე ზოგადი ცნების (მესიის) აღნიშვნისათვის სახმარად ბერძნულად (Xpistós) გაკეთებული თარგმანია.

მოძღვრება მესიანიზმის შესახებ, როგორც ჩვენ ზემოთ ვნახეთ, პირველად პალესტინაში გავრცელდა, სადაც იგი გაგებული იყო როგორც ღმერთი ან ღმერთის უფლებითა და ძალით („მირონცხებით") აღჭურვილი პირი, რომელსაც ზეციდან მიწაზე მოჰქონდა „მაშვრალთა და ტვირთმძიმეთათვის" გათავისუფლება და ხსნა. რამდენადაც ქრისტიანულ მოძღვრებას ბევრი მქადაგებელი გამოუჩნდა, მაგრამ ამ მრავალთაგან ყველაზე ძველი ლიტერატურული წყაროების მიხედვით („იოანეს გამოცხადება") იგი (ე. ი. ეს მოძღვრება მესიანიზმზე) დაკავშირებულია იესოს სახელთან და მასთან ერთად მოიხსენება, ჩვენ ეს იესო მესიონისტური (ე. ი. ქრისტიანული) მოძღვრების მქადაგებლად მიგვაჩნია. ამ მოსაზრებას ისიც ამაგრებს, რომ იუსტინე თავის „აპოლოგიაში" (Апол.[12]), რომელიც დაახლოებით 150 წ. არის დაწერილი, იესო ქრისტეს აპოსტოლად (მოციქულად) იხსენიებს[1]. ხოლო

[1] Р. Ю. Виппер, Возникновение христианской литературы, გვ. 26.

ევსეი პამფილი გადმოგვცემს, რომ ძველი ებიონიტების სექტის ერთი მიმდინარეობა ქრისტეს ბიბლიური ტიპის წინასწარმეტყველად სთვლიდაო. ყოველივე აქედან ის გამომდინარეობს, რომ შემდეგ მესიას ქრისტე ღმერთად გარდაქმნით, ამ მესიის (ქრისტეს) მქადაგებელ იესოს თვითონ მიაწერეს თავდაპირველად ქრისტიანული მოძღვრების შექმნა და ამ გზით იგი ღმერთის რანგამდე აამაღლეს.

ქრისტიანული ეკლესია და ქრისტიანობის რომის იმპერიის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება

ჩვენ უკვე ზემოთ გვქონდა აღნიშნული, თუ რატომ იკიდებდა ფეხს ასე ადვილად რომის მიერ დაპყრობილ პალესტინისა და სხვა ქვეყნების დაბალ და ექსპლოატირებულ ფენებში მესიის სახით ზეციდან ხსნის იმედი. მაგრამ მესიონისტური იდეები თავდაპირველად ნიადაგს ვერ პოულობდნენ საზოგადოების შეძლებულ ფენებში, რომლებიც კაბალაში არ იყვნენ ჩავარდნილნი და, რომლებსაც იმდენად არ აწუხებდათ რომის დაპყრობა. ამიტომ, მათ არსაიდან და არავისაგან ესე რიგად თავის დახსნა არ ესაჭიროებოდათ. სწორედ ამ მდგომარეობით იყო განპირობებული ის გარემოება, რომ „ქრისტიანობა, — როგორც ენგელსი წერს, — თავის ჩასახვისას ჩაგრულთა მოძრაობა იყო“[1]. და პირველი ქრისტიანებიც „...ხალხის დაბალ ფენებს ეკუთვნოდნენ“. ისინი გროვდებოდნენ „...იტალიის, სიცილიის, აფრიკის ლატიფუნდიებში მონებისაგან, პროვინციათა სასოფლო ოლქებში წვრილი გლეხებისაგან, რომლებიც სულ უფრო და უფრო ვარდებოდნენ კაბალაში ვალების გამო“[2].

მოტყუებული იმედის სახით საზოგადოების დაბალი ფენების ნუგეშად მოვლენილი ქრისტიანობა ადვილად იკიდებდა ფეხს დაბეჩავებულ მასებში და ეს მოძრაობა ფართო, მასობრივ ხასიათს ღებულობდა. ქრისტიანობისათვის მასობრივი ხასიათის მიცემას, როგორც ჩვენ ზემოთ ვნახეთ, დიდად შეუწყო ხელი თვით ამ რელიგიის რიტუალისა და წეს-ჩვეულების სიმარტივემ და ორგანიზაციამ. ეს ორგანიზაცია იმაში გამოიხატებოდა, რომ პირვანდელი ქრისტიანები მათ მიერ დაარსებულ სათვისტომოში (თემში) შესვლისას იხდიდნენ გარკვეულ შესატანს, თანხას. „ამ თანხიდან, — როგორც წერს

[1] ფ. ენგელსი, ადრინდელი ქრისტიანობის ისტორიისათვის, 1939, გვ. 3.

[2] იქვე, გვ. 28.

II საუკუნის მწერალი იუსტინე, — სათვისტომო დახმარებას უწევდა ობლებს, ქვრივ-ოხრებს, ავადმყოფებს, ციხეში დამწყვდეულთ, ერთი სიტყვით, იგი (ე. ი. სათვისტომო, თემი.— მ. ა.) ზრუნავდა ყველა გაჭირვებულის დასახსნელად" და აწყობდა საერთო ტაბლას. შემდეგ თანდათან ტრადიციად იქცა თემის წევრებისათვის საერთო სადილების მოწყობა, რომლის განაწილება დავალებული ჰქონდა სპეციალურად დანიშნულ პირს — დიაკონს [1].

ვიდრე თემი პატარა იყო, იგი თვითონვე აგვარებდა თავის შინაურ საქმეებს: ახალი წევრების მიღება-გარიცხვას, თემში შესვლის დროს ქრისტიანობის აღიარების დასამტკიცებლად შემსვლელის მიერ ზიარებისა და ნათლობის აქტის შესრულებაზე თვალყურის დევნებას, თემის ურჩ წევრებზე სასჯელის დადებას, მოწყალების განაწილებას, ქრისტიანობის პროპაგანდას და სხვა. ერთი სიტყვით, ყველა ამ საკითხების გადაწყვეტა თვით თემის წევრთა საერთო კრების ანუ ბერძნულად ეკლესიის („ekklesia") იურისდიქციას ემორჩილებოდა და ამისათვის ჯერ კიდევ საჭიროდ არ იყო გამხდარი თემის შიგნით მუდმივი თანამდებობის პირთა ინსტიტუტის შემოღება. ყოველივე ამ გარემოების გამო პირველ ხანებში თემის წევრები თანასწორნი იყვნენ და აქ ადგილი არ ჰქონდა უფლებრივ იერარქიას.

ქრისტიანული თემის ასეთი ხასიათი თანდათან დიდძალ წევრებს იზიდავდა საზოგადოების დაბალი ფენებიდან. თემის წევრთა რიცხობრივი ზრდა თემის საერთო სალაროსა და თანხებს ზრდიდა. ამის გამო შეიქმნა თემის საერთო საქმეების მოსაგვარებლად ფუნქციების განაწილების და, ამასთან დაკავშირებით, მუდმივ თანამდებობათა შემოღების საჭიროება. ეს თანამდებობანი თემში მალე იქნა შემოღებული. ზოგს ევალებოდა თემის სალაროს გამგებლობა, მოწყალების გაცემა, საერთო სადილებისა და ტაბლების მოწყობა და განაწილება. ამ მიზნით დაარსებულ იქნა დიაკონთა კოლეგია.

---

[1] ბერძნული სიტყვა „დიაკონოს" (Diakonos)—ნიშნავდა მსახურს, მოწყალების გამცემს.

სხვებს ევალებოდათ ამ ახალი მოძღვრების (ქრისტიანობის) პროპაგანდისათვის ხელმძღვანელობის გაწევა, რისთვისაც მღვდელთა კოლეგია შეიქმნა და ა. შ.

ამ დარგობრივ თანამდებობათა შემოღებასთან ერთად, საჭირო ხდებოდა ყველა მათი გამაერთიანებელი, მათი მომცველი და მათზე მაღლა მდგომი თანამდებობის დაწესება, და იგი დაწესებული იქნა კიდეც II საუკუნეში მეთვალყურის ანუ ეპისკოპოსის[1] თანამდებობის სახით.

ეპისკოპოსის თანამდებობა საბერძნეთსა და რომში ძველადვე (ქრისტიანობის წარმოშობამდე) არსებობდა და წმინდა სამეურნეო ხასიათს ატარებდა. ასე, მაგალითად, პირეუსში ეპისკოპოსი განაგებდა საზღვაო საწყობს, ხოლო რომში, როგორც ამას იურისტი პარიზიუსი გადმოგვცემს, „ეპისკოპოსები, — ის ხალხი იყო, რომლებიც თვალყურს ადევნებდნენ ვაჭრობის წესებს და სურსათის გადაზიდვა-გადმოზიდვას, რომელიც საჭირო იყო მთელი ქალაქის მცხოვრებთათვის ყოველდღიურად". თავდაპირველად ეკლესიაში (ქრისტიანულ თემში) ამ თანამდებობის შემოღება ძირითადად თემის სამეურნეო ხასიათის საკითხების მოგვარების საჭიროებით აიხსნებოდა. მაგრამ, შემდეგ, რამდენადაც ქრისტიანულ თემში ეპისკოპოსს თემის წევრთა რიცხვობრივი ზრდის გამო წმინდა სამეურნეო საკითხების გარდა ემატებოდა ახალი ფუნქციებიც, მქადაგებელთა ახალი კადრების მომზადებაზე ზრუნვა, თვით თემის ფარგლებში ქრისტიანული კულტისათვის ხელმძღვანელობის გაწევა და სხვა, იმდენად ეპისკოპოსის თანამდებობა სცილდებოდა თავის ძველ, წარმართულ ეპოქის ხასიათს და ახალ შინაარსს იძენდა.

მართალია ეკლესიას (თემის წევრთა ყრილობას) შეეძლო ძველი ეპისკოპოსის გადაყენება და ახალის არჩევა, მაგრამ ეს თანდათან უფრო ძნელი ხდებოდა, რადგან თემის ღარიბ და გაუნათლებელ წევრთა შორის ცოტა იყო ისეთი, რომელსაც ამ გაზრდილი თემის გაძღოლისთვის საჭირო ცოდნა და

---

[1] ბერძნული სიტყვა „ეპისკოპოს" (episkopos) თავდაპირველად სწორედ ზედამხედველს, მეთვალყურეს ნიშნავდა.

გამოცდილება ჰქონდა. ყოველივე ეს კი ხელს უწყობდა ეპისკოპოსის უფლების გაძლიერებას და მისი მდგომარეობის განმტკიცებას.

თანდათან ეპისკოპოსების და ეკლესიის სხვა თანამდებობის პირთა ხელში ექცევა თემის მთელი სამეურნეო და საკულტო საქმეების ხელმძღვანელობა. ისინი ბოროტად იყენებენ თავიანთ მდგომარეობას, ითვისებენ თემის ქონებისა და სახსრების ნაწილს, იწყებენ უფრო უზრუნველყოფილ ცხოვრებას. ამ გარემოების გამო, ქრისტიანული თემის (ეკლესიის) შიგნით თანამდებობის პირთა ინსტიტუტის გაჩენა ქრისტიანული თემის პირვანდელი სახის დაკარგვის და მის შიგნით თანდათან მზარდი სოციალური და უფლებრივი იერარქიის გაჩენის მაუწყებელი იყო.

ქრისტიანულ თემს, რა თქმა უნდა, არც შეეძლო დიდხანს შეენარჩუნებინა თავისი პირვანდელი, თანასწორობაზე დამყარებული ხასიათი. თემის შიგნით ზედაფენების წარმოქმნამ გააძლიერა თემში ჯერ საშუალო ფენების და შემდეგ შეძლებულ პირთა შესვლა გარედან. ამ გარემოებამ კიდევ უფრო მეტად დააჩქარა წინათ დაწყებული ქრისტიანული თემის სოციალური დიფერენციაციის, თემის პირვანდელი ხასიათის დაკარგვის და იქ შეძლებული ფენების გაბატონების პროცესი. ამ ფენებიდან გამოსულ პირებს (ისევე როგორც წინათ ღარიბებს) ქრისტიანულ თემში შესვლისაკენ უბიძგებდა, ერთის მხრივ, ძველ რელიგიებთან შედარებით ქრისტიანული რელიგიის რიტუალისა და კულტის მარტივი, ადვილად შესასრულებელი ხასიათი და მსხვერპლის შეწირვის მატერიალურ ვალდებულებათაგან განთავისუფლება, მეორეს მხრივ კი, ამ ეტაპზე, თვით ქრისტიანული თემის მიერ თავისი თავდაპირველი, თანასწორობაზე დამყარებული ხასიათის დაკარგვა, რომლის გამო საშუალო და შეძლებულ ფენებს ახლა იქ მშვენივრად ეცხოვრებოდათ და გზაც ეხსნებოდათ თემში გაბატონებული მდგომარეობის მოსაპოვებლად.

ზემოთ აღნიშნულ ხელსაყრელ გარემოებათა გამო II საუკუნის პირველი ნახევრიდან საშუალო ფენებიდან გამოსული პირები იწყებენ ქრისტიანულ თემებში შესვლას, ხოლო

რომის იმპერატორ კომოდის (180 — 192 წწ.) დროს, როგორც გადმოგვცემს ეპისკოპოსი ევსევი კესარიელი, ქრისტიანულ თემში შედიან შეძლებულებიც. III საუკუნეში მცხოვრები ალექსანდრიელი ეპისკოპოსი მაქსიმე იმდენად მდიდარი ყოფილა, რომ, მისივე თანამედროვე ვაჭარ პრიმიტინას გადმოცემით, იგი აფინანსებდა რომსა და ალექსანდრიას შორის წარმოებულ სავაჭრო ოპერაციებს.

ქრისტიანული თემის სოციალური შემადგენლობის შეცვლის შესაბამისად, ცხადია, ამ დროისათვის უკვე რადიკალურად არის შეცვლილი თვით ქრისტიანული რელიგიის სოციალური ხასიათიც და დაშლილია ძველი ქრისტიანული თემიც. თუ წინათ ეს რელიგია ერთგვარ ოპოზიციაში ედგა სახელმწიფო ხელისუფლებას და ქადაგებდა, რომ ზეციდან მოელენილი მესია ღარიბთა მიმართ ჩადენილი ბოროტებისათვის დასჯის მდიდრებს, რისთვისაც „აქლემი უფრო ადვილად გაძვრება ნემსის ყუნწში, ვიდრე მდიდარი ღვთაების სასუფეველში მოხვდებაო“, ახლა ეს რელიგია მოთვინიერდა და თავისი ქადაგება სახელმწიფო ხელისუფლებისა და შეძლებული ფენების ინტერესების საწყისებზე ააგო. თუ წინათ ეს მოძღვრება „მაშვრალთ და ტვირთმძიმეთ“ მესიის მოსვლით ჰპირდებოდა გათავისუფლებას, „პაელეს ეპისტოლეში კორინთოელთა მიმართ“, რომელიც II საუკუნეში არის დაწერილი, ეს იმედი უკვე გაცრუებულია, რადგანაც იქ ამ ფენებისადმი არსებულ მძიმე მდგომარეობასთან შერიგების შესახებ არის მოწოდება. ამავე დროს ქრისტიანობამ დაიწყო ქადაგება „მიეც კეისარსა კეისრისა და უფალსა უფლისაო“.

ქრისტიანული რელიგიის ძველი, ოპოზიციური ხასიათის შეძლებული ფენების ინტერესების შესაბამისი მიმართულებით შეცვლით აიხსნება ის გარემოება, რომ თვითონ სახელმწიფო ხელისუფლებამაც შესცვალა მასთან თავისი ძველი, მტრული დამოკიდებულება და ახლა მასთან დაახლოების კურსი აიღო. ვიდრე ქრისტიანული რელიგია ახლად ფეხადგმული, სუსტი, ბუნდოვანი და თანაც ერთგვარი პროტესტანტულ-ოპოზიციური ნიშნების მატარებელი იყო, სახელმწიფო მის მიმართ დევნის პოლიტიკას ატარებდა. მაგრამ,

შემდეგ, როდესაც ქრისტიანობამ თავისი ხასიათი გაბატონებული კლასის ინტერესებს მოარგო, დაკარგა ოპოზიციონური ნიშნები და ყველა სოციალური ფენის ჩათრევით დიდ მასობრივ მოძრაობად გადაიქცა, რომის სახელმწიფო ხელისუფლებას არ შეეძლო გაბატონებული კლასების ინტერესების დამცველად გადაქცეული ეს უდიდესი სოციალური ფაქტორი, ახლა სახელმწიფოს სამსახურში არ ჩაეყენებინა.

რამდენადაც ქრისტიანული რელიგია ძლიერდებოდა და სოციალურ წონას იმატებდა, იმდენად იგი თანდათან უფრო უახლოვდებოდა ოფიციალურ სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებას. IV საუკუნის დასაწყისში ქრისტიანობა უკვე იმდენად იყო მომძლავრებული და სახეშეცვლილი, რომ 313 წელს რომის იმპერატორების კონსტანტინესა და ლიცინიუსის ედიქტით (ე. წ. მილანის ედიქტით) მისი ქადაგება ოფიციალურად იქნა ნებადართული და მისმა მსახურებმა მიიღეს ყველა ის უფლება, რომლითაც წარმართული რელიგიის მსახურნი სარგებლობდნენ.

მაგრამ ქრისტიანობა სხვა რელიგიებთან მარტოოდენ გათანასწორების მიღწევით ვერ დაკმაყოფილდებოდა. თანდათან უფრო ნათლად ისახებოდა ქრისტიანული რელიგიის სხვა რელიგიებზე მაღლა დაყენების და სახელმწიფოს მიერ მთელი მისი გავლენის გამოყენების საჭიროება. ამ გარემოებას კარგად ხედავდა მილანის ედიქტის თანაავტორი, რომის იმპერატორი კონსტანტინე, და ამიტომ თანდათან აძლიერებდა ქრისტიანული ეკლესიის როლს. მისი 316 წლის ბრძანებით მონების გათავისუფლება ეკლესიაში უნდა მომხდარიყო ეპისკოპოსის თანდასწრებით. 321 წლიდან ეს უფლება კონსტანტინემ ყველა სასულიერო პირს მისცა. მალე, არლეში მოწვეულმა საეკლესიო კრებამ გამოიტანა დადგენილება — იმპერატორისადმი ქრისტიან ჯარისკაცთა ერთგულების ვალდებულებაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში ეკლესია ურჩ ჯარისკაცებს შერისხვით ემუქრებოდა.

რომის სახელმწიფო ხელისუფლება თანდათან რწმუნდებოდა ქრისტიანობის მიმართ მეცენატობის პოლიტიკის სარგებლიანობაში. 325 წელს რომის იმპერატორ კონსტანტინეს

თავმჯდომარეობით ქ. ნიკეაში მოწვეული იქნა მსოფლიო საეკლესიო კრება. კრებამ, რომელსაც 318 ეპისკოპოსი ესწრებოდა, ქრისტიანობა რომის იმპერიის სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადა იმ წესებით, გაგებითა და დოგმებით, როგორც ეს ნიკეის ამ საეკლესიო კრებას წარუდგინა ალექსანდრიელმა ეპისკოპოსმა ათანასემ.

V საუკუნეში მცხოვრები ისტორიკოსი ზოსიმე გადმოგვცემს, რომ იმპერატორ კონსტანტინეს ბევრი ცოდვა ჰქონდა ჩადენილი. მან მოკლა სიმამრი, ცოლი, სიძე, შვილი, ძმისშვილი და, როცა წარმართული რელიგიის მსახურებმა მას ცოდვების გამოსყიდვაზე და გაუქმებაზე უარი უთხრეს, მაშინ ქრისტიანებმა იკისრეს მისი ამ თხოვნის შესრულება. მათ დაარწმუნეს იმპერატორი, რომ, თუ იგი ქრისტიანულ რელიგიას იწამებდა, მოინათლებოდა და მოინანიებდა, მაშინ მისი ყველა ეს ცოდვები გაუქმდებოდა, და ამის გამო მოხდა, რომ კონსტანტინემ ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადა და თვითონაც გაქრისტიანდაო[1].

მაგრამ, როგორც ჩვენ ზემოთ ვნახეთ, ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებას ღრმა სოციალ-პოლიტიკური და იდეოლოგიური საფუძვლები ჰქონდა, და აქ გადამწყვეტი როლი არ შეეძლო ეთამაშა კონსტანტინეს პირად მოტივებს. კონსტანტინეს, რა თქმა უნდა, არ შეეძლო იმდროინდელი რომის იმპერიის 55 მილიონი მცხოვრებისათვის ძალით მოეხვია თავზე ქრისტიანული რელიგია.

სრულიად სწორი იყო ჰოლბახი, როდესაც იგი 1770 წელს წერდა: „კონსტანტინეს მოქცევას, რომელსაც ქრისტიანი მოძღვარნი სასწაულად ასაღებენ, თავის საფუძვლად წმინდა მიწიერი მოტივები ჰქონდა“[2]. შემდეგ ჰოლბახი აღნიშნავს, რომ ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების დროს კონსტანტინე გამოდიოდა არა „რაღაც ცოდვებიდან“, არამედ იმ გარემოებიდან, რომ მისი წინამორბედი იმპერატორები ქრისტიანობას უშედეგოდ დევნიდნენ, მაგ-

---

[1] Поль Гольбах, Галлерея святых, გვ. 214 — 215.

[2] იქვე, გვ. 214.

რამ ვერ განდევნეს, თრგუნავდნენ, მაგრამ ვერ დათრგუნეს, და რომ, პირიქით, დევნისა და დათრგუნვის მიუხედავად ქრისტიანობა რომის მთელ იმპერიაში გავრცელდა და თავისი მიმდევრებით უფრო მრავალრიცხოვანი და მრისხანე გახდა. ამიტომ კონსტანტინემ უფრო მიზანშეწონილად მიიჩნია ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებით თავის მხარეზე გადაეყვანა მისი მეთაურები (ეპისკოპოსები), თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა ქრისტიანული სექტის მთელი გავლენა ხალხზე და ამ გზით უფრო გაძლიერებულიყო და ამაღლებულიყო თავის მეტოქეებზეო.

ამ საკითხის შესახებ ენგელსი წერდა: „...ბოლოს და ბოლოს, პატივმოყვარე კონსტანტინე დარწმუნდა, რომ ამ უაზრო რელიგიის მიღება წარმოადგენდა საუკეთესო საშუალებას, რათა იგი რომის სამყაროს თვითმპყრობელის მდგომარეობამდე ამაღლებულიყო“[1].

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ ცხადია, რომ ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება და ხალხის მიერ მისი მიღება არ შეიძლება მიეწეროს ერთი პირის ნებასურვილს, თუნდაც იგი მეფე იყოს. ასევე ცხადია ის გარემოებაც, რომ ამა თუ იმ ხალხში ქრისტიანობის, ისევე როგორც ყველა სხვა რელიგიის, არც უცბად გავრცელება შეიძლება და არც უცბად მოსპობა. მიუხედავად, თითქოსდა ერთი შეხედვით, ამ საკითხის სიცხადისა, საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების და, რაც მთავარია, მისი ხასიათის გაგების საკითხში ჩვენი ისტორიკოსებისა და ლიტერატორების ერთი ნაწილი დღემდე არასწორ თვალსაზრისზე დგას.

საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოს ძველ ნაწილში უკრიტიკოდ არის გადმოტანილი „ქართლის ცხოვრების“ შესაბამი ადგილის შინაარსი წმიდა ნინოს მიერ ქრისტიანულ სარწმუნოებაში ქართლის მოქცევის შესახებ[2]. ამ ცნობებს

---

[1] ფ. ენგელსი, ბრუნო ბაუერი და ადრინდელი ქრისტიანობა, 1939, გვ. 4

[2] იხ. ქართლის ცხოვრება, 1942, გვ. 66 — 68; საქართველოს ისტორია, 1948, გვ. 90 — 91.

ზემოთ დასახელებულ სახელმძღვანელოში არავითარი კრიტიკული შენიშვნები არა აქვს გაკეთებული, ამიტომ ისე გამოდის, რომ მკითხველმა უნდა დაიჯეროს წმიდა ნინოს ამგვარი „ტრიუმფალური“ მოღვაწეობაც, მირიან მეფის მიერ ერთ მშვენიერ დღეს მცხეთელების გაქრისტიანებაც, შემდეგ, სულ მოკლე დროში, მირიანის მიერ მქადაგებლების გაგზავნით და ძალის გამოყენებით ქართლისა და კახეთის გაქრისტიანებაც[1]. საქართველოში ქრისტიანობის გავრცელებასა და სახელმწიფო რელიგიად მის გამოცხადებაზე ქართული ლიტერატურის ისტორიის რუსულად გამოცემულ სახელმძღვანელოში კი წერია: „Христианство проникает в Грузию в начале IV в; около 337 г. оно уже объявляется государственной религией и получает право господства“[2].

ამგვარად, საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოში ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი იმაზე, რომ საქართველოში ნინოს მოსვლამდე ქრისტიანული რელიგია ხალხში ამა თუ იმ მასშტაბით უნდა ყოფილიყო გავრცელებული. ამის მაგიერ, სახელმძღვანელოში ქრისტიანობა პირდაპირ მაღლიდან, მეფის (მირიანის) განკარგულებით, ხალხში მისი გავრცელების ყოველგვარი წინა პროცესის გარეშე, უცბად ცხადდება სახელმწიფო რელიგიად. ქართული ლიტერატურის ისტორიის სახელმძღვანელოში კი საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების წინა პროცესი, საბელმწიფო რელიგიად მის გამოცხადებამდე, მეტად მოკლე, სულ რაღაც სამი ათეული წლით არის განსაზღვრული.

აღსანიშნავია, რომ განსვენებულ მეცნიერს ს. ჯანაშიას თავის სხვა უფრო ადრეულ შრომაში („საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე“) თვითვე ეკუთვნის საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების და მიღების სოციალ-ეკონომიური პირობების ახსნის მეცნიერულად გამართული პირველი ცდა. მაგრამ, რატომღაც, უფრო გვიან დაწერილ საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოს ძველ ნაწილში ამ საკითხებმა ვერ ჰპოვა მართებული ასახვა და გადაწყვეტა.

[2] А. Барамидзе, Ш. Радиани, Б. Жгенти, История грузинской литературы, учпедгиз, 1952, გვ. 9.

რა თქმა უნდა, ქრისტიანობა არც მეფის და არც რომელიმე წმიდანის ქადაგებით არ შეიძლება უცბად გავრცელდეს და საყოველთაოდ აღიარებული შეიქნეს. ქრისტიანობის მქადაგებლებისათვის ასეთი როლის მიწერას თუნდ ის გარემოებაც უარყოფს, რომ ახალ დროში ქრისტიანი მისიონერების მთელი ჯგუფები საუკუნეთა მანძილზე ცდილობდნენ კოლონიების ხალხების გაქრისტიანებას, მაგრამ ხელშესახებ შედეგს ამ საქმეში კი ვერ აღწევდნენ. ამ საქმეში ასევე უძლურია მეფეების განკარგულებაც. მრავალი ქვეყნის ისტორია ამტკიცებს, რომ, როცა ზოგიერთი მეფე რაიმე მიზეზით სხვა სარწმუნოებას ღებულობდა და საკუთარ ხალხში ქრისტიანობის მოსპობას ცდილობდა, იგი აქ რაიმე მნიშვნელოვან შედეგს ვერ აღწევდა. ერთი სიტყვით, ყოველგვარი რელიგია და მათ შორის ქრისტიანობაც იმდენად რთული და კონსერვატიული ხასიათის იდეოლოგიური რიგის მოვლენაა, რომ მისი გავრცელება-გაბატონების ან მოსპობისათვის როდი კმარა ორიოდე მქადაგებლის გაგზავნა, ან მეფის განკარგულება, რომ მილიონ ადამიანთა თავებიდან „გამოძევებული“ იქნეს ძველი და „ჩანერგილი“ ახალი რელიგიის რწმენა. მარქსი წერდა, რომ რევოლუციები დეკრეტებით არ ხდებაო. მით უფრო ეს ითქმის ადამიანთა თავებში რელიგიური რწმენის რევოლუციაზე, რომლისათვისაც სრულიად არ არის საკმარისი სამი თუ ოთხი ათეული წელი.

რომის იმპერიაში ქრისტიანობა I საუკუნიდან ვრცელდებოდა. IV საუკუნის პირველ მეოთხედში, ე. ი. დაახლოებით სამი საუკუნის შემდეგ, ხალხს იგი ფაქტიურად უკვე მიღებული ჰქონდა. ამიტომ, 325 წლის ნიკეის საეკლესიო კრებაზე კონსტანტინე დიდის მიერ ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება მხოლოდ ფაქტიურად შექმნილი მდგომარეობის ფორმალური ფიქსირება იყო და ისიც უკანა რიცხვით. დაახლოებით ასეთივე იყო ვითარება საქართველოშიც. საქართველოში 337 წლისათვის, როცა ქართლის მეფე მირიანმა ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადა, ქრისტიანობას ჩვენში უკვე დიდი ხნის ისტორია ჰქონდა გავლილი. ხალხის დიდ ნაწილს იგი უკვე მიღებული ჰქონდა, და მირიანმა მხოლოდ სახელმწიფო აქტით

დაადასტურა ეს. ამის შესახებ აკად. ივ. ჯავახიშვილი წერდა: „ქრისტიანობა ქართველებში, რასაკვირველია, ერთბაშად ვერ გავრცელდებოდა, არამედ თანდათანობით უნდა მოეპოვებინა გავლენა ხალხში. ბევრი დრო იყო საჭირო, სანამ ეგი სახელმწიფო სარწმუნოებად იქნებოდა აღიარებული“[1]. ამ გარემოებას ისიც ადასტურებს, დაასკვნის შემდეგ ივ. ჯავახიშვილი, რომ „...ქ. ფაზისის (ფოთის) ეპისკოპოსი დასწრებია უკვე პირველ მსოფლიო კრებას, ხოლო აბო ტფილელის მარტვილობის ავტორის იოანე საბანისძეს სიტყვებიდან ჩანს, რომ მის დროს ქრისტიანობას საქართველოში უკვე თითქმის ექვსი საუკუნე ჰქონდა გავლილი... მაშასადამე, მისი აზრით საქართველოში პირველად ქრისტიანობა II საუკ. შემოსულა“[2].

ჩვენ ზემოთ შედარებით დაწვრილებით გავარკვიეთ, თუ საერთოდ რა პირობები უწყობდნენ ხელს ქრისტიანობის გავრცელებას და ამიტომ აქ მას აღარ შევეხებით.

საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოში პრინციპულად შემცდარი აზრია გატარებული მონობასთან ქრისტიანობის დამოკიდებულების საკითხში. იქ წერია: „ქრისტიანობა ემსახურებოდა ჩვენში მონობის გაუქმებასა და ფეოდალური ურთიერთობის განვითარებასა და განმტკიცებას“ (გვ. 91). საკითხის ამგვარად დაყენებიდან გამომდინარეობს, როგორც ზოგადი, პრინციპული, ისე კონკრეტული, ფაქტიური ხასიათის შეცდომები. მართლაცდა, თუ ქრისტიანობა მონობის (ე. ი. წინა ფორმაციის) გაუქმების სამსახურით შემდგომი (ე. ი. ფეოდალური) ფორმაციის განმტკიცებას უწყობდა ხელს, გასაგებია, რომ ქრისტიანობას შემდეგაც ასევე არ შეეძლო ხელი არ შეეწყო ფეოდალური ფორმაციის გაუქმების სამსახურით ბურჟუაზიული ფორმაციის ფორმირებისა და განმტკიცებისათვის. ერთი სიტყვით, თუ ლოგიკას არ ეუღალატებთ და ამ დებულებას ბოლომდე

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი პირველი და მეორე, 1913, გვ. 237.

[2] იქვე, გვ. 240.

გავყვებით, მაშინ ქრისტიანობა, — რომელიც თურმე ძველი ფორმაციის ლიკვიდაციის სამსახურის გზით ახალი ფორმაციის განმტკიცებას უწყობს ხელს, — უნდა გამოვაცხადოთ ისტორიული პროცესის განვითარებისა და დაჩქარების ერთ-ერთ ფაქტორად. ეს კი, რა თქმა უნდა, შეცდომა იქნება, რადგან კლასობრივ საზოგადოებაში არსებულ ყველა სხვა რელიგიასთან ერთად, ქრისტიანული რელიგია, ქრისტიანული „ღმერთის იდეა ყოველთვის აძინებდა და აჩლუნგებდა „სოციალურ გრძნობებს“... ყოველთვის წარმოადგენდა მონობის (ყველაზე ცუდი, გამოუვალი მონობის) იდეას... ყოველთვის ბოჭავდა ჩაგრულ კლასებს მჩაგვრელთა ღვთიურობისადმი რწმენით“[1]. ერთი სიტყვით, კლასობრივი ზაეის ქადაგებით და ექსპლოატირებული კლასების ექსპლოატატორთა წინააღმდეგ გამოსვლისათვის ხელის შეშლით, ქრისტიანობა მუდამ ამუხრუჭებდა და ახლაც ამუხრუჭებს ისტორიული პროცესის განვითარებას იმით, რომ ანელებს კლასობრივ ბრძოლას, რომელსაც მარქსი ისტორიული პროცესის განვითარების ლოკომოტივს უწოდებდა. ასეთია სახელმძღვანელოში დაშვებული ზოგადი, მეტად პრინციპული ხასიათის შეცდომა.

სახელმძღვანელოში სწორად არის ნათქვამი, რომ ქრისტიანობა ხელს უწყობდა ფეოდალური ურთიერთობის განმტკიცებასო. მართლაცდა, ქრისტიანობას ხელი რომ არ შეეწყო ფეოდალური ურთიერთობის განმტკიცებისათვის, მაშინ სხვა რაღაში უნდა გამოხატულიყო ფეოდალური კლასისათვის, როგორც ექსპლოატატორული კლასისათვის, ქრისტიანობის სარგებლიანობა და მისი კლასობრივი ხასიათი. მაგრამ აქ შეცდომა იმაშია, რომ ფეოდალური ურთიერთობის განმტკიცებისათვის ქრისტიანობის ეს სამსახური იქ კი არ არის დანახული სადაც ის ნამდვილად არის, არამედ იქ, სადაც ის არ არის და არც შეიძლება იყოს. ერთი სიტყვით, მტკიცება, რომ, თითქოს ქრისტიანობა ფეოდალური ურთიერთობის განმტკიცებას ხელს იმით უწყობდა რომ ემსახურებოდა მონობის გაუქმებასო — შეცდომაა, რადგანაც ქრი-

[1] ვ. ი. ლენინი, ტ. 35, გვ. 120.

ტიანობის მიერ ფეოდალური ურთიერთობის ჩამოყალიბებისა და განმტკიცებისათვის ხელის შეწყობა სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ფეოდალური ურთიერთობის ამ განმტკიცებას ქრისტიანობა მონობის გაუქმებისათვის სამსახურით აკეთებდა. ქრისტიანობა ხელს უწყობდა ბურჟუაზიული ურთიერთობის განმტკიცებასაც, მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს, რომ ქრისტიანობა ბურჟუაზიული ურთიერთობის ამ განმტკიცებას იმით ასრულებდა, რომ იგი ბატონყმობის გაუქმებას ემსახურებოდა.

სინამდვილეში, ქრისტიანობამ მალე (I-საუკუნეშივე) დაკარგა რა თავისი თავდაპირველი ოპოზიციური ნიშნები, შემდეგ თანაბრად უწევდა სამსახურს სამივე ძირითად ექსპლოატატორულ (მონათმფლობელურ, ფეოდალურ და ბურჟუაზიულ) კლასს.

კერძოდ, ფეოდალური ურთიერთობის განმტკიცებას ქრისტიანობა ხელს უწყობდა არა იმით, რომ იგი მონობის გაუქმებას ემსახურებოდა, არამედ იმით, რომ იგი ს ა ე რ თ ო დ ქადაგებდა ექსპლოატატორებისადმი მორჩილებას, ამტკიცებდა ექსპლოატაციის ღვთიურ წარმოშობას, მდიდრებისა და ღარიბების ღმერთის მიერ დასაბამიდანვე გაჩენას, ქადაგებდა კლასობრივ ზავსა და კლასობრივი მტრისათვის წინააღმდეგობის გაუწევლობას, არწმუნებდა ექსპლოატირებულ მასებს, რომ „უდრტვინველად“ გადავიტანოთ მიწიური ჯოჯოხეთი, ვითომდა ზეციური სამოთხის გულისათვის“-ო[1], „აძინებდა და აჩლუნგებდა „სოციალურ გრძნობებს“[2].

ფეოდალური ექსპლოატაციის დაცვასთან ერთად, ამავე საშუალებით, ერთდროულად და ერთნაირი სიმძაფრით იცავდა ქრისტიანობა ექსპლოატაციის ძველ მონათმფლობელურ ფორმასაც. ერთი სიტყვით, ქრისტიანობა ფეოდალური ურთიერთობის განმტკიცებას ემსახურებოდა არა მონათმფლობელური ურთიერთობის უარყოფის გზით, არამედ მასთან (მო-

---

[1] ვ. ლ ე ნ ი ნ ი, ტ. 5, გვ. 419.

[2] ვ. ლ ე ნ ი ნ ი, ტ. 35, გვ. 120.

ნათმფლობელური ფორმაციის დაცვასთან) ერთად და მის გვერდით. ყოველივე ზემოთქმულიდან კი ის გამომდინარეობს, რომ სახელმძღვანელოში მონობასთან ქრისტიანობის დამოკიდებულების საკითხში შემცდარი თვალსაზრისია გატარებული. როგორც ცნობილია, ასეთ შემცდარ აზრს დასავლეთ ევროპაში ქადაგებდნენ ბურჟუაზიული ისტორიკოსები და იურისტები (კერძოდ ვილემსი) და მათი გავლენით ჩვენში კი ტრიფონ ჯაფარიძე[1].

მართლაცდა, ქრისტიანობის ხასიათის ასეთი გაგება მრავალმხრივ ეწინააღმდეგება ძველსა და ახალ ქრისტიანულ ლიტერატურას, მარქსიზმის კლასიკოსთა შეხედულებას ქრისტიანობაზე და თვით ქრისტიანობის, როგორც რელიგიის, ბუნებას.

ჯერ ერთი. როგორც ძველი ისე ახალი დროის ქრისტიანი მწერლები თვითონვე წერდნენ, რომ ქრისტიანობა არ ეწინააღმდეგება მონობას, ამიტომ ქრისტიანობა კი არ ებრძვის მონობას, არამედ, პირიქით, მასთან შერიგებას მოითხოვსო. ასე, მაგალითად, ქრისტიანული ეკლესიის ერთ-ერთი ბურჯის პავლეს ეპისტოლეში კორინთოელთა მიმართ, რომელიც 130—140 წლებშია დაწერილი, ასეთი მოწოდებაა: „დაე თითოეული დარჩეს იმ წოდებაში, რომელშიც იგი ამჟამად იმყოფება, ვინც ქრისტიანობა მონობაში მიიღო, იგი დაე იმადვე დარჩეს“. ხოლო მიმართვაში კალოსელთადმი (III, 22.) წერია: „მონებო, ყველაფერში დაემორჩილეთ თქვენს ხორციელ ბატონებს, ემსახურეთ მათ არა მარტო თვალის დასანახავად, არამედ გულით, თან ღვთის შიში გქონდეთ“. მათეს სახარებაში კი (V, 44.) წერია: „გიყვარდეთ მტერნი თქვენნი და აკურთხევდეთ მაწყევართა თქვენთა, კეთილსა უყოფდეთ მოძულეთა თქვენთა და ილოცევიდეთ მათთვის, რომელნი გმძლავრობდნენ თქვენ და გდევნიდნენ თქვენ“.

ქრისტიანობის შესახებ ასეთივე აზრისანი იყვნენ ახალი დროის სამღვდელოების წარმომადგენლებიც. XIX საუკუნის

[1] Трифон Джапаридзе, Влияние христианства на положение рабов в римском государстве, Ставрополь, 1904, გვ. 145.

შუა წლებში, როცა ამერიკის პრესაში მონობისაგან ზანგების გათავისუფლებას ზოგიერთი პირი იმ მოტივით მოითხოვდა, რომ ქრისტიანობა ეწინააღმდეგება მონობასო, ეს ყალბი შეხედულება პრესაში საჯაროდ თვითონ ქრისტეს მოძღვარმა ეპისკოპოსმა ინგლენდმა გაფანტა. 1840 წელს ინგლენდი წერდა: „მონათმფლობელობა არ ეწინააღმდეგება ბუნების კანონებს“, იგი „შეურიგებელი არ არის წმინდა რელიგიის პრაქტიკასთან, თუნდაც იმიტომ, რომ იგი ნებადართული იყო იმისაგან, ვინც წარმოადგენს უმაღლეს და ერთადერთ ობიექტს უმაღლესი რელიგიური თაყვანისცემისას“[1]. საკითხის საწინააღმდეგო დაყენება, ნებით თუ უნებლიედ, პავლესა და ინგლენდზე უფრო მარჯვნივ გადახვევას ნიშნავს.

მეორე. მარქსიზმის კლასიკოსები ყოველთვის იმ აზრისანი იყვნენ, რომ ყველა ჯურის რელიგია, და მათ შორის ქრისტიანულიც, არათუ ეწინააღმდეგება, არამედ იცავს ყოველგვარი ფორმის მონობას, მათ რიცხვში ანტიკურ მონობას. მარქსი თავის შრომაში: „რეინის მიმომხილველის კომუნიზმი“ წერდა: „ქრისტიანობის სოციალური პრინციპები ამართლებდნენ ანტიკურ მონობას, ადიდებდნენ საშუალო საუკუნეობრივ ბატონყმობას და შეუძლიათ აგრეთვე, საჭიროების შემთხვევაში, დაიცვან, თუმცა საცოდავი სახის მანჭვით, პროლეტარიატის ახლანდელი ჩაგვრა“. „ქრისტიანობის სოციალური პრინციპები ადიდებენ სიმხდალეს, ზიზღს თავის თავისადმი, თვითდამცირებას, მორჩილებას, მოთმინებას, ერთი სიტყვით, ბრბოს ყველა თვისებას“[2].

და აი, უშუალოდ ამ საკითხზე ენგელსის კატეგორიული განცხადებაც: „ქრისტიანობას, — წერს ენგელსი, — არავითარი ღვაწლი არ მიუძღვის ანტიკური მონობის ამ ხანგრძლივ სულთმობრძაობაში. იგი მთელი საუკუნეების განმავლობაში შეგუებული იყო მონობის არსებობასთან რომის იმპერიაში, შემდეგაც არასოდეს ქრის-

---

[1] М. М. Шейпман, Краткие очерки истории папства, 1952, გვ. 121.

[2] კ. მარქსი და ფ. ენგელსი, რელიგიის შესახებ, 1933, გვ. 27 — 28. (ხაზი ჩემია — მ. ა.).

ტიანობას ხელი არ შეუშლია მონებით ვაჭრობა გაეჩაღებია, არც გერმანელებისათვის ჩრდილოეთში, არც ვენეციელებისათვის ხმელთაშუა ზღვაში, არც ზანგების ყიდვა-გაყიდვისათვის ამერიკაში"[1]. რა მიზეზების გამო უნდა დაერღვია ქრისტიანობას თავისი ეს პრინციპები, ამოვარდნილიყო თავისი ბუნებიდან და ჩვენში მონობის დაცვის მაგიერ „მის გაუქმებისათვის დაეწყო სამსახური", გაუგებარია.

მ ე ს ა მ ე. საერთოდ ისტორიულ ლიტერატურაში არ არსებობს დოკუმენტი, რომელშიც ქრისტიანობა მოუწოდებდეს მონებს აჯანყებისა და ბრძოლისაკენ. მიუხედავად ამისა, ზოგიერთ მკვლევარს იმ დებულებიდან, რომ ქრისტიანობა თავდაპირველად მონების და საერთოდ ღარიბი და გაჭირვებული ხალხის რელიგია იყო — გამოჰყავს დასკვნა, რომ იგი მონობას ებრძოდაო. საკითხის ამდაგვარი დაყენების დროს ერთმანეთშია არეული ორი სრულიად სხვადასხვა გარემოება. ქრისტიანობა თავდაპირველად უმთავრესად თავისი რიტუალის სიმარტივის (ზიარება, ნათლობა), იაფი ხასიათის (მსხვერპლის შეწირვის უკუგდება), ზეციდან ნუგეშის მიცემის და ზეციდან გათავისუფლების იმედის („მესია") გამო გახდა მონათა და ღარიბთა რელიგია. როგორც ჩანს, ქრისტიანობის მიერ მონებისათვის მონობისაგან გასათავისუფლებლად ზეციდან შეპირებული ნუგეში, ასეთ მკვლევარებს მონობის წინააღმდეგ ქრისტიანობის ბრძოლა ჰგონიათ, მაშინ, როდესაც აქ ამის ნატამალიც არაა და არამც თუ ბრძოლა, არამედ, როგორც ეს ჩვენ ზემოთ ვნახეთ, ამ ბრძოლის მოთხოვნაც კი უარყოფილია.

მართლაცდა, ქრისტიანობა ხომ მონებს უქადაგებდა პასიურ და დაუსრულებელ ლოდინს ზეციდან მესიის მოლოდინში (რომელიც, რა თქმა უნდა, არასოდეს არ მოვიდოდა) და თვით მათ საკუთარ ბრძოლას კი უარყოფდა იმ მოტივით, რომ იგი უაზრო, ღვთის საწინააღმდეგო და წინასწარგანწირულიაო. ყოველივე ამის გამო, ქრისტიანობის მიერ მიწაზე

---

[1] ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა, 1938, გვ. 152. (ხაზი ჩემია — მ. ა.)

ბრძოლის უარყოფა და ზეციდან გათავისუფლების (მესია) პასიური და დაუსრულებელი ლოდინი, ჩვენ მხოლოდ მაშინ შეგვიძლია მივიჩნიოთ ბრძოლად, თუ კი წინასწარ გავწირავთ ჰეშმარიტებას, მისი ერთობ ცხადი ხასიათის გამო. ამგვარად, ქრისტიანობა ბრძოლისაკენ კი არ მოუწოდებდა მონებს, არამედ ზეციდან მოსალოდნელი ნუგეშის აბრით ამ ბრძოლისაგან თავშეკავების იავნანას უქადაგებდა. მაგრამ, როგორც ლენინი წერდა, „ვინც მონას ანუგეშებს, ნაცელად იმისა, რომ ააჯანყოს იგი მონობის წინააღმდეგ, ის მონათმფლობელებს ეხმარება“[1]. გასაგებია, რა კუთხიდანაც არ უნდა მივუდგეთ ქრისტიანობას, ჩვენ იქიდან ვერ გამოვიყვანთ დასკვნას, რომ იგი ოდესმე და სადმე მონობის გაუქმებას ემსახურებოდა, პირიქით კი — ფაქტია.

---

[1] ვ. ლენინი, ტ. 21, გვ. 273.

რომის პაპებისა და კათოლიკური ეკლესიის წარმოშობა

ქრისტიანობამ როგორც „მაშვრალთა და ტვირთმძიმეთა" რელიგიამ თავის წარმოშობის შემდეგ მალე მიიღო მასობრივი ხასიათი. „ხოლო მასობრივი მოძრაობანი პირველ ხანებში ძალაუნებურად ბუნდოვანია; ბუნდოვანია იმის გამო, რომ მასების ყოველგვარი აზროვნება თავდაპირველად წინააღმდეგობრივია, გაურკვეველია, უთავბოლოა; მაგრამ, ისინი ბუნდოვანი არიან იმ როლის გამოც, როგორსაც მათ შორის პირველ ხანებში ჯერ კიდევ თამაშობენ წინასწარმეტყველნი. ეს ბუნდოვანობა გამოიხატება მრავალრიცხოვანი სექტების შექმნით, რომლებიც ერთმანეთს, ყოველ შემთხვევაში, ისეთივე გააფთრებით ებრძვიან, როგორც საერთო გარეშე მტერს. ასე იყო ადრინდელი ქრისტიანობის პერიოდში"[1]. ადრინდელ ქრისტიანობაში ამ მრავალრიცხოვანი სექტების გაჩენა განაპირობა იმ გარემოებამ, რომ იმ დროს ერთიანი და დადგენილი შეხედულება ქრისტიანული რელიგიის მოძღვრების შესახებ არ არსებობდა და იმპერიის ცალკეულ პროვინციებში მეტ-ნაკლებად, სოციალ-ეკონომიური პირობების განსხვავებულობის გამო, არც შეიძლებოდა რომ არსებულიყო.

I საუკუნეში იმპერიის სხვადასხვა კუთხეში და ქალაქებში — იერუსალიმში, ანტიოქიაში, კორინთოში, რომში, პუტეოლში, ალექსანდრიაში და ა. შ. წარმოქმნილ თითოეულ ამ სექტას ქრისტიანული მოძღვრების თავისი განმამარტებელი, წინასწარმეტყველი და მოქადაგე ჰყავდა. მოციქულების ამ განმარტებებსა და ქადაგებაში ასახვას პოულობდნენ ადგილობრივი პირობები და შეხედულებები, ამიტომ თითოეულ სექტას თავისებურად ესმოდა მესია, მისი ბუნება, ახალი რელიგიის რიტუალი და ორგანიზაცია.

---

[1] ფ. ენგელსი, ადრინდელი ქრისტიანობის ისტორიისათვის, 1939, გვ. 22 — 23.

ყოველივე ამის გამო, ისინი (ე. ი. ეს სექტები) ამ ახალ რელიგიაზე თავის მოძღვრებას და შეხედულებას აცხადებდნენ ჭეშმარიტ, ორთოდოქსალურ მოძღვრებად და მოითხოვდნენ სხვა სექტების მიერ მათი მოძღვრების აღიარებასა და მისდამი დამორჩილებას. სექტანტური ბრძოლა ქრისტიანობას თავის წარმოშობიდანვე დაჰყვა და იგი თანდათან უფრო გააფთრებულ ხასიათს იღებდა. ამ ბრძოლაში არც ერთი სექტა არ თმობდა ადვილად თავის პლატფორმას. „არც ერთი მხეცი, — წერს ქრისტიანული სექტების ბრძოლის შესახებ IV საუკუნის ისტორიკოსი ამიან მარცელინი, — არ არის ისე გაბოროტებული ადამიანის მიმართ, როგორც ქრისტიანული სექტების მიმდევარნი ერთი მეორის წინააღმდეგ". ალექსანდრიელმა მღვდელმა ტიმოთემ და მისმა მომხრეებმა დღესასწაულის დროს საკურთხეველში მოკლეს მოწინააღმდეგე სექტის მეთაური, ალექსანდრიელი ეპისკოპოსი პროტერიუსი. შემდეგ მისი დასახიჩრებული გვამი მთელ ქალაქში ათრიეს, ნაჭრებად აკუწეს და მის შიგნეულს ძაღლებიეით კბენა დაუწყეს. ბოლოს ცეცხლს მისცეს სხეულის ნარჩენები და ფერფლი ქარს გაატანეს. ასეთი „მძვინვარებით,— წერია ძველ წყაროებში, — მათ გადააჭარბეს ყველა გარეულ მხეცს" [1].

სექტების ბრძოლაში თანდათან შეტ უფლებებს და შემდეგ რომის მთელ დასავლეთ იმპერიაში გაბატონებულ მდგომარეობას მიაღწია რომის ქრისტიანულმა სექტამ. ამ სექტის წარმატებები განპირობებული იყო მთელი რიგი სოციალ-ეკონომიური და პოლიტიკური მიზეზებით. რომის ქრისტიანული სექტისა და მისი მეთაურის — რომის ეპისკოპოსის დაწინაურების ამ მიზეზებს ხაზი გაუსვა ჯერ კიდევ ძველმა საეკლესიო ისტორიკოსმა ევსევიმ და შემდეგ, ახალ დროში კი ფილოსოფოსმა ჰოლბახმა. „ისტორიიდან ჩვენ ვიცით, — წერდა ევსევის ცნობებზე დაყრდნობით ჰოლბახი, — რომ მდიდარი შესაწირავი, რომელიც ეკცეოდა რომის ეპისკოპოსის

---

[1] Проф. А. П. Лебедов, Вселенские соборы VI, VII и VIII веков, 1904, გვ. 10.

ხელში, მას საშუალებას აძლევდა თავისი ქველმოქმედება გაევრცელებინა მორწმუნეებზე პროვინციებში; რომაელი მორწმუნეები მათ უგზავნიდნენ შემწეობას, რომელსაც ხელი უნდა შეეწყო მათი რწმენისათვის. წყალობა, რომელსაც ანაწილებდა პაპა (რომის ეპისკოპოსი—მ. ა.) იმ პატივისცემასთან შეხამებით, რომლითაც პროვინციელები განწყობილი იყვნენ საიმპერატორო ქალაქისადმი, ბუნებრივია, რომის მღვდელმთავრებს უპირატესობას აძლევდა უფრო ღარიბი პროვინციელი ქალაქების ეპისკოპოსების მიმართ, რომელნიც, საჭიროებდნენ რა დახმარებას, ვარდებოდნენ ზოგიერთი სახის დამოკიდებულებაში რომის ეკლესიის მიმართ. რომის ეპისკოპოსები მოხერხებულად იყენებდნენ ამ დამოკიდებულებას და ეკლესიის მრავალი მოძღვარიც ხალისით ცნობდა მათ უპირატესობას. გარდა ამისა, რომის მღვდელმთავრები, რომლებიც უფრო მრავალრიცხოვანნი იყვნენ და შედგებოდნენ სატახტო ქალაქის სასულიერო პირთაგან, ჩვეულებრივ უფრო განათლებულნი იყვნენ; ამის გამო მრავალი ეპისკოპოსი მიმართავდა რჩევისათვის რომის ეპისკოპოსს, ანგარიშს უწევდა მის შეხედულებას და სასულიერო პირთა მისი კრებულის დადგენილებებს; ამის შედეგად პაპები (რომის ეპისკოპოსები—მ. ა.) თანდათან ითვისებდნენ ზოგიერთი სახის იურისდიქციას, რაც მათ მოხერხებულად თავიანთ უფლებად გადააქციეს"[1]. მაგრამ, რა თქმა უნდა, რომის ეკლესიის და ეპისკოპოსის მიერ რომის დასავლეთ იმპერიაში გაბატონებული მდგომარეობის მიღწევა უნდა მომხდარიყო თანდათან.

იმ უპირატესობათა გარდა, რაც რომის ეკლესიას გააჩნდა იმპერიაში პირველი ადგილის დაკავებისათვის საჭირო ხდებოდა ამ პრეტენზიის ისტორიული დასაბუთებაც. ამ მიზნით რომის ქრისტიანულმა სამღვდელოებამ შექმნა ლეგენდა, რომლის თანახმად რომის ქრისტიანული თემი (ეკლესია) დაარსებულია თვით ქრისტე ღმერთის მოწაფეების და მოციქულების—პეტრესა და პავლეს მიერ. როგორც ეს აპოსტოლი პეტრე იყო ქრისტეს პირველი მოწაფე და მისი პირველი

[1] Поль Гольбах, Галлерея святых, 1937, გვ. 196 — 197.

მოადგილე მიწაზე, ასევე რომის ეკლესიის მეთაური — ეპისკოპოსი უნდა იყოს მთელი იმპერიის ქრისტიანული ეკლესიის მეთაური. სხვაგვარად, ამტკიცებდნენ რომის ეპისკოპოსები, არც შეიძლება იყოს, რადგან თვით ქრისტეს უშუალო მოწაფის — პეტრეს მიერ დაარსებულ რომის ეკლესიაში ყველაზე უფრო ჭეშმარიტად, ორთოდოქსალურად არის დაცული ქრისტეს მოძღვრებაო.

II საუკუნიდან ისახება რომის ქრისტიანული სექტის წინა რიგზე წამოწევა და საერთოდ ქრისტიანული ეკლესიის რომის იმპერატორთა ხელისუფლებასთან დაახლოების ტენდენციები. სარდის ეპისკოპოსი მელიტონი იმპერატორ მარკ ავრელიუსს (161 — 180 წწ.) სწერდა: „ჩვენმა სარწმუნოებამ, რომელიც ხალხშია აღმოცენებული, გაფურჩქნა იწყო შენი სახელმწიფოს პროვინციებში, შენი დიდი წინამორბედის ავგუსტუსის დროს და მრავალი დიდი სიკეთე შესძინა სახელმწიფოს“ [1]. რომის ქრისტიანული სექტა, თავისი ძველი სახის დაკარგვის გზით, იმპერატორთა ხელისუფლებასთან დაახლოების კიდევ უფრო მეტ ტენდენციას ამჟღავნებდა. ამ გარემოების გამო რომის იმპერატორები თანდათან უფრო მეტ შემწყნარებლობას იჩენდნენ საერთოდ ქრისტიანობის და, კერძოდ, რომის სექტის მიმართ.

რომის ქრისტიანული სექტის ეპისკოპოსები, ეყრდნობოდნენ რა თავიანთი უპირატესობის ცრუ ისტორიულ „დასაბუთებას“, ეკონომიურ სიძლიერეს და სახელმწიფო ხელისუფლების მხრივ ერთგვარ თანაგრძნობას, თანდათან აძლიერებდნენ პროვინციულ სექტებზე დაწოლას მათი დაქვემდებარებისა და იმპერიაში თავიანთი პირველობის უზრუნველსაყოფად.

რომის სექტის მიერ გაბატონებული მდგომარეობის მოპოვება თავისთავად ნიშნავდა მრავალრიცხოვანი სექტების და მათი ურთიერთსაწინააღმდეგო დოგმებისა და შეხედულებათა ბრძოლისათვის ერთგვარი საზღვრის დადებას, ქრის-

---

[1] ვ. ვ. სერგეევი, ძველი რომის ისტორიის ნარკვევები, ნაწ. II, გვ. 687.

ტიანული მოძღვრების დახვეწას. ქრისტიანული სექტების ურთიერთსაწინააღმდეგო მოძღვრების შეხამება, ერთიანი ქრისტიანული რელიგიისა და ეკლესიის ჩამოყალიბების საჭიროება რომის გარდა პროვინციებშიც იგრძნობოდა. III საუკუნის შუა ხანებში ამ ტენდენციის გამომხატველი იყო კართაგენელი ეპისკოპოსი კიპრიანე. იგი წერდა: „მართლაც, ჩვენ ხომ ვიცით, რომ არსებობს ერთი ღმერთი, ერთი მეუფე ქრისტე, რომელიც ჩვენ გვწამს, ერთი სული წმიდა, — მაშასადამე, უნდა იყოს ერთი ეპისკოპოსიც“ [1].

როგორც ჩვენ ზემოთ ვნახეთ, მთელ იმპერიაში ამ ერთი და საერთო ეპისკოპოსის რანგის მიღწევისათვის ყველაზე მეტი შესაძლებლობა რომის ქრისტიანულ სექტას და მის ეპისკოპოსს გააჩნდა. რომის სექტა მართლაც მოხერხებულად იყენებდა ყველა ამ უპირატესობას და თანდათანობით ამტკიცებდა თავის ჰეგემონობას. II საუკუნეში რომის ქრისტიანულმა სექტამ დაიმორჩილა შუა იტალიის ქრისტიანული სექტები და თავისი გავლენა მალე იტალიის გარეთაც გადაიტანა. ამავე საუკუნეში რომის ეპისკოპოსი ვიქტორი მცირე აზიელ ეპისკოპოსებს ედავება, რათა მათ აღდგომის საკითხის გაგებასა და რიტუალში რომის ეკლესიას მიბაძონ. III საუკუნეში რომის ეპისკოპოსი სტეფანე კართაგენელ ეპისკოპოსებს უცხადებს პრეტენზიას დაემორჩილონ მას მწვალებელთა (ერეტიკოსთა) მონათვლის საკითხში.

ამავე დროს რომის ეპისკოპოსი უფრო ძეტად ჩემულობდა პაპის სახელწოდების ტარებას და იგი მასში ახალ შინაარსს დებდა. თუ წინათ, რომის ქრისტიანული სექტის ეპისკოპოსის გარდა, იმპერიის სხვა ეპისკოპოსებიც ატარებდნენ ამ საპატიო ტიტულს, 475 წლიდან, როცა რომის ქრისტიანულმა სექტამ დაიმორჩილა და დაიქვემდებარა დასავლეთ რომის იმპერიის ყველა ქრისტიანული სექტა, რომის ქრისტიანული სექტის მეთაურის მიერ ეპისკოპოსის ტიტულის ტარება ფაქტიურად აღარ გამოხატავდა მის ნამდვილ მდგო-

[1] ვ. ვ. სერგეევი, ძველი რომის ისტორიის ნარკვევები, ნაწ. II გვ. 682.

მარეობას და იმ როლს, რომელსაც ის დასავლეთ რომის იმპერიაში ასრულებდა ქრისტიანული ეკლესიისადმი ხელმძღვანელობის საქმეში. რომის ეპისკოპოსების ეს ნამდვილი მდგომარეობა უფრო სრულად გამოიხატებოდა პაპის ტიტულის ტარებით. ბერძნული სიტყვა „პაპა“ („Pappas“) ნიშნავს „მამას“. ასე უწოდებდნენ ბერძნები ჯერ კიდევ ქრისტიანობის წარმოქმნამდე ზოგიერთი წარმართული რელიგიების უმაღლეს ქურუმებს.

ახლა როცა რომის ეპისკოპოსები, რომის დასავლეთი იმპერიის სხვა დანარჩენი ეპისკოპოსების დაქვემდებარებით, ფაქტიურად საეკლესიო იერარქიის სათავეში აღმოჩნდნენ, თხოულობდნენ, რომ ამ ფაქტიური მდგომარეობის გამოსახატავად ამიერიდან მხოლოდ მათ ჰქონოდათ პაპის— როგორც კათოლიკე ქრისტიან მღვდელმთავართა მამის, ტიტულის ტარების უფლება. ამ პრეტენზიის დაკმაყოფილებას ფორმალურად რომის პაპებმა საბოლოოდ მხოლოდ 1075 წელს მიაღწიეს, როცა ეს ტიტული მხოლოდ და მხოლოდ რომის კათოლიკური ეკლესიის მეთაურს დაუმკვიდრდა, არსებითად კი დასავლეთ რომის იმპერიაშიც ქრისტიან მღვდელმთავართა მეთაურობას მათ უკვე V საუკუნეში მიაღწიეს.

ფეოდალური სახელმწიფოს მმართველობის მსგავსად, ქრისტიანული ეკლესიის ხელმძღვანელობის ეს იერარქიული პროცესი რომის აღმოსავლეთ იმპერიაშიც მიმდინარეობდა. ამავე დროს ამ პროცესს აღმოსავლეთსა და დასავლეთში ჰქონდა როგორც დამთხვევის, ისე დაცილების წერტილები. III საუკუნეში წარმოიშვა მიტროპოლიტის თანამდებობა, რომელიც რომის იმპერიის მაშინდელი ტერიტორიული დაყოფის (დიოკლეტიანეს დროიდან) მიხედვით მთელი პროვინციის მასშტაბით განაგებდა ქრისტიანული ეკლესიის საქმეებს და, რომელსაც დაემორჩილნენ წინათ მცირე მასშტაბით (პროვინციებთან შედარებით) მოქმედი ეპისკოპოსები. IV — V საუკუნეში კი წარმოიშვა პატრიარქის თანამდებობა, რომელსაც მიტროპოლიტები დაემორჩილნენ. ასეთი პატრიარქები რომის აღმოსავლეთ იმპერიაში სულ ოთხი იყო: ალექსანდრიის, იერუსალიმის, ანტიოქიის და კონსტანტინოპოლის.

კონსტანტინოპოლის პატრიარქმა თანდათან მეტი უფლება მოიპოვა. VI საუკუნეში იგი უკვე „მსოფლიო პატრიარქად“ იწოდება. შემდეგ, როცა არაბთა დაპყრობებმა კიდევ უფრო შეასუსტა ალექსანდრიის, იერუსალიმის და ანტიოქიის პატრიარქთა გავლენა ქრისტიანულ აღმოსავლეთზე, ამ გარემოებით ისარგებლა კონსტანტინოპოლის პატრიარქმა, პირველ ადგილზე წამოიწია და „უწმიდესის“ ტიტული შეირქვა, მაშინ, როდესაც დანარჩენი პატრიარქები „წმიდანის“ ტიტულს ატარებდნენ.

ამრიგად, რომის აღმოსავლეთ იმპერიაში (ბიზანტიის იმპერიაში) კონსტანტინოპოლის პატრიარქი დაწინაურდა, ხოლო დასავლეთში რომის პაპი. საბოლოო ანგარიშით, მათ შორის გაჩაღდა ბრძოლა მთელ ქრისტიანულ მსოფლიოზე პირველობისათვის. დასავლეთის ქრისტიანულ ქვეყნებზე რომის პაპის გავლენის გაძლიერებას, რამაც მას საშუალება მისცა შემდეგ მთელ ქრისტიანულ მსოფლიოზე პირველი ადგილის მოპოვების პრეტენზიით გამოსულიყო, ზემოთ აღნიშნულ მიზეზთა გარდა, ხელი შეუწყო კიდევ მთელმა რიგმა გარემოებებმა.

476 წელს დასავლეთ რომის იმპერია დაეცა და მის ნანგრევებზე მთელი რიგი წვრილი ფეოდალური სახელმწიფოები წარმოიქმნენ სუსტი პოლიტიკური ძალაუფლებით. ამ გარემოებამ ხელი შეუწყო რომის პაპის პოლიტიკური გავლენის გაძლიერებას დასავლეთის ქრისტიანულ ქვეყნებზე. ახლა რომის პაპი ქრისტიანული რელიგიით „აკავშირებდა“ წინათ დასავლეთ რომის იმპერიაში შემავალ ქვეყნებს და წარმოადგენდა ამ იმპერიის ყოფილი ერთიანობის ახლა რელიგიაში გამოხატულ სიმბოლოს. ამასთან ერთად, 755 წელს იტალიის ცენტრში წარმოქმნილმა პაპის სახელმწიფომ (რომელშიაც პაპი სახელმწიფოს მეთაურად ითვლებოდა და სასულიერო საქმეებთან ერთად მთელი სამოქალაქო და სამხედრო ძალაუფლებაც ეკუთვნოდა), კიდევ უფრო მეტად გააძლიერა დასავლეთ ქვეყნებზე რომის პაპის გავლენა.

რომის პაპების ენერგიული ცდა — აღმოსავლეთის ქრისტიანული ეკლესიაც მოექციათ თავიანთი გავლენის ქვეშ,

ძლიერ წინააღმდეგობას წააწყდა არა მარტო კონსტანტინოპოლის პატრიარქების მხრივ (რომელთა გავლენა ამ დროისათვის აღმოსავლეთის თითქმის ყველა ქრისტიანულ ეკლესიაზე ვრცელდებოდა), არამედ ბიზანტიის იმპერატორების მხრივაც, რომლებიც აღმოსავლეთის ეკლესიის უმაღლეს მეთაურებად ითვლებოდნენ. რომის პაპსა და კონსტანტინოპოლის პატრიარქებს შორის პირველობისათვის წარმოებული ეს დავა, V საუკუნიდან დაწყებული, ფორმალურად ქრისტიანული რელიგიის ზოგიერთი დოგმების, ეკლესიის ორგანიზაციის და რიტუალის გაგების საკითხების ირგვლივ წარმოებდა. თითოეული მხარე აღნიშნული საკითხების თავის საკუთარ გაგებას ორთოდოქსალურად აცხადებდა და მეორე მხარისაგან მის აღიარებას მოითხოვდა. ნამდვილად ეს რელიგიური დავა განპირობებული იყო აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქრისტიანული ქვეყნების სოციალ-ეკონომიური პირობების სხვადასხვაობით. თუმცა ამ დავაში ყოველთვის უფრო მეტ აგრესიულობას რომის პაპები იჩენდნენ, მაგრამ მაინც ორივე მხარე ამ რელიგიურ დავაში მიზნად ისახავდა იმდროინდელი მსოფლიოს ყველა ქრისტიანულ ქვეყანაზე ჰეგემონობის მოპოვებას.

ბოლოს, რომის პაპების მხრივ ჰეგემონობისათვის ბრძოლამ ერთგვარად ჩამოიხსნა რელიგიური ნიღაბი და ტერიტორიულ პრეტენზიებში აშკარად გადაზრდა დაიწყო. XI საუკუნეში რომის პაპმა ლევ IX ბიზანტიის იმპერატორს და აგრეთვე კონსტანტინოპოლის პატრიარქს მიხეილ კერულარიას მოსთხოვა ილირიისა და ზოგიერთი სხვა პროვინციების რომის პაპისათვის გადაცემა. ეს მოთხოვნა იმ მოტივით იყო „დასაბუთებული“, რომ, თითქოს ოდესღაც აღნიშნული პროვინციები კონსტანტინე დიდმა რომის ეკლესიას უწყალობაო.

როდესაც კონსტანტინოპოლში ჩასულმა რომის პაპის წარმომადგენლებმა ამ მოთხოვნაზე უარი მიიღეს, მაშინ მათ ანათემას გადასცეს პატრიარქი კერულარია და რომში დაბრუნდნენ. რომის პაპისა და მისი წარმომადგენლებისათვის საშაგიეროს მიზღვის მიზნით, 1054 წელს პატრიარქ კერულარიას დაჟინებითი მოთხოვნით და ბიზანტიის იმპერატო-

რის სანქციით, კონსტანტინოპოლში მოწვეულმა საეკლესიო კრებამ თავის მხრივ პაპის წარმომადგენლები გადასცა ანათემას, პაპი ერეტიკოსად გამოაცხადა და რომის ეკლესიასთან ყოველგვარი ურთიერთობა გაწყვიტა. იქამდე ფორმალურად ერთიანი ქრისტიანული ეკლესიის, ახლა ოფიციალურად ორ დიდ ბანაკად — დასავლეთ და აღმოსავლეთ ეკლესიად გათიშვის შემდეგ, დასავლეთის ეკლესიამ დაიმკვიდრა რომაულ-კათოლიკური და აღმოსავლეთისამ კი ბერძნულ-კაფოლიკურ მართლმადიდებლური ეკლესიის სახელწოდება.

ქრისტიანული ეკლესიისათვის სიტყვა „კათოლიკურის" შერქმევა პირველად II საუკუნეში გვხვდება. ეს სიტყვა ძველი ბერძნული სიტყვაა (Katholikos) და მას ჯერ კიდევ ძველი წელთაღრიცხვის IV — III საუკუნეში ხმარობდა ეპიკურე (342 — 270 წწ.). ძველ ბერძნულში ეს სიტყვა ნიშნავდა „საყოველთაოს", „მთელს". როგორც უნდა ვიფიქროთ, II საუკუნეში ქრისტიანობისთვის ამ სახელის შერქმევით მის მიმდევრებს უნდოდათ ისეთი შთაბეჭდილება შეექმნათ, თითქოს ქრისტიანობა უკვე „საყოველთაო" (Katholikos) რელიგიად იყო აღიარებული. ნაწილობრივ კი მაშინ ქრისტიანობის მიერ საყოველთაო ხასიათის მიღებამდე ჯერ კიდევ დიდი დრო იყო დარჩენილი. ამგვარად, ძველი გაგებით კათოლიკური ეკლესია ნიშნავდა ქრისტიანული რელიგიის მიმდევართა მთელ კრებადობას, მათ საყოველთაო (Katholikos) გაერთიანება-შეკრებას (ekklesia).

1054 წელს ქრისტიანობის ორ ძირითად (დასავლეთ რომაულ და აღმოსავლეთ ბერძნულ) განშტოებად გაყოფის შემდეგ რომის ეკლესიას ამ საერთო სახელწოდების მისაკუთრებით იმ ილუზიის შექმნა უნდოდა, რომ, თითქოს განხეთქილების შემდეგ იგი წარმოადგენდა ქრისტიანობის საყოველთაო ცენტრს. მაგრამ ბერძნულმა (აღმოსავლურმა) ეკლესიამაც ოდნავ სხვაგვარი ტრანსკრიპციით (კაფოლიკური) შეინარჩუნა ეს სახელწოდება, თუმცა იგი უფრო ხშირად მართლმადიდებლური ეკლესიის, ანდა კაფოლიკურ მართლმადიდებლური ეკლესიის სახელწოდებით იხსენიება.

რომაულ კათოლიკურ და ბერძნულ მართლმადიდებლურ ეკლესიას შორის განსხვავება არა მარტო მათ ამ სახელწოდებაშია, არამედ ეკლესიის ორგანიზაციის, დოგმების და რიტუალის მთელ რიგ საკითხებშიც.

დასავლეთის კათოლიკური ეკლესიის უზენაეს მეთაურად მიჩნეულია რომის პაპი, რომელიც ოფიციალურ დოკუმენტებში „ქრისტეს მონაცვლედაც“ იწოდება. პაპის უფლება მეტია მსოფლიო საეკლესიო კრებების დადგენილებებზე. იგი წმიდანებზე და ანგელოზებზე უფრო მაღლა მდგომად არის აღიარებული თავისი უფლებებით. პაპი თავის მოქმედებაში საეკლესიო საქმეების ხაზით უცოდველად არის მიჩნეული, რადგანაც შექმნილი დოგმით „ღმერთსაცა და პაპსაც ერთი და იგივე აზრი. ერთი და იგივე ნებისყოფა აქვთ“. ყოველივე ამის გამო, „დაშვებული არ არის“ პაპის გადაწყვეტილების აპელირება თვით ღმერთთანაც კი. პაპები, ქრისტიანული ეკლესიის გათიშვამდე და მის შემდეგაც, ოფიციალურად აცხადებდნენ პრეტენზიას საერო ხელისუფლებაზე, მოითხოვდნენ თავიანთი უფლებისადმი მის დაქვემდებარებას და რიგ შემთხვევებში აღწევდნენ კიდეც მას. რომის პაპი ინოკენტი III (1198—1216 წწ) სასულიერო ხელისუფლებას მზეს ადარებდა, საეროს — მთვარეს და ამბობდა, როგორც მთვარე მზისგან ღებულობს ბოწყინვალებას, ისე მეფემ პაპისაგან უნდა მიიღოს ხელისუფლებაო. აღმოსავლეთის მართლმადიდებლურ ქრისტიანობაში კი ეკლესიის უმაღლეს მეთაურად ბიზანტიის იმპერატორი ითვლებოდა და ამიტომ კონსტანტინოპოლის პატრიარქი რომის პაპის მაგვარი უზენაესობისა და იმუნიტეტის უფლებით არ სარგებლობდა.

კათოლიკურ ეკლესიაში დიდი ადგილი ეჭირა კეთილი საქმეების საჭიროებაზე მეტის დაგროვების შესახებ მოძღვრებას. ამ მოძღვრების მიხედვით, აჰ ზედმეტი კეთილი საქმეებით იქმნებოდა „ხედმეტი მადლის ფონდი“, რომელიც შემდეგ ინდულგენციების და სხვათა სახით შეიძლებოდა გაჯიდულიყო ცოდვაში ჩავარდნილ პირთა სულის დასახსნელად. მართლმადიდებლური ეკლესიაც მიმართავდა „ცოდვე-

ბის გამოსყიდვის“ სახით ამგვარ სპეკულაციას[1], მაგრამ აქ მას კათოლიციზმთან შედარებით მცირე ადგილი ეკავა. მართლმადიდებლური ეკლესიისაგან განსხვავებით, კათოლიკური ეკლესია ბიბლიის კითხვას უკრძალავდა ერის კაცებს და სამღვდელოებას კი მისი გამოყენების უფლებას მხოლოდ ლათინურ ენაზე აძლევდა[2]. კათოლიკურ ეკლესიაში სამღვდელოების უცოლობა სავალდებულოდ იყო მიჩნეული.

გარდა ზემოაღნიშნულ საკითხებისა, კათოლიკური და მართლმადიდებლური ეკლესია ურთიერთისაგან განსხვავდებოდნენ და ახლაც განსხვავდებიან სხვა დეტალებითაც. მაგრამ დეტალების ეს განსხვავება არ იყო საერთოდ ისეთი ხასიათის, რომ მას პირველი ან მეორე მიმდინარეობისათვის ქრისტიანული რელიგიისაგან არსებითად განსხვავებული ხასიათი მიეცა და სხვა რომელიმე რელიგიურ სისტემაში გადაეზარდა ისინი. ასეთია მოკლედ რომის პაპებისა და კათოლიკური ეკლესიის წარმოშობის ისტორია.

---

[1] А. Р а н о в и ч, Происхождение христианских таинств, 1931, გვ. 197.

[2] Хрестоматия по истории средних веков, ტ. II, 1950, გვ. 268.

რომის პაპის ტახტის მოპოვება და მიწაზე „ქრისტეს მოადგილის“ ჩინში ამაღლება თვით ამ თანამდებობის ჩასახვიდან დღემდე წარმოადგენდა და წარმოადგენს ეპისკოპოსებისა და კარდინალების ოცნებისა და დავის საგანს. რომის ეკლესიის უდიდესი შემოსავალი, და აგრეთვე რომის დასავლეთი იმპერიის ქრისტიანული ეკლესიის შემოსავალზე მისი უფლების გავრცელება, რომის პაპს საშუალებას აძლევდა მდიდრული და ბრწყინვალე ცხოვრებისათვის. ამის გამო შემთხვევითი არ იყო, რომ IV საუკუნის შუა წლებში წარმართი მწერალი და პოლიტიკური მოღვაწე პრეტექსტატი ამბობდა: „გამხადეთ მე რომის ეპისკოპოსად (რომის პაპად — მ. ა.) და ქრისტიანი გავხდები“[1].

პაპის თანამდებობის მსურველთა შესახებ ამავე საუკუნეში მცხოვრები ქრისტიანი მწერალი გრიგოლ ნაზიანელი წერდა: „ისინი (ე. ი. პაპობის პრეტენდენტები — მ. ა.) ამ ღირსებას უყურებენ არა როგორც ისეთ თანამდებობას, რომელზედაც ქველმოქმედების ნიმუშად უნდა იყვნენ, არამედ როგორც გამდიდრების საშუალებას; არა როგორც სამსახურს, რომლის შესახებაც საჭიროა ანგარიშის ჩაბარება, არამედ როგორც მაგისტრატურას, რომელიც არ ექვემდებარება კონტროლს“[2].

პაპის ამ „საღვთო ტახტის“ დაკავებისათვის ეპისკოპოსები და კარდინალები არასდროს არ ერიდებოდნენ უაღრესად „ღვთო“ მეთოდების, ხერხების და ხრიკების გამოყენებას. თუ რამდენად დაბლა ეცემოდნენ ისინი ამ მხრივ და როგორ ისვრიდნენ ხელს სისხლში, ან როგორ მიმართავდნენ შემზარავ სიმუხთლეს და ვერაგობას, ამის შესახებ აუარებელი ცნობები მოიპოვება ისტორიაში. „იმ ინტ-

---

[1] Похь Гольбах, Галлерея святых, გვ. 196.

[2] იქვე, გვ. 174.

რიგებსა და ძალდატანებაზე, — წერს ჰოლბახი, — რომელიც ხმარებაში იყო პაპის თანამდებობის მისაღწევად, ჩვენ შეიძლება წარმოდგენა მოგვცეს დამასიას არჩევის გარემოებამ, რომელმაც თავისი გაიძვერობით დაამარცხა მეორე კანდიდატი ურსიცინი (IV საუკუნის მეორე ნახევარში — მ. ა.). ორივე მხარე მივიდა ისეთ გააფთრებამდე, რომ, მიუხედავად ეკლესიის პატივისცემისა, სადაც ისინი იყვნენ შეკრებილნი, ორივე პრეტენდენტის მომხრეები ჩაებნენ ხელჩართულ ბრძოლაში და გარდა დაჭრილებისა ადგილზე დარჩა 137 მკვდარი. ამიან მარცელინის სიტყვით, არაფერი გასაკვირი არ არის იმაში, რომ ადამიანები, რომლებიც ისწრაფვიან მხოლოდ განდიდებისა და სიმდიდრისაკენ, იბრძოდნენ ასეთი გაცხარებით და გააფთრებით ამ ღირსების (პაპის ადგილის—მ. ა.) დასაკავებლად, რადგან ისინი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ მიიღებდნენ რა მას, მატრონათა შეწირულების წყალობით მალე გამდიდრდებიან, შეიძენენ გარეგნულ ბრწყინვალებას, გამოირჩევიან ჩინებული ეკიპაჟით, მდიდრული ნადიმებით და ფუფუნებით, რომელიც გადააჭარბებს მეფურ ფუფუნებას"[1].

აი როგორ ახასიათებს პაპის ტახტისათვის ბრძოლას დ. ი. პისარევი (1840—1868 წწ.) თავის სტატიაში „ნარკვევები ევროპის ხალხთა ისტორიიდან". „სიმდიდრე, — წერს პისარევი, — იზიდავდა პაპის ტახტისკენ ისეთ ადამიანებს, რომლებიც სრულიად არ გამოირჩეოდნენ ზნეობრივი სიწმინდით და სრულებითაც არ სურდათ ხრწნადი მსოფლიოს მაცდურ ცოდვებზე ხელის აღება... სასულიერო წოდება შეიქმნა ყველაზე უტყუარ გზად ფულისკენ, პატივისაკენ და ყველა შესაძლებელი ამქვეყნიური სიამოვნებისაკენ. ყველა ეპისკოპოსი, ყველა მონასტერი, ყველა სამრევლო ეკლესია გადაიქცა მდიდარ და ძლიერ მიწათმფლობელებად. ბუზები, რა თქმა უნდა, ყველა მხრიდან იქ გაფრინდნენ, სადაც თაფლი იყო შეგროვილი. მათთვის დამახასიათებელი გატაცებით და გამბედაობით, შემოსეულიანი და პატივიანი ადგილის მოყვა-

[1] Поль Гольбах, Галерея святых, გვ. 196.

რულმა ბუზებმა, ყველა შესაძლებელი საშუალებით ურთიერთშორის დაიწყეს ბრძოლა. რომში, სადაც ყველაზე უმაღლესი ღირსების თაფლი ინახებოდა, მის მოყვარულთა გაცხარება დაბოლოს იქამდე მივიდა, რომ X საუკუნეში თითქმის ვერც ერთმა პაპმა ვერ შეძლო პაპის ტახტამდე ვერც პატიოსნური გზით მიღწევა და ვერც ტახტზე ბუნებრივი სიკვდილით მიცვალება".

როგორც მოყვანილი ციტატებიდან ჩანს, ჯერ კიდევ IV საუკუნეში მცხოვრებმა გ. ნაზიანელმა, ისტორიკოსმა ამიან მარცელინმა (მარცელინი ცხოვრობდა დაახლოებით 330—400 წლებში), შემდეგ ფილოსოფოსმა ჰოლბახმა XVIII საუკუნეში (1723—1789 წწ.) და პისარევმა XIX საუკუნეში და სხვებმა კარგად იცოდნენ, რომ პაპობის პრეტენდენტ ეპისკოპოსებსა და კარდინალებს, პაპის ტახტისკენ ეწეოდა ძრა ქრისტესა და საიქიოში სამოთხის სიყვარული, არამედ აქ. მიწაზე, გამდიდრების, ღრეობის და ზეფუფუნებითი ცხოვრების სურვილი. ასე სძლევდა ადამიანური ინტერესი ღვთაებრივს, სააქაოსი — საიქიოსას, და მირაჟში ავანსად წარმოდგენილ სამოთხეს, აქვე, სადღეისოდ, კეთილად მოწყობილი ცხოვრება.

ეს სასულიერო პირები სხვებს სახარების ღარიბ ლაზარეს მოწონებას, ასკეტიზმს, მარხულობას, გაჭირვებას, სხეულის გვემის უპირატესობას უქადაგებდნენ, თვითონ კი, პირიქით, სრულიად მის საწინააღმდეგოდ იქცეოდნენ. ისინი სიხსლში ისვრიდნენ ხელებს პაპის თანამდებობის მიღწევისათვის ბრძოლაში, მხოლოდ იმიტომ, რომ შემდეგ შეუზღუდველი საშუალება ჰქონოდათ ხელგაშლილი და გარყვნილი ცხოვრებისათვის.

ასე ცხოვრობდნენ არა მარტო ძველი, არამედ ჩვენი დროის პაპებიც. აი რას წერს მათ ახლანდელ ზეფუფუნებით ცხოვრებაზე პ. კარმანსკი, რომელიც თვითონ სწავლობდა ვატიკანში და შემდეგ იქვე ცხოვრობდა ათეული წლების მანძილზე. „სხვათა შორის, — წერს იგი, — თვითონ პაპები არ უცდიან რა სამოთხის ცხოვრებას ზეცაში, თავიანთთვის აქვე ჰქმნიან მას მიწაზე. სასახლეს, რომელშიაც ისინი ცხოვრო-

ბენ, არ მოეპოვება ბადალი მთელს მსოფლიოში, ხოლო მათი (ე. ი. პაპების — მ. ა.) გაბოსვლის დროს მოწყობილი ცერემონიალი აჭარბებს ყველაფერს, რაც კი აქამდე იცოდა ისტორიამ[1]. აი სად არის იძის მიზეზი, თუ მკვლელობის, სიცრუის, გაიძვერობის და ყველა სხვა შესაძლებელი მუხანათური გზით ასე ძალუმად რატომ მიისწრაფოდნენ და მიისწრაფიან კარდინალები პაპის ტახტისაკენ.

ისტორიაში არაერთი შემთხვევა ყოფილა, როდესაც სხვადასხვა ჯგუფები პაპის თანამდებობაზე ერთდროულად ირჩევდნენ ორ და სამ პაპს. ისინი შემდეგ ერთმანეთს „ერეტიკოსად“ და „ეკლესიიდან განკვეთილად“ აცხადებდნენ და თავიანთ მოწინააღმდეგეებს დაქირავებულ მკვლელთა ხელით წუთისოფელს ასალმებდნენ.

მართალია, წესის მიხედვით პაპად არჩევა მთელი სიცოცხლის განმავლობაში ხდებოდა, მაგრამ ხშირი იყო ისეთი შემთხვევაც, როდესაც ზოგიერთ კარიერისტ კარდინალს მოთმინება ელეოდა, ვეღარ უძლებდა ლოდინს პაპის ბუნებრივ სიკვდილამდე, აწყობდა „ქრისტეს მოადგილის“ წინააღმდეგ ფაღულ ან აშკარა ინტრიგებს, აპატიმრებდა ან კლავდა პაპს და თვითონ იჯერდა მის ადგილს. ასე, მაგალითად, X საუკუნის დასაწყისში, ინტრიგით დამხობილი და მთელი სიცოცხლის ვადით ცხრეში ჩაგდებული რომის ორი პაპი. შემდეგ, პაპად გამოცხადებულმა სერგი III (904—911 წწ.), რომელსაც მაინც ეშინოდა ამ დაპატიმრებული და იზოლირებული პაპებისა, ისინი ცხრეში დაახრჩო.

შემდეგ ხანებში დამკვიდრდა ტრადიცია, რომლის მიხედვითაც გერმანიის იმპერატორები ნიშნავდნენ რომის პაპს, რომელსაც შემდეგ რომში მხოლოდ ფორმალურად ირჩევდნენ. მაგრამ ეს წესი დიდხანს არ გაგრძელებულა. 1059 წელს, ლატერანიის საეკლესიო კრებაზე, რომის პაპმა ნიკოლა II გამოაქვეყნა დეკრეტი პაპის თანამდებობის დაკავების წესის შესახებ. ამ წესის მიხედვით, კათოლიკური ეკლესიის უმაღ-

---

[1] П. Карманский, Ватикан — вдохновитель мракобесия и реакции, 1953, გვ. 11.

ლესი სასულიერო პირები — კარდინალები, პაპის სიკვდილიდან 10 დღის შემდეგ ირჩევდნენ ახალ პაპს.

ხშირად ძალიან ძნელი ხდებოდა ასეთ მოკლე დროში კარდინალებს შორის შეთანხმების მიღწევა ახალი პაპის კანდიდატურის შესახებ. ასე, მაგალითად, 1268 წელს, როდესაც გარდაიცვალა პაპი კლიმენტი IV, ვიტერბში შეკრებილი კარდინალები ორი წლისა და ცხრა თვის მანძილზე ახალი პაპის კანდიდატურაზე დავობდნენ და შეთანხმებას მაინც ვერ მიაღწიეს. მაშინ ადგილობრივმა ხელისუფლებმა კარდინალები ეპისკოპოსის სახლში დაამწყვდიეს და განუცხადეს, რომ იქიდან მათ არ გამოუშვებდნენ იქამდე, ვიდრე არ აირჩევდნენ პაპს. ამავე დროს დამწყვდეულ კარდინალებს ყოველდღიურად უმცირებდნენ ულუფას. შიმშილის შიშით, ბოლოს, კარდინალები შეთანხმდნენ და პაპად აირჩიეს გრიგოლ X.

ამის შემდეგ შეიქმნა ტრადიცია, რომლის მიხედვითაც პაპის არჩევა ხდება დახურულ, დაცულ და იზოლირებულ შენობაში[1]. ამას თითქოს იმიტომ აკეთებენ, რომ პაპის არჩევის დროს კარდინალებმა იხელმძღვანელონ მხოლოდ ღვთის შთაგონებით და დაზღვეულნი იყვნენ ყოველგვარი გარეშე ზეგავლენისაგან. მაგრამ ეს ღონისძიება ფორმალურ ხასიათს ატარებს, რადგან სინამდვილეში პაპის არჩევაზე ყოველთვის გავლენას ახდენდნენ და ახლაც ახდენენ დიდი სახელმწიფოები, რათა პაპად თავიანთი კანდიდატის ან მათთვის სასურველი პირის გაყვანით, უზრუნველეყოთ პაპის მხარდაჭერა თავიანთი პოლიტიკისადმი. ასე, მაგალითად, 1903 წელს, როდესაც გარდაიცვალა პაპი ლეო XIII, კარდინალთა კრებაზე (კონკლავა), ახალი პაპის არჩევის დროს პაპის კანდიდატურის ირგვლივ გაჩაღდა ევროპის დიდ სახელმწიფოთა შორის ჭიშპობა და ამოქმედდა ყველა დიპლომატიური მისია და აგენტი.

კულისებში წარმოებული მთელი ამ ბრძოლების შესახებ გერმანელი კარდინალი კოპი დაწვრილებით ცნობებს აწვდიდა გერმანიის კანცლერ ბიულოვს. ბიულოვმა ეს ცნობები შემდეგ თავის „მოგონებებში“ გამოაქვეყნა, რითაც ფართო

[1] М. М. Шоинман, Краткие очерки история папства, გვ. 16.

საზოგადოებამ შეიტყო მთელი ის დიპლომატიური ხრიკები, რომელსაც ეწეოდნენ ევროპის დიდი სახელმწიფოები და პოლიტიკური მოღვაწეები 1903 წელს პაპის არჩევის დროს. კოპის ცნობების მიხედვით ირკვევა, რომ კონკლავაზე შექმნილა მრავალი დაჯგუფება, რომლებიც სხვადასხვა კანდიდატებს აყენებდნენ და რომელთა ზურგს უკანაც ევროპის დიდი სახელმწიფოები იდგნენ. ფრანგი კარდინალები და მათი თანამგრძნობნი, თანახმად საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრ დელკასეს დირექტივისა, პაპის თანამდებობაზე აყენებდნენ პროფრანგულად განწყობილ კარდინალ რამპოლოს კანდიდატურას; ავსტრიის, გერმანიის და ესპანეთის კარდინალები აყენებდნენ კარდინალ სარტოს კანდიდატურას; სხვა დაჯგუფებათა მიერ წამოყენებული იყო სხვა კანდიდატები.

1903 წლის პირველ აგვისტოს, დილის 10 საათზე, პირველი კენჭისყრის შედეგი ასეთი იყო: რამპოლომ მიიღო 24 ხმა, გოტმა — 17, სარტომ — 5, ვანუტელიმ — 4, პიეტრომ — 2 და ა. შ. ეს შედეგები ხელსაყრელი არ იყო ავსტრო-უნგრეთის მთავრობისა და მისი კანდიდატ სარტოსთვის. ამიტომ, ავსტრო-უნგრეთის მთავრობის დავალებით, 2 აგვისტოს კონკლავის სხდომაზე კარდინალმა პუზინმა განაცხადა: თუ რამპოლო საჭირო ხმებს მოაგროვებს და არჩეული იქნება პაპად, მაშინ ავსტრო-უნგრეთის მთავრობა ამ გადაწყვეტილებას ვეტოს დაადებს, რომლის უფლებაც მას ტრადიციით საუკუნეთა მანძილზე აქვსო. არავის, „ქრისტეს მოადგილის“ არჩევაში ავსტრო-უნგრეთის მთავრობის ამ უხეში ჩარევის წინააღმდეგ, პროტესტი არ განუცხადებია. 4 აგვისტოს, დილის 10 საათზე, მეშვიდე კენჭისყრის შედეგები ასეთი იყო: სარტომ მიიღო 50 ხმა, რამპოლომ — 10, გოტმა — 2. ამგვარად, ავსტრო-უნგრეთის მთავრობის დაწოლით, რომის პაპად არჩეულ იქნა კარდინალი სარტო, რომელმაც პაპად გახდომის შემდეგ პიუს X შეირქვა[1].

1914 წ. პიუს X გარდაიცვალა. დიდ სახელმწიფოთა შორის კვლავ გაჩაღდა ბრძოლა ახალი პაპის კანდიდატურის

[1] М. М. Шеинман, Краткие очерки истории папства, გვ. 14.

ირგელიე. ამ ბრძოლის შესახებ თავის „მოგონებაში“ დაწვრილებით ცნობებს იძლევა საფრანგეთის მაშინდელი პრეზიდენტი პუანკარე. პუანკარე წერს, რომ, საფრანგეთის მთავრობას სურდა პაპად გაეყვანა კარდინალი ფერატა, რისთვისაც საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს გენერალურმა მდივანმა ციულ კამბონმა საჭირო ინსტრუქციები მისცა კონკლავაზე მიმავალ პარიზის არქიეპისკოპოს კარდინალ ამეტას, ხოლო საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა დუმერგმა ლონდონსა და მადრიდში საფრანგეთის ელჩებს დაავალა, რომ მათ თავის მხრივ მოეხდინათ გავლენა ინგლისისა და ესპანეთის კარდინალებზე.

პაპად „თავისი კაცის“ გასაყვანად საჭირო ზომებს იღებდა გერმანიის მთავრობაც. ამ დროს უკვე ომი იყო დაწყებული და რუსეთი საფრანგეთთან ერთად ომში იყო ჩათრეული გერმანიის წინააღმდეგ. ვინაიდან რუსეთი არ იყო კათოლიკური ქვეყანა, ამ გარემოებას გერმანელი კარდინალები დემაგოგიური მიზნით იყენებდნენ პაპის თანამდებობაზე წამოყენებულ საფრანგეთის კანდიდატის გასაშავებლად. ისინი „ამტკიცებდნენ“, რომ რუსეთის როგორც არაკათოლიკური ქვეყნის გამარჯვება ომში უდიდეს უბედურებას მოუტანს კათოლიკურ ეკლესიას დასავლეთ ევროპაში, ამიტომ არ შეიძლება პაპად გაყვანილ იქნეს რუსეთის მოკავშირე საფრანგეთის კანდიდატურაო[1].

ასევე მძაფრი ბრძოლები გაჩაღდა ახალი პაპის ასარჩევად 1939 წელს, პაპი პიუს XI გარდაცვალების შემდეგ. ამჯერად ყველაზე აქტიურ როლს ჰიტლერული გერმანია თამაშობდა. გერმანიას უნდოდა პაპად გაეყვანა იტალიელი კარდინალი ევგენი პაჩელი. პაჩელი რომის პაპის ელჩად (ნუნცია) იყო გერმანიაში ჯერ კიდევ 1917—1919 წლებში და ცნობილი იყო საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მტრობითა და მკვეთრად გამოხატული ფაშისტური ორიენტაციით. ჰიტლერის ელჩი ვატიკანში ფონ ბურგენი 1939 წელს კონკლავაზე წარმოთქმულ სიტყვაში ეწეოდა აგიტაციას, რომ ამ „ღვთის

[1] М. М. Шевяким, Краткие очерки истории папства, вз. 15.

კაცებს" „ქრისტეს მოადგილედ" აერჩიათ ისეთი კაცი, რომელიც „ღვთის უფლებისა და პატივისცემის ლოზუნგით" დაეხმარებოდა ჰიტლერს კომუნიზმის წინააღმდეგ ლაშქრობაში.

კონკლავაზე პაპად არჩეულ იქნა ევგენი პაჩელი. კომუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, პაპ პიუს XII სახელით, იგი ერთგულად ასრულებდა ჰიტლერელების და ახლაც ასრულებს ამერიკელი იმპერიალისტების დაკვეთას. მიუხედავად იმისა რომ ევგენი პაჩელი, როგორც ეს მისი ანტისაბჭოთა გამოსვლებიდან ჩანს, ჯერ კიდევ ბრძოლის ხასიათზეა, ფიზიკურად მხნედ გრძნობს თავს და მოკლე ხანში არ აპირებს ქრისტესთან „ზეცაში ასვლას" (მიცვალებას), მისი შემცვლელი კანდიდატის ირგვლივ უკვე დიდი ხანია გაჩაღებულია დავა.

აწ‍ამად პაჩელის (პიუს XII) მომავალ შემცვლელზე ყველაზე დიდ დაინტერესებას ამერიკელი იმპერიალისტები იჩენენ. მათ უკვე აღარ აკმაყოფილებთ ის, რომ ისინი შორეულ იტალიაში, ზღვებსა და ოკეანეს იქით მდებარე ქრისტეს სახელმწიფოს — ვატიკანის, ფაქტიური ბატონ-პატრონები არიან. მათ უნდათ პიუს XII სიკვდილის შემდეგ პაპის ტახტზე თავიანთი კაცი, ნიუ-იორკის არქიეპისკოპოსი კარდინალი სპელმანი წამოასკუპონ. ამის შესახებ ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის დროს აშკარად წერდა აშშ პრესა.

ამერიკელი იმპერიალისტები ამ ამოცანის მიღწევას ცდილობენ დოლარის წყალობით. ამერიკული პრესა, რომელსაც, თავის პატრონების მსგავსად, სხვა არავითარი ლოგიკა არ სწამს, გარდა დოლარის ლოგიკისა, წერს, რომ ვატიკანი ყველაზე მეტ შემოსავალს ამერიკიდან ღებულობს, მაშასადამე, ახალი პაპი ამერიკელი უნდა იყოსო. მაგრამ, „პაპის ტახტზე" ამერიკელ სპელმანს ძლიერი კონკურენტი ჰყავს იტალიელი კარდინალის მიკარას სახით. როგორც 1950 წლის აგვისტოში პრესა იუწყებოდა, ამერიკელები მიკარას დიდძალ თანხის მიცემას შეპირდნენ იმ შემთხვევაში, თუ კი იგი უარს იტყვის თავის კანდიდატურის წამოყენებაზე.

მაგრამ ახლანდელი პაპი პიუს XII ჯერ კიდევ ცოცხალია და ამიტომ დაეაც მისი მომავალი შემკვლელის შესახებ ჯერჯერობით ისევ ბრძოლის სფეროში რჩება. მომავალი გვიჩვენებს, ამერიკული დოლარი შესძლებს თუ არა ქრისტეს „იტალიელი მემკვიდრის ტახტის“ მოსყიდვას. ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით ფაქტი ის არის, რომ ამერიკელებმა ადვილად მოახერხეს არა მარტო ძველი ანტიკური კულტურის მრავალი უნიკუმის შესყიდვა იტალიაში, არამედ ყოფილი პრემიერ მინისტრ დე გასპერის და მისი მინისტრების მოსყიდვაც.

დოლარის თიღისმის წინაშე უფრო მეტი გამძლეობა აღმოაჩნდებათ თუ არა იტალიელ კარდინალებს და მათ თანამგრძნობთ, ვიდრე ეს აღმოაჩნდათ იტალიის საერო ხელისუფალთ და მათ კოლეგებს — ეს ისევ მომავლის საქმეა. მაგრამ, ზედმეტი არ იქნება ცნობილი ჰუმანისტის ფრანჩესკო პეტრარკას (1304 — 1374 წწ.) სიტყვების გახსენება. პეტრარკა ავინონში დიდხანს ცხოვრობდა პაპის კარზე, უშუალოდ იცნობდა რომის პაპებს, იცოდა მათი ზნე და მათი დამოკიდებულება ოქროსადმი. იგი წერდა: ავინონში „პაპები ოქროზე ჰყიდიან, რაც გინდათ იმას, მათ რიცხვში თვითონ ქრისტესაც“. მაშინდელი რომის პაპების ახლანდელ ნაშიერებში ოქროსადმი სიყვარული უფრო მეტად გამძაფრდა და, ამიტომ, ამერიკელი იმპერიალისტების მომავალი კომერცია „პაპის ტახტის“ ირგვლივ, არც თუ მთლიანად უიმედოდ მოჩანს. აქეთკენ უბიძგებს ვატიკანს გამოცდილებაც, რომლის მიხედვით ორთა ბრძოლაში ოქრო ყოველთვის სჯობნიდა ქრისტეს.

ვატიკანი და მისი ორგანიზაცია

ვატიკანი თავდაპირველად ერქვა შვიდიდან ერთ-ერთ იმ ბორცვს, რომელზედაც გაშენებული იყო ჯერ კიდევ ანტიკურ ეპოქაში ქ. რომი. ბორცვი ვატიკანი მდებარეობს ქალაქ რომის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, მდინარე ტიბრის მარჯვენა მხარეზე. თვით სიტყვა „ვატიკანის“ თავდაპირველი მნიშვნელობა როგორც ისტორიკოსი მ. მ. შეინმანი წერს, ჯერ კიდევ საბოლოოდ არ არის დადგენილი. ფიქრობენ, რომ იგი შეიძლება წარმომდგარიყო ლათინური სიტყვა *Vaticinia*-დან, რაც წინასწარმეტყველებას ნიშნავს. ანტიკურ პერიოდში ვატიკანის ბორცვი წარმოადგენდა წარმართული რელიგიის ნაყოფიერების ღმერთის საკულტო ადგილს. ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდეგ, ვატიკანი ქრისტიანული რელიგიის საკულტო ადგილად გადაიქცა. V საუკუნის ბოლოსა და VI საუკუნის დასაწყისიდან ვატიკანი რომის პაპების ადგილსამყოფელი გახდა. ხოლო მათ მუდმივ რეზიდენციად ვატიკანი პაპების ავინონის ტყვეობის შემდეგ — 1377 წლიდან გამოცხადდა.

მაგრამ, როდესაც სიტყვა „ვატიკანს“ ხმარობენ, ხშირად ვლობაში აქვთ არა ეს ბორცვი, არამედ ტერიტორიულად იქ მოთავსებული კათოლიკური ეკლესიის უმაღლესი იერარქიის შემადგენლობა, რომლებიც პაპის მეთაურობით მსოფლიო მასშტაბით ხელმძღვანელობენ ამ ეკლესიის მთელ საკულტო, პოლიტიკურ და ეკონომიურ საქმიანობას.

როგორც ეს ზემოთაც იყო აღნიშნული, რომის პაპები ჯერ კიდევ ადრეულ შუა საუკუნეებში არ კმაყოფილდებოდნენ მარტოოდენ საეკლესიო საქმეების ხელმძღვანელობით და პრეტენზიას აცხადებდნენ საერო ხელისუფლების მათდამი დამორჩილებასა და გამგებლობაზეც. ამ მიზანს მათ ნაწილობრივ მიაღწიეს კიდეც ე. წ. პაპის სახელმწიფოს შექმნით იტალიაში.

ფრანკთა მეფემ პიპინ მოკლემ, რომელსაც რომის პაპები ზაქარია და სტეფანე II დიდ დახმარებას უწევდნენ სამეფო ხელისუფლების განმტკიცებაში, 755 წელს ილაშქრა იტალიაში. დაამარცხა ლანგობარდები და მათთვის წართმეული რავენას საეგზარქოსო და რომის ოლქი თავისი ქალაქებით, მათ შორის თვით ქ. რომიც, რომის პაპს (სტეფანე II) გადასცა. ამ ოლქში პაპი წარმოადგენდა უმაღლეს სასულიერო და საერო ხელისუფალს. იგი თავის შეხედულების მიხედვით ახორციელებდა საეკლესიო და სამოქალაქო საქმეების მთელ იურისდიქციას.

ასე წარმოიქმნა იტალიის ცენტრში პაპის სახელმწიფო, რომელიც საბოლოოდ ლიკვიდირებულ იქნა მხოლოდ 1870 წელს. პაპის სახელმწიფოს შესახებ მარქსი წერდა, რომ, იმ დროიდან, როდესაც რომის პაპმა მიიტაცა სამოქალაქო ხელისუფლება „დაიწყო მოქცევა, როგორც საერთო თავადმა"[1].

იმისათვის, რომ „ზეცის საქმეებით" თავდავალებულ პაპის მიერ „მიწიერი საქმეების" (საერო ხელისუფლება) გამგებლობის საკუთარ ხელში აღება გამართლებული ყოფილიყო, ჯერ ისევ VIII საუკუნეში პაპის კანცელარიაში შეიქმნა ყალბი დოკუმენტი ე. წ. „კონსტანტინეს საჩუქარი"-ს სახელწოდებით. ამ დოკუმენტში აღნიშნული იყო, რომ, თითქოს ჯერ კიდევ IV საუკუნეში რომის იმპერატორმა კონსტანტინე დიდმა რომის პაპს სილვესტრი I (რომელმაც კონსტანტინე მონათლა და ცოდვებისაგან „განწმინდა") უბოძა ქ. რომი და იმპერიის დასავლეთი პროვინციები. აგრეთვე მისცა მას საიმპერატორო ხელისუფლების ნიშნები, ოქროს ჯიღა, მეწამული ქლამიდა და სხვა[2].

IX საუკუნეში შეიქმნა მეორე ყალბი დოკუმენტი — „ისიდორეს დეკრეტალია". ამ დოკუმენტში მოცემული იყო იმის მტკიცება, რომ პაპი როგორც ღვთაების მოადგილე მიწაზე და „უგონიერესი" და „უპატიოსნესი" არსება, უცოდველია ყველა საქმეში. ამიტომ სამოქალაქო (საერო) ხელისუფლებაც მას უნდა ემორჩილებოდესო. ამგვარად, პაპები არ კმაყოფილ-

[1] Архив Маркса и Энгельса, 1938, т. V, გვ. 29.

[2] შუა საუკუნეების ისტორია, ტ. I, გვ. 102.

დებოდნენ საერო ხელისუფლების მარტო რომის ოლქში ჩი-
ტაცებით და პრეტენზიას აცხადებდნენ საერთოდ საერო ხელი-
სუფლებასა და ზეციური და მიწიერი საქმეების ერთდროულად
გამგებლობაზე.

რომის პაპები იმდენად გათავხედდნენ, რომ XIX საუკუ-
ნის მეორე ნახევარში მათ კიდევ ეყოთ გამბედაობა კვლავ
ოფიციალურად დაეწყოთ პაპების უცოდველობის მტკიცება.
1870 წლის 18 ივლისს ვატიკანის მსოფლიო საეკლესიო კრე-
ბაზე, რომელზედაც პაპების უცოდველად ცნობის საკითხი
იდგა, ხორვატიის ეპისკოპოსმა იოსებ შტროსმაიერმა გაბე-
დულად გაილაშქრა მის წინააღმდეგ და განაცხადა: როგორ
შეიძლება უცოდველად მივიჩნიოთ პაპები, როცა მდინარე
ტიბრის მთელი წყალიც კი საკმარისი არ არის, რომ პაპ-
ების სამარცხვინო ისტორიაში თუნდაც ერთი პატარა ჭუჭყი-
ანი ფურცელი გაწმინდოსო[1]. კრებამ 531 ხმით ორის წინა-
აღმდეგ მიიღო დადგენილება, სადაც ნათქვამია, რომ ყველა
ყოფილი და მომავალი პაპიც, როგორც თვით ღმერთი, რწმე-
ნის, ზნეობის და საეკლესიო საქმეების მმართველობის სა-
კითხებში უცოდველიაო.

ამგვარად, ერთი ხელის მოსმით „უცოდველად" და „შეუმ-
ცდარად" ცხადდებოდნენ, ერთის მხრივ, გარდაცვლილი პა-
პები, რომელთა შორის ბევრნი იყვნენ სისხლის ამღვრევნი,
მამათმავლები, მკვლელები, ავანტურისტები, თვით შემდეგი
პაპების მიერ შერისხული ერეტიკები და სხვა. მეორეს მხრივ
კი, ჯერ კიდევ „დაუბადებელი პაპები", რომელთა რწმენისა
და ყოფაქცევის ნორმების შესახებ არავის არ ძალუძდა რა-
იმე გარანტიის მიღება. მიუხედავად ამისა, ეს მომავალი პა-
პები მორწმუნეებს, ეკლესიისაგან განკვეთის შიშით, შეუ-
მცდარად და უცოდველად უნდა მიეჩნიათ და ყველა მათ
განკარგულებებს, დეკრეტალიებს და ენციკლიკებს, როდე-
საც ისინი ამ ქვეყნად გამოჩნდებოდნენ, უსიტყვოდ უნდა
დამორჩილებოდნენ.

---

[1] П. Карманский, Ватикан — вдохновитель мракобесия и реакции, 1953, გვ. 22.

ერთი სიტყვით, მორწმუნეებს ესპობოდათ პაპების ყველა მოქმედებისა და გადაწყვეტილებების სისწორესა და სამართლიანობაში ოდნავ ეჭვის შეტანის უფლებაც კი. მაგრამ ხალხს, პაპების ქცევისაგან საუკუნეთა მანძილზე მიღებული გამოცდილება, პირიქით, საწინააღმდეგო შეხედულებების სისწორეში არწმუნებდა. ამიტომ, ხალხისათვის ძალით თავზე მოხვეულ პაპების ამ „შეუმცდარობასა“ და „უცოდველობას“ არ შეეძლო მათ წინააღმდეგ ამხედრებული ხალხის რისხვისა და აღშფოთების ჩაკვლა ან შეჩერება.

1870 წ. აგვისტოში პაპის ხელისუფლების წინააღმდეგ რომში დაიწყო სახალხო აჯანყება. იმისათვის, რომ აჯანყებას ფართო ხასიათი არ მიეღო, იტალიის მეფის ვიქტორ ემანუელის ჯარებმა მოახდინეს რომის ოკუპაცია, ხოლო შემდეგ ჩატარებულ იქნა რეფერენდუმი პაპის სახელმწიფოს გაერთიანებულ იტალიასთან შეერთების, ან მისი კვლავ ცალკე დატოვების საკითხის გადასაწყვეტად. ქ. რომის მცხოვრებთაგან პაპის ოლქის ლიკვიდაციას ხმა მისცა 40.785 კაცმა, პაპის ოლქის შენარჩუნებას — 46 კაცმა, რომის ოლქის მცხოვრებთაგან კი ლიკვიდაციას მხარი დაუჭირა 133.681 კაცმა, პაპის ოლქის და, მაშასადამე, პაპის ხელისუფლების შენარჩუნებას კი — 1.057 კაცმა[1].

ამგვარად, პაპის სახელმწიფოს მოსახლეობა იმდენად შეგვიწროებული იყო „ქრისტეს მოადგილის“ უზურპაციით, მძიმე საეკლესიო და სამოქალაქო გადასახადებით, საეკლესიო ბიუროკრატიის თავგასულობით, პაპების „შეუმცდარობით“ და „უცოდველობით“, რომ მოსახლეობის მხოლოდ 0,6% დაუჭირა მხარი პაპის ხელისუფლების შენარჩუნებას, ისიც ისეთებმა, რომლებიც თვითონ ეკუთვნოდნენ საეკლესიო ოლიგარქიის ზედაფენებს, ან ეკონომიური სარგებლიანობის თვალსაზრისით იყვნენ მასთან დაკავშირებულნი. ამგვარად იქნა ლიკვიდირებული პაპის სახელმწიფო და რომი გამოცხადდა გაერთიანებული იტალიის დედაქალაქად.

---

[1] М. М. Шейнман, Краткие очерки истории папства, გვ. 105.

პაპმა პიუს IX, მისთვის საერო ხელისუფლების წართმევის პროტესტის ნიშნად, თავი გამოაცხადა „ვატიკანის ტუსაღად“, ჩაიკეტა ვატიკანის სასახლეში და იმუქრებოდა, რომ არც ის და არც მის მიერ დადებული აღთქმის თანახმად, რომის შემდეგი პაპები, პაპად კურთხევიდან სიკვდილამდე, ვატიკანიდან არ გამოვიდოდნენ, ვიდრე არ იქნებოდა აღდგენილი პაპის ყოფილი სახელმწიფო და კვლავ არ გადაეცემოდათ მათ საერო ხელისუფლება[1]. პაპის ამ მუქარას, რა თქმა უნდა, არ შეეძლო მისთვის დაკარგული მდგომარეობა და უფლებები დაებრუნებია.

1871 წ. იტალიის მთავრობამ მიიღო „კანონი გარანტიების შესახებ“, რომლითაც პაპი თავის სუვერენიტეტს იტალიაში ინარჩუნებდა მხოლოდ ვატიკანის სასახლის ფარგლებში; საერთაშორისო მასშტაბით კი პაპს უფლება რჩებოდა მხოლოდ კათოლიკური ეკლესიის საქმეების გამგებლობაში. პაპს შეეძლო მიეღო სხვა ქვეყნების მიერ საეკლესიო საქმეებში მასთან დანიშნული ელჩები, და ასევე თვითონაც ჰყოლოდა ამ ქვეყნებში თავისი დიპლომატიური წარმომადგენლობა[2].

არც პაპმა პიუს IX და არც შემდეგმა პაპებმა არ მიიღეს (არ ცნეს) „გარანტიების კანონი“. დავა პაპებსა და იტალიის მთავრობას შორის ამ საკითხზე გრძელდებოდა 1929 წლამდე. 1929 წლის 11 თებერვალს პაპ პიუს XI და იტალიის ფაშისტ დიქტატორ მუსოლინს შორის მიღწეული იქნა შეთანხმება და დადებული იქნა ე. წ. ლატერანიის ხელშეკრულება. ამ ხელშეკრულებით იტალიის მთავრობამ ამიერიდან ცნო პაპის საერო ხელისუფლება, მაგრამ მხოლოდ ვატიკანის ფარგლებში, რომლის ტერიტორია არ აღემატება 44 ჰექტარ ფართობს, ხოლო მოსახლეობა ათას სულს.

ამავე ხელშეკრულებით, იტალიის მთავრობას დაეკისრა ვატიკანისათვის გადაეხადა 1750 მილიონი ლირი იმ ქონების ასანაზღაურებლად, რომელიც რომის პაპებმა დაკარგეს 1870

---

[1] Проф. А. В. Ефимов, Новая история, 1945, გვ. 45.

[2] Новая история, ნაწ. II, 1939, გვ. 169.

წელს ე. წ. „პაპის სახელმწიფოს“ ლიკვიდაციისას. ამავე დროს, იტალიის ფაშისტურმა მთავრობამ, ვატიკანის მოთხოვნის შესაბამისად, დაადგინა, რომ იტალიის ყველა სკოლაში შემოეღოთ რელიგიის სავალდებულო სწავლება. თავის მხრივ ვატიკანი ვალდებულებას კისრულობდა მუსოლინის ფაშისტური რეჟიმისათვის ენერგიულად დაეჭირა მხარი როგორც ქვეყნის გარეთ, ისე მის შიგნითაც.

ერთი სიტყვით, ლატერანიის ხელშეკრულება ფაშისტური დიქტატურისა და ვატიკანის უფრო მეტად დაახლოებით და ერთმანეთისათვის მხარდაჭერით მიზნად ისახავდა ორივე მათგანის გამაგრებასა და განმტკიცებას. ასე წარმოიშვა ქ. რომის ერთ-ერთ კუთხეში ახალი, მსოფლიოში ყველაზე პატარა ჯუჯა სახელმწიფო — ჩიტტა დელ ვატიკანო, რომლის საზღვრებს შემოვლებული აქვს აგურის მაღალი გალავანი და რომლის შემოვლაც შეიძლება 45 წუთში. მაგრამ, რომის პაპისათვის მთავარი იყო არა ამ ახლად წარმოქმნილი სახელმწიფოს ტერიტორიული მეტ-ნაკლებობა, არამედ პრინციპი, რომ მას დამოუკიდებელი „სახელმწიფო“ ჰქონოდა აქედან გამომდინარე ყველა შედეგებით; და, როგორც სახელმწიფოს მეთაურს, სასულიერო საქმეებთან ერთად სამხედრო და სამოქალაქო საქმეებშიც განეხორციელებინა უმაღლესი იურისდიქცია და ექსტერიტორიული უფლება.

ასეთი პატარა ადგილი იქნა გამოძებნილი ვატიკანისათვის მიწაზე, მაგრამ მას სხვა სახელმწიფოებთან შედარებით ის „უპირატესობა“ ჰქონდა, რომ ცათა ქვეშეთში ის ღვთის ერთადერთი სახელმწიფო იყო, რომელსაც ტერიტორიული სიმცირის გარდა ნორმალური სახელმწიფოს ყველა „ძირითადი ატრიბუტი“ გააჩნდა.

მართლაც, ვატიკანს ჰყავს თავისი მოქალაქეები მის ტერიტორიაზე მცხოვრებთა სახით. ისინი პაპის პირადი ბრძანებულებით არიან გაფორმებულნი ვატიკანის ქვეშევრდომებად, მაგრამ ეს ქვეშევრდომობა მემკვიდრეობით არ გადადის მათ შთამომავლობაზე და თითოეულ ცალკე შემთხვევაში საჭიროა პაპის ბრძანებულებით ამ ქვეშევრდომობის გაფორმება.

ვატიკანს აქვს თავისი საკუთარი ვალუტა, საფოსტო ნიშნები, რკინიგზა (314 კმ. სიგრძისა), რადიოსადგური, საკუთარი ოფიციოზი (გაზეთი „ოსსერვასტორე რომანო"), დეპეშათა სააგენტო („ჩენტრო ინფორმაციონე პრო დეო"), ბანკები, ციხე, დიპლომატიური წარმომადგენლობა, არმია, რომელიც მთელი მისი მოსახლეობის ერთ მეხუთედ ნაწილს შეადგენს და დაახლოებით 200 კაცს უდრის. ამ არმიას აქვს თავისი „გენერალური შტაბი", რომელიც შედგება პოლკოვნიკისა, პოდპოლკოვნიკისა, მაიორისა, კაპიტანისა და ორი ლეიტენანტისაგან[1] და ა. შ.

ერთი სიტყვით, ვატიკანი წარმოადგენს მინიატურულ სახელმწიფოს ნამდვილი სახელმწიფოს შემცირებული ნიშნებით. ამ მინიატურული სახელმწიფოს მეთაურია რომის პაპი, რომელიც, ჯერ კიდევ პაპ გრიგოლ VII (XI საუკუნე) განცხადებით, ღმერთზე პატარაა, მაგრამ კაცზე დიდი[2], ანდა, როგორც ეს XII საუკუნის ერთ დოკუმენტში წერია: მიწაზე ცვლის ქრისტეს.

პაპთან არსებობს ეგრეთწოდებული „წმიდანთა" ანუ „კარდინალთა კოლეგია". მასში თვით პაპის მიერ დანიშნული კარდინალები ირიცხებიან და მისი შემადგენლობა არ აღემატება 70 კაცს. იტალიელების გარდა, „წმიდანთა კოლეგიაში" არიან პაპის მიერ კარდინალის ჩინში ამაღლებული სხვა ქვეყნების კათოლიკური ეკლესიის წარმომადგენლებიც. ასე, მაგალითად, 1944 წელს კარდინალთა კოლეგიაში შედიოდა 27 იტალიელი, 4 ფრანგი, 3 გერმანელი, 2 ესპანელი, 2 ჩრდილოეთ ამერიკელი და კიდევ 9 კარდინალი სხვადასხვა ქვეყნებიდან, სულ 47 კარდინალი.

1946 წლამდე, დადგენილი ტრადიციით, კარდინალთა კოლეგიაში უმრავლესობას იტალიელები წარმოადგენდნენ, მაგრამ 1946 წელს კარდინალთა კოლეგიას დაემატა პაპის მიერ ახლად დანიშნული 32 კარდინალი, მათ შორის 4 ამე-

---

[1] Б. Е. Штейн, Дипломатия Ватикана, 1945, გვ. 6.

[2] Календарь антирелигиозника на 1941 год. გვ. 95.

რიკელი. „წმიდანთა კოლეგიის“ ამ ახალ შემადგენლობაში იტალიელი არის მხოლოდ 28 კარდინალი. ამგვარად, იტალიამ კარდინალთა კოლეგიაში უმრავლესობა დაკარგა. ეს უმრავლესობა ამერიკის ორიენტაციის კარდინალების მხარეზე აღმოჩნდა.

„წმიდანთა კოლეგია“ წარმოადგენს პაპთან არსებულ სათათბირო ორგანოს. მასში შემავალ კარდინალებიდან,—წერს ისტორიკოსი შტეინი, — განსაკუთრებულ როლს თამაშობს კარდინალი — სახელმწიფო მდივანი, პაპის უახლოესი თანაშემწე და ვატიკანის საგარეო საქმეთა მინისტრი.

პაპის, მისი „მინისტრების“, კარდინალების და ეპისკოპოსების ხელშია მოქცეული ქრისტეს სახელით დაგროვილი უდიდესი სიმდიდრე, რომელსაც კათოლიკური ეკლესია მსოფლიოს მთელ რიგ ქვეყნებში ფლობს.

ისტორიულად, როგორც წესი, ყველა სისტემის რელიგიის სასულიერო წოდების პირებს მიწიერი მოტივები უფრო ამოძრავებდათ, ვიდრე ღვთაებრივი და სააქაო ცხოვრების მოგვარება უფრო აწუხებდათ, ვიდრე საიქიოსი. ამიტომ იყო, რომ ისინი ცდილობდნენ ტაძრებისა და ეკლესიის ხელში მოექციათ ქვეყნის სიმდიდრის საკმაოდ დიდი ნაწილი. ოფიციალური ქადაგებით, ვითომდა ღმერთისათვის და ღმერთის სახელით დაგროვილი ეს სიმდიდრე უნდა მოხმარებოდა საღვთო მიზნებს და „მაშვრალთ და ტვირთმძიმეთ.“ „...ის რაც ეკლესიას ეძლევა, — წერდა XII საუკუნეში ბერი პლაციდია,— როგორც ყველასათვის ცნობილია, მას ეწირება იმისათვის, რომ მისით გამოკვებილნი იქნენ ქრისტეს ღარიბები, და აგრეთვე იმისათვის, რომ ღმერთის მსახურთ საკრარიაში (საკურთხეველი, ტაძარი, ამ შემთხვევაში წმიდა საგნების შესანახი ადგილი) ჰქონდეთ არსებობის საშუალება და დაკავებულთ ღვთაებრივის მუდმივ ჰვრეტასა და მის დაუღალავ შექებაში შეეძლოთ ყოველთვის, ამ ქვეყნის შეწუხების გარეშე, თავდადებით ემსახურონ უფალს“[1].

ქრისტიანული ეკლესიის მიერ გამომუშავებული წესით საეკლესიო გადასახადი (მეათედი) უნდა განაწილებულიყო ოთხად და მისი ერთი ნაწილი მისცემოდა ეპისკოპოსს, მეორე—სამრევლო მღვდელს, მესამე უნდა მოხმარებოდა ეკლესიების აშენებას და მეოთხე კი განკუთვნილი იყო ღარიბებისა და მათხოვართათვის[2]. მაგრამ ღარიბებისათვის დახმარების გაწევას ეკლესიებ და მონასტრები უგულებელყოფდნენ და მას მხოლოდ იშვიათად, გამონაკლისის სახით და ისიც მცირე მასშტაბით, ახორციელებდნენ. ერთი სიტყვით,

[1] Хрестоматия по истории средних веков, ტ. II, გვ. 264.

[2] Ф. Канелюп, Религия раннего капитализма, 1931, გვ. 178.

მთელი საეკლესიო ქონება ეკუთვნოდა სასულიერო წოდების ხელში. სასულიერო წოდების ზედაფენები ხელგაშლილად და ფუფუნებით ცხოვრობდნენ საეკლესიო ქონებით. ამ ქონებას ისინი ხმარობდნენ, განაგებდნენ და იყენებდნენ თავიანთი სურვილისა და საჭიროების მიხედვით. ამის გამო, ტაძრები და ეკლესიები უფრო მეტად იყვნენ დაკავებული თავიანთი სამეურნეო საკითხების ხელმძღვანელობით, მოგვარებით და ზრდით, ვიდრე საკუთრივ ღმერთისა და ზეცის საქმეებით.

მონათმფლობელობის დროს ტაძრებისა და ეკლესიების მეურნეობას ამუშავებდნენ მონები, ფეოდალიზმის დროს კი ყმა-გლეხები. ასე, მაგალითად, XII საუკუნეში (ძვ. წელთაღრიცხვით) ეგვიპტის ფარაონმა რამზეს V ამონის ტაძარს გაუფორმა 86.486 შეწირული მონა [1]. რა თქმა უნდა, ამონის ტაძარს ჰყავდა სხვა მონებიც. პეტრე დიდის დროს რუსეთის ეკლესიას ჰყავდა 752.000-ზე მეტი ყმა-გლეხი, ხოლო ეკატერინე II დროს კი — თითქმის ერთ მილიონამდე [2]. კაპიტალიზმის დროს კი ეკლესია თავის მეურნეობას ეწევა დაქირავებული მუშების ექსპლოატაციის გზით.

ეს ტაძრები და ეკლესიები მონებს, ყმებს და დაქირავებულ მუშებს უფრო მეტ ექსპლოატაციას უწევდნენ, ვიდრე საერო პირები მათ ხელქვეით ქონებს, ყმებს და მუშებს. ეხება რა ეკლესიის ზედაფენების მიერ გლეხთა ექსპლოატაციას, ენგელსი წერს: „ისინი თავიანთ ქვეშევრდომთ არათუ შეუბრალებლად ყულეფდნენ თავადაზნაურობისა და მთავრების მსგავსად, კიდევ უფრო ურცხვად იქცეოდნენ. ტლანქი ძალმომრეობის გვერდით ისინი იყენებდნენ სარწმუნოების ყველა მზაკვრობას, ტანჯვა-წვალების მუქარის გვერდით შეჩვენებისა და ცოდვათა განტევებაზე უარის თქმის მუქარას, სააღსარებოს ყველა ინტრიგას, რათა ქვეშევრდომთათვის უკანასკნელი გროში წაეგლიჯათ“ [3].

---

[1] Хрестоматия по истории древнего мира, 1950, ტ. I, გვ. 110.

[2] Антирелигиозный учебник, 1941, გვ. 359.

[3] ფ. ენგელსი, გლეხთა ომი გერმანიაში, გვ. 32.

ტაძრები და ეკლესიები უდიდეს შემოსავალს იღებდნენ არა მარტო ამ ველურ ექსპლოატაციაზე დამყარებულ საკუთარ მეურნეობიდან, არამედ მათ გააჩნდათ შემოსავლის სხვა წყაროებიც. ერთ-ერთ ასეთ წყაროს წარმოადგენდა შეწირვები. შეწირვები დამახასიათებელია ყველა რელიგიისათვის და იგი დამყარებულია პრინციპზე: „do ut des („მე გაძლევ შენ, იმიტომ, რომ შენც მომცე მე“). ერთი სიტყვით, მორწმუნე ადამიანი, როგორც ეს აღნიშნული იყო ზემოთ (გვ. 32), იმიტომ აძლევს ტაძარს ან ეკლესიას შეწირულების სახით რაიმე მატერიალურ ღირებულებას, სწირავს მსხვერპლს ღმერთს, რომ ამით გამოხატოს თავისი პატივისცემა ღმერთისადმი, მოიგოს მისი გული და „აიძულოს“ ღმერთი, რომ მის პატივისმცემელ ადამიანს გაუწიოს სათანადო დახმარება, როდესაც ამის საჭიროება მას (ადამიანს) შეექმნება. ამავე დროს, ამ თავისებური ურთიერთობის უტილიტარიზმში „ავანსის“ გამცემის როლში ადამიანი გამოდის, და ამ „ავანსისათვის“ იგი მომავალში მოელის ღმერთისაგან დახმარებას.

ყველა რელიგიური სისტემის სასულიერო წოდება ძალუმ ბერკეტად იყენებდა „do ut des“-ს პრინციპს მორწმუნეებში მსხვერპლის შეწირვის ჩვეულების გაძლიერებისა და მათ მიერ ტაძრებისა და ეკლესიებისათვის რაიმე ქონების უფრო მეტი რაოდენობით გადაცემისათვის. ამავე დროს, ისინი მორწმუნეებს უქადაგებდნენ, რომ ამ შეწირულებისა და მსხვერპლისათვის ღმერთი მათ გაუუქმებდა ჩადენილ ცოდვებს და ამით გაუხსნიდა გზას სამოთხეში შესასვლელად. მსხვერპლის შეწირვა აჩანაგებდა ხალხს და ამდიდრებდა ტაძრებსა და ეკლესიებს, საერთოდ სასულიერო წოდებას.

ძველ ჩინეთში კონფუცის მიმდევრები მას მსხვერპლს სწირავდნენ მეტად დიდი რაოდენობით (იხ. გვ. 32). ძველი ბაბილონის ქ. ურუკში აგებული ღმერთ ანუს სახელობის ტაძარს კი ყოველდღიურად სწირავდნენ 50 ცხვარს, 2 ხარს, 1 მოზვერს, 4 გარეულ ღორს, 8 ბატკანს.

ძველად მთელ რიგ რელიგიებში წესად იყო შემოღებული რაიმე დიდი გაჭირვების დროს ადამიანის მსხვერპლად შეწირვის ჩვეულებაც. „ბიბლიის“ გადმოცემით აბრამმა შესწი-

რა თავისი შვილი ისაკი. საკუთარი შვილი შესწირა ღმერთს მსხვერპლად მოავას მეფემ მეშამაც.

გაბატონებული კლასები, ხედავდნენ რა რელიგიაში თავიანთ ძალუმ იდეოლოგიურ დასაყრდენს, ყოველნაირად ეხმარებოდნენ ტაძრებსა და ეკლესიებს მათი ეკონომიური ძლიერების განმტკიცებაში, რადგან ეკონომიურად სუსტი ტაძრები და ეკლესიები ვერ გახდებოდნენ საზოგადოებაზე იდეოლოგიურად ძლიერი გავლენის მატარებელ ფაქტორებად. ამ გარემოებით აიხსნება, რომ, დაწყებული უძველესი დროიდან დღემდე, გაბატონებული კლასები შეწირვების სახით პირდაპირ მატერიალურ დახმარებას უწევენ ტაძრებსა და ეკლესიებს. ასე, მაგალითად, ეგვიპტის ფარაონმა რამზეს V, ჩვენს მიერ ზემოთ აღნიშნულ 86.486 მონის გარდა, ამონის ტაძარს გაუფორმა შეწირულების სახით 421.362 მსხვილფეხა საქონელი, 433 ბაღი და ჭალა, 864.168 $^1/_4$ არური სახნავი მიწები, 83 საზღვაო გემი, 46 ნავსაშენი, 65 ქალაქი [1].

რომის იმპერატორმა ავგუსტუსმა რომის ერთ-ერთ ტაძარს შესწირა 5.000 კგ. ოქრო და 10 მილიონამდე ღირებული ძვირფასი სამკაულები. პლუტარქეს გადმოცემით, რომში მარტო ერთი ტაძრის ასაგებად დახარჯულა 60 მილიონი, ხოლო კონსტანტინოპოლში იუსტინიანეს დროს წმიდა სოფიას ტაძრის ასაგებად — იმ დროისათვის ზღაპრული თანხა — 361 მილიონი მანეთი [2].

დიდძალი ქონება ჰქონდა რუსეთის ეკლესიასაც. 1903 წ. ლენინი წერდა, რომ რუსეთის „ეკლესიებს და მონასტრებს აქვთ 6 მილიონამდე დესეტინა მიწა. ჩვენი ხუცები გლეხებს უანგარობასა და თავშეკავებას უქადაგებდნენ, თვითონ კი სწორი თუ მრუდე გზით უამრავი მიწა ჩაიგდეს ხელში“ [3].

1920 წელს ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამოყოფის დეკრეტის საფუძველზე, იუსტიციის სახალხო კომისარიატმა, უკრაინის, ციმბირის და კავკასიის გამოკლებით (იქ მოგვიანებით გატარდა ეს დეკრეტი), საეკლესიო მიწები და აგრეთვე

---

[1] Хрестоматия по истории древнего мира, 1950, ტ. I, გვ. 110.

[2] Книга для чтения по истории средних веков, ნაწ. I, 1948, გვ. 59.

[3] ლენინი, ტ. 6, გვ. 466.

ფულად 7.150.000.000 მანეთი, 84 ქარხანა, 436 სარძეო ფერმა და სხვა დიდძალი სიმდიდრე ჩამოართვა ეკლესიას და სახელმწიფოს განკარგულებაში გადასცა.

ეკლესიის სიმდიდრემ განსაკუთრებულ სიძლიერეს კათოლიკურ ქვეყნებში მიაღწია, სადაც მან შეძლო უფრო მეტი ქონების დაგროვება, ვიდრე ეს ჰქონდათ აღმოსავლეთის ქრისტიანულ, ანდა წარმართული ქვეყნების ეკლესიებსა და ტაძრებს. 1509—1529 წლებში ინგლისის ეკლესიას ეკუთვნოდა ინგლისის მთელი ნაციონალური სიმდიდრის ერთი მეხუთედი [1]. ეხება რა დასავლეთ ევროპის ქვეყნებს, რომელთაც რელიგიის სფეროში კათოლიციზმი აკავშირებდათ, 1887 წელს სტატიაში „იურიდიული სოციალიზმი“ ენგელსი წერდა: „ეს თეოლოგიური გაერთიანება იყო არა მარტო იდეალური. იგი სინამდვილეში არსებობდა არა მხოლოდ პაპის სახით, როგორც თავის, მონარქიული ცენტრისა, არამედ, უპირველეს ყოვლისა, როგორც ფეოდალურ და იერარქიულ საწყისებზე ორგანიზებული ეკლესია, რომელიც თვითეულ ქვეყანაში ჰფლობდა დაახლოებით მთელი მიწების ერთ მესამედს და ამიტომ წარმოადგენდა ფეოდალური ორგანიზაციის მსხვილ ძალას“ [2].

მარტო ერთი ეს ფაქტი — მიწების უდიდესი ნაწილის თავმოყრა კათოლიკური ეკლესიის ხელში — საკმაოდ მჭერმეტყველებს მის ეკონომიურ სიძლიერეზე. გარდა ამისა, კათოლიკური ეკლესია აუარებელ სიმდიდრეს აგროვებდა შეწირულებებიდან და გადასახადებიდან. მის სასარგებლოდ დაწესებული იყო მეტად დიდი და მძიმე სპეციალური საეკლესიო გადასახადი ე. წ. „მეათედი“. 1175 წ. ლონდონის საეკლესიო კრებამ მიიღო დადგენილება, რომ, ვინც არ გადაიხდის თავისი ყოველგვარი შემოსავლის ერთ მეათედ ნაწილს („მეათედს“), იგი შეჩვენებული იქნებაო. „ყოველი მეათედი მიწის (მოსავლის — **ფ. ა.**), როგორც მარცვლეულის, ასევე ნაყოფის,— ვკითხულობთ ამ დადგენილებაში,—ეკუთვნის უფალს და მას

---

[1] Ф. Каутский, Религия раннего капитализма, 1931, გვ. 180.

[2] К. Маркс и Ф. Энгельс, თხზ., ტ. XVI, ნაწ. I, გვ. 295.

მიეძღვნება. მაგრამ, რადგანაც მოიპოვებიან მრავალნი, რომელთაც არ სურთ მეათედის გადახდა, ვადგენთ, რომ მათ, ბატონ პაპის განკარგულების თანახმად, შეეგონოთ ერთხელ, ორჯერ და სამჯერ, რომ გადაიხადონ მეათედი მარცვლეულიდან, ღვინიდან, ხის ნაყოფიდან, ცხოველთა ნამატიდან, ბატკნებიდან, ყველიდან, სელიდან და სხვათაგან, რაც იწარმოება ყოველწლიურად. თუ ისინი არ გამოსწორდებიან შეგონების შემდეგ, დაე იცოდნენ, რომ დაისჯებიან ანათემით"[1].

კათოლიკური ეკლესია სასტიკ იმუნიტეტს იცავდა საეკლესიო ქონების ყოველგარ ხელყოფაზე. ზოგჯერ თხოვნით და ზოგჯერ დაშინებით ცდილობდა გადასახადებისაგან მის განთავისუფლებას. ასე, მაგალითად, მე-18 საუკუნის 40-იან წლებში სპარსეთის შახმა თამაზ ყული ხანმა რომის პაპის თხოვნით საქართველოში არსებული სამი კათოლიკური ეკლესია და მონასტერი გაათავისუფლა გადასახადისაგან.[2] ამაზე უფრო ადრე, 1215 წელს ლატერანიის საეკლესიო კრებამ დაადგინა—ხელისუფლების ის წარმომადგენელნი, რომელნიც შეეცდებოდნენ ეკლესიის ქონებაზე და ეკლესიის მსახურებზე გადასახადების დადებას, შერისხული იქნებოდნენ და გადაეცემოდნენ ანათემას. ამავე საეკლესიო კრებამ დაადგინა, რომ ყოველ სხვა გადასახადებზე უწინ ჯერ „მეათედი" უნდა ყოფილიყო გადახდილი.

კათოლიკური ეკლესია საკმაო გადასახადს იღებდა დამარხვის, მონათლის, ჯვარის დაწერის, ანდერძის და სხვა ამგვარი „მომსახურეობისათვის", აგრეთვე ძღვენის სახით. ასეთ ძღვენებს ვატიკანს ზოგჯერ შორეული ქვეყნების მეფეებიც კი უგზავნიდნენ. ასე, მაგალითად, საქართველოს მეფემ კონსტანტინე III 1495 წელს ძღვენი გაუგზავნა რომის პაპს ალექსანდრე VI[3]. ეკლესიის ხელში გადადიოდა აგრეთვე შერისხულ ერეტიკოსთა ქონება.

ინდულგენციებით, ცემით ცოდვების გამოსყიდვით, „წმიდა ნაწილებით" და „სასწაულებით" კათოლიკური ეკლესიის

[1] Хрестоматия по истории средних веков, ტ. II, გვ. 265.

[2] მღვდელი მიქელ თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შოროის, 1902, გვ. 348.

[3] იქვე, გვ. 64.

მიერ გაჩაღებულ ვაჭრობაზე, როგორც მისი შემოსავლის წყაროთა გარკვეულ დარგებზე, ქვემოთ გვექნება ლაპარაკი. ზემოთ მოყვანილი ფაქტებიდანაც ცხადია, თუ რა უდიდეს ქონებას ფლობდა კათოლიკური ეკლესია შუა საუკუნეებში.

კათოლიკური ეკლესია მეტად დიდძალ ქონებას ფლობს კაპიტალიზმის დროსაც. კაპიტალიზმის ეპოქაში კათოლიკურმა ეკლესიამ დროის შესაბამისად იცვალა სახე, თავისი მეურნეობა კაპიტალისტურ რელსებზე გადაიყვანა და თავისი ღმერთებიც ახალი, გაბატონებული კლასის, ბურჟუაზიული კლასის სამსახურში ჩააყენა. კათოლიკური ეკლესიის საერთაშორისო ცენტრმა, ვატიკანმა და მისმა უმაღლესმა მეთაურებმა რომის პაპებმა, ბურჟუაზიული ეპოქის დასაწყისთან ერთად, დაიწყეს შუა საუკუნეების განმავლობაში დაგროვილი უდიდესი საეკლესიო ქონების ძირითადი ნაწილის კაპიტალად გადაქცევა და მრეწველობაში დაბანდება დაქირავებული შრომის ექსპლოატაციის გზით მისი გაზრდისათვის. ამჟამად, წერს ისტორიკოსი შეინმანი, პრესის მონაცემების მიხედვით, ვატიკანის კაპიტალიდან ამერიკის შეერთებული შტატების სხვადასხვა საწარმოებში და ბანკებში დაბანდებულია 35 მილიარდი ფრანკი, სხვა ქვეყნების საწარმოებში კი—60 მილიარდი. „ვატიკანის კაპიტალი დაბანდებულია საფრანგეთის საფეიქრო მრეწველობაში, არგენტინის კომუნალურ (ტრამვაი, გაზი, ელექტროსადგურები და ა. შ.) დაწესებულებებში, ბოლივიის კალის საბადოებში და ბრაზილიის რეზინის საწარმოებში, იტალიის, ესპანეთის და სხვა ქვეყნების მრეწველობაში“ [1].

ვატიკანს დიდძალი კაპიტალი აქვს დაბანდებული სამთო წარმოებასა და სამხედრო მრეწველობაშიც, სადაც „მიწაზე ქრისტეს მოადგილის“ (რომის პაპის) თანხებით მზადდებოდა წინათ და მზადდება ახლაც თვითმფრინავები, ზარბაზნები, ყუმბარები და სხვა საომარი იარაღები [2].

---

[1] М. М. Шейнман, Ватикан и католицизм на службе империализма, 1950, გვ. 5.

[2] М. М. Шейнман, Краткие очерки истории папства, 1952, გვ. 124.

საკუთრივ იტალიაში ვატიკანმა თავის ხელში მოიგდო ქვეყნის მთელი ფინანსების დიდი ნაწილი. ამის შესახებ ფრანგი კომუნისტი გაროდი წერდა: „ფაქტიურად იტალიის მთელი ფინანსური სისტემა ვატიკანის ხელში, ან მისი კონტროლის ქვეშ იმყოფება. 40 ცენტრალური ბანკისა და ასეულობით სახალხო ბანკების საშუალებით ვატიკანს თავის ხელთ უპყრია იტალიის ნაციონალური დაზოგვის 600 მილიარდიდან—400 მილიარდი“ [1]. ვატიკანის გავლენის ქვეშ მოქცეულია „რომის ბანკი“ („Banco di Roma“).

ვატიკანის და საერთოდ კათოლიკური ეკლესიის ზედაფენების კაპიტალის ხვედრითი წონა მეტად დიდია საკუთრივ იტალიის მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში. ეს კაპიტალი აქ უმთავრესად დაბანდებულია ელექტრომრეწველობაში, ავიაციაში, დაზგათმშენებლობაში, კვებისა და ქიმიურ მრეწველობაში, საალმშენებლო საწარმოებში, სამხედრო ქარხნებში, რკინიგზის ტრანსპორტზე, რომისა და იტალიის სხვა ქალაქების კომუნალურ მეურნეობაში და ა. შ. საერთო ჯამით კათოლიკური ზედაფენების ეს კაპიტალდაბანდება იტალიის მრეწველობაში აჭარბებს 550 მილიარდ ლირს. კათოლიკურ ეკლესიას იტალიაში ეკუთვნის 250.000 ჰექტარი მიწა.

ვატიკანს საკმაოდ მტკიცედ აქვს ფეხი მოკიდებული იტალიის კულტურულ დაწესებულებებსა და პრესაშიაც. კათოლიკური ეკლესიისათვის კადრების მოსამზადებლად მარტო რომში მას გახსნილი აქვს ოცდაათამდე სასულიერო და ხუთმეტამდე კი საბერმონაზნო ორდენთა ინსტიტუტი, აგრეთვე ათზე მეტი საღვთისმეტყველო ფილოსოფიური და ლიტერატურული დარგის აკადემია და ათეული სემინარიები, სადაც მრავალი სხვადასხვა ერის წარმომადგენლები ძირითადად შპიონაჟსა და დივერსიებში, დამატებით კი „ქრისტეს მოძღვრებაში“, იწვრთნებიან. ვატიკანს აქვს თავისი „მეცნიერებათა აკადემია“, რომელიც გულმოდგინედ ეწევა მეცნიერების გაყალბებას რელიგიის სასარგებლოდ. ვატიკანი

[1] М. М. Шонимман, Краткие очерки истории папства, 1952, გვ. 123.

ბეჭდავს მთელ რიგ ჟურნალებს, გაზეთებს და წიგნებსაც. ვატიკანის ბიბლიოთეკა არა მარტო ყველაზე ძველი ბიბლიოთეკაა მსოფლიოში, რომელიც ათასი წლების მანძილზე იქმნებოდა, არამედ ყველაზე მდიდარიცაა უნიკალური წიგნებითა და ხელნაწერებით. ვატიკანს აქვს აგრეთვე სურათების უმდიდრესი გალერეა (პინაკოტეკა), რომელშიაც მრავალი ისეთი ფასდაუდებელი განძია, როგორიცაა მაგალითად მიქელ-ანჯელოს და რაფაელის ყალმით შესრულებული სურათები.

ვატიკანს დიდი შემოსავალი აქვს ე. წ. „წმიდა პეტრეს წვლილის“ სახელით ცნობილი გადასახადიდან, რომელსაც იგი პაპის სასარგებლოდ რეგულარულად აგროვებს მსოფლიოს ყველა კათოლიკურ ქვეყანაში, და რომელიც ზოგიერთი ექსპერტის აზრით აღწევს ათეულ, ხოლო სხვების ვარაუდით კი ასეულ მილიონობით ლირსაც კი. ვატიკანი გარკვეულ შემოსავალს იღებს აგრეთვე თავისი საკუთარი საფოსტო მარკების გაყიდვიდანაც [1].

ვატიკანი საკმაოდ დიდ შემოსავალს იღებს ვაჭრობიდანაც. აღსანიშნავია, რომ, ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში ვაჭრობასა და წარმოებაში მეტი მოგების გულისათვის ვატიკანი მეტად უსირცხვილოდ და ბოროტად იყენებდა ღმერთის სახელს და რელიგიაში თავის პრივილეგიურ მდგომარეობას. ასე, მაგალითად, 1461 წელს როდესაც პაპის სახელმწიფოს ტერიტორიაზე (ტოლფეში) აღმოჩნდა დიდი რაოდენობით მინერალები (შაბი), პაპმა პიუს II 1463 წელს გამოაცხადა, რომ შაბის გაჩენა პაპის სამფლობელოს ტერიტორიაზე მოწმობს ღვთაების უდიდეს მოწყალებასო. ამ დრომდე შაბი ევროპის ქვეყნებში უმთავრესად თურქეთიდან შეჰქონდათ, ამის გამო პაპი აცხადებდა, რომ ღმერთმა თურქებთან, როგორც ურწმუნოებთან, შაბით ვაჭრობა არასასურველად მიიჩნია და მათგან თავდასახსნელად საკუთარ ტერიტორიაზე გაგვიჩინა იგიო. ამიტომ, აცხადებდა შემდეგ პაპი, ქრისტიანებმა არასოდეს არ უნდა იყიდონ შაბი თურქებისა ან სხვა ურწმუნოებისაგან-ო.

---

[1] Б. Е. Штейн, Дипломатия Ватикана, გვ. 7.

პაპმა შაბის მოპოვების და გაყიდვის უფლება ბანკირ მედიჩს გადასცა და თვითონ ხელშეკრულების მიხედვით თითოეულ ტონა მოპოვებულ და გაყიდულ შაბზე გარკვეულ თანხას ღებულობდა, რაც წლიურად 100—140 ათას დუკატს აღწევდა. პაპის ამ მუქთ შემოსავალს საფრთხეს უქმნიდა თურქეთის შაბი, რომელიც უფრო იაფად იყიდებოდა. თურქეთის შაბის სიიაფის გამო, პაპის გაფრთხილების მიუხედავად, თურქებთან ვაჭრობა არ შეწყვიტეს ქრისტიანებმა. ამიტომ 1465 წელს პაპმა პაველ II გამოსცა ანათემა, რომელიც ქრისტიანებს უკვე ოფიციალურად უკრძალავდა თურქეთთან შაბით ვაჭრობას. „ის პირები, — ნათქვამია ანათემაში, — როგორც საერო ისე სასულიერონი, მათ რიცხვში არქიეპისკოპოსები, ეპისკოპოსები, პატრიარქები, იმპერატორები, მეფეები, ჰერცოგები და სხვანი, რომელნიც დაარღვევენ პაპის განკარგულებას, დაისჯებიან შერისხვით, ანათემით და მუდმივი დაწყევლით“[1].

1506 წელს პაპი იულის II იძულებული იყო სპეციალური ენციკლიკით (რომის პაპისადმი დაქვემდებარებული ყველა ეკლესიისადმი მიმართვით) კვლავ გაეფრთხილებინა ქრისტიანები, რომ მათ არ ევაჭრათ შაბით ურწმუნო თურქებთან. წინააღმდეგ შემთხვევაში, პაპი მათ ემუქრებოდა არა მარტო ანათემაზე გადაცემით, არამედ თანამდებობათა დაკავებისა და ანდერძის გაცემის უფლების აღკვეთითაც. რომის პაპები ქრისტიანებს თურქებთან ვაჭრობას „ცოდვის“ ჩადენად უთვლიდნენ, თვითონ კი პირადად ერეოდნენ თურქეთის სამეფო ტახტის დინასტიურ ინტრიგებში და, სულთანის დუკატებით მოსყიდულნი, ხოცავდნენ რომში თავშეფარებულ თურქეთის ტახტის პრეტენდენტებს. ამგვარად, ვატიკანის დამოკიდებულებას თურქეთთან საფუძვლად ედო არა რწმენისა და ღმერთის პრინციპი, არამედ ფულისა და სარგებლობის პრინციპი. ამ პრინციპით და ყველა შესაძლებელი ბინძური გზით აგროვებდა და აგროვებს ვატიკანი იმ უდიდეს სიმდიდრეს, რომელიც ასეულ მილიარდებში გამოიხატება.

---

[1] М. М. Шенман, Краткие очерки истории папства, გვ. 37.

აღსანიშნავია, რომ თვითონ ვატიკანის მისიონერებიც უცხო ქვეყნებში მოღვაწეობის დროს არა ნაკლებ იყვნენ დაინტერესებული ქონების შეძენით, ვაჭრობით და მევახშეობით, ვიდრე კათოლიკური სარწმუნოების გავრცელებით. 1635 წელს პაპის გაქნილმა მისიონერმა ავიტა-ბოლმა საქართველოში გამოგზავნილი მისიონერების ახალ პარტიას პირდაპირ ჩაუწერა ინსტრუქციაში, რომ, თქვენ იქ უნდა შეიძინოთ ცხენები, მსახურნი, მონები, დაიწყოთ ვაჭრობა და გასცეთ ფული პროცენტებითო[1]. მართლაც, პაპის მისიონერებმა თბილისში, გორში, ქუთაისში, ახალციხეში და საქართველოს სხვა კუთხეებში მნიშვნელოვანი რაოდენობით იგდეს ხელთ ბაღები, ვენახები, სახნავ-სათიბი მიწები. მარტო თბილისში მათ ათეულობით სავაჭრო დუქნები ჰქონდათ გახსნილი. ფართოდ ეწეოდნენ აგრეთვე პროცენტებით ფულის გასესხებასაც[2]. ჰყავდათ აგრეთვე ქართველი გლეხები ყმებად[3]. ყოველივე ამის შემდეგ ცხადია, თუ რა ფასი აქვს რომის პაპის იოანე XXII განცხადებას, როდესაც ის 1321 წელს საქართველოს მეფე გიორგი ბრწყინვალეს სწერდა, რომ რომის პაპები სრულიად არ არიან დაინტერესებულნი უცხო ქვეყნებში ქონების შეძენითო. „უწყოდეთ,—სწერდა პაპი გიორგის,—რომ სრულებით არ ვეძებთ თქვენს ქონებას, არამედ აზრად გვაქვს მხოლოდ თქვენი სულის ცხონება“[4].

ვატიკანის სიმდიდრე, რომელსაც, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ქრისტეს, მისი მოციქულების—პეტრესა და პავლეს და ღარიბი მორწმუნეების სახელით აგროვებენ, თითქოსდა ამ უკანასკნელთათვის დასახმარებლად, ნამდვილად ხმარდება მეტად არაკეთილ და არასაქველმოქმედო საქმეებს—ომისა და ხალხთა ექსპლოატაციის საომარი იარაღების წარმოებას. ამ გაჟირვებულ მორწმუნეებს ექსპლოატაციის მიზნით მხოლოდ სიმდიდრის ზრდისთვის იყენებენ და იქიდან მათ არათუ

---

[1] Православная Богословская Энциклопедия, 1908, т. IX, გვ. 228.

[2] მღვდელი მიქელ თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, 1902, გვ. 508—519.

[3] იქვე, გვ. 41.

[4] იქვე, გვ. 30.

მოწყალების სახით არაფერს აძლევენ, არამედ მკაცრ ექსპლოატაციასაც უწევენ, რადგანაც ყოველგვარი და, მაშასადამე, ვატიკანის კაპიტალიც ექსპლოატაციის გარეშე, როგორც მარქსი იტყოდა, ერთი ფენიგითაც ვერ გაიზრდება, თუნდაც იმავე ქრისტეს „მეორედ მოსვლამდეც“ იყოს შენახული.

სამაგიეროდ ამ სიმდიდრის უდიდეს ნაწილს ისაკუთრებენ და ფლანგაენ, ფუფუნებაში იხრჩობიან და გარყვნილ ცხოვრებას ეწევიან კათოლიკური ეკლესიის ზედაფენები: პაპები, კარდინალები, არქიეპისკოპოსები, ეპისკოპოსები, მათთან ახლო მდგომი სხვა სასულიერო პირები და აგრეთვე გაქნილი კომერსანტები და სპეკულანტები საერო პირთაგან. არათუ მარტო მათ, არამედ დიდი ხნის წინათ მათმა შორეულმა წინაპრებმაც დაივიწყეს ქრისტე და პლუტოსი[1] იწამეს. შუა საუკუნეებში რომის ერთ-ერთი პაპი ამბობდა: ზღაპარმა ქრისტეს შესახებ კათოლიკურ ეკლესიას საკმაო ქონება შესძინაო. ახლა მათთვის აღარ იყო საჭირო საკუთარი თავის დაჯერება ამ ზღაპარში, არამედ ანგარების და გამოძალვის მიზნით, მხოლოდ სხვისი დაჯერება და, პოლიტიკური ეკონომიის კანონის წინააღმდეგ, არავითარი ეკვივალენტის შემცველი ქრისტეს მითის ოქროზე გადაცვლა.

შუა საუკუნეების შემდეგ, როდესაც რომის ზოგიერთი პაპიც კი ქრისტეს ამბავს ზღაპრად მიიჩნევდა, ბევრმა წყალმა ჩაიარა. მასების საერთო კულტურული დონის აწევის, ორთქლის მანქანის, ელექტრონის, შიდაწვის ძრავის, რკინიგზების, რადიოს, თვითმფრინავის, ატომის ენერგიის გამოყენების, მარქსიზმისა და საბჭოთა ხელისუფლების წარმოქმნის ფაქტებს, რა თქმა უნდა, არ შეიძლებოდა არ ემოქმედათ საერთოდ რელიგიური რწმენისა და მისი კლასობრივი დაკვეთის გამოვლენასა და დასუსტებაზე. ამიტომ ახლანდელი რომის პაპები და მთელი კათოლიკური ზედაფენები კიდევ უფრო ნაკლებად არიან დარწმუნებული თავიანთი მოძღვრების ჭეშმარიტებაში, ვიდრე მათი წინაპრები. მიუხედავად ამისა, ისინი, სასულიერო პირთა მთელი თავიანთი არმიით,

---

[1] პლუტოსი ძველ საბერძნეთში სიმდიდრის ღმერთი იყო.

უფრო მეტი მონდომებით და გაბოროტებით ეწევიან კათოლიკური რელიგიის დოგმების პროპაგანდას, რადგან ამ დოგმებსა და ქრისტეს მირაჟს მათთვის მოაქვთ მეტად გემრიელი ლირები და ფრანკები, დოლარები და სტერლინგები.

კათოლიკური ეკლესიის ზედაფენები მსხვილ კაპიტალისტებად ხდებიან, რის გამოც მათთვის მისაწვდომი ხდება ყველა ამქვეყნიური სიტკბოება და სიამე. სწორედ ამის გამო მათ რელიგიის პროპაგანდის საქმე მიანდეს თავიანთ ხელქვეით არმიას და თვითონ კმაყოფილდებიან „სახელმძღვანელო მითითებების“ მიცემით, კერძოდ, თუ ქრისტეს სახელით საით და როგორ უნდა იქნეს მიცემული რელიგიური ცეცხლი, როდესაც საკითხი ეხება საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ ჯვაროსნული ლაშქრობის მოწყობას, ახალი ომისათვის მზადებას და ა. შ.

კათოლიკური ზედაფენები თვითონ არათუ ვეღარ იცლიან, არამედ არც უნდათ მოიცალონ მარტვილობისა და სხეულის გვემის, სამოთხისა და ზეცის შესახებ ამაო ფიქრისათვის. საკუთარ ჯიბეში ჩასაყრელ დოლარების გაზრდაზე ზრუნვას მიაქვს მთელი მათი დრო. სხვაგვარად კარდინალი ანტონელი, რომელიც პაპ გრიგოლ XVI დროს (1831—1846 წწ.) ცხოვრობდა, ვერ შეძლებდა დაეგროვებინა პირად საკუთრებაში 100 მილიონი ფრანკის ქონება, რომელთაგან 30 მილიონი ბრილიანტები და სხვა ძვირფასი სამკაულები იყო [1]. რომის ახლანდელ პაპს პიუს XII, რომელიც ამერიკის იმპერიალიზმის ლაქიაა, პირადად აქვს სამი მილიარდი დოლარის ქონება. მის ძმისშვილებს, თავად დჟულიო პაჩელს და მარკ ანტონიოს პაჩელს, მეტად დიდი თანამდებობანი უკავიათ ვატიკანში ფინანსური ოლიგარქიის და „ქრისტეს სამსახურის“ ხაზით.

ამერიკაში, სადაც კათოლიკების რიცხვი შედარებით მცირეა, თვითონ კათოლიკური ეკლესია ეკონომიურად საკმაოდ ძლიერია. აშშ კათოლიკურ ეკლესიას აქვს 4 მილიარდი დოლარის სიმდიდრე. აქედან დიდი ნაწილი დაბანდებულია

[1] М. М. Шепиман, Краткие очерки истории папства, გვ. 103.

მრეწველობაში, მათ შორის სამხედრო მრეწველობაში. ყოველწლიურად ამერიკის კათოლიკური ეკლესია მოგების სახით რამდენიმე ასეულ მილიონ დოლარს ღებულობს.

კათოლიკურ ეკლესიას დიდძალი სიმდიდრე აქვს დაგროვილი აგრეთვე ევროპის თითქმის ყველა ქვეყანაში: გერმანიაში, საფრანგეთში, ესპანეთში, ინგლისში, ბელგიაში, ჰოლანდიაში, ლუქსემბურგში და სხვა. ზემოთ მოყვანილი ფაქტები ვატიკანისა და საერთოდ კათოლიკური ეკლესიის სიმდიდრის შესახებ იმას ამტკიცებს, რომ „ქრისტეს ვატიკანელი მსახურები“ უფრო მეტად და უფრო დიდი გულმოდგინებით ემსახურებიან ფულს და საერთოდ კაპიტალის დაგროვებას, ვიდრე თვით ქრისტეს მოძღვრებას, რომელსაც ისინი მხოლოდ იმდენად სცემენ „პატივს“, რამდენადაც ეს „ზღაპარი“ ეხმარება მათ კაპიტალის დაგროვებასა და რევოლუციისა და პროგრესის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ერთი სიტყვით, ვატიკანი წარმოადგენს ქრისტეს რელიგიურ სამოსელში გახვეულ მსხვილ კაპიტალისტურ საწარმოს, რომელსაც ეს რელიგიური საბურველი „საერო კაპიტალთან“ შედარებით უკეთეს პირობებს უქმნის საკუთარი ზრდისათვის და სხვადასხვა შეწირულებებისა და საეკლესიო გადასახადების სახით უქმნის მას შემოსავლის დამატებით წყაროებს. ამავე დროს ღმერთის სახელით შექმნილი ვატიკანის ეს კაპიტალი, თუ შეიძლება ასე ითქვას, ყველაზე უფრო „უღვთო“ გზებით არის დაგროვილი. კერძოდ, ვატიკანის სიმდიდრე შუა საუკუნეებში იქმნებოდა არა მარტო მშრომელთა და ექსპლოატირებულთა ოფლითა და სისხლით, არამედ აგრეთვე მათი რწმენისა და სინდისის ვაჭრობითაც, რომლის განხილვაზედაც ჩვენ ახლა გადავდივართ.

ვატიკანი. ცემით ცოდვების გამოსყიდვა და სამოთხის ბილეთებით (ინდულგენციებით) ვაჭრობა

რომის პაპების ზნეობრივი გათახსირება, მათი ესოდენ უსაზღვრო სიხარბე ოქროსადმი და მისი მოპოვებისათვის არჩეული ბინძური გზები ყველაზე ნათლად ჩანს „ცემით ცოდვების გამოსყიდვისა“ და ინდულგენციების საკითხში. მარქსი წერდა, რომ ბურჟუაზიამ ზნეობა უკიდურესობამდე გაათახსირა, ვინაიდან „ეს ის დროა, როდესაც ისეთი ნივთებიც კი, რომელსაც მანამდე ადამიანები ერთმანეთს აცნობებდნენ კი, მაგრამ არასოდეს არ ცვლიდნენ, გასცემდნენ კი, მაგრამ არასოდეს არ ჰყიდდნენ, მოიპოვებდნენ კი, მაგრამ არასოდეს არ ყიდულობდნენ: სათნოება, სიყვარული, რწმენა, ცოდნა, სინდისი და სხვა. — ერთი სიტყვით, ყველაფერი ვაჭრობის საგანი შეიქნა. ეს არის დრო საერთო გათახსირების, საყოველთაო გასასყიდობისა, ანუ თუ პოლიტიკური ეკონომიის ენით ვიტყვით,—დრო, როდესაც ყოველი ნივთი, ზნეობრივია იგი თუ ფიზიკური, ბაზარზე გაიტანება როგორც სავაჭრო ღირებულება“ [1].

კათოლიკური ეკლესიისა და რომის პაპების „სასახელოდ“ უნდა ითქვას, რომ მათ აშკარად, შეუნიღბავი ფორმით, ჯერ კიდევ XI—XII საუკუნიდან ცემით ცოდვების გამოსყიდვის შემოღებით, დაიწყეს რწმენის, სინდისისა და სათნოების გაყიდვა. შემდეგ, რომის პაპ ინოკენტი III დროს (1198 — 1216 წწ.), ინდულგენციებით ვაჭრობის ფართო მასშტაბით შემოღებით, რომლითაც კიდევ უფრო მეტად ხდებოდა ამ უსხეულო და თვალით დაუნახავი საგნების გაყიდვა, მათ კიდევ უფრო მეტად გაათახსირეს ზნეობა და ამით ერთგვარად შეამზადეს ტრადიცია მორალის და რწმენის ვაჭრობის საგნად გადაქცევისა და მისი გათახსირებისათვის,

[1] კ. მარქსი, ფილოსოფიის სიღატაკე, გვ. 69.

რომელმაც თავის კულმინაციურ გაფურჩქვნას ბურჟუაზიის ხელში მიაღწია.

ოქროს დაგროვების მიზნით კათოლიკური ეკლესიის მიერ ვაჭრობის ამ ახალი საგნების აღმოჩენა, მისთვის მეტად ხელსაყრელი კომერცია იყო, რადგანაც ფაქტიურად იგი პოლიტიკური ეკონომიის კანონების დარღვევით წარმოებდა და ბაზარზე იყიდებოდა მხოლოდ „თეორიული“, „უსხეულო“, უჩინარი და მარტოოდენ წარმოდგენაში არსებული „საგანი“: რწმენის, სინდისის, სათნოებისა და სხვა ამგვართა სახით.

ამავე დროს, ამ საგნების რეპროდუქცია-წარმოება რომის პაპებსა და ეპისკოპოსებს შეეძლოთ უსაზღვროდ, ყოველგვარი ნედლი მასალის, სამუშაო ძალის და სამუშაო იარაღების დახარჯვისა და გამოყენების გარეშე. ვინაიდან რწმენა, სინდისი, სათნოება და სხვა ამგვარი უსხეულო და უჩინარი კატეგორიები არ იწარმოებიან მატერიალურ საგანთა წარმოების წესით, მათი „წარმოებისათვის“ საჭირო იყო მხოლოდ რომის პაპებისა და მათი ეპისკოპოსების უსინდისო გონება, ჯოხი (ცემით ცოდვების გამოსასყიდი მარაგის დაგროვებისათვის) და ქაღალდი (ინდულგენციებისათვის). მაგრამ, ამ უკანასკნელი ორი საგნის ნამდვილი ღირებულება ცემით ცოდვების გამოსყიდვის სიგელისა და ინდულგენციების ფასთან შედარებით იმდენად უმნიშვნელო იყო, რომ შეიძლება იგი, ამ შემთხვევაში, მხედველობაში არც იქნეს მიღებული. ყოველივე ზემოთ თქმულის შემდეგ ცხადია, რომ ცემით ცოდვების გამოსყიდვის სიგელისა და ინდულგენციებისა და მათში გადახდილი ფასის (ოქროს) სახით, ბაზარზე ერთმანეთზე იცვლებოდა ორი, არათანაბარი შრომითი ეკვივალენტის საგნები. ამაში იყო სწორედ პაპების მოგებაც და ამ კომერციის რენტაბელობაც.

რაში მდგომარეობდა კონკრეტულად ამ „ახალი საგნებით“ ვაჭრობა და როგორ „მზადდებოდა“ ისინი. ჩადენილი და მომავალში ჩასადენი ცოდვების ცემით გამოსყიდვის იდეა და მისი პირველი პრაქტიკული განხორციელება ეკუთვნის კარდინალ პეტრე დამიანს, რომელიც XI საუკუნეში

პაპ გრიგოლ VII დროს ცხოვრობდა. დამიანი ქადაგებდა, რომ, თუ ბერები 30 საეკლესიო ფსალმუნს იმღერებენ და სიმღერის დროს „თვითწამების“ წესით 3.000-ჯერ დაირტყამენ შოლტს, ამით ისინი გამოისყიდიან ერთი წლის მანძილზე ჩადენილ ცოდვებს, ან იმ ცოდვებს, რომელიც მომავალში, ერთი წლის მანძილზე შეიძლება იქნეს ჩადენილიო.

რა თქმა უნდა, ძნელი ხდებოდა იმის შემოწმება თუ ნამდვილად რამდენჯერ და ან რა სიძლიერით დაირტყამდნენ ბერები შოლტს, რადგან ეს უცნაური „ხელოსნობა“ ნებაყოფლობითი წამოწყება იყო და თვითონ ბერების საკუთარი განცხადება ითვლებოდა საბუთად. ამით აიხსნება, რომ თვითონ პეტრე დამიანმა „დამკვრელობა“ გამოიჩინა და „გეგმა“ მეტად დიდი გადაჭარბებით „შეასრულა“. მან „თვითწამებაში“ სარეკორდო ციფრს მიაღწია და ერთი წლის განმავლობაში 100 წლის ცოდვები გამოისყიდა. მისმა მიმდევარმა ზოგიერთმა ბერმა გადააჭარბა კიდეც თავის უფროსს.

ბერებისათვის გასაგები იყო, რომ მათ ორი-სამი წლის განმავლობაში იმდენად ბევრი წლების ცოდვები შეეძლოთ გამოესყიდათ, რომ ამდენი მათ არ დასჭირდებოდათ, რადგანაც თვითონ ისინი პირადად ასე დიდხანს ვერ იცოცხლებდნენ. სწორედ ამ გარემოებამ მათ წინაშე დააყენა საკითხი, თუ რა ექნათ იმ „ნაჭარბი მადლისათვის“, რომელიც მათ შეეძლოთ მეტად დიდი რაოდენობით ზედმეტად ჰქონოდათ, იმ დროს, როდესაც საერო პირები, რომლებსაც მისი „წარმოების“ უფლება არ ჰქონდათ, საჭიროებდნენ მას.

ამ მდგომარეობამ ეს „ჭარბი მწარმოებლები“ იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ გაეყიდათ ეს „უცნაური საქონელი“ საერო პირებზე, თვითონ ჯიბე გაევსოთ ოქროთი და თავიანთი მუშტრები კი, ცოდვების გაუქმებით, გადაერჩინათ საიქიოში ჯოჯოხეთში მოხვედრისაგან. მათი გაგებით, აქ არაფერი დასაძრახი არ იყო, პირიქით, ისინი ამ წამოწყებით ერთდროულად ღმერთის საქმესაც აკეთებდნენ და ქაცისასაც, რადგანაც ეშმაკისათვის ცოდვაჩადენილი მორწმუნეების

წართმევა და ჯოჯოხეთის მაგიერ სამოთხეში მათი შეყვანა ღმერთისთვის სასიამოვნო იყო და კაცისთვის კი (ე. ი. მისი მყიდველებისათვის) — სასარგებლო. ფულის აღება, ამტკიცებდნენ ისინი, ამ „დიდი“, „კეთილი“ და „სამუდამო ტანჯვისაგან“ ხსნისათვის არაფერს არ ნიშნავს და ამიტომ ჩვენ კი არ ვართ დავალებული, არამედ თვით ეს მყიდველები არიან დავალებული ჩვენგანო.

ასეთი იყო თეორიული მოტივირება ბინძური წამოწყებისა, რომელსაც წარმომქმნელ მიზეზად მხოლოდ ფულის მიღება ჰქონდა და ისიც გულუბრყვილო მორწმუნეების მეტად უსინდისო მოტყუების გზით. ამ წამოწყებამ კათოლიკურ ეკლესიას და მის მესვეურებს მეტად დიდი შემოსავალი მისცა. „შეძლებულ პირებზე წლის განმავლობაში ჩადენილი ცოდვების პატიება იყიდებოდა 36 ტალერად, ღარიბებს კი მოწყალე ეკლესია იგივე საქონელს 4 ტალერად უთმობდა“ [1].

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, კათოლიკურმა ეკლესიამ, რომის პაპებმა უფრო მეტად შეირცხვინეს თავი ინდულგენციების შემოღებით. სამაგიეროდ იგივე ინდულგენციების სახით მათ მუქთი და ბინძური შემოსავლის მეტად მნიშვნელოვანი წყარო გაიჩინეს. ინდულგენციები[2] დაბეჭდილი ფურცლების სახით იყიდებოდა და ცოდვის ხარისხსა და ხასიათთან (მაგ. მკვლელობა, გაუპატიურება, ქურდობა, გაძარცვა, ცემა და სხვა) დაკავშირებით სხვადასხვა იყო მათი ფასიც (ნიხრი). მორწმუნე, რომელიც მის მიერ ჩადენილი ცოდვის ან მომავალში ჩასადენი ცოდვის (ავანსად) შესაბამი ფასის ინდულგენციას იყიდდა, მას აღნიშნული ცოდვა ეპატიებოდა (გაუქმდებოდა) და ამგვარად, სასულიერო პირთა განმარტებით, საიქიოში იგი ჯოჯოხეთის მაგიერ სამოთხეში ამოყოფდა თავს.

რომის პაპებისა და თვით ინდულგენციების გამყიდველთა განცხადებით, არათუ უბრალო, არამედ ყველაზე მძიმე ცოდვაც კი, რომელიც შეიძლებოდა ადამიანს ჩაედინა, გამოის-

---

[1] Книга для чтения по истории средних веков, ნაწ. II, გვ. 373.

[2] სიტყვა ინდულგენცია წარმომდგარია ლათინური სიტყვისაგან „indulgentia“ და ნიშნავს „წყალობას“, „შეწყალებას“, „შემწყნარებლობას“.

ყიდებოდა ინდულგენციების შესყიდვით. ბერი ტეცელი, რომელიც XVI საუკუნის დასაწყისში ინდულგენციებს ჰყიდდა გერმანიაში, ასეთი სიტყვებით მიმართავდა თავის მორწმუნე მუშტრებს: „ინდულგენციის შემსყიდველი ხდება მისგან (ინდულგენციისაგან—მ. ა.) უფრო სუფთა, ვიდრე... ადამი იყო სამოთხეში ცოდვაში ჩავარდნამდე. ინდულგენციების გამყიდველი ადამიანებს ხდის უფრო მეტად წმიდანებს, ვიდრე იყო პეტრე მოციქული... არ არის ისეთი ცოდვა, რომელიც არ დაიფარება ინდულგენციით. იყიდეთ ინდულგენცია და თქვენ გეპატიებათ მომაკვდინებელი ცოდვა თვით ღვთისმშობელთანაც კი. მოიტათ, მოიტათ! გადმოალაგეთ მონეტები! ისარგებლეთ შემთხვევით! გადაარჩინეთ თქვენი ნათესავები და ახლობლები ჯოჯოხეთში ცოდვის განწმენდის ტანჯვისაგან“ [1].

მაგრამ იმისათვის, რომ ინდულგენციების გაყიდვა კანონიერად ყოფილიყო მიჩნეული და მას უფრო მეტი და სწრაფი გასაღება ჰქონოდა ბაზარზე, საჭირო იყო მისი ერთგვარი „თეორიული დასაბუთება“. ამ „დასაბუთების“ მიხედვით, თვითონ ქრისტემ, აგრეთვე მისი მოწაფეებისა და წამებულთა მრავალრიცხოვანმა ამალამ შეასრულეს მრავალი კეთილი საქმე და ამით შექმნეს „ეკლესიის კეთილ საქმეთა საგანძური“. საჭიროა ამ „საგანძურის“ მოხმარება და მორწმუნეთა ხსნა მათ მიერ ჩადენილი ცოდვებისაგან, რათა ისინი ჯოჯოხეთის მაგიერ სამოთხეში მოხვდნენ. მაგრამ ამ საგანძურის მოხმარება და მორწმუნეებზე მისი გაყიდვის უფლება აქვს რომის პაპს, როგორც ქრისტეს ერთადერთ ჭეშმარიტ მოადგილეს მიწაზე, და აგრეთვე იმ პირებს, რომელთაც პაპი მიანდობს ამ საქმესო. პაპები კი ამ საქმეს ანდობდნენ თავიანთ აგენტებს — კარდინალებს, არქიეპისკოპოსებს და ეპისკოპოსებს, რომლებიც თავის მხრივ ამ საქმეს ავალებდნენ ბერებს და კათოლიკური ეკლესიის თანამდებობის სხვა პირთ.

1517 წელს რომის პაპმა ლეო X ინდულგენციების გაყიდვის უფლება მისცა მაინცის არქიეპისკოპოს ალბრეხტს.

[1] М. М. Шейнман, Краткие очерки истории папства, გვ. 33.

ალბრეხტმა ამ საქმის პრაქტიკული შესრულება დააკალა თავის აგენტს, ბერს იოანე ტეცელს. ტეცელი ფუგერების ბანკირთა სახლის წარმომადგენლის თანხლებით დაძრწოდა გერმანიაში და გაყიდული ინდულგენციების თანხის ნახევარს რომში პაპს უგზავნიდა, მეორე ნახევარს კი ფუგერებს აძლევდა იმ ვალის დასაფარავად, რომელიც მათგან მაინცის ეკლესიას ემართა.

ინდულგენციების გაყიდვის გამართლების „თეორიის", ზემოხსენებულ ბერ ტეცელისა და მისი თანმხლები ფუგერების ბანკირთა სახლის წარმოჰადგენლის შესახებ მარქსი წერდა: „ტეცელმა თავის თანაშემწედ აიყვანა კიდევ უფრო ურცხვი, ვიდრე იგი თვითონ იყო, ორიგინი ეყრდნობოდნენ დაგროვების თავისებურ თეორიას: უამრავ წამებულთ და ეკლესიის წმიდანთ ჰქონდათ ღმერთის წინაშე ისეთი უხვი დამსახურება, რომ აქედან შეიქმნა მარაგი (სრულიად ისევე, როგორც „ზედმეტი შრომა"... კაპიტალისტთა წინაპრები), რომელიც ხილული ეკლესიის მეთაურს, პაპს შეუძლია გააჩუქოს ან გაყიდოს სხვა მორწმუნეებზე, რომელთაც თავის მხრივ ნაკლები დამსახურება აქვთ, ანდა მძიმე ცოდვების (მინუს) ტვირთიც კი. ბოლოს და ბოლოს ტეცელმა თავისი დუქანი გახსნა ვიტენბერგის ახლოს იუტერბოკში და ცერბსტში, სადაც მრავალი ხალხი მიედინებოდა"[1]. ასეთი იყო ინდულგენციებით ვაჭრობის „თეორია" და მისი გამართლება.

ჩვენამდე მოღწეულია რომის პაპის იოანე XXII მიერ (1316 — 1334 წწ.) დადგენილი ამ ინდულგენციების გასაყიდი ფასი (ნიხრი). ნიხრში დასახელებულია თუ რა სახის ცოდვა რა თანხის ინდულგენციის შეძენით გამოისყიდებოდა:

„მღვდლის მიერ ქალიშვილის გაუპატიურება — 2 ლივრი და 8 სუ[2].

---

[1] Архив Маркса и Энгельса, т. VII, გვ. 148.

[2] ლივრი ვერცხლის მონეტა იყო და მასში შედიოდა 20 სუ. იმ დროისათვის მათ სყიდვითუნარიანობაზე შეიძლება მიახლოებითი წარმოდგენა მოგვცეს იმ გარემოებამ, რომ 1323 წელს ხის ბოძი, რომელზედაც

მღვდლის მიერ ნათესავ ქალებთან ჩადენილი მრუშობა — 67 ლივრი და 12 სუ.

მონაზონის *ცოდვა რამდენიმე მამაკაცთან — 131 ლივრი და 15 სუ.

მღვდლისათვის უფლების მიცემა ნათესავ ქალებთან ცხოვრებისათვის—76 ლივრი და 1 სუ.

გაძარცვა, ქურდობა და გადაწვა ყველა მსურველს—131 ლივრი და 7 სუ.

უბრალო მკვლელობა — 15 ლივრი და 4 სუ (თუ ერთ დღეს ჩადენილია რამდენიმე მკვლელობა, გადასახადი გადაიხდება მხოლოდ ერთი მკვლელობისათვის).

ქმრის მიერ ცოლის ცემა—3 ლივრი და 4 სუ. ცოლის მოკვლა — 17 ლივრი და 15 სუ.

ეპისკოპოსის მოკვლა—131 ლივრი და 14 სუ.

რამდენიმე მღვდლის მკვლელობისათვის: პირველის მოკვლისათვის — 137 ლივრი და 6 სუ, ყველა დანარჩენიდან თითოეულისათვის—ამის ნახევარი ფასი.

ერეტიკოსი, რომელიც ეკლესიას დაუბრუნდება — 269 ლივრი“ [1] და ა. შ.

ამგვარად, როგორც ნიხრიდან ჩანს, მღვდელს შეეძლო, თუ კი იგი იყიდიდა 2 ლივრად და 8 სუთ ღირებულ ინდულგენციას, გაეუპატიურებინა ქალიშვილი, ანდა, თუ ის შეიძენდა 67 ლივრად და 12 სუთ ღირებულ ინდულგენციას, ეცხოვრა ნათესავ ქალთან და მას, „ქრისტეს მსახურს“, ასეთი ბილწი მოქმედება ცოდვად აღარ ჩაეთვლებოდა. ამავე ნიხრიდან ჩანს აგრეთვე, რომ ზნეობის გუშაგ მღვდლის მიერ ქალიშვილის გაუპატიურება უფრო ნაკლებ დანაშაულად იყო მიჩნეული, ვიდრე ქმრის მიერ ცოლის ცემა, რადგან პირველი უფრო იაფად გამოისყიდებოდა, ვიდრე მეორე.

გასაგებია, რომ, როცა კათოლიკურმა ეკლესიამ სამოთხესა და ჯოჯოხეთში შესვლის საკითხი ვაჭრობის საგნად გადააქცია და ცოდვის ჩადენას სამოთხეში შესასვლელად

---

*იკვდილმისჯილ პირს აკრავდნენ დასაწვავად, ღირდა 2,5 სუ, ე. ი. ერთ ლივრად შეიძლებოდა 8 ასეთი ბოძის შესყიდვა.

[1] **Календарь антирелигиозника на 1941 год**, გვ. 110.

მორწმუნეების თვალში დამაბრკოლებელი ძალა დაუკარგა, მისი აქვე გამოსყიდვის გზით, ამით ეკლესიამ დიდად შეუწყო ხელი იმდროინდელ პირობებში ზნეობრივ დეგრადაციას და ყოველგვარი ბოროტმოქმედების — მკვლელობის, ქურდობის, გაუპატიურების და სხვა ამგვარი უხამსი საქმეების — ჩადენის გახშირებას მორწმუნეებში.

ინდულგენციების შემოღება ყველაზე ბინძური აქტია, რომლის ბადალი არც ერთ რელიგიურ სისტემაში არ მოიპოვება. ეს იყო ფულის უხეში და აშკარა გამარჯვება რწმენაზე, ფულით ყოველგვარი ზნეობრივი ნორმების დაშლა და მისი „ყოვლისშემძლე ძალით“ სამოთხისა და ჯოჯოხეთის მართვა ჯიბიდან. აქ ყველაზე უფრო რელიეფურად გამოჩნდა რომის პაპების სიხარბე ოქროსადმი და საიქიოს სააქაოსაგან დამოკიდებულების მთელი ხასიათი.

ინდულგენციების შემოღებით ზნეობის დეგრადაცია და სხვადასხვა სახის ბოროტმოქმედებათა გახშირება არ აწუხებდათ რომის პაპებს, რადგან მთელ ამ წამოწყებაში მათთვის ყველაზე მთავარი ის იყო, რომ მორწმუნეებზე ინდულგენციის ფარატინა ქაღალდის ნაგლეჯის გაცემით, საკუთარი ჯიბეები ოქროთი გაევსოთ, რაც მორწმუნეების უვიცობისა და სიბნელის შედეგად, არც თუ ისე წარუმატებლობით ხორციელდებოდა.

ინდულგენციებით ვაჭრობა თუ ახალი ბოროტმოქმედებისაკენ აქეზებდა მოსახლეობის შეძლებულ ფენებს, რომლებსაც შეეძლოთ ჯერ ინდულგენცია ეყიდათ და შემდეგ დამშვიდებული სინდისით ქრისტესა და პაპის სახელით ბოროტმოქმედება ჩაედინათ სამოთხეში დაუბრკოლებლად შესვლის იმედის შენარჩუნებით, სამაგიეროდ მოსახლეობის ღატაკი ფენები პესიმიზმში ვარდებოდნენ, რადგან ეკონომიური ხელმოკლეობის გამო მათ ინდულგენციების შეძენა არ შეეძლოთ. ასეთ ვითარებაში მათ ერთ ნაწილს შეიძლებოდა გამოსავალი იმაში დაენახა, რომ შეეცდებოდა გაძარცვისა და ქურდობის გზით ნაშოვნი თანხით საიქიოსთვის ინდულგენციები შეეძინა და მისი გადანაჭარბით კი სააქაო ცხოვრებაში მოეთბო ხელი. მაგრამ ეს გარემოება მხოლოდ იმაზე

მიგვითითებს, რომ ინდულგენციები მოსახლეობის ყველა ფენაში იწვევდა ზნეობის გათახსირებას და ბოროტმოქმედებათა გახშირებას.

რომის პაპების ეს უხამსი საქციელი, ხალხთა მასების გალატაკება ინდულგენციებით, სამოთხისა და ჯოჯოხეთის კარების გახსნა-დაკეტის საკითხის ფულთან დაკავშირება, მაშინვე იწვევდა იმდროინდელი მოწინავე ადამიანების პროტესტს და გაკიცხვას. ასე, მაგალითად, ცნობილი ჰუმანისტი ულრიხ ფონ ჰუტენი (1488—1523 წწ.) შემდეგი სიტყვებით მიმართავდა ინდულგენციებით ვაჭრობის გამო რომის პაპს იულიუს II: „განა უსირცხვილობა არ არის, იულიუს, იმის გაყიდვა, რასაც შენ ყველაზე მეტად საჭიროებ?“ „ამ ბიწიერებით შეჰყრობილ ბანდიტს, — წერდა შემდეგ ჰუტენი პაპზე, — შეუძლია ზეცა დაუხშოს ერთსა და გაუღოს მეორეს?“[1].

მაგრამ რომის პაპები არა მარტო მაშინ, არამედ ახლანდელ იტალიაშიაც კვლავ ჰყიდიან ინდულგენციებს თავიანთი გამოსახულებით და გულუბრყვილო მორწმუნეებს აჯერებენ, რომ სამოთხეში დაუბრკოლებელი შესვლისთვის ამ ინდულგენციის შემსყიდველს და მის ნათესავებს გაუუქმდებათ არა მარტო წარსულში ჩადენილი ცოდვები, არამედ ის ცოდვებიც, რომელიც მესამე თაობამდე ჩათვლით შეიძლება მათ მომავალში ჩაიდინონ[2]. უფრო მეტიც. იტალიის ქ. სკაფატში შექმნილია ცოდვების პატიების სააქციო· საზოგადოება; ეს საზოგადოება გაზეთებში გამოქვეყნებულ განცხადებებში წერს, რომ მას, ე. ი. ამ „საზოგადოებას აქვს შესაძლებლობა, რომ სალხინებელში[3] მყოფ მიცვალებულთა სულებს შესთავაზოს დამსახურების მდიდარი საგანძური (ცოდვების გამოსასყი-

---

[1] შუა საუკუნეების. ისტორია, ტ. II, გვ. 82.

[2] П. Кармански й, Ватикан—вдохновитель мракобесия и реакции, 1953, გვ. 9.

[3] სალხინებელი — მიცვალებულთა სულების ცოდვებისაგან გასაწმენდი ადგილი სამოთხეში შესვლის წინ. სულხან-საბა ორბელიანის მიხედვით სალხინებელი: ტრაპეზზე გავალაკი (იხ. „სიტყვის კონა“, გვ. 558).

დათ)“[1]. ერთი სიტყვით, ეს საზოგადოება ინდულგენციებით და ცოდვების გამოსყიდვის სხვა „საშუალებების“ ფართო ასორტიმენტით არის მომარაგებული გულუბრყვილო მორწმუნეების გასაყვლეფად.

ახლანდელ იტალიაში კათოლიკური ზედაფენები სხვა ბინძურ გზებსაც არ ერიდებიან შემოსავლის მისაღებად. ასე მაგალითად, 1949 წელს, როცა სენატორმა მერლინმა იტალიის პარლამენტში შეიტანა კანონ-პროექტი სამეძაო სახლების აკრძალვის შესახებ, იგი დე გასპერის კათოლიკური პარტიის (ქრისტიან-დემოკრატთა პარტია. ეს პარტია ახლო დგას ვატიკანთან) ხმების უმრავლესობით უარყოფილ იქნა. როგორც პოლონელმა პუბლიცისტმა ბრანდისმა შენიშნა, ეს იმიტომ მოხდა, რომ ამგვარი „სარეწაოდან“ კათოლიკური პარტიის ზედაფენების მრავალი გავლენიანი პირი საკმაო შემოსავალს ღებულობს[2].

---

[1] А. Р а н о п и ч, Происхождение христианских таинств, 1931, გვ. 197.

[2] М. М. Ш о и п м а н, Краткие очерки истории папства, გვ. 23.

ვატიკანი. „წმიდანთა ნაწილებით“, „საღვთო წლებით“ და სასწაულებით ვაჭრობა

ქრისტიანული ეკლესია საერთოდ და, კერძოდ, მისი კათოლიკური განშტოება ზნეობრივად იმდენად დაეცა, იმდენად გაიტაცა იგი გამდიდრების სურვილმა, რომ ინდულგენციებისა და ცემით ცოდვების გამოსყიდვის აშკარა სიფლიდესა და მაჭინაციებთან ერთად, მან სხვა ბილწი საშუალებაც გამონახა თავისი ქონების გაზრდისა და გულუბრყვილო მორწმუნეების ექსპლოატაციისათვის. ეს არის ე. წ. „წმიდანთა ნაწილებით“, „საღვთო წლებით“ და სასწაულებით ვაჭრობა.

პირველად 1300 წელს რომის პაპ ბონიფაციუს VIII მიერ იქნა დაწესებული „საღვთო წელი“, რომელიც 100 წელიწადში ერთხელ უნდა მოწყობილიყო. ვატიკანის მესვეურთა განმარტებით, ყველა მორწმუნე კათოლიკს, რომელიც „საღვთო წელს“ რომში 15 დღით ჩავიდოდა ეკლესიის „წმიდანებისა“ და „წამებულთა“ ნახვით, მათთვის პატივის მიგებისა და თაყვანისცემის გამო, ეპატიებოდა ყველა „ცოდვა“, რაც კი მას იქამდე ჰქონდა ჩადენილი. ცოდვამოხსნილი ადამიანებისათვის კი, ვატიკანის მტკიცებით, სამოთხეში შესასვლელი გზა თავისუფალი იყო. რომში „საღვთო წლების“ დღესასწაულზე ჩამოსული გულუბრყვილო მორწმუნეები არ ზოგავდნენ უკანასკნელ კაპიკს, რომ ქრისტეს, მისი მოციქულებისა და წმიდანების, აგრეთვე „მათი ცოცხალი წარმომადგენლების“ — რომის პაპის, კარდინალების, არქიეპისკოპოსების და ეპისკოპოსებისათვის მიეძღვნათ საჩუქრები და ზღაპრულ ფასებში ეყიდათ ვითომდა ეკლესიის „წმიდანებთან“ და წამებულებთან დაკავშირებული საგნების ნაშთები.

პაპი ბონიფაციუს VIII მეტად ხარბი აღმოჩნდა. გარდა ამ ახალი წამოწყებისა, მან საეკლესიო გადასახადებიც გაადიდა. ბონიფაციუსის შესახებ მარქსი წერდა, რომ არასოდეს არ იყო ისეთი მსხვილი გამოძალვები და ქრისტიანთაგან

შეკრებილი გადასახადების განიავება, როგორც ბონიფაციუს VIII დროსო[1]. რადგან პირველადვე მოწყობილმა „საღვთო წელმა“ დიდძალი მლოცველი და „ცოდვის გამოხსნის“ მსურველი მიიზიდა რომში და დიდი შემოსავალიც მისცა მის ორგანიზატორებს, ამიტომ მათ გადაწყვიტეს, უფრო ხშირად მოეწყოთ იგი. შემდეგ ხანებში დადგინდა, რომ „საღვთო წლების“ დღესასწაულები გაემართათ ჯერ 50 წელიწადში ერთხელ, უფრო გვიან — 33 წელიწადში ერთხელ და ბოლოს კი მიიღეს გადაწყვეტილება, რომ იგი მოეწყოთ ყოველ 25 წელიწადში ერთხელ[2].

1949 წლის ბოლოს რომის პაპმა პიუს XII 1950 წელი „საღვთო წელიწადად“ გამოაცხადა და ვატიკანმა დიდი მოსამზადებელი მუშაობა გაშალა მის ჩასატარებლად. მაგრამ ამჯერად ვატიკანს აინტერესებდა „საღვთო წლის“ საშუალებით შემოსავლის მიღებასთან ერთად, გაეძლიერებინა კათოლიკური ეკლესიის ავტორიტეტი და მისი ხელმძღვანელობით მოეხდინა „შავი ინტერნაციონალის“ ძალთა კონსოლიდაცია „ათეისტური კომუნიზმის“ წინააღმდეგ ბრძოლისათვის. ამ მიზნით 1950 წელს რომს ესტუმრნენ არა მარტო „ცოდვის გამოხსნის“ მსურველები, არამედ სხვადასხვა ქვეყნების კათოლიკური ეკლესიის უმაღლესი რანგის მოღვაწეები, ბურჟუაზიული ქვეყნების პოლიტიკოსები და ფაშისტური და პროფაშისტური მოძრაობის ხელმძღვანელი ნაძირალებიც. აქ იყო ამერიკელი კარდინალი სპელმანი, ინგლისელ ფაშისტთა მეთაური, ბელგიის მეფე, ფაშისტური ესპანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი, ფაშისტ დიქტატორ ფრანკოს მეუღლე და ქალიშვილი, მსხვილი ამერიკელი კაპიტალისტები და სხვ.

„საღვთო წლის“ დღესასწაულის მონაწილენი რომში მხოლოდ იმაზე ფიქრობდნენ, თუ როგორ მიეღწიათ მიწისა და ზეცის მთელი რეაქციული ძალების კონსოლიდაციისათვის, საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყ-

---

[1] Архив Маркса и Энгельса, т. V, გვ. 263.

[2] М. М. Шеинман, Краткие очерки истории папства, გვ. 34.

ნების ხალხთა ნამდვილი ზეიმისა და დღესასწაულის ჩასაშლელად. ასეთია ახალი ამოცანები, რომლებიც ძველი ამოცანების გვერდით „საღვთო წლების“ დღესასწაულების წინაშე ბონიფაციუსის ახლანდელმა ნაშიერებმა და მათმა ამერიკელმა უფროსებმა დააყენეს.

კათოლიკური ეკლესია ეკონომიურად დიდად ითბობს ხელს სასწაულებით ვაჭრობაზეც. ამ საქმეში „განსაკუთრებულ წარმატებებს“ აღწევენ იტალიელი, ფრანგი, გერმანელი და ამერიკელი კათოლიკები. ისტორიკოს მ. მ. შეინმანს ასეთი „სასწაულებით“ ვაჭრობის საინტერესო მაგალითები მოჰყავს. საფრანგეთში კათოლიკი მღვდელი პეირამალი წლების განმავლობაში მისტიკურად ზრდიდა და სასწაულების, გამოცხადების, მოჩვენებების ნამდვილობას უნერგავდა პატარა ქალაქ ლურდის მცხოვრებს, ახალგაზრდა გოგო ბერნადეტა სუბირს. 1858 წლის თებერვალში ასეთი რელიგიური განწყობილებებით აღზრდილმა 14 წლის ბერნადეტამ განაცხადა, რომ მას ფიჭხის შეგროვების დროს გამოეცხადა „ღვთისმშობელი“. შემდეგ ხანებში, ორი თვის მანძილზე ბერნადეტას კიდევ ცხრამეტჯერ „გამოეცხადა“ „ღვთისმშობელი“.

მღვდელმა პეირამალმა მის მიერვე ინსპირირებულ „ღვთისმშობლის“ გამოცხადების ამ „სასწაულს“ მჭუხარე რეკლამა გაუკეთა და იგი შემოსავლის წყაროდ აქცია. პეირამალის ამ წამოწყებას დიდი მონდომებით დაუჭირა მხარი უმაღლესმა სამღვდელოებამ და რომის პაპმა პიუს IX. მალე, „ღვთისმშობლის“ გამოცხადების ადგილზე აგებულ იქნა ეკლესია, ხოლო იქვე ახლოს არსებული წყაროს წყალი გამოცხადებულ იქნა „სასწაულმოქმედ“ წყლად.

მას შემდეგ რაც ქ. ლურდმა ამ რელიგიური მაქინაციით „მსოფლიო სახელი“ მოიხვეჭა და კათოლიკური ეკლესიისათვის შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროდ იქცა, ბერნადეტა სუბირის როლი უკვე ამოწურული იყო და იგი აღარავის სჭირდებოდა. პირიქით, იგი მთელი ამ მომგებიანი წამოწყებისათვის საშიშიც კი შეიქნა, ვინაიდან მას შეეძლო გაემჟღავნებინა „ღვთისმშობლის“ გამოცხადების ნამდვილი მიზეზები და ორგანიზაცია. ერთი სიტყვით, საჭირო გახდა მისი

იზოლაცია. ამ მიზნით იგი მონაზნად აღკვეცეს და მონასტერში ჩაკეტეს. მასთან შეხვედრის უფლებას არ აძლევდნენ არც მის მშობლებს და არც უცხო კარდინალებსა და ეპისკოპოსებს. ასეთ მარტოობაში და უბედურ ყოფაში გარდაიცვალა ლურდის „სასწაულის“ ეს პირველი მხილველი.

ყოველწლიურად „სასწაულმოქმედი“ წყლით განსაკურნებლად და „ღვთისმშობლის“ გამოცხადების ადგილის სანახავად ლურდს დიდძალი მორწმუნეები და ბედის მაძიებლები აწყდებოდნენ. ასე, მაგალითად, 1904 წელს ლურდში მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან ჩავიდა 850.000 მლოცველი და ბედის შეტყობის მოსურნე, 1905 წელს კი — ერთი მილიონი.

ლურდში ხალხის მოზღვავება განსაკუთრებით დიდია 15 ივლისიდან 15 ოქტომბრამდე. ამ თვეებში ლურდი უზარმაზარ ტურისტულ ბაზად არის გადაქცეული და არათუ სახლები, არამედ თითქმის არც ერთი სარდაფი ან სხვა დროებითი ცხოვრებისათვის ოდნავ გამოსადეგი ნაგებობაც კი არ რჩება გაუქირავებელი, რაც ლურდის კათოლიკებს დიდ შემოსავალს აძლევს. ამავე დროს ლურდის „სასწაულმოქმედი“ წყლის ბაზაზე აგებულ იქნა წყლის ჩამომსხმელი ქარხანა. ქარხანაში ჩამოსხმული წყალი და აგრეთვე ლურდის წყლის შერევით გაკეთებული აბები იგზავნება და იყიდება კაპიტალისტური მსოფლიოს თითქმის ყველა კუთხეში. ამ წყალსა და აბებს განსაკუთრებით მორწმუნე ავადმყოფები ეტანებიან. ასეთია „ღვთისმშობლის“ და ვატიკანის სანქციით მოწყობილი ლურდის კათოლიკური ეკლესიის სავაჭრო წამოწყება.

ლურდის „სასწაულების“ მეტი პოპულარიზაციის მიზნით, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, აშშ-ში დადგეს კინოფილმი — „ბერნადეტას საგალობელი“, რომელიც გამიზნულია ახალგაზრდობის რელიგიური აღზრდისა და მათში სასწაულების რწმენის ჩასანერგად. მართლაცდა, ქ. ბრონსკში (აშშ) ამ კინოსურათის ნახვიდან რამდენიმე დღის შემდეგ, ახალგაზრდა ბიჭმა ჯო ვიტოლომ განაცხადა, რომ მას ამხანაგებთან თამაშის დროს ცარიელ ადგილზე „ღვთისმშობელი“ სწორედ

ისე გამოეცხადა, როგორც ეს კინოსურათ „ბერნადეტას საგალობელში“ ნახა.

ქ. ბრონსკის კათოლიკურმა ეკლესიამ ამ „ფაქტის“ გამო მაშინვე სასიხარულო განგაში ატეხა. დაიწყო ბრონსკში ,,ღვთისმშობლის“ გამოცხადების ადგილისა და ამ „სასწაულის“ პირველი მხილველი ბავშვის სანახავად მორწმუნეთა მოზღვავება. კათოლიკურმა ეკლესიამ მაშინვე ეს „სასწაული“ შემოსავლის წყაროდ აქცია და დაიწყო იმ მიწის თითო წება ფხვნილის გაყიდვა, სადაც გამოცხადდა „ღვთისმშობელი“. ასეთი „სასწაული“ კინოსურათ „ბერნადეტას საგალობელის“ გავლენით 1949 წელს დასავლეთ გერმანიაშიც „განმეორდა“ [1].

საერთოდ „ღვთისმშობლის გამოცხადებებს“ იყენებენ არა მარტო ეკლესიის კომერციული წამოწყებების მოსაწყობად, არამედ პოლიტიკური შანტაჟისათვისაც. ასე, მაგალითად, ახლად დაარსებულ პეტერბურგის ერთ-ერთ ეკლესიაში სამღვდელოებამ, რომელიც პეტრე დიდის რეფორმებით უკმაყოფილო იყო, პეტრეს წინააღმდეგ ხალხის აჯანყების მიზნით, „ღვთისმშობლის“ ხატი ისე მოაწყო, რომ მას თვალებიდან ცრემლები გადმოსდიოდა. სამღვდელოებას ამით უნდოდა ხალხი დაერწმუნებინა, რომ, თითქოს თვითონ „ღვთისმშობელიც“ არ იწონებდა პეტრეს რეფორმებს და მას ავის მომასწავებლად სთვლიდა. როდესაც ეს პეტრემ შეიტყო, თვითონ მივიდა ეკლესიაში და ამ წამოწყების ორგანიზატორებს პირდაპირ განუცხადა: აბა მაჩვენეთ, როგორ არის ეს თქვენთან მოწყობილიო? აღმოჩნდა, „ღვთისმშობლის“ ხატის უკან მოთავსებული ზეთით სავსე ჭურჭლიდან ზეთი წვეთ-წვეთად გადმოდიოდა ხატის თვალში გაკეთებულ უმცირეს ნასვრეტში და შემდეგ ცრემლების მაგვარად ეღვრებოდა „ღვთისმშობელს“ სახეზე. „სასწაული“ გამომჟღავნებული იქნა და მის ორგანიზატორებსაც შესაფერი სასჯელი დაედოთ [2].

აღსანიშნავია, რომ მსგავსი მაქინაციების მოწყობას პირველ ხანებში მიმართავდა ეკლესია სახალხო დემოკრატიის

---

[1] М. М. Шоипман, Краткие очерки истории папства, გვ. 42.

[2] С. Вальдгард, Наука против религии, 1952, გვ. 39.

ქვეყნებში, ამ ქვეყნების მთავრობათა წინააღმდეგ მორწმუნეთა ასაჯანყებლად და მთავრობის მიერ მიღებულ ღონისძიებათა ჩასაშლელად. ასე, მაგალითად, 1949 წლის ზაფხულში პოლონეთის კათოლიკების ზედაფენებმა გაავრცელა ხმები, რომ ლიუბლინის ტაძარში მოთავსებული „ღვთისმშობლის“ ხატი „სისხლის ცრემლებით ტირისო“. ამით მის ორგანიზატორებს მორწმუნეთათვის იმის თქმა უნდოდათ, რომ ღვთისმშობელს არ მოსწონს პოლონეთის სახალხო დემოკრატიული რეჟიმიო. რელიგიის ელფერში გახვეული ამ პოლიტიკური შარლატანობის ინიციატორები იყვნენ პოლონეთის უმაღლესი რანგის კათოლიკები და ვატიკანის წარმომადგენელი დე ლივო.

ამის მსგავს მოვლენებს ადგილი ჰქონდა სახალხო დემოკრატიის სხვა ქვეყნებშიც. მაგრამ ეს „სასწაულები“ ადვილად იქნა გამოაშკარავებული და ჩაშლილი. წინათ ექსპლოატირებული ხალხი, რომელთაც დღეს ნამდვილი „სამოთხის“ შენება მიწაზე დაიწყეს, ისევე ადვილად აღარ იჯერებენ ყველა რელიგიურ გალიმატიას, როგორც ამას არ იჯერებდნენ ოქტომბრის რევოლუციის დღეებში რუსეთში. ასე, მაგალითად, მღვდელი ვედენსკი 1917 წლის ოქტომბერში ჩიოდა, პეტერბურგის რევოლუციურ მუშებში სწრაფად ვრცელდება ათეიზმი. ისინი ხშირად ამბობენ: სად არის ღმერთი! ილოცე ტრამვაი, — სულ ერთიაო, ან კიდევ, მღვდლებს ეუბნებიან: რა მაქნისია ჩვენთვის თქვენი წმიდანები? ჩვენ ღმერთთან და წმიდანებთან საქმე არა გვაქვს. საჭიროა, აქ, მიწაზე დამყარდეს წესრიგიო[1]. მასებში ასეთი განწყობილების გაძლიერება აადვილებს ხატებისა და მიცვალებული წმიდანების „აჯანყების“ ჩაქრობას და მათი ნამდვილი ორგანიზატორების დასჯას.

კათოლიკური ეკლესია თავისი შემოსავლის გაზრდისა და აგრეთვე პოლიტიკური შანტაჟის მიზნით ფართოდ ეწეოდა და ეწევა „წმიდანთა ნაწილებით“ ვაჭრობას. ამ საქმეში იგი წარმოუდგენელი სიყალბის ჩადენამდე მიდიოდა და მიდის.

---

[1] Антирелигиозный учебник, გვ. 385.

მორწმუნეთა დიდი რაოდენობის მისაზიდად და შემოსავლის გაზრდის მიზნით ცალკეულ ეკლესიებში შეჰქონდათ რაიმე ნივთი, ან ადამიანისა და ცხოველის სხეულის რაიმე ნაწილი და შემდეგ იწყებდნენ პროპაგანდას, რომ ეს ნივთი და სხეულის ეს ნაწილი ეკუთვნის ღვთისმშობელს, ქრისტეს, ან რომელიმე წმიდანს. ზოგჯერ ისინი ამ ნივთებს მაგიური მოქმედებით განკურნების ძალასაც აწერდნენ.

„განკურნების“ მიზნით და ამ ესოდენ „ძვირფასი რელიქვიების“ სანახავად ასეთ ეკლესიებს დიდძალი მლოცველი და განკურნების მსურველი აწყდებოდა. ამის შესაბამისად ეკლესიის შემოსავალიც მატულობდა. ასე, მაგალითად, ქ. ვენის წმიდა სტეფანეს ეკლესიაში დღემდე უჩვენებენ მეტად დიდი ზომის ძვლებს და მორწმუნეებს უმტკიცებენ, რომ ეს ბიბლიური დროის ადამიანის ძვლებიაო. ნამდვილად, პირველყოფილი ადამიანები ტანით თანამედროვე ადამიანებზე პატარები იყვნენ და მათ ასეთი ძვლები არ შეიძლებოდა ჰქონოდათ. წმიდა სტეფანეს ეკლესიაში მოთავსებული ძვლები მამონტის ძვლებია[1]. ესპანეთის ქალაქ ვალენსიაში დიდხანს უჩვენებდნენ „წმიდა ქრისტეფორეს კბილს“ და აცხადებდნენ, რომ გარკვეული თანხის გაღებით, ქრისტეფორეს კბილის შეხებით და ლოცვით მორწმუნეებს კბილის ტკივილი დაუცხრებათო. ნამდვილად, „წმიდა ქრისტეფორეს კბილად“ გასაღებული კბილი სპილოს კბილი იყო[2] და, რა თქმა უნდა, მას არავითარი სტომოტოლოგობა არ შეეძლო.

ევროპის და კერძოდ რომის მრავალ კათოლიკურ ეკლესიაში მორწმუნეებს უჩვენებდნენ ქრისტეს „ჭიპს“, „წმიდა თივას“, რომელზედაც თითქოს ახლად დაბადებული ქრისტე იწვა; ქრისტეს ფრჩხილებს, თმას, „მისი ოფლის“ წვეთებს. ისეთი მორწმუნე, როგორიც კალვინი (1509—1564 წწ.) იყო, თავის წიგნში: „ტრაქტატი რელიქვიების შესახებ“, დასცინოდა კათოლიკური ეკლესიის ასეთ სიბრმავესა და დაცემას.

---

[1] М. С. Шиссецкий, Наука и религия о происхождении человека, 1950, გვ. 16.

[2] Антирелигиозный учебник, გვ. 158.

კალვინი წერდა, რომ დღემდე მღვდლები მორწმუნეებს უჩვენებენ იესო ქრისტეს ჩუჩას, რომელიც თითქოს წინდაცვეთის შემდეგ დარჩა; იესოს სისხლს; იესოს იმ პურის ნატეხს, რომლითაც მან თითქოს გენისარეტის ტბის ნაპირზე 5.000 კაცი გამოკვება; ჯვარის ნამტვრევს, რომელზედაც იგი გაკრული იყო; ლურსმნებს, რომლითაც ქრისტე ჯვარზე იყო მიკრული; შუბს, რომლითაც იგი განგმირეს; ეკლის გვირგვინს, რომელიც მას თავზე ედგა; მეწამულის ფერის ტანსაცმელს, რომელიც მას ეცვა; მის კვერთხს; მის სუდარას; იუდას მიერ ღალატში მიღებულ ვერცხლის მონეტას; ბოძს, რომელზედაც აწამებდნენ ქრისტეს; იესო ქრისტეს საჯდომის ანაბეჭდს ქვაზე; იმ ვირის კუდს, რომელზედაც იესო იჯდა იერუსალიმში წასვლის დროს და სხვა მრავალი [1].

ამა თუ იმ ეკლესიის შემოსავალი დიდად იყო დამოკიდებული იმაზე, ჰქონდა თუ არა მას იესო ქრისტეს სხეულის ნაწილები, მის ცხოვრებასთან დაკავშირებული საგნები, ან „ღვთისმშობლის“ და სხვა „წმიდანთა ნაწილები“. ამიტომ ცალკეული სიები ახდენდნენ ამ არარსებული საგნების ყალბ ფაბრიკაეკლეციას და გამოჰქონდათ ისინი მორწმუნეთა საჩვენებლად ეკლესიაში. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ერთდროულად სხვადასხვა ეკლესიებში თავი მოიყარეს დიდი რაოდენობით ქრისტეს და „წმიდანების“ სხეულის ისეთმა ნაწილებმა, რომელიც მხოლოდ განსაზღვრული რაოდენობით აქვს საერთოდ ადამიანს. ასე, მაგალითად, იესო ქრისტეს ჩუჩას ერთდროულად უჩვენებდნენ შარრუს (საფრანგეთი) და იოანე ლატერანელის (რომი, იტალია) ეკლესიებში [2]. როგორც გერმანული ჟურნალი „Die Weltbühne“ 1950 წლის პირველი თებერვლის ნომერში წერდა, სხვადასხვა ეკლესიებში ერთდროულად უჩვენებდნენ არარსებულ „წმიდა ანდრიას“ ხუთ გვამს და ამ ხუთი გვამის 6 თავს, 70 ფეხსა და ხელს; „წმიდა ანტონიოს“ ოთხ გვამს და ერთ თავს; „წმიდა ელასის“ ერთ გვამს და ხუთ თავს, „წმიდა ლუკას“ რვა

---

[1] **Календарь антирелигиозника на 1941 год**, გვ. 13.

[2] იქვე, გვ. 13.

გვამს და ცხრა თავს; „წმიდა სებასტიანეს“ ოთხ გვამს, ხუთ თავს და ცამეტ ხელს; „წმიდა გიორგის“ არა ნაკლებ ოცდაათამდე გვამს [1].

ასევე, სხვადასხვა ეკლესიებში ერთდროულად უჩვენებდნენ იოანე ნათლისმცემელის რამდენიმე თავს, ცხრა მარჯვენა ხელს და ორმოცდაათ საჩვენებელ თითს [2]. ამავე იოანეს ორ თავს უჩვენებენ ქ. ემსში, ერთ თავს დაბა კომანახის ეკლესიაში (საფრანგეთი), ერთს ლივანის მთების მონასტერში (სირია), ერთს ესპანეთში, ერთს უჩვენებდნენ წინათ მოსკოვის ერთერთ ტაძარში და ა. შ. სულ „აღმოჩენილია“ იოანეს ცამეტი თავი [3]. იესოს სისხლის რამდენიმე წვეთს უჩვენებდნენ ლაროშელის ეკლესიაში (საფრანგეთი), იესოსავე სისხლს ერთ კასრამდე უჩვენებდნენ მანტუეს ეკლესიაში (იტალია), ხოლო რომში—ევსტაქიის ეკლესიაში კი რამდენიმე კასრამდე. „თუ საზიზღარ მოტყუებად არ მივიჩნევთ იმას,—წერდა კალვინი,—რომ ქრისტეს სისხლი მისი სიკვდილის შემდეგ ნახეს 700 ან და 800-მდე ადგილას, მაშინ იგი იმდენად ბევრი გამოდის, რომ სასულიერო პირთ შეეძლოთ სისხლით მოერწყოთ მთელი მსოფლიო“ [4].

იგივე კალვინი წერდა, რომ, თუ შევაგროვებთ იმ ჯვრის ყველა ნამტვრევს, რომელზედაც თითქოს ქრისტე იყო გაკრული და ნამტვრევებს, რომლებსაც მსოფლიოს სხვადასხვა ეკლესიებში უჩვენებენ, მაშინ ამ ნამტვრევებით ერთი დიდი გემი დაიტვირთებოდა და მათ აწევას 300 კაცი დასჭირდებოდაო [5]. მრავალ მონასტერში, წერდა შემდეგ კალვინი, უჩვენებდნენ უბიწო მარიამის (ქრისტეს დედის) იმდენად ბევრ რძეს, რომ „წმიდა ქალწული ძროხა რომ ყოფილიყო, ან მთელ

---

[1] М. М. Шеинман, Краткие очерки истории папства, გვ. 38—39.

[2] Календарь антирелигиозника на 1941 год, გვ. 48.

[3] იქვე, გვ. 102.

[4] იქვე, გვ. 13.

[5] იქვე, გვ. 13. აღსანიშნავია, რომ „ამ ჯვრის“ ერთი ნაწილი 1742 წელს რომის პაპმა ბენედიქტე XIV ქართველ კათოლიკთა ეპისკოპოსს ქრისტეფორესაც გამოატანა თბილისში (იხ. მღვდელი მიქელ თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, 1902, გვ. 315, 316.).

თავის სიცოცხლეში ძიძად ემუშავა, ასეთ შემთხვევაშიც კი მას არ შეეძლო ამდენი რძე გამოეწველა“ [1].

შემოსავლის წყაროს გაზრდითა და ფულის შოვნით გატაცებული ეკლესიის ბრიყვი მეთაურები ანგარიშს არ უწევდნენ იმას, რომ ისინი „წმიდანთა ნაწილების“ და „მათი საგნებით“ ვაჭრობის და შემოსავლის წყაროდ გადაქცევის დროს, საღი გონების ადამიანთა თვალში გამოუვალ წინააღმდეგობაში იგდებდნენ თავს. ისინი არც იმას უწევდნენ ანგარიშს, რომ ერთდროულად სხვადასხვა ეკლესიებში წმიდანთა ნაწილები, რომელიც საერთოდ მხოლოდ განსაზღვრული შეიძლება იყოს, დიდი რაოდენობით გროვდებოდა; არც იმას, რომ „წმიდანთა სხეულის“ ნაწილთა შორის გარკვეული პროპორცია ყოფილიყო დაცული; არც იმას, რომ „წმიდანთა“ ცხოვრებასთან დაკავშირებული საგნები იმაზე მეტი არ ყოფილიყო, ვიდრე ეს შესაძლებელია; არც იმას, რომ „წმიდანთა ისეთ ნაწილებს, როგორიც არის ჩუჩა, რძე, სისხლი და სხვა — ასეთ პირობებში ასე დიდხანს არ შეეძლო გაძლება და ა. შ. ეკლესიის მსახურთა გონება იმდენად იყო დახშული ოქროს ძალით და მისი შეძენის სურვილით, რომ ისინი ასეთ გარემოებებს მხედველობაში არ იღებდნენ და არც შეეძლოთ მიეღოთ, რადგანაც მაშინ მათ ამ ბინძური გზით შემოსავლის მიღების საშუალება აღარ ექნებოდათ. ასეთია ვატიკანის მიერ ასეულ მილიარდობით დაგროვილი ქონების ზოგიერთი ადრინდელი და ახლანდელი „უცოდველი“ წყაროები.

---

[1] Календарь антирелигиозника на 1941 год, გვ. 184.

პაპების ვერაგობა და ფულისადმი სიყვარული

ფულისადმი რომის პაპების სიყვარულს კარგად გამოხატავს შუა საუკუნეებში ხალხში გავრცელებული გამოთქმა: „ქრისტეც რომ მოვიდეს რომში, მასთან ლაპარაკსაც არ დაიწყებენ ქრთამის გარეშე", „პაპს ყველაზე ძალიან ოქროს წამალი — ფული უყვარს" [1].

გარდა ზემოთ გარჩეული წყაროებისა, ოქროს დიდი რაოდენობით ღებულობდნენ რომის პაპები საეკლესიო თანამდებობათა გაყიდვიდანაც. ამ საქმეში განსაკუთრებულ გულმოდგინეობას იჩენდა პაპი სიქსტ IV (1471 — 1484 წწ.). სიქსტ IV შესახებ მისი თანამედროვე სტეფანე ინფესურა წერდა: „ეს პაპი არაჩვეულებრივად ხარბი იყო". „სხვათაშორის, თანამდებობანი იყიდებოდა იმისდა მიუხედავად, თუ როგორი იყო ზნეობრივი ცხოვრება ბენეფიციის მიმღები პირისა, იყვნენ ისინი კარგი თუ ცუდი ქცევისა, ღირსნი იყვნენ თუ არ იყვნენ თანამდებობისა; განათლებული იყვნენ თუ გაუნათლებელნი; დაუსრულებლად ჰყიდიდა ის აგრეთვე კარდინალებისა და ეპისკოპოსების წოდებას". „ამ პაპმა,— წერს შემდეგ ინფესურა, — იმისათვის, რომ შეეგროვებინა კიდევ უფრო მეტი ფული, რომელსაც იგი ომის წარმოებასა და ფუფუნებით ცხოვრებაზე ხარჯავდა, გასასყიდად გამოიგონა რამდენიმე ახალი, იქამდე რომის კურიაში უცნობი, თანამდებობანი და შეარქვა მათ თურქული სახელწოდებანი, როგორც მაგალითად: სტრადიოტი, იანიჩარი, მამელუკი" [2].

საეკლესიო თანამდებობით ვაჭრობაში უფრო შორს იყო წასული პაპი ბონიფაციუს IX. იგი ერთ და იგივე საეკლესიო თანამდებობას ექვსჯერ და შვიდჯერ ჰყიდიდა სხვადასხვა პირებზე. რომის პაპები ფულის დაგროვების მიზნით

[1] Книга для чтения по истории средних веков, ნაწ. II, 1951, გვ. 269.

[2] М. М. Шенман, Краткие очерки истории папства, გვ. 49.

ადიდებდნენ გადასახადებს და მსხვილი მასშტაბით მონაწილეობდნენ სპეკულაციაში. ისინი ამ უკანასკნელ წამოწყებაში „მიწაზე ქრისტეს მოადგილისათვის“ არავითარ შეუფერებელ და ოფიციალურად მათზე დაკისრებულ ღვთიურ ფუნქციების შესრულებასთან შეუსაბამოს არ ხედავდნენ. ამ საკითხთან დაკავშირებით აი რას წერს იგივე სტეფანე ინფესური პაპი სიქსტ IV შესახებ: ამ პაპმა საჭმელ პროდუქტზე მოქალაქეებს დაადო ახალი გადასახადები. თავისი პაპობის დროს, იმისათვის რომ ფული მიეღო, იგი ყოველთვის ცდილობდა შეექმნა რომში შიმშილი. მკის დროს საეკლესიო სახელმწიფოს ყველა ოლქში ის ყიდულობდა ხორბალს რუბიას ერთი დუკატის ფასად, ხოლო ზოგჯერ უფრო ნაკლებადაც. ომის შემთხვევაში, რომელსაც იგი თვითონ წამოიწყებდა ხოლმე, ანდა რომიდან და მისი გარეუბნებიდან პურის გატანის შემდეგ... იწყებდა პურის გაყიდვას ოთხ და ხუთ დუკატად [1].

სპეკულაციასთან ერთად, სიქსტ IV შემოსავლის სხვა ახალი წყაროც გამოძებნა. „ამ პაპმა, — წერს იგივე ინფესური,— სხვადასხვაგვარი დანაშაულისათვის, ყველა სასჯელი დაიყვანა ფულად ჯარიმამდე, ასე რომ, თუ ვინმე დაიმსახურებდა კოცონზე დაწვას, იგი იხდიდა გარკვეულ თანხას და მას ათავისუფლებდნენ“ [2].

პაპს სიქსტ IV ოქროსადმი სიყვარულში არ ჩამორჩებოდა არც პაპი სიქსტ V (1585 — 1590 წწ.). მან გამოძალვით მოკლე დროში დააგროვა 5 მილიონი დუკატი ფული. გადმოცემით, მის დროს რომში ცხოვრობდა მკერავი პასკვინო, რომლის სატირული ხასიათის გამოთქმებმა პაპის შესახებ ჩვენამდე მოაღწია. პასკვინო სიქსტ V შესახებ წერდა, რომ, იგი ყოველი შესაძლებელი გამოძალვით ცდილობდა სიმდიდრის დაგროვებას. ახალგაზრდობაში სიქსტს საფასურის გადახდის გარეშე მიჰქონდა მეჩექმისაგან ჩექმები, შემდეგ მან ეს იმით „გადაიხადა“, რომ მეჩექმის შვილს

---

[1] М. М. Шейнман, Краткие очерки истории папства, გვ. 49.

[2] იქვე, გვ. 50.

კარდინალის ხარისხი მისცაო. ერთხელ, კვირა დღეს, თვითონ პასკვინოს გარეცხილი ხალათი ჰქონდა მზეზე გასაშრობად გამოკიდებული. ამის გამო მას ჰკითხეს: „ნუთუ არ შეგეძლო ორშაბათამდე მოცდა?“ — „როგორ შემეძლო, შეეპასუხა მათ პასკვინო, მე მეშინია ორშაბათამდე პაპმა მზე არ მოიპაროს და არ გაყიდოს“ [1].

რომის პაპების უებრო სიყვარულზე ფულისადმი და, ამის გამო, მათ მიერ თვით ქრისტეს პატივისცემაზე ხელყოფის შესახებ ცნობილი იტალიელი ჰუმანისტი პეტრარკა წერდა: „არავითარი ზღაპარი ბაბილონის შესახებ არ შეიძლება შეედაროს იმას, რაც ახლა სინამდვილეში ხდება ავინონში (საფრანგეთის ქ. ავინონში რომის პაპები გახიზნული იყვნენ 1309 — 1378 წლებში—მ. ა.). აქ მხოლოდ ოქროს აქვს ძალა. ოქროზე პაპები ჰყიდიან რაც გინდათ იმას, მათ რიცხვში თვითონ ქრისტესაც. ავინონში მეფობს ყოველგვარი მანკიერება და დანაშაულებანი. უსაძაგლესნი აქ უნეტარესად ითვლებიან“ [2].

რომის პაპ ლევ X (1513—1521 წწ.) შესახებ, რომელმაც შუა საუკუნეებში ფართო მასშტაბით გააჩაღა ინდულგენციებით ვაჭრობა, ამბობდნენ, მას კიდევ რომ ეცოცხლა, ოქროზე ჯერ რომს გაჰყიდიდა და შემდეგ თვით ქრისტესაც [3].

„ოქროსადმი სიყვარულით დაავადება“ ხელს უწყობდა პაპებს შორის მექრთამეობის აყვავებას, რომელიც მალე მათ ხელქვეით საეკლესიო მსახურებსაც გადაედოთ. პოდჟო ბრაჩოლინი თავის თხზულებაში („ფაცეციო“) გადმოგვცემს ერთი მექრთამე ეპისკოპოსის ამბავს, რომელიც ასე თუ ისე იმდროინდელ სიტუაციასთან უნდა იყოს დაკავშირებული. იგი წერს — ტოსკანაში იყო სოფლის მღვდელი, რომელსაც თავისი საყვარელი ძაღლის სასაფლაოზე დამარხვის გამო ეპისკოპოსთან უჩივლეს. ეპისკოპოსმა დაიბარა მღვდელი,

---

[1] Вопросы истории религии и атеизма, изд. акад. наук СССР, 1951, გვ. 414.

[2] Календарь антирелигиозника на 1941 год, გვ. 95.

[3] П. Карманский, Ватикан — вдохновитель мракобесия и реакции, 1953, გვ. 8.

სასტიკად გაკიცხა და გასცა განკარგულება მისი დაპატიმრების შესახებ. მღვდელმა იცოდა, რომ ეს ეპისკოპოსი ქრთამის საშინელი მოყვარული იყო, და მას ასეთი სიტყვებით მიმართა: „მამაო ჩვენო! რომ იცოდეთ, თუ როგორი გონების პატრონი იყო ის ძაღლი, თქვენ არ გაკვირდებოდით მაშინ, რომ იგი ადამიანებთან დაიმარხა, რადგან მან როგორც სიცოცხლეში, ისევე სიკვდილის დროსაც, გამოამჟღავნა იმაზე მეტი ჭკუა, ვიდრე ადამიანს აქვს". „რას ნიშნავს ეს?" — შეეკითხა ეპისკოპოსი. „მან,— უპასუხა მღვდელმა, — თავის სიცოცხლის უკანასკნელ წუთებში შეადგინა ანდერძი და, იცოდა რა თქვენი სიღარიბის შესახებ, დაგიტოვათ ორმოცდაათი დუკატი, რომელიც ახლა მე თან მოვიტანე". მაშინ ეპისკოპოსმა მოიწონა როგორც ანდერძი, ისევე დაკრძალვა, აიღო ფული და გაათავისუფლა მღვდელი" [1].

რომის პაპები არ ერიდებოდნენ ფულის შეძენისათვის ჩაედინათ პირდაპირი ვერაგობა, მკვლელობა და ამ ნიადაგზე დაკავშირებოდნენ თურქეთის სულთანებს. XV საუკუნის ბოლოს თურქეთის სულთან ბაიაზეთსა და მის ძმა ჯემს შორის დაიწყო ბრძოლა. 1489 წელს ჯემმა თავი შეაფარა რომს. სულთანის თხოვნით რომის პაპმა ინოკენტი VIII ჯემი შეიპყრო და თავის ტყვედ გამოაცხადა, რისთვისაც სულთანისაგან ყოველწლიურად 40.000 ოქროს დუკატს იღებდა. რამდენიმე წლის შემდეგ, სულთანის თხოვნის თანახმად, რომის პაპმა ალექსანდრე VI მოწამლა ჯემი და ამ „ღვთიური" საქმისათვის სულთანისაგან 300.000 დუკატი მიიღო [2].

---

[1] Хрестоматия по истории средних веков, ტ. II, გვ. 309.

[2] М. М. Шейнман, краткие очерки истории папства, გვ. 30. საერთოდ ქრისტიანული რელიგია (როგორც ყველა სხვაც) არ ერიდება არა მარტო სხვა რელიგიების მიმდევართა მიმართ, არამედ თვით ქრისტიანული რელიგიის მიმდევართა მიმართაც, სიმუხთლის ჩადენას, როდესაც საქმე ეხება ფულსა და გამორჩენას. როგორც არქანჯელო ლამბერტი 1654 წელს „სამეგრელოს აღწერა"-ში წერდა, ქრისტიანული სარწმუნოების ერთობამ ხელი არ შეუშალა ფეოდალებს, რომ მათ „ასობით ქრისტიანი ყმაწვილი... გაეყიდათ თათრებზე". (იხ. მღვდელი მიქელ თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, 1902, გვ. 181).

რომის პაპები თავიანთი ეგოისტური მიზნების განხორციელებისათვის მოწინააღმდეგეთა გასანადგურებლად ისეთ საშინელ წამებასაც კი მიმართავდნენ, როგორიც იყო ტომარაში გაკერვა[1]. XIV საუკუნის მეორე ნახევარში რომის პაპმა ურბან VI ტომარაში ცოცხლად გაკერა და ზღვაში გადააგდო ხუთი კარდინალი. კარდინალი კი, როგორც ცნობილია კათოლიკური ეკლესიის იერარქიაში, პაპის შემდეგ უმაღლესი ჩინია. უფრო მეტიც. რომის ზოგიერთი პაპი იმდენად სასტიკი და გულღვარძლიანი იყო, რომ თავის მიცვალებულ მოწინააღმდეგეებს საფლავშიაც კი არ ასვენებდა. ასე, მაგალითად, პაპმა სტეფანე VI 896 წლის 3 აგვისტოს თავისი წინამორბედი პაპის ფორმოზა I ნახევრად გახრწნილი გვამი საფლავიდან ამოიღო და პაპის ტანსაცმელში გამოწყობილი სასამართლოს დარბაზში ააყუდა, სადაც შეკრებილი იყვნენ კათოლიკური ეკლესიის უმაღლესი ჩინის წარმომადგენლები. ცოცხალი პაპი სასამართლოში მოტანილ მკვდარ პაპს ბრალს სდებდა იმაში, რომ პაპობა მას კანონით არ ეკუთვნოდა და ამის გამო არამართებულად ჰქონდა დაკავებული „ქრისტეს მიწიერი მოადგილის“ უმაღლესი ჩინი. „სასამართლომ“ თავდაცვის საშუალებას მოკლებული ფორმოზას გვამი დამნაშავედ ცნო. თვითონ ბრალმდებელმა სტეფანე VI ფორმოზას გვამს მოსჭრა სამი თითი, რომლითაც წინათ ცოცხალი ფორმოზა თავის სამწყსოს ლოცავდა, შემდეგ მოაჭრა თავი, ტანი კი მდინარეში გადააგდო[2].

მაგრამ რომის პაპების გრძელ სიაში პაპი სტეფანე VI გამონაკლისს როდი წარმოადგენდა თავისი ვერაგი ქცევით და ხასიათით. თითქმის რომის ყველა პაპი გამოირჩეოდა ხასიათის ურჯულკობით, ფლიდობით, ვერაგობით და სისასტიკით. პაპმა ბენედიქტე IX მოწამვლით მოკლა თავისი წინამორბედი პაპი დამასია და თვითონ შეიქმნა პაპად. შემდეგ, მან იარაღით ხელში ოთხჯერ ბრძოლით დაიპყრო „ქრისტეს

---

[1] ტომარაში გაკერვის შესახებ იხ. ჩემი წიგნი: „აი რას ამბობს ისტორია“, გვ. 192.

[2] **Календарь антирелигиозника на 1941 год**, გვ. 112.

მოადგილის“ ტახტი და თითოეულ ამ ბრძოლის დროს მის მოწინააღმდეგე, ან მასთან არალოიალურ დამოკიდებულებაში მყოფ პირთაგან, სიცოცხლეს ესალმებოდნენ ასეულობით ადამიანები. ბენედიქტეს შესახებ თვით მისი მემკვიდრე პაპი ვიქტორ III წერდა: იგი მთელ თავის სიცოცხლეში მკვლელობისა და ძარცვის მეტს არაფერს არ აკეთებდაო[1]. „ქრისტეს მონაცვლე“ ბენედიქტე IX არ ჩამორჩებოდა არც ბენედიქტე VIII. მისი ბრძანებით 11 დეპუტატი, რომლებიც მას პაპობიდან გადადგომას ურჩევდნენ, ფანჯრიდან გადაჩეხვით დახოცეს. პაპმა ბონიფაციუს VIII კი თავისი წინამორბედი პაპი ცელესტინი შიმშილით მოკლა, პაპმა იოანე XII კი ციხეში დაალპო საკუთარი დედა[2]. აღსანიშნავია, რომ ზოგჯერ რომის პაპები თვითონვე აღიარებდნენ თავიანთი ხასიათის სიმკაცრესა და უდიერობას. გადმოცემის მიხედვით, რომის პაპი სიქსტ V თურმე ხშირად იმეორებდა კაცთმოძულე კანიბალისტურ სიტყვებს: „მე მინდა, რომ ჩემს დროს ციხეები ცარიელი იყოს და სახრჩობელები კი სავსე“[3].

რომის პაპების ეს სისასტიკე, მათი ვერაგული მოქმედებანი, ფლიდობა და გარყვნილება კარგად გამოამზეურეს ფრანგმა განმანათლებლებმა ათეისტებმა და რუსმა რევოლუციონერმა დემოკრატებმა. რუსი რევოლუციონერი დემოკრატები მიუთითებდნენ, რომ პაპობის მთელი ისტორია დაწერილია სისხლით, აღნიშნულია გვამების მთების და ცრემლების ზღვით. მათი აზრით პოლიტიკური ინტრიგები, თაღლითობა, მოტყუება, თავიანთ მოწინააღმდეგეთა მკვლელობა, ბატონობის მოყვარულობა, ანგარება, გარყვნილება, პირფერობა, შინაბრძოლა და სისხლისმღვრელი ომები — გარდუვალი თანამგზავრები იყვნენ პაპების სასახლისა[4].

---

[1] Календарь антирелигиозника на 1941 год, გვ. 140.

[2] П. Карманский, Ватикан—вдохновитель мракобесия и реакции, 1953, გვ. 10.

[3] Вопросы истории религии и атеизма, изд. акад. Наук СССР, 1951, გვ. 414.

[4] В. И. Прокофьев, Атеизм русских революционных демократов, გვ. 58.

პაპების ეს ვერაგული, კაცთმოძალე ხასიათი და ქცევა, რა თქმა უნდა, შეუმჩნეველი არ რჩებოდა ხალხის ფართო მასებისათვის, რომლებიც საკუთარ ზურგზე განიცდიდნენ „ქრისტეს მოადგილეთა“ ტირანობისა და გაიძვერობის, გარყვნილებისა და ფლიდობის მთელ ამ ნარევს.

ყოველივე ეს გამოხატულებას პოულობდა ანდაზებში, ფოლკლორში, სატირულ ლექსებსა და პოემებში. დ. ი. პისარევს მოყავს ერთი ასეთი სატირული ხასიათის პოემა, რომელშიაც პაპის კარი შედარებულია გემთან. ამ გემს „ფსკერი გაკეთებული აქვს ცუდი აზრებისაგან, გვერდები — ღალატისაგან, რომელიც მეტად კარგად არის შეკრული საზიზღარი და სამარცხვინო საქმეებისაგან, ანძა გაკეთებული აქვს სიცრუისაგან, ღუზა — ვერაგობისა და მუხანათობისაგან, კიჩო გამოჭედილი აქვს ფლიდობისა, სიმკაცრისა და გაიძვერობისაგან, გემს გარშემოდებული აქვს ნაცრისფერი მაუდი, მოქსოვილი პირმოთნეობისა, სიზარმაცისა და გარყვნილი ცხოვრებისაგან“. „ამ გემზე, — დაასკვნის შემდეგ თვითონ პისარევი, — რომელიც ყოველგვარ ბოროტების სიმბოლოს წარმოადგენს, ადმირალის ჩინით ზის თვითონ პაპი, კარდინალები — მისი თანაშემწეებია, ეკიპაჟი კი შედგენილია კათოლიკი მღვდლებისა და ბერებისაგან“ [1].

ასეთები იყვნენ არა მარტო წინა საუკუნეთა პაპები, არამედ ასეთები არიან მათი ახლანდელი ნაშიერებიც. — ყველა ეს პიუს X, XI და XII-ები. განსხვავება აქ მხოლოდ იმაშია, რომ ნაშიერებმა უფრო მეტად გააუმჯობესეს ვერაგობისა და სიმუხთლის ტექნიკა, ამ საქმეში გაუსწრეს წინაპრებს და „ქრისტეს სახელით“ მოითხოვენ არა ცალკეული პირების ტომარაში გაკერვასა და დასჯას, არამედ ატომური ბომბებით მთელი ქალაქების დანგრევას და მილიონობით უდანაშაულო მოხუცებისა და ბავშვების განუკითხავად ამოწყვეტას.

---

[1] В. И. Прокофьев, Атеизм русских революционных демократов, გვ. 60.

რომის პაპების ზნეობრივი დაცემა

დღემდე ისტორია ითვლის დაახლოებით 250-მდე პაპს. მათგან უმრავლესობა მეტად გარყვნილ და გადაგვარებულ ცხოვრებას ეწეოდა. პაპების ცხოვრების მახინჯი ნირი და სქესობრივი თავაშვებულება უდიდეს დამრღვევ გავლენას ახდენდა არა მარტო მორალის საერთოდ ცნობილ და საყოველთაოდ სავალდებულო ნორმებზე, არამედ წარმოადგენდა კიდეც მილიონობით იმ უბრალო რიგითი მორწმუნეების ნდობისა და რწმენის შეურაცხყოფასა და მოტყუებას, რომელთაც პაპები მიჩნეული ჰყავდათ „მიწაზე ღმერთის მონაცვლედ“ და უპატიოსნესი ადამიანური არსების განსახიერებად. რომის პაპები საერთოდ ასეთ ადამიანებად ჰყავდათ წარმოდგენილი შორეული ქვეყნების ბევრ მეფეებსა და დიდებულებსაც, რომელნიც ახლოს არ იცნობდნენ მათ და არ იცოდნენ მათი ცხოვრების წესის ამბები. ქართლის მეფე სიმონ I (XVI საუკ.) პაპისადმი გაგზავნილ წერილში მას უწოდებს: „ყოვლად წმიდასა და ნეტარს“, „წმიდა მამას“, „ოქროს ნალარას დიდი რომისა, ღვთის მიერ ჩაგონებულ ორღანოს“, „პეტრე მსაჯულს და ზეცით სუფევის კლიტეთა მქონებელს“, „ეკლესიის მნათობს“, „მთელი დასავლეთის მანათობელს“ [1]. საბა-სულხან ორბელიანი კი 1714 წელს მარსელიდან რომში გაგზავნილ წერილში წერდა: „...ამისი ნდობა მაქვს, რომ უფროსად წმიდისა პაპის ფეხს კოცნა მეღირსოს“ [2]. ნამდვილად კი რომის პაპებს ასეთი პატივისცემა, შეჭება და მოკრძალება სრულიადაც არ ჰქონდათ დამსახურებული, რაც მტკიცდება ისტორიაში არსებული აუარებელი დოკუმენტური ცნობებით, რომელნიც თვით ამ პაპების თანამედროვეებს, ანდა მათი ახლობელი წრის პირებს ეკუთვნით. ასე, მაგალი-

[1] მღვდელი მიქელ თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, 1902, გვ. 76.

[2] იქვე, გვ. 315.

თად, კარდინალი ბარონი XI საუკუნის პაპების მორალურ ყოფის დახასიათებისას წერდა: „წმიდა პეტრეს ტახტზე იჯდნენ არა ადამიანები, არამედ ურჩხულები ადამიანის სახით. გარყვნილი და ყველა მანკიერებაში დახელოვნებული ქალები მბრძანებლობდნენ რომში და თავიანთი ნაგრამით და საყვარლებით ეჭირათ პაპის ტახტი“ [1].

ცნობილი რეფორმატორი მარტინ ლუთერი (1483—1546 წწ.) რომის პაპების გარყვნილებისა და ვერაგული ქცევის გამო წერდა: „თუ ჩვენ ქურდებს მახვილით ვსჯით, კაცის მკვლელებს სახრჩობელათი, ხოლო მწვალებელთ ცეცხლით, რატომ ყოველნაირი იარაღით თავს არ ვესხმით ამ გარყვნილების მავნებელ მასწავლებელთ, პაპებსა, კარდინალებსა, ეპისკოპოსებს და რომის სოდომის მთელს ხროვას, და რატომ მათი სისხლით არ ვიბანთ ხელებს“ [2].

ამგვარი ცნობების საფუძველზე მრავალი გამოჩენილი მკვლევარისა და მოაზროვნის მიერ ადრევე იყო გაკეთებული დასკვნები რომის პაპების საერთო შეფასებისა და მათი ამორალური ქცევის შესახებ. ფრანგი ფილოსოფოსი ჰოლბახი 1770 წელს წერდა, როგორც „...ეკლესიის ისტორიკოსები აღიარებენ, რომის მრავალი ეპისკოპოსი (პაპები — მ. ა.) იყვნენ სიმონისტები (საეკლესიო თანამდებობით მოვაჭრენი — მ. ა.), მკვლელები, მომწამვლელები, ფუფუნების საშინელი მოყვარულნი, სისხლის აღმრევნი, ბევრი მათგანი იყო ღვთის მგმობელი, ერეტიკი, ურწმუნო“ [3].

როგორც ავგუსტ ბებელი წერდა, სასულიერო წოდების გარყვნილებას ის გარემოებაც უწყობდა ხელს, რომ რომში „განსაკუთრებით მრავალრიცხოვანი სასულიერო წოდება უმრავლეს შემთხვევაში შედგებოდა ჯანმრთელი მამაკაცები-

---

[1] П. Карманкéнй, Ватикан — вдохновитель мракобесия и реакции, გვ. 11.

[2] ფ. ენგელსი, გლეხთა ომი გერმანიაში, 1932, გვ. 53.

[3] Поль Гольбах, Галлерея святых, გვ. 205. რომის პაპმა ალექსანდრე VI თვითონაც ვერ დამალა თავისი ურწმუნოება და ერთხელ განაცხადა: ყოველი რელიგია კარგია, მაგრამ საუკეთესოა ის, რომელიც ყველაზე სულელურიაო.

საგან, რომელნიც ფუფუნებისა და უქმი ცხოვრების წყალობით, და აგრეთვე, იძულებითი უქორწინების შედეგად, გამოირჩეოდნენ გაძლიერებული სქესობრივი მოთხოვნილებით. მისი დაკმაყოფილება კი მათ შეეძლოთ უკანონო, ანდა ბუნების საწინააღმდეგო გზით“ [1].

კათოლიკური ეკლესიის უმაღლესი ჩინის პირებს ცოლის შერთვა აკრძალული აქვთ XI საუკუნიდან. ამ ღონისძიების შემოღებით კათოლიკური ეკლესიის მეთაურები ცდილობდნენ, რომ, ჯერ ერთი,—რომის პაპობისათვის არ მიეცათ მემკვიდრეობითი ხასიათი; მეორე, — პაპის უცოლობის გზით თავიდან აეცილებინათ (საწინააღმდეგო შემთხვევის დაშვების დროს) პაპის შვილებს შორის პაპის ქონების განაწილების აქტი, რაც ეკონომიურად და, მის შესაბამისად, პოლიტიკურადაც დასცემდა კათოლიკური ეკლესიის ცენტრის გავლენას და მნიშვნელობას. მესამე, — შეექმნათ შთაბეჭდილება, რომ პაპები უცოლობის გამო, ამ მსხვერპლის გაღებაზე, ბუნების კანონთა საწინააღმდეგო მოთმინებაზე მიდიან, და რიგით მორწმუნეებთან შედარებით, თავს ამ ქვეყნად უარეს მდგომარეობაში იგდებენ ღმერთისა და საიქიოს მაღალი იდეის გულისთვის.

ნამდვილად, ისინი უგულებელყოფდნენ იმ გარემოებას, რომ ადამიანური კანონები უძლურნი არიან ბუნების კანონების წინაშე, რომელთა მოსპობაც მათ არ ძალუძთ. უფრო კი საფიქრებელია ის გარემოება, რომ ეს უკანასკნელი გარემოება მათ არ აწუხებდათ იმდენად, რამდენადაც ცოლის შერთვის ოფიციალურ აკრძალვაში ისინი გამოსავალს მის არაოფიციალურ და უფრო მახინჯი ფორმებით დაშვებაში ხედავდნენ. მართლაცდა, როგორც ჩვენ ზემოთ ვნახეთ, ცოლის შერთვის აკრძალვას არ შეიძლებოდა ერთგვარი გავლენა არ მოეხდინა პაპების ზნეობრივ გათახსირებაზე და მათი ერთი ნაწილის ყოფაცხოვრებაში ისეთი მახინჯი ფორმების დანერგვაზე, როგორიც არის სისხლის აღრევა და მამათმავლობა.

---

[1] Август Бебель, Женщина и социализм, 1926, გვ. 38.

ერთი და კანონიერი ცოლის შერთვის აკრძალვის სამაგიეროდ რომის პაპებს ჰყავდათ ათობით და ასობით საყვარელი. ასე, მაგალითად, პაპ იოანე XXIII ჰყავდა საყვარლად 300 მონაზონი. პაპი ბენედიქტე XIV იმდენად გარყვნილ ცხოვრებას ეწეოდა, რომ მის შესახებ მისი ერთი თანამედროვე ეპისკოპოსი წერდა: „მე უფრო ადვილად დავთანხმდები უკანალზე ვაკოცო ბუასილით შეპყრობილ ჯადოქარს, ვიდრე პაპს ტუჩებზე“ [1].

რომის პაპი სერგი III (904 — 911 წწ.) ფარულად ცხოვრობდა გარყვნილ ქალ მაროციასთან, რომელთანაც მას შვილიც შეეძინა. ეს ბავშვი შემდეგ რომის პაპად შეიქმნა იოანე XI სახელით. პაპი იოანე XI დააპატიმრა და პაპობიდან გადააყენა მისმა ბიძამ (მაროციას ძმამ) ალბერიხმა, რომლის შვილი ოქტავიანე შემდეგ შეიქმნა პაპად იოანე XII სახელით. იოანე XII შესახებ ისტორიკოსი ლოზინსკი წერდა, რომ „...მემატიანეები დაწვრილებით გადმოგვცემენ თუ როგორ გადააქცია ოქტავიანემ (ე. ი. იოანე XII) ლატერანიის სასახლე მეძავთა სახლად, როგორ ერიდებოდნენ მას წესიერი ქალები, რამდენი ჰყავდა მას ქმრიანი ქალი საყვარლად, როგორ ორგიებს აწყობდა იგი, როგორ სვამდა ის ეშმაკის სადღეგრძელოს“ [2] და ა. შ.

რომის პაპებს შორის თავისი გარყვნილი ცხოვრებით განსაკუთრებით გამოირჩეოდა ალექსანდრე VI (ბორჯია). მას ხასად ჰყავდა თავისი ქალიშვილი ლუკრეცია [3]. ბორჯია პაპად იყო XV საუკუნის ბოლო ხანებში. მის შესახებ მარქსი წერდა: ბორჯიამ ჯერ კიდევ „როგორც კარდინალმა თავისი მრავალრიცხოვანი ვაჟიშვილებით და ქალიშვილებით, აგრეთვე თავისი შთამომავლობის ფლიდობით და საზიზღრობით მოიპოვა სამარცხვინო სახელი“ [4].

---

[1] Календарь антирелигиозника на 1941 год, გვ. 95.

[2] М. М. Шеинман, Краткие очерки истории папства, 1952, გვ. 44.

[3] როგორც ზემოთ ვწერდით, რომის პაპებს ცოლის შერთვის უფლება არ ჰქონდათ, მაგრამ ზოგიერთ მათგანს რომაელ მანდილოსნებთან ფარული კავშირის შედეგად ჰყავდა საკუთარი უკანონო შვილები.

[4] Архив Маркса и Энгельса, ტ. VII, გვ. 68 — 69.

უფრო გარყვნილ ცხოვრებას ეწეოდა პაპი სიქსტ IV (იგი პაპად იყო 1471 — 1484 წლებში). აი რას წერს მის შესახებ თავის დღიურში მისი თანამედროვე, რომის სენატის მდივანი სტეფანე ინფესურა: „12 აგვისტოს, ხუთშაბათს, ღამის 5 საათზე სიქსტი გარდაიცვალა. ამ უბედნიერეს დღეს ყოვლისშემძლე ღმერთმა გამოაჩინა თავისი ძალა მიწაზე, და გაათავისუფლა ქრისტიანი ხალხი ასეთი უღმერთო და უკანონო მეუფის ხელისაგან“. შემდეგ ინფესურა წერს, „როგორც ყველასათვის ცნობილია და როგორც ამას ფაქტები ადასტურებენ, ეს პაპი იყო ბიჭების მოყვარული და ბრალდებული სოდომის (მამათმავლობის — მ. ა.) ცოდვაში“. „ყველასათვის ნათელია, — დაასკვნის ინფესურა, — თუ რას აკეთებდა იგი იმ ბიჭებისათვის, რომელნიც მას სამსახურს უწევდნენ საწოლში: იგი მათ არა მარტო რამდენიმე ათასი დუკატის (ოქროს მონეტა — მ. ა.) საჩუქრებს აძლევდა, არამედ მან გაბედა კიდეც აემაღლებინა ისინი კარდინალის ღირსებაში და ასაჩუქრებდა მათ ეპისკოპატთა ბენეფიციებით“ [1].

მამათმავლობა რომში ქრისტიანობამდეც იყო გავრცელებული. ამის შესახებ ავგუსტ ბებელი წერს: რომში „სამეძაო სახლების რიცხვი თანდათან იზრდებოდა და ამასთან ერთად მამაკაცები თანდათან უფრო მეტად ეძლეოდნენ ბერძნულ სიყვარულს (ბიჭებისადმი სიყვარულს). იყო ისეთი დრო, როდესაც მეძავი ახალგაზრდები უფრო მეტნი იყვნენ რომში, ვიდრე მეძავი ქალები. გარყვნილებამ რომის იმპერიაში ისეთ საზღვრებს მიაღწია, რომ იგი ემუქრებოდა თვით სახელმწიფოს არსებობასაც“ [2].

ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ კათოლიკურმა ეკლესიამ არათუ შეძლო საერთოდ ყოფაცხოვრებაში არსებული ძველი წარმართული ეპოქის მახინჯი მოვლენების აღმოფხვრა, არამედ ერთგვარად აძლიერებდა კიდეც მათ. ეს ითქმის, კერძოდ, თვით პაპების რეზიდენციაზე და ქ. რომზე. გერმანელი

---

[1] М. М. Шепиман, Краткие очерки истории папства, გვ. 48 — 49.

[2] Август Бебель, Женщина и социализм, გვ. 29.

ჰუმანისტი ულრიხ ფონ ჰუტენი (1488 — 1523 წწ.) რომში არსებულ გარყვნილების შესახებ წერდა: „სამი საგნით ვაჭრობენ რომში: ქრისტეთი, წმინდა ადგილებით და ქალებით". „სამი საგანია ჰარბად რომში: მეძავები, მღვდლები და გადამწერნი" [1]. ხოლო ცნობილი მეცნიერი, ფილოსოფოსი და მწერალი, შემდეგ კათოლიკური ეკლესიის მიერ ცეცხლში დამწვარი ჯორდანო ბრუნო კი (1548 — 1600 წწ.) თავის კომედია „შანდალში" წერდა: რომ პაპების გარყვნილი მოქმედების შედეგად, რომი გადაიქცა ვენერას სამოთხედ, რადგანაც რომში იმდენი სამეძაო სახლია, რამდენიც მონასტერია და მათ შორის განსხვავების დადგენა მეტად ძნელი ხდება. რომში, — წერდა შემდეგ ბრუნო, — უფრო მეტი პროსტიტუტკებია, ვიდრე ცაზე ვარსკვლავებიო [2].

რომის პაპების და საერთოდ კათოლიკური ეკლესიის ზედაფენების ეს გარყვნილება, როგორც ზემოთაც ვნახეთ, დამოწმებულია ისტორიული ფაქტებით და მისი უარყოფა საღი აზროვნების უნარს მოკლებული ადამიანების გარდა არავის შეუძლია. ცნობილი ფრანგი მწერალი ანატოლ ფრანსი თავისი რომანის ერთ-ერთ გმირს ასე ალაპარაკებს: „როგორ შეიძლება რელიგიური იდეები ზნეობრიობის გამტარებლად მივიჩნიოთ, როდესაც ქრისტიან ხალხთა მთელი ისტორია მოქსოვილია ომების, ხოცვა-ჟლეტისა და წამებისაგან? ...ბერებმა ყველა ელფერისა — თეთრებმა და შავებმა, ამლაყებმა და უბირებმა ჩირქი მოიცხეს ყველაზე საძაგელი საქციელით... მე არაფერს ვამბობ პაპებზე, რომელთაც ჭეყანა სისხლში ამოახრჩეს" [3]. ამ ზნეობრივი ჩირქის მოცხების ერთ-ერთ ნიშნად ისიც უნდა იყოს მიჩნეული, რომ კათოლიკური ეკლესიის მრავალი ეპისკოპოსი და აბატი დიდი გულმოდგინებით სარგებლობდა თავის სამწყესოს ყმა ქალიშვილებში პირველი ღამის უფლებით.

---

[1] Календарь антирелигиозника на 1941 год, გვ. 153.

[2] Вопросы истории религии и атеизма, изд. Академии Наук СССР, 1951, გვ. 406.

[3] М. М. Шейнман, Краткие очерки истории папства, გვ. 52.

შართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო წოდებაშიც საკმაოდ ჰქონდა და ახლაც აქვს ფეხი მოკიდებული გარყვნილ ცხოვრებასა და ზნეობრივ დეგრადაციას. ამ საკითხის გარკვევა ამჟამად ჩვენს ამოცანას არ შეადგენს. მოვიყვანთ მხოლოდ ერთ მაგალითს. ცნობილმა მღვდელმა, პროვოკატორმა გაპონმა 1902 წელს მოსკოვის ახლოს მდებარე უპატრონო ბავშვთა ერთ-ერთი თავშესაფრიდან გაიტაცა და გააუპატიურა ახალგაზრდა გოგო ა. უზდალოვა. ამ საქმესთან დაკავშირებით დაუახლოვდა გაპონი პეტერბურგის პოლიციის პოლიტიკური განყოფილების უფროსის მოადგილე მიხაილოვს, რომელმაც იგი ჯაშუშურ მუშაობაში ჩააბა. შემდეგ ამ ზნედაცემული გაპონის ჯაშუშური „გმირობა“ მკითხველისათვის ცნობილია 1905 წლის 9 იანვრის ამბებით.

დოგმები და სასწაულები. სამოთხისა და ჯოჯოხეთის საკითხი

დოგმები გაუაზრებელ და ცდით შეუმოწმებელ რწმენაზე იყო დამყარებული და ყველა რელიგიურ სისტემაში მრავლად მოიპოვებოდა. ეკლესიის ზოგიერთი მოღვაწე თვითონაც გრძნობდა, რომ ამ დოგმების გამოყვანა არ შეიძლებოდა არც გონებიდან (აზროვნების ლოგიკური კანონებით) და არც ცდიდან (პრაქტიკიდან). მიუხედავად ამისა, ისინი ასეთი დოგმების რწმენას არა მარტო სავალდებულოდ აცხადებდნენ, არამედ თავიც კი მოჰქონდათ, რომ მათ ისინი სწამდათ. ასე, მაგალითად, ქრისტიანული ეკლესიის ისეთი მესვეურები, როგორიც ტერტულიანე (160 — 230 წწ.) და ნეტარი ავგუსტინე (354 — 430 წწ.) იყვნენ, პირდაპირ წერდნენ „გვწამს იმიტომ, რომ აფსურდია“. ამგვარად, დოგმატიკოსებისათვის მთავარი იყო განუსჯელი ბრმა რწმენა და მათთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა სარწმუნო საგნისა და მოვლენის ცდისა და გონებისადმი წინააღმდეგობასა და დაუქვემდებარებლობას.

რელიგიას, მთელი თავისი დოგმების არსენალით, არ შეუძლია ასეთი ბრმა და განუსჯელი რწმენის გარეშე არსებობა, ვინაიდან ამ დოგმების განსჯა და კრიტიკის ქარცეცხლში მათი გატარება ყოველთვის გათავდებოდა მათი უარყოფით და, ამის გამო, რწმენის სფეროდან მათი საერთოდ მოხსნით. ეს კი რელიგიის მსახურთ არ აწყობთ, რადგან, როგორც ეს სამართლიანად შენიშნა ჰოლბახმა, დოგმების, ე. ი. „...განუსჯელი რწმენის გარეშე არც სამღვდელოებას, არც მათ მეთაურთ არ შეუძლიათ არსებობა“ [1], და იმიტომ რომ დოგმების რწმენა და მათი უკრიტიკოდ მიღება არა მარტო რელიგიისა და მის მსახურთა არსებობის ერთ-ერთი

[1] Поль Гольбах, Галлерея святых, გვ. 202.

ძირითადი პირობაა, არამედ იმიტომაც, რომ იგი მორწმუნეთა მორჩილებაში ყოლის უდიდეს საშუალებას წარმოადგენს.

ჰოლბახი წერდა: „რწმენა ბრმად უმორჩილებს ადამიანს მღვდელს; უკანასკნელი უკრძალავს ადამიანს განსჯას და ამით იღებს შესაძლებლობას ისე მოექცეს მას, როგორც მოეხასიათება. მხოლოდ ღვთის მოშიშობა სარგებლობს პრივილეგიით — უსირცხვილოდ იქნეს შესრულებული უდიდესი დანაშაული. მიეცით წინადადება ყოველ საღად მოაზროვნე ადამიანს, რომ მოკლას მეორე ადამიანი, ყელი გამოსჭრას მეგობარს... თქვენ ნახავთ, რომ იგი აღშფოთებით დაიხევს თქვენგან უკან. შესთავაზეთ იგივე ბოროტმოქმედების შესრულება ეკლესიური წესების გულმოდგინედ შემსრულებელ მორწმუნეს, უთხარით მას, რომ ღმერთმა ასე ბრძანა, რომ ამის შესრულებაზეა დამოკიდებული ეკლესიის კეთილდღეობა... და უსაშინელესი ბოროტება მაშინვე მას კანონიერად მოეჩვენება“ [1].

ქრისტიანულ რელიგიას თავიდანვე დაჰყვა მრავალი დოგმა, როგორც მაგალითად, ის, რომ ღმერთი სამპიროვანია, რომ ქრისტე ორბუნებოვანია და ამიტომ ადამიანიც არის და ღმერთიც, რომ მღვდლის ხელში სეფისკვერი და ღვინო ქრისტეს სისხლად და ხორცად გადაიქცევა და რომ ქრისტე, როგორც ეს ადრინდელ ქრისტიანულ ლიტერატურაშიც იყო და როგორც ამას შემდეგ რომის პაპი გრიგოლ I სწერდა 596 წელს ქართლის კათოლიკოს კვირინოს — ჩაისახა ქალწულის საშოში მამა ღმერთის სიტყვით, რადგანაც „...რა წამს სიტყვა მივიდა მის (ქალწულ მარიამის — მ. ა.) საშოში, იმ წამსვე სიტყვა ხორციელ იქმნა“ [2]. შემდეგ ხანებში ამგვარი დოგმების რიცხვი ქრისტიანულ რელიგიაში კიდევ უფრო გაიზარდა. რა თქმა უნდა, გონებით და ცდით არც ერთი დოგმის დამტკიცება არ შეიძლება სინამდვილესთან

---

[1] Поль Гольбах, Галлерея святых, გვ. 268.

[2] მღვდელი მიქელ თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, 1902, გვ. 25.

მათი წინააღმდეგობის გამო. ამიტომ ეს დოგმები მორწმუნეებს ეკლესიისაგან ეძლევათ ბრძანებით, როგორც აქსიომა და ისინიც ვალდებულნი არიან განუსჯელად ირწმუნონ. ამგვარად, ყველა რელიგიას და მათ რიცხვში ქრისტიანულსაც ესაჭიროება არა ფხიზელი და განსჯის უნარის მქონე გონების ადამიანები, არამედ იდიოტები, რომელთაც სწორედ თავიანთი იდიოტობის გამო შეუძლიათ ყველა ამ დოგმების განუსჯელად მიღება და დაჯერება.

ქრისტიანულმა ეკლესიამ შეჰქმნა აგრეთვე მრავალი თავსატეხი და ტრაქტატი, რომელთა ირგვლივ ისინი დაობდნენ და რომელთაც თავისი გამოსავალი წინამძღვრებით არსებითად დოგმების ხასიათი ჰქონდათ. ასეთ თავსატეხ ამოცანათა რიცხვს მიეკუთვნება, მაგალითად, ასეთი საკითხი: რამდენი ეშმაკი დაეტევა ნემსის წვერზე; ადამს, რადგანაც იგი ხელოვნურად იყო შექმნილი ღმერთის მიერ, ჰქონდა თუ არა ჭიპი და სხვა ამის მსგავსი გალიმატიები.

ასეთ თავსატეხებში, როგორც დოგმა, წინასწარ იყო დაშვებული როგორც ღმერთისა და ეშმაკის არსებობა, ისე ღმერთის მიერ ადამის შექმნის ლეგენდის რეალობად მიჩნევა. ამავე დროს ეკლესიის დეგენერატი „თეორეტიკოსები“ ადგენდნენ აბსურდული ხასიათის სხვადასხვა ტრაქტატებს: ანგელოზების გამოკვებაზე, სატანასთან ქალის სქესობრივ კავშირზე და სხვა. პარიზის უნივერსიტეტის ღვთისმეტყველების პროფესორმა ალბერტ დიდმა (1193 — 1280 წწ.) დაწერა შრომა იმის შესახებ, თუ ოქრო-ქვით როგორ უნდა მოიცილო სისულელე და შეიძინო სიბრძნე; ან ალმასის ქვის მარცხენა მხარეზე ტარებით, როგორ უნდა აჯობო მტერს, გარეულ მხეცებს, ავადმყოფობას, საწამლავს და სხვა.

საგნებისათვის ასეთი მაგიური ძალის მიწერასთან ერთად, ყველა რელიგიისათვის დამახასიათებელია სასწაულები. სასწაულების რწმენა ყოველგვარ კანონზომიერებას დაუმოჩილებელი ბრმა რწმენაა. ამ სასწაულებს არც გონებიდან და არც პრაქტიკიდან გამოყვანილი არავითარი მამტკიცებელი არგუმენტები არ გააჩნიათ და არც შეიძლება გააჩნდეთ. მათ ერთადერთ საფუძვლად ისევ და ისევ ბრმა რწმენა რჩება.

სასწაულების შესაძლებლობის აღიარებას, რომელიც დასაბამიდანვე ყველა რელიგიის ძირითადი ფონდია, დიდი ადგილი ეჭირა წარმართულ და შემდეგ ქრისტიანულ რელიგიაშიც.

წარმართული რელიგიიდან ასეთი სასწაულების ნიმუშად შეიძლება მოყვანილ იქნეს პირველ საუკუნეში მცხოვრები, ძველი რომაელი ისტორიკოსი ტიტ ლივიუსის მაგალითები, რომელსაც ის თავისი „ისტორიის“ XXII, I წიგნში გადმოგვცემს. აღწერს რა ჰანიბალის რომზე ლაშქრობით გამოწვეულ შიშს, ტ. ლივიუსი დასძენს, რომ ეს „შიში იზრდებოდა მრავალრიცხოვანი ნიშნებით. სიცილიაში რამდენიმე ჯარისკაცს შუბის წვერი (სათიხარი) აენთო; სარდინიაში კი მხედარს, რომელიც ყარაულის შემოვლას ახდენდა, ჯოხი ხელში დაეწვა; ნაპირი განათებული იყო მრავალრიცხოვანი ცეცხლით; ორ ფარზე სისხლის ოფლი გამოვიდა; რამდენიმე ჯარისკაცი დაიღუპა მეხით; და გეგონებოდათ, რომ მზის დისკო პატარავდებაო; მოგვითხრობდნენ, რომ პრენესტში ციდან ცვივოდა ცეცხლის ქვები; ხოლო არპაში დაინახეს, თუ როგორ ებრძოდა მზე მთვარეს და. ცაზე როგორ გამოჩნდა ფარი; კაპენში დღისით ორი მთვარე ამოვიდა; ცერეში მდინარეები სისხლად მიდიოდა... ზოგიერთ თხას ბალანი მატყლად ექცა; დედალი ქათამი მამლად გადაიქცა, მამალი კი დედლად“. აქ გადმოცემული ამბებიდან ზოგიერთი არ მიეწერება სასწაულს, მაგრამ მათი დიდი ნაწილი სასწაულებრივ ხასიათს ატარებს.

სასწაულების რწმენას დიდი ადგილი ეჭირა ბერძნულ რელიგიასა და მითოლოგიაშიც. ბერძნების წარმოდგენით, ზღვის ღმერთის პოსეიდონის განკარგულების მიხედვით, ზღვა იწყებდა აღელვებასა და დაწყნარებას. მრავალი სასწაულებრივი ამბავი მოიპოვება „ბიბლიაშიც“. „ბიბლიის“ მიხედვით, ებრაელების სარდალმა ისუს ნავინმა, იმისათვის, რომ მტრის წინააღმდეგ დაწყებული ბრძოლა გამარჯვებით დაემთავრებინა, მზეს უბრძანა გაჩერება. ჰორიზონტზე გაჩერებული მზე უცდიდა ნავინს, ვიდრე ის ბრძოლას მოიგებდა და მტერს საბოლოოდ შემუსრავდა. იმავე „ბიბლიის“ მიხედვით, ებ-

რაელთა წინამძღოლმა მოსემ ხელის გაშვერით წითელი ზღვა შუაზე გააპო. კედელივით შეკრული ტალღები, ამ განაპობის ორივე მხარეზე ზღვის ძირიდან ზედაპირამდე, უძრავად იდგნენ, ვიდრე ზღვის ფსკერზე გადავლით ებრაელები თავიანთი ჯოგებით წითელი ზღვის ერთი ნაპირიდან მეორეზე გადავიდოდნენ.

ქრისტიანულ რელიგიაში თვით ქრისტეს უბიწოდ ჩასახვა, მკვდრეთით აღდგომა, ზეცად ასვლა, აგრეთვე ის, რომ გენისარეტის ტბის ნაპირზე მან 5 პურით და 7 თევზით 5.000 კაცი გამოკვება და სხვა მრავალი ასეთი ამბავი აგრეთვე სასწაულებრივი ხასიათისაა.

ეს სასწაულები, სასულიერო პირთა ქადაგებით, ღმერთის ნება-სურვილით ხდება და ამიტომ ყოველგვარი კრიტიკის გარეშე დგას. რელიგია არ იძლევა არა მარტო მათი შემოწმების უფლებას, არამედ მათში ეჭვის შეტანის უფლებასაც. თუ რომელიმე ურჩი მორწმუნე მაინც გაბედავდა ასეთი კითხვის დაყენებას, მას, როგორც ლომონოსოვი წერდა, უპასუხებდნენ „ყოვლისშემძლე“ და „ყოვლისამხსნელი“ სამი სიტყვით: „ღმერთმა ასე შექმნა“, „ღმერთმა ასე ინება“. ამ უკუღმართი „დებულებიდან“ გამოსვლით თეოლოგები ყველაფერში ზებუნებრივი აუცილებლობით დაწესებულ ღმერთის ნებისყოფის გამოვლინებას ხედავდნენ, მათ შორის, როგორც ენგელსი წერს, ისეთ ამბებშიც კი, თუ რატომ „...ამ ძაღლის კუდი ხუთი დიუმია და არც ერთი ხაზით არც გრძელი და არც მოკლე“ [1]. ანდა, თუ რატომ „მე წინა ღამეს რწყილმა მიკბინა დილის ოთხ საათზე და არა სამ საათზე ან ხუთზე და ისიც მარჯვენა მხარზე და არა მარცხენა კანჭზე“ [2]. ღმერთის მიერ დადგენილი ამ მეტაფიზიკური აუცილებლობით ხდება ყველა მოვლენა ბუნებაში და საზოგადოებაში, „ურომლისოდაც არც ერთი თმა არ შეიძლება თავიდან ჩამოვარდეს“ [3]. ამიტომ ყველა მოვლენის მიზეზი ჩვენ მხო-

[1] ფ. ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, 1950, გვ. 223.
[2] იქვე, გვ. 224.
[3] იქვე, გვ. 250.

ლოდ ღმერთის ყოვლისშემძლეობაში უნდა ვიგულვოთ, მაგრამ ღმერთის გონების ნამოქმედარს ადამიანური გონების სისუსტის გამო ჩვენ ვერ მივწვდებით, ამიტომ, უბრალოდ, მხოლოდ უნდა ვირწმუნოთ იგიო.

საქმე იქამდე მივიდა, რომ ისეთი საკითხებიც კი, რომელნიც ადვილად იყო გაგებული საკუთარი კანონზომიერებიდან გამოყვანილი ლოგიკური დასკვნებით და დამოწმებული პრაქტიკით, მათ ახსნასაც ისევ ღმერთის ნება-სურვილთან და მის ყოვლისშემძლეობასთან აკავშირებდნენ. ასე, მაგალითად, შუა საუკუნეების სკოლებში გეომეტრიის გაკვეთილებზე სამკუთხედთა თანასწორობის თეორემას მოწაფეებს ასე „უხსნიდნენ“: „სამკუთხედი ABC უდრის სამკუთხედ A_1 B_1 C_1-ს ღმერთის დახმარებით“. თვით მეფეებიც კი ცდილობდნენ ღმერთთან დაეკავშირებინათ ყველაფერი და მისი არსებობის და მოქმედების რწმენაზე დაემყარებინათ ყოველი მეცნიერული გამოკვლევა. როდესაც ფრანგმა მათემატიკოსმა და ასტრონომმა ლაპლასმა მზის სისტემის წარმოშობის საკუთარი თეორია შექმნა, ნაპოლეონ I შეეკითხა, რატომ არ გამოიყენეთ თქვენს ციურ მექანიკაში ღმერთიო. ლაპლასმა ნაპოლეონს ამაყად უპასუხა: „ხელმწიფევ, ასეთი ჰიპოთეზი არ დამჭირვებია“. ყველგან და ყველაფრის ღმერთიდან გამოყვანა კი აკნინებდა და ამცირებდა ადამიანს.

ადამიანის გონებრივ დაკნინებას და დამბლას, მის პოლიტიკურ და სოციალურ დაბეჩავებას დიდად უწყობდა ხელს რელიგიის მიერ საიქიო ცხოვრებისა და მისი ორი განყოფილების — ჯოჯოხეთის და სამოთხის არსებობის შესახებ რწმენის წარმოქმნაც. ეს რწმენა სამოთხისა და ჯოჯოხეთის შესახებ კლასობრივ საზოგადოებასთან ერთად უნდა წარმოქმნილიყო მონათმფლობელურ ფორმაციაში.

მარქსიზმის მიხედვით რელიგია რეალური ცხოვრების უკუფენა, მისი გადმობრუნებული ასახვაა. ამიტომ საზოგადოების კლასებად დაყოფის შედეგად, ჯერ აქვე, თვითონ ეს ცხოვრება, ექსპლოატატორთათვის მათი ცხოვრების ლაღი და უზრუნველყოფილი პირობების გამო, უნდა გადაქცეუ-

ლიყო სამოთხედ, ხოლო ექსპლოატირებულთათვის მათი მძიმე და ტანჯული მდგომარეობის გამო კი — ჯოჯოხეთად, რომ შემდეგ ამ რეალურ ურთიერთობას თავისი შებრუნებული და დამახინჯებული ასლები შეექმნა უკუფენაში, რელიგიაში, საიქიო სამოთხისა და ჯოჯოხეთის სახით. ან უნდა მივიღოთ საიქიოსა და სამოთხის იდეა იმანენტური გზით და სოციალური ყოფისაგან სრულიად მოწყვეტით გამოვიყვანოთ იგი ადამიანის თავიდან, რაც იდეალიზმამდე მიგვიყვანდა, ან უნდა ვაღიაროთ, რომ კლასობრივი წინააღმდეგობებით დაგლეჯილ ადამიანთა საზოგადოების დამახინჯებული უკუფენის გზით გაჩნდა იგი რელიგიაში. რა თქმა უნდა, ჰეშმარიტება მხოლოდ ამ უკანასკნელი გზით მოიძებნება.

სამოთხის არსებობის რწმენა რელიგიამ ექსპლოატირებულ ადამიანთა მოტყუების ძირითად საშუალებად და გაუნაღდებელ ნუგეშად აქცია. რელიგია ამ სამოთხეს მუდმივი ნეტარებისა და ბედნიერების ქვეყნად ხატავდა, სადაც სიკვდილის შემდეგ მოხვედრილი ადამიანები განცხრომასა და ფუფუნებაში, დროსტარებასა და ნებივრობაში ატარებდნენ თავიანთ დაუსრულებელ ცხოვრებას.

სამოთხის იდეის შექმნას ღატაკი ხალხისათვის მოტყუებული სულიერი ნუგეში უნდა მიეცა ხელმოკლეობის, ექსპლოატაციის და ჩაგვრის მთელი ამქვეყნიური ჯირვარამისა და ბალღამის გადასატანად, სიკვდილის შემდეგ იმ ქვეყნად სამოთხეში შესვლისათვის.

რელიგია გაბატონებული კლასის ინტერესების დაცვის მიზნით ექსპლოატაციასა და გაჭირვებაში ჩავარდნილ ადამიანებს „უმტკიცებდა“, რომ ისინი სამოთხეში მაშინ მოხვდებოდნენ, თუ ამქვეყნად ცხოვრების დროს შეასრულებდნენ რელიგიის ყველა მოთხოვნას, თავს შეიკავებდნენ ყოველგვარი ამბოხებებისა და წინააღმდეგობის გაწევისაგან და უდრტვინველად გადაიტანდნენ ცხოვრების მთელ ვარამს. მაგრამ მორწმუნეების მარტო სამოთხის იდეით დაინტერესება საკმარისი არ იყო რომ ისინი მონურ მორჩილებას დათანხმებოდნენ და ხელი აეღოთ ამ ქვეყნის ძლიერთა წინააღმდეგ ურჩობასა და ამბოხებაზე. მორწმუნეებში ასეთი

განწყობილების ჩასანერგად უფრო მეტ ეფექტს იძლეოდა ჯოჯოხეთით მათი დაშინება, და ამ უკანასკნელს დიდი წარმატებით იყენებ კიდეც.

სამოთხით გატაცებაზე ჯოჯოხეთის შიშის სიძლიერე იმით აიხსნებოდა, რომ ექსპლოატირებული მორწმუნეები თავიანთი ამქვეყნიური ცხოვრების პირობებით უფრო ახლო იდგნენ ჯოჯოხეთის ტანჯვასთან, ვიდრე სამოთხის „ნებივრობასა და სიტკბოებასთან“. ამის გამო მათთვის უფრო შემზარავი იყო ჯოჯოხეთის წამებით დაშინება, ვიდრე სამოთხის სიტკბოებით გატაცება.

თუ სამოთხეში შესვლას რელიგია ხატავდა ამქვეყნად მორჩილთა, მომთმენთა და ტვირთმძიმეთათვის საიქიოში გაცემულ ჯილდოდ, სამაგიეროდ, ჯოჯოხეთს იგივე რელიგია წარმოგვიდგენდა ამქვეყნის ურჩ, მეამბოხე, ღმერთით და კაცით უკმაყოფილო და „ცოდვაში ჩავარდნილ“ ადამიანთა საიქიოში გარდუვალად მისაღებ სასჯელად. მორწმუნეს, თუ მას ამქვეყნიური მონობის სანაცვლოდ, იმ ქვეყნად შეპირებული სამოთხის ჯილდო ვერ გაიტაცებდა, მაშინ იგი ჯოჯოხეთის შიშს უნდა მოედრიკა.

ჯოჯოხეთის ეს შიში თავზარდამცემად იმიტომ მოქმედებდა მორწმუნეებზე, რომ როგორც წარმართული, ისე ქრისტიანული რელიგია სამოთხის საპირისპიროდ, ჯოჯოხეთს მეტად მძიმე, აუტანელ და შემზარავ ფერებში ხატავდა. ძველი ინდური რელიგიის მიხედვით, არსებობდა 100. 000 ჯოჯოხეთი, ცალცალკე თითოეული სახის ცოდვისათვის. მაგალითად, ღორმუცელობისათვის ადამიანს აგდებდნენ ცალკე ჯოჯოხეთში და ადუღებულ ქონში; მაღალი კასტის წევრისთვის შეურაცხყოფის მიყენების გამო ადამიანს ისევ ცალკე ჯოჯოხეთში გარეულ ღორს უგდებდნენ გასაგლეჯად. საიქიოში დიდი ხნის სასტიკი წამების შემდეგ ადამიანი 8. 000. 000-ჯერ იბადებოდა სხვადასხვა უსულო და სულიერი საგნის სახით, ვიდრე იგი მეორედ დაიბადებოდა ადამიანად. რვა მილიონი დაბადებიდან 2. 100. 000-ჯერ ადამიანი იბადებოდა სხვადასხვა უსულო და სულიერი საგნების, მაგალითად: ქვების, ლითონების და აგრეთვე მცენარეების და სხვათა

სახით, 900.000-ჯერ წყლის ცხოველების, 1.000.000-ჯერ მწერების და ჰიების, 1.000.000-ჯერ ფრინველების, 3.000.000-ჯერ მხეცების სახით[1] და მხოლოდ ამის შემდეგ ხდებოდა მისი მეორედ დაბადება ადამიანად, ანუ ქრისტიანული რელიგიის ტერმინოლოგიით — მისი მეორედ მოსვლა.

ძნელია იმაზე უფრო უბედური ადამიანის მოძებნა, ვიდრე ისეთის, ვისაც ეს საოცარი სისულელე სწამდა, ხოლო იგი კი ძველად ბევრს სწამდა. ეს რწმენა მათ აქცევდა ნამდვილ მონებად და რელიგიის ყველა წესის ერთგულ შემსრულებლებად, რათა ამით თავიდან აეცდინათ ჯოჯოხეთში წამება და რვა მილიონჯერ დაბადება ქვების, მხეცების, ჰიების, ქვეწარმავლების და სხვათა სახით. ამავე დროს ამ რწმენის მიმდევართ ყველა არსებულ საგნისათვის, მათ შორის, ჰიების, მხეცების, ქვეწარმავლების და ბუნების სხვა ამგვარ სისაძაგლეთათვის უნდა ეცქირათ, როგორც წინათ არსებულ ადამიანთა, ახლა გარკვეული დროით ამ საგნებად გადაქცეულ ნივთებისათვის, რომელთა ფორმაშიაც ეს „ძველი ადამიანები“ თავიანთი ძველი ცოდვებისათვის ახლა სასჯელს იხდიდნენ[2].

---

[1] Боттани и Дуглас, Великия религии востока, часть I, гл. 130.

[2] შესაძლებელია, ვაჟა ფშაველას პოეზიაში მოცემული „შეცოდების ფილოსოფია“ და მინდიას უნივერსალობა თავისი შორეული ძირით ამ წარმართული რწმენის ქართული ვარიანტის გვიანდელი, ხალხური გამონაკრთომიდან იღებდეს ფესვებს. რატომ აქვთ მცენარეებსა და ფრინველებს ენა და რატომ ესმის იგი მინდიას? — იმიტომ, რომ ისინი, ამ ძველი რელიგიური რწმენით, „ყოფილი ადამიანები“ არიან. დჰამმაპადა ქადაგებდა, რომ „ყოველ ცოცხალ არსებაში შეიცანი თავი შენი და ნუ მოკლავ და ნუ მიაყენებ მათ სიკვდილს“. რატომ არ ჭამს მინდია ხორცს? — იმიტომ, რომ ცხოველი „ყოფილი ადამიანია“ და მისი ხორცის შეჭმა შებრუნებული ფორმით იგივე კანიბალიზმია. ამაშია მინდიას ტრაგედია და მისი გარდუვალი მარცხი. თუ ყველა სულიერი საგანი ყოფილი, ოდესღაც არსებული, ადამიანია, რომელიც მეორედ მოსვლამდე მილიონჯერ სხვადასხვა საგნებად დაბადების სახით, ამ ფორმაში იხდის სასჯელს, მაშინ ადამიანის მიერ მათი მოხმარება კანიბალიზმი და სულიერი დრამაა. მაგრამ ამგვარი კანიბალიზმის გარეშე ცხოვრება საერთოდ შეუძლებელია. აი სად არის მინდიას ტრაგედიის ძირი.

ჯოჯოხეთს ასეთსავე მძიმე და შემზარავ ფორმებში წარმოგვიდგენს ქრისტიანული რელიგიაც. ამ რელიგიის მიხედვით, ამქვეყნად ცხოვრების დროს ჩადენილი რაიმე ცოდვისა და ურჩობისათვის გარდაცვალების შემდეგ ჯოჯოხეთში მოხვედრილი ადამიანი დაუსრულებლად და გაუთავებლად იწვება ადუღებულ კუპრში.

სამოთხისა და ჯოჯოხეთის არსებობის ქადაგებით, რელიგია ფიზიკურსა და მორალურ დამბლას სცემდა ექსპლოატირებულ ადამიანებს, ბოჭავდა მათში ამქვეყნად სოციალური სამართლიანობისათვის ბრძოლის ენერგიას და ამით უქმნიდა ექსპლოატატორებს შედარებით უხიფათო და წყნარი ცხოვრების პირობებს. სამოთხისა და ჯოჯოხეთის საკითხში გამოკვეთილად ჩანს რელიგიის კლასობრივი ხასიათი. მართლაცდა, საიქიოში ექსპლოატირებულთათვის „გამოგონებული“ ჯოჯოხეთისა და სამოთხის იდეა წარმატებით ემსახურებოდა ექსპლოატატორთათვის სააქაოში ნამდვილი „სამოთხის“ შექმნის საქმეს.

რა თქმა უნდა, სამღვდელოებისა და გაბატონებული კლასების დიდ ნაწილს კარგად ესმოდა საკუთარი თავისათვის სამოთხისა და ჯოჯოხეთის არსებობის ქადაგების იდეის ეს უდიდესი უტილიტარული მნიშვნელობა. ამიტომ ისინი ყველა საშუალებით ცდილობდნენ ამ იდეის უფრო ღრმად დანერგვას ექსპლოატირებულთა ფენებში. იმისათვის, რომ ამ იდეისათვის უფრო „ხელშესახები“ და „განივთებული სახე“ მიეცათ, ამ უმისამართო სამოთხეს მათ დაბოლოს მისამართიც კი მოუძებნეს. 1284 წელს ჩრდილოეთ გერმანიაში შედგენილ გეოგრაფიის რუკაზე სამოთხე მოთავსებული იყო უკიდურეს აღმოსავლეთში[1]. ხოლო რომის პაპებმა, როგორც ეს ზემოთ იყო აღნიშნული, ამ სამოთხეში შესასვლელი ბილეთების (ინდულგენციების) ნაღდ ანგარიშზე გაყიდვაც კი დაიწყეს.

უფრო მეტიც. როცა მეორე მსოფლიო ომის დროს მომხდარმა მოვლენებმა კიდევ უფრო შეარყია ღმერთისა და

[1] Хрестоматия по истории средних веков, т. II, გვ. 286.

საიქიოს რწმენა, პოლიტიკური შანტაჟისა და რელიგიური რწმენის გამაგრების მიზნით, ვატიკანის ესხატოლოგებმა და ასტრონომებმა განგაში ატეხეს ქვეყნის აღსასრულის მოახლოებაზე, სამყაროს დაღუპვაზე. ამავე დროს ისინი ქადაგებდნენ, რომ სამყაროს ეს დაღუპვა სამოთხის მკვიდრთ არავითარ საფრთხეს არ უქმნისო. ამ შეპირებამ და ქვეყნის აღსასრულის მოახლოების შიშმა ზოგიერთი გულუბრყვილო მორწმუნე აიძულა დროულად შეეძინა „სამოთხეში ძირს დაუშვებლად გადასაფრენი ბილეთები“, რომლის გაყიდვაც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ იტალიის ეკლესიებში რომის პაპებმა დაიწყეს.

ყველა ეს ზღაპარი საიქიოსა და სამოთხის შესახებ, რიგითი მორწმუნეების გარდა, სწამდათ ზოგიერთ ჩამორჩენილ და სუსტი გონების სასულიერო პირებსაც. თუმცა სასულიერო პირთა შორის იყვნენ ისეთებიც, რომელთა პროფესიაც კონფლიქტში იყო არა მარტო მათ რწმენასთან, არამედ სინდისთანაც, მაგრამ სასჯელის შიშით ისინი ვერ ბედავდნენ ამის ხმამაღლა გამოთქმას. ასეთ სასულიერო პირთა რიცხვს ეკუთვნოდა ღარიბი ფრანგი მღვდელი ჟან მელიე, რომელმაც კათოლიკური ეკლესიის მხრივ დევნის გამო თავი მოიკლა 1729 წელს. მელიეს არ სწამდა ის, რასაც თვითონ სხვას უქადაგებდა, მაგრამ, როგორც აღნიშნული იყო, ამას ის ვერ ამბობდა სასჯელის შიშით. ბოლოს, მელიეს გადაუწყვეტია ყველაფერი ეს თავის ანდერძში დაეწერა. მელიეს ანდერძი მიმართული იყო თავისი სამრევლოს გლეხების, ფრანგი ხალხისა და მთელი დაჩაგრული კაცობრიობისადმი. ანდერძში მელიე წერდა: ძვირფასო მეგობრებო! მე არ შემეძლო სიცოცხლეში აშკარად გამომეთქვა ის, რასაც მე ვფიქრობდი ხალხთა მმართველობის წესებსა და მეთოდებზე, მათ რელიგიასა და ზნეჩვეულებაზე. ეს დაკავშირებული იქნებოდა მეტად საშიშ და სამწუხარო შედეგებთან; ამიტომ გადავწყვიტე თქვენთვის ეს მეთქვა სიკვდილის შემდეგ. ყველაფერი ის, რასაც თქვენ გიქადაგებენ სამოთხის მშვენიერებასა და ჯოჯოხეთის საშინელებაზე, მხოლოდ ზღაპრებია. სიკვდილის შემდეგ ჩვენ არ შეგვიძლია იმედი ვიქონიოთ არც

კარგზე და არც ცუდზე. ამის გაბო უფრო გონივრულია იცხოვროთ კარგად-ო.

თავის ანდერძში მელიე ანვითარებს აზრს სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლის საჭიროებაზე და ილაშქრებს სამღვდელოებისა და მეფეების წინააღმდეგ. მას ეკუთვნის ცნობილი ფრაზა — დაახრჩვეთ უკანასკნელი მეფე უკანასკნელი მღვდლის ნაწლავით.

როგორც ჟან მელიეს დროს, ისე დღესაც გაბატონებული კლასები და ვატიკანი სამოთხისა და ჯოჯოხეთის არსებობის ქადაგებაში თავიანთი ინტერესების დაცვას ხედავდნენ და ხედავენ. ამიტომ პროპაგანდითა და დოლარით ცდილობენ ამ რწმენის გამაგრებას მასებში. ვატიკანი და ბურჟუაზიის დაქირავებული თეორეტიკოსები დიდ ენერგიასა და თანხებს ხარჯავენ იმაზე, რომ ახლაც რადიოს და რადარის არსებობის, ატომგულის დაშლის ეპოქაშიც კი — ამტკიცონ ის, რასაც ორ საუკუნეზე მეტი ხნის წინათ უარყოფდა მღვდელი ჟან მელიე. 1948 წლის აპრილში ბრიუსელის უნივერსიტეტში მოეწყო საჯარო დისპუტი თემაზე: „არსებობს თუ არა ჯოჯოხეთი?“ დისპუტში მონაწილეობას იღებდნენ სტუდენტები, პროფესორები, კათოლიკი და პროტესტანტი მღვდლები. დისპუტზე გამოსული ფსიქოლოგიის პროფესორი ვატლე არა მარტო თეორიულად „ასაბუთებდა“ ჯოჯოხეთის არსებობას, არამედ მან სათანადო „ფაქტებიც“ მოიყვანა. ვატლემ განაცხადა, რომ იმ ხანებში იგი პირადად ესაუბრა ჯოჯოხეთში მოხვედრილ ერთ-ერთი ბანკირის სულს, რომელმაც მას თურმე განუცხადა: მუდმივად ვიწვი, მაგრამ ვერ დავიწვიო.

რა თქმა უნდა, პროფესორის მანტიაში გამოხვეულ ვატლეს ისევე არ შეეძლო ამ არაარაობის დამტკიცება, როგორც ბარონ მიუნჰაუზენს საკუთარ თმებზე დაკიდებით უფსკრულიდან ამოსვლა. მაგრამ პროფესორმა ვატლემ ერთი რამ მაინც უდავოდ დაამტკიცა — სახელდობრ ის, რომ მას ამ დისპუტზე ვატიკანის ოქროთი და ამერიკული დოლარით მართლაც გადამწვარი ჰქონდა გონება.

სხეულის გვემა და ასკეტიზმი

სხეულის გვემისა და ასკეტიზმის იდეა, რომელმაც ათეულ მილიონობით ადამიანი დაღუპა, ხოლო უფრო მეტი გონებრივად და ფიზიკურად დააასახიჩრა, თავის „დასაბუთებას“ სამოთხის არსებობის რწმენასა და იქ ადგილის დაკავების რელიგიის მიერ დადგენილ წესში ხედავდა. ამ წესის მიხედვით სამოთხეში უკეთეს ადგილზე მხოლოდ ის ადამიანი მოხვდება, რომელიც ღმერთისა და ამქვეყნის ძლიერთა მიმართ მონურ მორჩილებასთან ერთად ყველაზე უმოწყალოდ გვემავს და აწამებს თავის სხეულსო. ასე ამართლებდა საიქიოში სამოთხისა და ჯოჯოხეთის არსებობის რწმენით სხეულის გვემასა და ასკეტიზმის „საჭიროებას“ რელიგია.

მართლაცდა, თვით ყველაზე ჩამორჩენილი ადამიანებისათვისაც ადვილად მისახვედრი უაზრობა იქნებოდა, რომ მას ნებაყოფლობით ეწამებინა და ეგვემა თავისი სხეული და არავითარი რწმენა არ ჰქონოდა საიქიო ცხოვრებისა და სამოთხის არსებობის შესახებ. ერთი სიტყვით, რომ არ არსებულიყო სამოთხის და ჯოჯოხეთის იდეა, რომელსაც კლასობრივი საზოგადოების ყველა რელიგია ქადაგებს, მაშინ არ იარსებებდა არც ასკეტიზმი და სხეულის გვემა.

ასეთია ის კავშირი, რომელიც არსებობს ამქვეყნად ნებაყოფლობით დაბეჩავებისა და წამების (სხეულის გვემა, ასკეტიზმი) სინამდვილესა და იმქვეყნად მოტყუებულ იმედს (სამოთხეს) შორის. ამქვეყნად კლასობრივი ჩაგვრით დატანჯულებს და თვითწამებულებს ერეკება რელიგია ფუჭი იმედისაგან დაწნული მათრახით არარსებულ საიქიოს არარსებულ სამოთხეში. იურიდიულად რელიგიის მდგომარეობის „სიმტკიცე“ აქ იმაშია, რომ არასდროს და არცერთ დაზარალებულს, მოტყუებულს არ შეუძლია „საიქიოდან დაბრუნდეს“ და სასამართლოში აღძრას საქმე რელიგიის მიერ სამოთხეში შესასვლელად გაცემული იმ თამასუქის სიყალბის

შესახებ, რომელიც მას ან პირდაპირ ფულზე მიჰყიდეს ვატიკანის აფერისტებმა (ინდულგენციები, ცემით ცოდვების გამოსყიდვის სიგელი), ანდა, რომელიც, რელიგიის შეპირებების თანახმად, მას საკუთარი სხეულის ნებაყოფლობითი გვემის გამო უნდა მიეღო სამოთხის კარებთან.

ერთადერთი გამოსავალი აქ ის არის, რომ ადამიანი წინასწარ დარწმუნდეს ასეთი ფუჭი იმედების თამასუქების სიყალბეში და არ დაენდოს მათ. მაგრამ რელიგიის მესვეურებმა იციან, რომ მრავალ სოციალურ და იდეოლოგიურ მიზეზთა წყალობით მოსატყუებელი ადამიანები კიდევ დიდხანს იქნებიან და ისინიც სწორედ ამ ადამიანებს შორის იწყებენ ქადაგებას და, როგორც ლენინი წერს: „იმას, ვინც მთელ სიცოცხლეში მუშაობს და გაჭირვებულია, რელიგია ასწავლის მორჩილებას და მოთმინებას სააქაო ცხოვრებაში და ანუგეშებს ზეციურ ჯილდოს იმედით“ [1], ე. ი. სამოთხეში გაგზავნით.

მაგრამ, როგორც ზემოთაც იყო აღნიშნული, ამავე დროს რელიგია ექსპლოატირებულ კლასს უქადაგებს, რომ მარტო მორჩილება, მოთმენა და იმ წამებისა და გვემის ატანა, რასაც ცხოვრების პირობების გამო ექსპლოატატორული კლასი გაუყენებთ, საკმარისი არ არის სამოთხეში უკეთესი ადგილის მოსაპოვებლად. ამისათვის საჭიროა თქვენი უფრო მეტი წამება და გვემა, ვიდრე ამას თქვენს მიმართ თავისი „მოწყალებით“ გაბატონებული კლასი ახერხებს. ამიტომ ერთადერთ გამოსავლად ის რჩება, რომ ის წამება და გვემა, რაც თქვენ სამოთხეში უკეთესი ადგილის დაკავების პირობების დასაკმაყოფილებლად გაბატონებული კლასის მხრივ გაკლდებათ, თვითონ თქვენ ნებაყოფლობით მიაყენოთ თქვენს თავს. ამით თქვენ მიაღწევთ საკუთარი სხეულის წამებისა და გვემის იმ ნორმას, რაც აუცილებელია სამოთხეში საუკეთესო ადგილის მოსაპოვებლად. ეს ნორმა კი მხოლოდ თქვენი ფიზიკური და მორალური ამტანობის უკანასკნელ საზღვრამდე დაძაბვით განისაზღვრებაო.

---

[1] ვ. ლენინი, ტ. 10, გვ. 83—84.

აღსანიშნავია, რომ საკითხის არსებითად ამგვარი და ფორმალურად კი ნაგულისხმევი დაყენების დროს, რელიგია არა მარტო ამართლებს კლასობრივ ჩაგვრას, არამედ იგი მას გაბატონებული კლასის მხრივ „მოწყალებადაც“ მიიჩნევს, რომელიც თურმე ღარიბებს სამოთხეში შესასვლელად და იქ საუკეთესო ადგილის დასაკავებლად ეხმარება. როგორც ცნობილია, რელიგია ექსპლოატირებულ და გაჭირვებულ ადამიანებს უქადაგებს: აქ უკანასკნელნი, საიქიოში პირველნი იქნებიან და აქ პირველნი, იქ უკანასკნელნიო. ამიტომ ამ დროებით ქვეყანაში თქვენს მიერ განცდილ დროებით ტანჯვასა და გაჭირვებაზე უფრო ძნელია მუდმივი ტანჯვისა და გაჭირვების ატანა, რომელიც აქ პირველთ (ე. ი. მდიდრებს) იქ, საიქიოში მუდმივი ცხოვრების ადგილზე მოელით. ამიტომ, საბოლოო ანგარიშში, თქვენი მდგომარეობა უკეთესია მათ მდგომარეობაზე და, ამის გამო, თქვენ არავითარი კანონიერი უფლება არა გაქვთ ბედის ჩივილისა და მათ წინააღმდეგ ურჩობისათვისო.

ასეთია უბრალო სიტყვებსა, მარქსისტულ ტერმინოლოგიასა და მარტივ წინადადებებში გადმოტანილი ექსპლოატაციის, ასკეტიზმისა და სხეულის გვემის „დასაბუთების“ ის „თეორია“, რომელსაც თვითონ რელიგია რთულ, ბუნდოვან და წინააღმდეგობების შემცველ მიხვედრებით და აბსტრაქტული მსჯელობით იძლევა. ასეთი გზით რელიგია ადგენს ექსპლოატაციის, ასკეტიზმისა და სხეულის გვემის გამართლების „თეორიას“. შემდეგ იგი იწყებს ქადაგებას ასკეტიზმისა და სხეულის გვემის უკიდურეს დაძაბულობამდე აყვანის საჭიროების შესახებ, რადგან, მისი „მტკიცებით“, ამ დაძაბულობის ხარისხზეა დამოკიდებული თვით სამოთხეში მოსაპოვებელი ადგილის ხარისხიც.

როგორც აღნიშნული იყო, ასკეტიზმი და სხეულის გვემა კლასობრივ საზოგადოებაში არსებულ ყველა რელიგიას ახასიათებს და მისი ისტორია თვით კლასობრივი საზოგადოების ტოლია. ძველ ინდოეთში მორწმუნე ბრამანი სიბერეში შესვლისას უნდა გაჭრილიყო უდაბურ ტყეში, თან წაეღო მხოლოდ „წმიდა ცეცხლი“ და შინაური მსხვერპლშეწირვი-

ათვის საჭირო ზოგიერთი საგნები. ამგვარად განმარტოებულს, ულრან ტყეში, ღია ცის ქვეშ უნდა გადაეტანა ზაფხულის პაპანაქება, ზამთრის ყინვები და მისცემოდა ფიქრს ღმერთისა და სამოთხის შესახებ. ამ გზით მას უნდა დაეთრგუნა თავისი ხორციელი გრძნობები, შეემოკლებინა სიცოცხლის დღენი და სიკვდილს მიახლოებულს უკანასკნელ ხანებში უნდა „ეკვება“ მხოლოდ წყლითა და ჰაერით. ასეთ ვითარებაში სიკვდილით ფიქრობდა იგი სამოთხეში შესვლის უფლების მოპოვებას [1].

ჰოლბახი წერს, რომ ძველ ინდოეთში „...კერპთაყვანისმცემლებმა თვითწამების ხელოვნება სრულყოფის ისეთ ხარისხამდე აიყვანეს, სადამდისაც ქრისტიანობას დღემდე არ მიუღწევია. ერთნი, თავიანთ გაშიშვლებულ სხეულს მუდმივად აქცევდნენ დამწველი მზის სხივების ქვეშ, ანდა მწერების საკბენად; მეორენი, იღებენ აღთქმას, რომ განუწყვეტლივ ჰქონდეთ ხელები გაშლილი; თავდაყირა ეკიდებიან მოგუზგუზე ცეცხლზე საქანაოდ; არიან ისეთებიც, რომელნიც ცოცხლად წვებიან კუბოში, სადაც მზის სხივები აღწევენ ხვრელის საშუალებით, რომელსაც ამავე დროს მათთვის საჭმლის გადასაცემად. იყენებენ; და ბოლოს, სხვები იცვამენ ჯაჭვს მახვილებით, რომელნიც ჩქარა აქცევენ სხეულს ერთ მთლიან ჭრილობად. მსგავსი უგუნურება სრულდება სხვა წარმართულ ქვეყნებშიც“ [2]. ინდოელ წარმართთა წარმოდგენით, თუ ისინი ამ გზით სამოთხეში შესვლის უფლებას არ მოიპოვებენ, მაშინ მათ ემუქრებათ ჯოჯოხეთში მოხვედრა და 8.000.000-ჯერ ქვეწარმავალთა, მტაცებელ მხეცთა და სხვა საგანთა სახით დაბადება.

ასკეტიზმი და სხეულის გვემა ქრისტიანობაში ძველი აღმოსავლეთის წარმართული რელიგიებიდან გადმოვიდა და, განსაკუთრებით, პირველი საუკუნეების ქრისტიანობის სხვადასხვა სექტებს იგი საკმაოდ დიდი დოზით ახასიათებდა.

---

[1] Беттани и Дуглас, Великия религии востока, ნაწ. I, გვ. 65.
[2] Поль Гольбах, Галлерея святых, გვ. 245—246.

ყველა მორწმუნისათვის სხეულის საერთო დაძაბუნებასა და გვემას ემსახურებოდა ძველი რელიგიებიდან გადმოტანილი სხვადასხვა მარხვის შენახვის ჩვეულება, რომლის დროსაც მორწმუნეებს ეკრძალებოდათ ზოგიერთი სახის საკვების, კერძოდ, ხორცის მიღება. ქრისტიანობაში საერთო რაოდენობით ამ სამარხვო დღეებმა წელიწადში 257 დღეს, ე. ი. წლის ნახევარზე მეტს, მიაღწიეს და მათგან ყველაზე ხანგრძლივი ე. წ. „დიდმარხვა“ შვიდ კვირამდე გრძელდებოდა.

მაგრამ ქრისტიანობაში სხეულის გვემისათვის მთავარი იყო არა ეს „საერთო ვალდებულება“, არამედ სხეულისათვის ინდივიდუალური გვემის მიყენებით ამ „საერთო ვალდებულების“ გადაჭარბება, მასზე მაღლა ასვლა, რაშიაც ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ სხვადასხვა ქრისტიანული სექტების წევრები. ასე, მაგალითად, ზოგიერთი ქრისტიანული სექტის წევრები; წარმართული სექტების წევრთა მსგავსად, სრულიად უარს ამბობდნენ სამ და ზოგჯერ ექვს დღესაც საჭმლის მიღებაზე. სხეულის გვემისა და დათრგუნვისათვის ისინი იგონებდნენ სხვადასხვა ხერხს. როგორც გადმოგვცემენ, ვინმე წმიდა მაკარეს 6 თვეს ეძინა ჭაობში, ვინმე წმიდა პახომს 15 წლის მანძილზე მხოლოდ მჯდომარეს ეძინა, წმიდა იოანე ლიკოპოლელს 48 წლის განმავლობაში არ დაუნახია ქალის სახე, წმიდა აბრამს კი 50 წლის მანძილზე არ დაუბანია პირი [1].

ერთი სიტყვით, ასკეტები ყველა შესაძლებელი ზომებით ცდილობდნენ ხორციელი მოთხოვნილების დათრგუნვას და გვემას საკუთარი სხეულისას, რომლის მიმართაც ისინი ზიზღით იყვნენ განწყობილნი. „ეს ზიზღი კაცობრივი ბუნებისადმი და სურვილი მისი „განლევისა და განკაფვისა“,— წერს პროფ. კ. კეკელიძე,— გამოიხატებოდა იმაში, რომ ასკეტები არ ზრუნავდნენ არც სასმელ-საჭმლისათვის, არც ტანისამოსისათვის, არც საცხოვრებელი ბინისათვის. ისინი უზომოდ მარხულობდნენ, მათ საჭმელ-სასმელს შეადგენდა პური, მწვანილი და წყალი, ამასაც მთელი კვირაობით და

[1] Книга для чтения по истории средних веков, ნაწ. II, გვ. 369.

თვეობით არ ღებულობდნენ. ისინი ზამთარშიაც ფეხშიშველნი დადიოდნენ და ყურადღებას არ აქცევდნენ არც ყინულის სისასტიკეს, არც სიცხის სიმძაფრეს, ცხოვრობდნენ კლდესა და გამოქვაბულში, ტყესა და მიუვალ ადგილებში“ [1].

I საუკუნეების ზოგიერთი ქრისტიანი ასკეტი, ძველი ებრაელური ესსების სექტის წევრთა მსგავსად, არაფრად აგდებდა უბედურებას და სამოთხეში შესვლისათვის სიკვდილს სიხარულით ხვდებოდა. როგორც ეკლესიის ისტორიკოსი ევსევი (ცხოვრობდა IV საუკ.) გადმოგვცემს, ერთმა წამებულმა, სახელად გერმანმა, ძალად გააღიზიანა მხეცები, რომ მათ ის სწრაფად დაეფლითათ. ვინმე წმიდა პელაგია და მისი დედა სახლის სახურავიდან გადმოვარდნით დაიღუპნენ, ხოლო ვინმე წმიდა აპოლონი თვითონ ჩავარდა ცეცხლში [2].

სამოთხეში შესვლისათვის, სხეულის გვემისა და სიკვდილის გაადვილების მიზნით ქრისტიანობამ დაიწყო ქადაგება, რომ მწუხარება და სიკვდილი უკეთესია, ვიდრე სიცოცხლე და სიტკბოებაო.. IV საუკუნის ქრისტიანი მწერალი გრიგოლ ნისელი წერდა, რომ: ...ბრძენის გული ყოველთვის სავსეა მწუხარებით, ვანაიდან მწუხარება და ავადმყოფობა—ყოველგვარ შესაძლებელ სიტკბოებაზე უტკბილესიაო [3]. ეს ძველი კინიკური ფილოსოფია, ნეოპლატონიზმთან ერთად, ქრისტიანული ასკეტიზმისა და სხეულის გვემის თეორიული დასაყრდენი შეიქმნა. ნეოპლატონიზმისათვისაც უცხო არ იყო სხეულის დათრგუნვის ქადაგება, როგორც ეს წარმოდგენილია ნეოპლატონიზმის ერთ-ერთი ფუძემდებლის პლოტინის მოძღვრებაში. „პლოტინს, — გადმოგვცემს მისი ერთ-ერთი მოწაფე პორფირი, — რცხვენოდა თავისი საკუთარი სხეულისა და ამიტომ არაფერს ამბობდა თავისი წარმოშობისა, აგრეთვე მშობლებისა და სამშობლოს შესახებ და არ აძლევდა

---

[1] კ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, 1945, გვ. 99 — 100.

[2] Ш о л ь Г о л ь б а х, Галлерея святых, გვ. 129 — 130.

[3] ვ. ვ. სერგეევი, ძველი რომის ისტორიის ნარკვევები, ნაწ. II, გვ. 876.

ნებას მხატვრებს და მოქანდაკეებს, რომ მისი სახე გამოეხატათ ან გამოექანდაკებიათ". „ნუთუ საკმარისი არ არის, რომ ჩვენ ვატარებთ აჩრდილს (სხეულს), რომელიც გარს შემოგვავლო ბუნებამ? რა საჭიროა ერთ აჩრდილს მეორე აჩრდილი შემოვავლოთო" [1].

ქრისტიანობის ამ დუალისტურ ფილოსოფიაში რადგანაც სხეული სულის დროებით აჩრდილად არის გამოცხადებული, ამიტომ ამ აჩრდილის გამომცემ „სუბსტრატს" (ე. ი. ამ შემთხვევაში სულს) არ შეიძლება რაიმე ზიანი მიადგეს აჩრდილს (სხეულის) გვემითა და წამებით. ასე „საბუთდებოდა" თეორიულად ასკეტიზმი და სხეულის გვემა ქრისტიანობაში.

სხეულის ხანგრძლივი გვემის მიხედვით სარეკორდო მაჩვენებელს ადრინდელი ქრისტიანობის ისტორიაში სვიმეონ მესვეტემ (უფროსმა) მიაღწია. როგორც მისი ცხოვრების აღმწერნი გადმოგვცემენ, მან სირიაში მთის წვერზე ჩააგდო 40 წყრთის (დაახლოებით 20 მეტრის) სიმაღლის სვეტი და ამ სვეტის თავზე დაგებულ ფიცარზე ძირს ჩამოუსვლელად, ღია ცის ქვეშ, სიცივესა, სიცხესა და წვიმაში იცხოვრა 40 წელიწადი. მორწმუნეები მას კიბის საშუალებით აწვდიდნენ საჭმელს.

ამ სვეტზე ცხოვრების დროს სვიმეონი „...ორი წლის განმავლობაში ცალფეხზე იდგა. ამის გამო მას გაუჩნდა ავადმყოფობა „პანუკლა" და დაულპა თეძო, საიდანაც უამრავი მატლი სცვიოდა ძირს... მე, — ამბობს ავტორი მისი „ცხოვრებისა", მისი უშუალო შეგირდი ანტონინე,—სხვა საქმე არა მქონდა რა იმის მეტი, რომ, თანახმად მისი ბრძანებისა, ძირს დაცვენილი მატლები მეგროვებია და იმავე ადგილას დამესხა სვიმეონისათვის, საიდანაც ისინი ცვივოდნენ. სვიმეონი კი ამ დროს მატლებს ეუბნებოდა: „შეჭამეთ რაც ღმერთმა მოგმადლათ" [2].

სვიმეონის ეს თავგანწირული „გმირობა" ყველას უკვირდა და როგორც ჰოლბახი წერდა: „ჩვენი წმიდანის ამ უაზრო

---

[1] ვ. ვ. სერგეევი, ძველი რომის ისტორიის ნარკვევები, ნაწ. II, გვ. 878.

[2] კ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, II, 1945, გვ. 102 — 103.

ქცევამ მთელ აღმოსავლეთში შეუქმნა მას კოლოსალური სახელი. მორწმუნეები ჯგუფ-ჯგუფად მიედინებოდნენ, რომ ენახათ და მოესმინათ ღმერთის ესოდენ დიდი მსახური". შემდეგ ჰოლბახი დაასკვნის: „სიმკაცრეს და უაზრო გამოგონებას ასეთი ღვთის მოშიში შეშლილებისას ყველა დროის ქრისტიანები მიიჩნევდნენ, როგორც წმიდანობის უტყუარ ნიშანს" [1].

ამ თავგანწირვას „დამსახურებისამებრ" მიუზღო ბიზანტიის იმპერატორმა. სვიმეონის გარდაცვალების (459 წ.) შემდეგ, მისი გვამი კონსტანტინოპოლში გადაასვენა და მის საპატივცემულოდ აგებულ ტაძარში დაკრძალა [2]. ასე დაუფასდა „ნაყოფიერი შრომა" სვიმეონს. გარდა ამისა, მან ჰეროსტრატეზე არანაკლებ უმადური გზით ამოყო თავი ისტორიაში. ჩვენ ვამბობთ „უმადური", რადგან, როგორც ჰოლბახი წერდა: „...უდიდესმა წმიდანებმა ადამიანთა მოდგმას ხშირად უფრო მეტი ვნება მიაყენეს, ვიდრე ყველაზე აშკარა დამნაშავეებმა" [3].

სვიმეონ უფროსის შემდეგ დიდი სახელი ჰქონდა გავარდნილი სვიმეონ უმცროს მესვეტესაც (გარდაიცვალა 559 წელს), რომლის „ცხოვრების" უძველეს (VIII საუკუნის) ქართულ თარგმანში წერია, რომ მისი „...საკვირველებანი უმრავლეს ქუიშისა ზღუისა არიან" [4]. როგორც პროფ. კ. კეკელიძემ გაარკვია, ძველ ქართულ მწერლობაში როგორც ორიგინალურში, ისე თარგმნითში, საკმაოდ ძლიერად არის წარმოდგენილი „ხორცთა განლევის" მოტივი. ეს ჩანს როგორც შიო მღვიმელის „ცხოვრებაში", ისე „შუშანიკის მარტვილობაში" და ა. შ.

შიო მღვიმელის „ცხოვრებიდან" ირკვევა, რომ „...შიომ მარცხენა ხელის გულზე დაიყარა ნაკვერცხალი ცეცხლისა, იმაზე დააყარა საკმელი და ორი საათის განმავლობაში

---

[1] Поль Гольбах, Галлерея святых, გვ. 245.

[2] იქვე, 245.

[3] იქვე, გვ. 267.

[4] კ. კეკელიძე, კიმენი, ტ. I, 1918, გვ. 215.

აკმევდა“ [1]. ამგვარად, შიო ორი საათის განმავლობაში ასეთი მძაფრი ტემპით ეწეოდა „ხორცთა განლევას“ და იტანდა საშინელ ტანჯვას ღმერთისა და სამოთხის გულისათვის. შუშანიკი კი, ისევე როგორც სვიმეონ მესვეტეს, როცა მატლი უჩნდება დამპალ ხორცზე არათუ იცილებს მათ, არამედ, პირიქით, როცა ეს მატლები შემთხვევით თვითონ ცვივიან დაბლა, შუშანიკი კრებს და ისევ თავის „ძველ“ ადგილზე სხამს მათ და ამბობს: უმჯობესია დროებით, ამ ცხოვრებაში შეგვჭამონ მატლებმა, ვიდრე საიქიოს მუდმივმა, „უკვდავმა“ მატლმაო [2].

აი, ერთის მხრივ, სადამდე დააძაბუნა და გააბრიყვა ადამიანი და, მეორე მხრივ, რა სიმაღლემდე ასწია მისი მონური მოთმინების ძალა სამოთხის არსებობის ფუჭმა რწმენამ და იქ მოხვედრის ასეთმავე ამაო სურვილმა.

უდავოა, რომ ყველაფერი ის, რაც „წმიდანთა“ და „წამებულთა“ ცხოვრებაში სწერია, არ შეიძლება სინამდვილე იყოს, მაგრამ, აქედან ისიც კი, რაც სინამდვილეს შეესატყვისება, ჭეშმარიტად თავზარდამცემი ამბავია ნორმალური, ყოველგვარი რელიგიური და მისტიკური დანალექისაგან თავისუფალი ადამიანისათვის. რა თქმა უნდა, ისეთ ადამიანებს, რომელთაც ასე ადვილად იმორჩილებდა ფანტაზიაში წარმოდგენილი სამოთხის სიხარული და ჯოჯოხეთის შიში, მათ უფრო ადვილად დაიმორჩილებდა რეალური საგნების შიში — გაბატონებული კლასის პოლიციელის მათრახი, ჯარისკაცის ხმალი, ციხე, კოცონი, სახრჩობელა, გილიოტინა და ა. შ.

ერთი სიტყვით, პირველი სახის მორჩილება ნიადაგს უმზადებს მეორე სახის მორჩილებას, და ამაშია სწორედ ყველა ჯურის რელიგიის რეაქციული როლი ექსპლოატირებული კლასებისათვის. მაგრამ ამაზე გარემოებაშია მისი სარ-

---

[1] კ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, II, 1945, გვ. 100 — 101.

[2] იქვე, გვ. 103.

გებლიანობაც ექსპლოატატორული კლასებისათვის. ექსპლოატატორული კლასების ინტერესების შესაბამისად მორწმუნეთა „სულიერი“ დამუშავებისა და დამორჩილებისათვის, ასკეტიზმსა და სხეულის გვემასთან ერთად, მცირე როლს როდი თამაშობდა მორწმუნეთა თავების სასწაულებითა და დოგმებით გამოჭედის საკითხიც.

ქრისტიანული რელიგია მეცნიერებისა და პროგრესის წინააღმდეგ ბრძოლაში

გაბატონებული კლასები და ვატიკანი ადრევე დარწმუნდნენ, რომ სასწაულების და დოგმების დაჯერება, რომელნიც ვერავითარი გზით ვერ განიაზრებოდნენ და საღად მოაზროვნე ადამიანის თავში ვერ „თავსდებოდნენ“ ვერც საყოველთაო რწმენასა და აღიარებას აღწევდნენ. ამიტომ შუა-საუკუნეებში, როცა ეკლესიამ მარტო ქადაგებით ვერ მიაღწია ამ სქოლასტიკური დოგმების ჭეშმარიტებად მიჩნევასა და მათ უსიტყვო მოწონებას, გადაწყვიტა ასეთ ურწმუნოთა წინააღმდეგ მიეღო ორგანიზაციული ზომები და გამოეყენებინა ძალა, ტანჯვა და სიკვდილი.

ამ მიზნით, XIII საუკუნის დასაწყისში რომის პაპმა ინოკენტი III დააარსა საეკლესიო სასამართლო ანუ ინკვიზიცია[1]. ინკვიზიტორები მოქმედებდნენ საიდუმლო შპიონაჟის წესით და სასტიკად უსწორდებოდნენ ყველა მათ, ვინც კი ოდნავ მაინც გამოამჟღავნებდა უთანხმოებას ეკლესიის მიერ მიღებული დოგმებისადმი. ისინი ასეთ პირებს აპატიმრებდნენ, ასამართლებდნენ, აწამებდნენ და სიკვდილით სჯიდნენ.

1540 წელს რომის პაპმა პაველე III დაამტკიცა ჯერ კიდევ 1434 წელს ესპანელი ფანატიკოსის ეგნატე ლოიოლას მიერ დაარსებული „იესოს (ე. ი. ქრისტეს—მ. ა.) საზოგადოება“, რომელსაც შემდეგ, ისტორიაში ქრისტეს ლათინური ტრანსკრიპციის („jesus“) გამო, იეზუიტები შეერქვათ.

იეზუიტები, ისევე როგორც ინკვიზიტორები, ბრმად და განუსჯელად იღებდნენ კათოლიკური ეკლესიის ყველა დოგმას. ისინი მიზნად ისახავდნენ ცეცხლითა და მახვილით ამ

[1] სიტყვა ინკვიზიცია წარმომდგარია ლათინური სიტყვისაგან „inquisitio“ და ნიშნავს „გამოძიებას“, „გამორკვევას“, „ძებნას“. ეს იყო კათოლიკური ეკლესიის უაღრესად რეაქციული პოლიტიკური სასამართლო ორგანიზაცია.

დოგმების დაცვას ყოველგვარი ხელყოფისა და კრიტიკისაგან. იეზუიტთა ეს სიყვეყეჩე და ამავე დროს მათი თავდადება ქრისტიანული დოგმების დაცვის საქმეში, გამოხატულია თვით მათი ბელადის ლოიოლას სიტყვაში: „უარს ვამბობთ რა ყოველგვარ პირად განსჯაზე, ჩვენი გონება ყოველთვის მზად უნდა იყოს ეკლესიისადმი სრულ და ყოველმხრივ მორჩილებაზე". „თუ რომ — ამბობდა შემდეგ ლოიოლა, — საგანს, რომელიც ჩვენ თეთრად გვეჩვენება ეკლესია შავს უწოდებს, ჩვენც ეს საგანი დაუყოვნებლივ შავად უნდა მივიჩნიოთ" [1].

ქრისტიანული ეკლესიის ამ ყოვლად უაზრო დოგმებს და სასწაულების აღიარებას ვერ ურიგდებოდნენ არა მარტო ათეისტები, არამედ მრავალი მორწმუნეც, რომელნიც ღმერთის საერთო რწმენიდან მაინც არ მიდიოდნენ ქრისტიანული ეკლესიის ისეთი დოგმებისა და სასწაულების გაზიარებამდე, რომელთაგან ზოგიერთი მაგალითები ჩვენ ზემოთ მოვიყვანეთ. მაშინ ეკლესია ასეთ ადამიანებს „ერეტიკოსებად" და „სექტანტებად" [2] აცხადებდა. შემდეგ კი ცეცხლითა და მახვილით იწყებდა მათ ამოწყვეტას. მორწმუნეთა ამ ჯგუფის ერეტიკოსებად ან სექტანტებად გამოცხადებისათვის საკმარისი იყო მცირედი გადახვევა ეკლესიის მიერ მიღებული წესებიდან, ან საეკლესიო რიტუალში უბრალოდ რაიმე ფორმალური მხარის დარღვევა, ან ამ მორწმუნეთა მიერ საყოველთაოდ ცნობილი მეცნიერული დებულების აღიარება და ა. შ. ასეთ მორწმუნეთ როგორც კათოლიკური, ასევე მართლმადიდებლური ეკლესია, აცხადებდა „მწვალებლებად", ღმერთისა და ეკლესიის „შეურაცხმყოფელებად", „ურწმუნოებად" და აქის გამო პირდაპირ ომს იწყებდა მათ

---

[1] იხ. ჟურ. Антирелигиозник, 1940, № 5—6, გვ. 41.

[2] სიტყვა „ერეტიკოსი" წარმომდგარია ბერძნული სიტყვა „ერესი"-საგან და ნიშნავს „არჩევანს", „სექტანტი" კი — ლათინური სიტყვა — „სექტარე"-დან, და ნიშნავს „მიმდევარს", „მიმყოლს". „ერეტიკოსებად" და „სექტანტებად" ეკლესია აცხადებდა ყველა იმათ, ვინც უარყოფდა გაბატონებულ ეკლესიურ დოგმატიკას და მის საწინააღმდეგო რელიგიურ შეხედულებას იზიარებდა.

წინააღმდეგ. აი მორწმუნეების „ერეტიკოსებად“ გამოცხადების და „დასაბუთების“ ზოგიერთი მაგალითი.

XI საუკუნის დასაწყისში მცხოვრები მემატიანე ბერი რაულ გლაბერი გულისწყრომით წერდა, რომ 1022 წელს საფრანგეთის ქ. ორლეანში „გამოჩნდა ახალი, გაუგონარი ერესი“. გლაბერის შრომის შემდეგი აბზაცებიდან ირკვევა, რომ მას და მის თანამედროვე დოგმატიკოსებს ამ „გაუგონარ ერესად“ მიაჩნდათ „ახალი ერეტიკოსების“ მტკიცება, რომ „ქვეყანა არ არის შექმნილი ღმერთის მიერ და არსებობს მუდმივად“. ამ „მომაკვდინებელი ცოდვისათვის“, ეკლესიამ ეს ერეტიკოსები 1022 წლის საშობაო უქმეებზე ქ. ორლეანში საჯაროდ დაწვა ცეცხლზე.

1654 წელს რუსმა პატრიარქმა ნიკონმა ზოგიერთი ფორმალური ხასიათის შესწორება შეიტანა საეკლესიო წიგნებში. ეს შესწორება ადგენდა, რომ ქრისტეს სახელი დაწერილიყო არა ძველებურად „ისუს“, არამედ ახლებურად „იისუს“; მონათვლა მომხდარიყო არა სამი თითით, არამედ ორი თითით; „ალილუია“ ემღერათ არა ორჯერ, არამედ სამჯერ და სხვა. ამ „შეცოდებისა“ და „გადახვევისათვის“ ნიკონი „ერეტიკოსად“ იქნა გამოცხადებული, ხოლო მისი მიმდევარი მღვდელი ავაკუმი კი 1681 წელს ერესში ბრალის დადების გამო ცოცხლად დაწვეს.

ეკლესია „ერეტიკოსობის“ ბრალდებას ფართოდ იყენებდა პოლიტიკური ბრძოლის საშუალებად და ამ გზით ცდილობდა დაეცვა არა მარტო ეკლესიის დოგმები, არამედ სოციალური ცხოვრების, მეცნიერული აზრისა და ტექნიკური პროგრესის სრული გაქვავებაც. ასე, მაგალითად, XVI საუკუნეში ერესში ბრალი დასდეს მოსკოვში პირველი რუსული სტამბის შემქმნელ ივანე ფედოროვს, თვით ამ სტამბის მოწყობის გამო. ეკლესიის მიერ წაქეზებულმა ბრბომ დაწვა სტამბის შენობა და ქუჩაში გადაყარა შრიფტი, ივანე ფედოროვმა კი ლიტვაში გაქცევით ძლივს შეინარჩუნა სიცოცხლე.

ამგვარად, ერესში ბრალის დადება ეკლესიისათვის იყო უნივერსალური საშუალება, რომლითაც ის ფიზიკურად სპობდა მისი დოგმების მიმართ ყოველგვარ ხელყოფასა და ოპო-

ზიციას, ებრძოდა და ამუხრუჭებდა სოციალურ პროგრესსა[1] და მეცნიერების განვითარებას, რომლის წარმატებაც არა-პირდაპირი გზით, მაგრამ ძალუმად, ანგრევდა ეკლესიის დოგმების საფუძვლებს.

თუ რა სიმხეცე ჩაიდინა ქრისტიანულმა ეკლესიამ საერთოდ, დ., კერძოდ, მისმა კათოლიკურმა განშტოებამ, ეს დამოწმებულია მის მიერ შესრულებული მრავალი სისხლიანი და შემაძრწუნებელი აქტით, რომელსაც, ქრისტიანული რელიგიის უაზრო და უზომო ხოტბის დროს, რატომღაც ივიწყებს ჩვენი ზოგიერთი ახლანდელი მკვლევარი. ჩვენ აქ მხოლოდ ორ მაგალითს მოვიყვანთ ქრისტიანული რელიგიის მიერ „ერეტიკოსობის“ აბრით ადამიანთა მასიური ხოცვა-ჟლეტის შესახებ.

ინკვიზიციის დამაარსებელმა რომის პაპმა ინოკენტი III 1211 წელს ჯვაროსნები შეუსია სამხრეთ საფრანგეთში მდებარე, იმ დროისათვის ეკონომიურად ძლიერსა და კულტურულ ქალაქ ბეზეს, რომელიც 100 ათასამდე მცხოვრებს ითვლიდა. ამ შესევის იურიდიული მოტივი ის იყო, რომ ქ. ბეზეს ზოგიერთი მცხოვრები კათოლიკური ეკლესიის დოგმებს არ იზიარებს, ე. ი. „ერეტიკოსია“ და ამიტომ საჭიროა მათგან ქალაქის გაწმენდაო. როდესაც ქ. ბეზე ალყაში მოაქციეს, ჯვაროსნები შეეკითხნენ რომის პაპის წარმომადგენელ მღვდელ არნოლდს: ახლა, ქალაქში იერიშით შეჭრის დროს, როგორ განვასხვავოთ ეს „ერეტიკოსები“, რომელნიც ჩვენ უნდა ამოეხოცოთ, კეთილი კათოლიკებისაგანო. არნოლდმა მათ ცინიკურად უპასუხა: ყველა ერთიანად გაწყვიტეთ, იქ, ზეცაში, ღმერთი თავისიანებს იცნობსო[2]. ქ. ბეზე გაძარცვეს და გადაწვეს, მცხოვრებთა მნიშვნელოვანი ნაწილი (20.000 კაცამდე) კი გაწყვიტეს.

---

[1] „ერესში“ ბრალის დადებას პოლიტიკური ბრძოლის საშუალებად იყენებს დღესაც ვატიკანი. მშვიდობისათვის მოძრაობა რომის ახლანდელმა პაპმა პიუს XII 1949 წლის ივლისის დეკრეტით „ერესად“ გამოაცხადა, ხოლო მისი მიმდევრები „ერეტიკოსებად“.

[2] Хрестоматия по истории средних веков, ტ. II, გვ. 270.

მეორე მაგალითი. ოცდაათწლიანი ომის დროს (1618—1648 წწ.) კათოლიკური ეკლესიის დოგმების დამცველი იეზუიტები ერთგულად და წარმოუდგენელი სისასტიკით იბრძოდნენ ჰაბსბურგთა დინასტიის მხარეზე. მათ სისხლით მორწყეს ევროპა და დიდძალი დოვლათიც შეიძინეს პროტესტანტთა ქონების კონფისკაციით. ამ ომის დროს იეზუიტთა ერთ-ერთი მეთაური ფორერო დილინგენელი ასეთი კანიბალისტური ლოზუნგებით ამხნევებდა იეზუიტთა მეომრებს: „იყავით ბეჯითნი და თუ წინააღმდეგობა შეგხვდებათ, მაშინ ისეთი ცეცხლი დაანთეთ, რომ თვით ანგელოზებსაც კი ფეხები დაეწვათ და ცაშიც ვარსკვლავები დადნეს“ [1].

ინკვიზიტორებმა და იეზუიტებმა, რომელნიც თავიანთ განუსჯელ სიმკაცრეში არ ერიდებოდნენ „ანგელოზებისათვის ფეხების დაწვას და ცაში ვარსკვლაეების დადნობას“, კათოლიკური ეკლესიის დოგმების დაცვის მიზნით, განწირეს და ცეცხლში დაფერფლეს მეცნიერების მრავალი წარმომადგენელი. ეკლესიას არ შეუძლია წაშალოს და ოდესმე დავიწყებას მისცეს, ღმერთის სათნოებისა და ეკლესიის კაცთმოყვარეობის ცრუ აბრით, შუა საუკუნეებში ჩადენილი ველური აქტები, როცა ის ცეცხლზე ადუღებდა იმდროინდელ გამოჩენილ ადამიანთა ტვინსა და სისხლს, როცა იგი, უვიცობის და სირეგვნის ყველა ძალის მობილიზაციით, აქრობდა და აბნობდა შუა საუკუნეების დოგმების ბნელეთში მეცნიერული აზრის ყოველ ამობრწყინებას, როცა მას უნივერსიტეტების კათედრებიდან მეცნიერები კოცონზე გადაჰყავდა ცოცხლად დასაწვავად და დასაფერფლად.

მეცნიერებისა და მეცნიერთა წინააღმდეგ ქრისტიანობის მიერ ჩადენილ ამ ველურ აქტებს აფუჩეჩებენ ზოგიერთი ქონდრის კაცები, როცა ქრისტიანობას ისინი წარმართულ რელიგიებს ადარებენ. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ არცერთი წარმართული რელიგია არ ებრძოდა მეცნიერებას ისე მძაფრად და ულმობლად, როგორც ამას აკეთებდა ქრისტიანობა. ეს ითქმის კერძოდ საბერძნეთისა

[1] იხ. ჟურ. Антирелигиозник, 1940, № 5 — 6, გვ. 43.

და რომის წარმართულ რელიგიებზე ანტიკურ ეპოქაში. საბერძნეთსა და რომში წარმართული რელიგიის ბატონობის ხანაში არა გვაქვს არცერთი შემთხვევა, რომ სიკვდილით ყოფილიყო დასჯილი რომელიმე მეცნიერი ან მოაზროვნე წარმართულ რელიგიასთან მათი მოძღვრების წინააღმდეგობის გამო.

რაც შეეხება სოკრატეს სიკვდილით დასჯას (ძველი წელთაღრიცხვის 399 წელს), როგორც ეს საყოველთაოდ ცნობილია ლიტერატურაში, ამ აქტის მიზეზი იყო არა სოკრატეს მოძღვრების წინააღმდეგობა გაბატონებულ რელიგიასთან, არამედ სოკრატეს ბრძოლა ათენის დემოკრატიის წინააღმდეგ. ეს გარემოება კარგად ესმოდა ჰეგელს, რომელიც ამბობდა, რომ სოკრატეს წინააღმდეგ გამოტანილი განაჩენით, ათენის ხალხმა თავისი კანონები და სამართალი დაიცვა, ხოლო სოკრატემ ამ სიკვდილით თავისი პრინციპიო. ამგვარად, თუ მეცნიერების მიმართ რელიგიის ერთგვარ „შემწყნარებლობით“ დამოკიდებულებაზე დადგება საკითხი, მაშინ უპირატესობა ანტიკურ წარმართულ რელიგიის მხარეზე აღმოჩნდება და არა ქრისტიანობისა, რომელმაც ასეულობით მეცნიერი დახრუკა ცეცხლში. ცნობილია, რომ მარტო იტალიაში 50 წლის განმავლობაში (1550 წლიდან 1600 წლამდე) ქრისტიანობამ ცეცხლში დაწვა 78 მეცნიერი და მათი წიგნები[1]. აი ზოგიერთი მაგალითი ქრისტიანობის მიერ ნაწამები და დამწვარი მეცნიერების შესახებ.

1327 წელს კათოლიკურმა ეკლესიამ ცოცხლად დაწვა კოცონზე ცნობილი მეცნიერი, ასტრონომი ჩეკო დე ასკოლი, იმის გამო, რომ მისი შეხედულება დედამიწის სიმრგვალისა და მის მეორე (მოწინააღმდეგე) მხარეზე ადამიანთა არსებობის შესაძლებლობის შესახებ, ეწინააღმდეგებოდა ამაეე საკითხზე ბიბლიურ დოგმებს.

1415 წელს ეკლესიამ ქ. კონსტანცაში „ერეტიკობის“ ბრალდებით ცეცხლზე დაწვა პრაღის უნივერსიტეტის პრო-

---

[1] Ц. Кармаисний, Ватикан — вдохновитель мракобесия и реакции, 1953, გვ. 19.

ფესორი იან ჰუსი. ჰუსის „ერეტიკოსობა“ უბრალოდ იმაში გამოიხატა, რომ იგი ღვთისმეტყველების შესრულებას ჩეხეთში მოითხოვდა ჩეხურ ენაზე ლათინურის მაგიერ, აკრიტიკებდა რომის პაპებს მეჩრთამეობასა და საეკლესიო ქონების ფლანგვაში, მოითხოვდა ამ ქონების ღარიბებისათვის მოხმარებას, აგრეთვე გერმანელებისაგან ჩეხეთის გათავისუფლებას და სხვ.

სიკვდილის წინ თავის ერთ-ერთ სიტყვაში იან ჰუსი ამბობდა: „ხალხნო ისმინეთ ჩემი სიტყვა, ისწავლეთ რომის პაპების გამოცნობა, რომელნიც თავიანთთვის მოითხოვენ უმაღლეს უფლებას მიწაზე. ესენი — თაღლითნი, მკვლელები, ერეტიკოსები და მადლით მოვაჭრენი არიან. გახურებული შანთით და ცეცხლით ამოწვით ეს მუწუკები, რომელნიც გლეჯავენ თქვენს სხეულს და ბილწავენ თქვენს სისხლს“. ჰუსის გასამართლებაზე წარმოთქმულ სიტყვაში ლონდონის არქიეპისკოპოსი ამბობდა: ამ ჩეხს ათი სიცოცხლეც რომ ჰქონდეს, მის მიერ ჩადენილი საქციელის გამო მას ყველა ეს ათივე სიცოცხლე უნდა წაერთვასო. კონსტანცის ეპისკოპოსმა კი განაცხადა: „ექვსჯერ შეასრულა მზემ თავისი წრიული მოძრაობა მას შემდეგ, რაც აქ ცეცხლს იყო მიცემული უკანასკნელი ერეტიკი. თუ ჩვენ ხვალ არ დავწვავთ ჰუსს, მაშინ ხვალ-ზეით ხალხი ჩვენ, ყველა აქ მყოფთ, დაგვწვავს. დაე იგი მოკვდეს“. როგორც იან ჰუსის დაწვის მაგალითიდან ჩანს, რომის ეკლესია „ერეტიკოსობაში“ ბრალდების ფორმულას ევროპის პატარა ხალხების ნაციონალურ განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩახშობის საშუალებადაც იყენებდა.

იან ჰუსის დაღუპვიდან რამდენიმე ხნის შემდეგ იგივე კონსტანცაში „ერეტიკოსების“ ბრალდებით ცეცხლმა შთანთქა ჰუსის მიმდევარი იერონიმე პრაღელი, რომელიც აჯანყებული ჩეხი ხელოსნების ხელჩართულ ბრძოლას ხელმძღვანელობდა ინდულგენციებით ვაჭრობის წინააღმდეგ. როცა იერონიმე კოცონზე იდგა, ჯალათმა იერონიმეს ზურგის მხრიდან დაიწყო კოცონისათვის ცეცხლის მოკიდება. იერონიმემ შენიშნა ეს და უთხრა: მოდით აქ და ჩემს თვალწინ

მოუკიდეთ კოცონს ცეცხლი, რადგან მე რომ ამ ცეცხლისა მეშინოდეს, მაშინ არც აქ ვიქნებოდიო.

1600 წლის 17 თებერვალს, თავისი მეცნიერული მოძღვრებისათვის, რომელიც ეწინააღმდეგებოდა ბიბლიის დოგმებს, ცეცხლზე დაწვეს შუა საუკუნეების ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი მეცნიერი, პოეტი და ფილოსოფოსი ჯორდანო ბრუნო.

1619 წლის 7 თებერვალს კათოლიკურმა ეკლესიამ ქ. ტულუზაში ჯერ ცხენის კუდზე მობმული ათრია, ენა ამოგლიჯა, შემდეგ კი ცეცხლს მისცა ბრუნოსა და კოპერნიკის მოწაფე, იტალიელი მეცნიერი ლიუჩილიო ვანინი. ვანინი ამტკიცებდა სამყაროს უსასრულობას და მუდმივობას. სიკვდილის წინ ხალხისადმი მიმართულ სიტყვაში ვანინი ამბობდა: „არ არსებობს არც ღმერთი და არც ეშმაკი, მაგრამ რომ არსებობდეს ღმერთი, მე მას შევთხოვდი, მეხი ეტყორცნა ამ უალალმართლო და საზიზღარი პარლამენტისათვის. ხოლო, ეშმაკი რომ არსებობდეს, მე მას შევევედრებოდი ჯოჯოხეთს გადაეყლაპა ეს საზიზღარი სამსჯავრო (ინკვიზიცია — მ. ა.). მაგრამ მე ამას არ ვაკეთებ, იმიტომ რომ არც ღმერთი და არც ეშმაკი არ არსებობს“.

კათოლიკურ ეკლესიას ყოველთვის შავ ლაქად გაყვება მოხუცი მეცნიერის, ცის მზომავ გალილეო გალილეის (1564—1642 წწ.) წამება. 1632 წელს ოთხი თვის სასტიკი წამების შემდეგ, 70 წლის მხცოვანი მეცნიერი, ეკლესიამ აიძულა მუხლებზე დაცემულს სახარებით ხელში უარეყო თავისი მოძღვრება. მისთვის წაყენებულ საბრალდებულო განაჩენში ეწერა: „დებულება, რომ მზე ცენტრია სამყაროსი და თანაც უძრავია, ფილოსოფიურად აბსურდი და ცრუა, ფორმალურად კი ერეტიკულია, რადგანაც იგი ეწინააღმდეგება საღმრთო წიგნების სიტყვას“.

ეკლესიას 26 წელი ჰყავდა ციხეში დაბნყვდეული ცნობილი იტალიელი უტოპისტი კომუნისტი თომას კამპანელა (1568 — 1639 წწ.). მისი წამება ერთხელ 40 საათი გაგრძელდა, მაგრამ მისი ნებისყოფა მაინც ვერ გასტეხეს. კამპანელა უარყოფდა სამოთხისა და ჯოჯოხეთის არსებობას, სასწაუ-

ლებისა და ბიბლიის დოგმების ნამდვილობას. ინკვიზიციის მიერ მისთვის წაყენებულ საბრალდებულო აქტის პირველ მუხლში ეწერა, რომ კამპანელას გაგებით „ღმერთი არ არის, მის შემცველად არის ბუნება, რომელსაც ჩვენ ღმერთს ვუწოდებთ. აქ ღმერთი არის მხოლოდ ცარიელი ბგერა". 1626 წელს კამპანელა ციხიდან გაათავისუფლეს. იგი საფრანგეთში გაიქცა, სადაც მიიცვალა კიდეც 1639 წელს. როგორც ცნობილია, 1759 წელს სორბონის სამღვდელოების მოთხოვნით, პარიზში საჯაროდ დაწვეს ცნობილი ფრანგი ფილოსოფოსის ჰელვეციუსის წიგნი „სულის შესახებ". თვითონ ჰელვეციუსმა ცეცხლზე დაწვისაგან თავი ძლივს გადაირჩინა იმით, რომ საჯაროდ უარყო ამ წიგნში გატარებული ათეისტური იდეები[1].

ზოგიერთ მკვლევარს წარმართულ რელიგიასთან ქრისტიანობის უპირატესობის დასამტკიცებლად ის გარემოებაც მოჰყავს, რომ ქრისტიანობამ ადამიანის მსხვერპლად შეწირვა აკრძალაო. ეს, რა თქმა უნდა, მართალია, მაგრამ, ამასთან ერთად, არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ქრისტიანობამ „ერეტიკოსობის", „გრძნეულობის" და სხვა ამგვარი ბრალდებით ადამიანთა უფრო მეტი რაოდენობა დასაჯა სიკვდილით, ვიდრე წარმართულმა რელიგიამ ადამიანთა მსხვერპლად შეწირვით. მკვლევართა გამოანგარიშებით, მარტო ვატიკანის ინკვიზიციის მიერ ყველა ქვეყანაში „ერეტიკოსობის", „გრძნეულობის" და სხვა ამგვარი „ბრალდებით" სიკვდილით დასჯილ ადამიანთა რიცხვი დაახლოებით 9—12 მილიონს აღწევს[2]. აქედან ცეცხლშია დამწვარი დაახლოებით ხუთ მილიონამდე კაცი[3]. ინგლისელი მწერალი სვიფტი

---

[1] И. В о р о н и ц ы н, К. А. Гельвеций, 1926, გვ. 56.

[2] М. М. Ш о и н м а н, Краткие очерки истории пацтва, გვ. 58.

[3] თითოეული ადამიანის დაწვა საშუალოდ (როგორც ეს ჩანს 1323 წელს კარკასონში 4 „ერეტიკოსის" დაწვის გასავლის ხარჯებიდან) ჯდებოდა დაახლოებით ორი ლივრი. დაწვისათვის საჭირო იყო ბოძი, თოკის ნაგლეჯი (მსხვერპლის მისაკრავად), შეშა, ცოტაოდენი ფიჩხი, თივა და აგრეთვე ჯალათის „ხელფასი", რომელიც მთელი დაწვის ხარჯების ნახევარს (ერთ ლივრს) შეადგენდა.

წერდა, რომ ინკვიზიციის მიერ ცეცხლში ცოცხლად დამწვარ ადამიანთა ფერფლი ერთად რომ მოგროვდეს მონბლანის (ევროპის უმაღლესი მწვერვალის) ოდენა მთას შექმნისო[1]. ძნელია იმის მტკიცება, რომ ის ხალხი, რომელთაც ქრისტიანობა მიიღეს და სადაც ინკვიზიცია მძვინვარებდა, ადამიანის მსხვერპლად შეწირვის სახით ამდენად დაზარალებულიყვნენ წარმართულ რელიგიაში რომ დარჩენილიყვნენ.

კლასობრივი სარჩული იეზუიტებისა და ინკვიზიტორების მძვინვარებისა ის იყო, რომ მათ „ერესსა“, და „გრძნეულობაში“ ბრალის დადებით უნდოდათ თავიდან მოეცილებინათ არსებული წყობილებით უკმაყოფილო ადამიანები, შეეჩერებინათ სოციალურ ურთიერთობათა მარცხნივ განვითარების შესაძლებლობა და მეცნიერების განვითარებით რელიგიისათვის ძირის გამოთხრის პროცესი. ეს აზრი რელიეფურად გამოხატა პარიზის კომუნის ჯალათმა ტიერმა, როცა განაცხადა, რომ „საჭიროა არჩევანი სოციალიზმსა და იეზუიტებს შორის, — ჩემი არჩევანი გაკეთებულია, მე ვირჩევ იეზუიტებს“.

მრავალი ადამიანი დაწვეს ცეცხლზე პროტესტანტებმა და კალვინისტებმა. „კალვინმა, — წერს ენგელსი, — დაწვა სერვეტი, როდესაც ამ უკანასკნელს ის იყო უნდა აღმოეჩინა სისხლის მიმოქცევის პროცესი; ამასთან იგი ორი საათის განმავლობაში ცოცხლად იწვოდა კალვინის ბრძანებით“[2].

ათასობით ადამიანი დაწვეს ცეცხლზე რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მესვეურებმაც. ერეტიკოსობის, ჯადოქრობის, სატანასთან კავშირისა და სხვა ასეთი ბრალდებით წვავდნენ და ანადგურებდნენ ყველა იმათ, ვინც ეკლესიის დოგმებს არ ეთანხმებოდა. ასე, მაგალითად, XII საუ-

---

[1] П. Карманский, Ватикан — вдохновитель мракобесия и реакции, 1953, გვ. 19 — 20.

[2] ფ. ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, 1950, გვ. 9.

კუნეში რუსი ეპისკოპოსი თედორე ზემოთ აღნიშნულ ბრალდებათა წაყენებით ქვაბში ცოცხლად ხარშავდა, ცხვირსა და ყურებს აჭრიდა, თვალებს თხრიდა, კედელზე აკრავდა „გრძნეულებსა“ და „ერეტიკოსებს“.

XVI — XVII საუკუნის რუსეთში ფართო ხასიათი მიიღო აგრეთვე თვითდაწვამ, ანუ ეგრეთწოდებულმა „ცეცხლით ნათლობამ“. საქმე იმაში იყო, რომ ის ადამიანები, რომელნიც ეკლესიის გაბატონებულ დოგმებს არ ეთანხმებოდნენ და ცდილობდნენ თავიანთ საკუთარ, რეფორმირებულ რელიგიურ შეხედულებაზე დარჩენას, ეკლესია მათ სასტიკად სდევნიდა და ანადგურებდა. ასეთ ხალხში გავრცელდა რწმენა, რომ ცეცხლში თავის დაწვა ამქვეყნად აგვაცილებს ეკლესიის დევნას და იმქვეყნად კი დავიმსახურებთ სამოთხეში შესვლის უფლებასო. ამიტომ ისინი თვითონ იწვავდნენ თავს. 1672 წელს ნიჟეგოროდის მხარეში 2.000, ხოლო 1677 წელს კი ბერეზოვკაში (ციმბირი) დაახლოებით 2.700 კაცმა დაიწვა თავი.

ასეთი ბარბაროსული მეთოდებით ანადგურებდა ქრისტიანული ეკლესია „ერეტიკოსობის“ ბრალდებით ყოველგვარ ოპოზიციასა და საეკლესიო დოგმებიდან სულ უმნიშვნელო ფორმალური გადახვევის მომხრეთ, სპობდა მეცნიერებს ფიზიკურად, ცეცხლითა და მახვილით ხვდებოდა სოციალური უკუღმართობის წინააღმდეგ დაბალი ფენების ამოძრავებას.

„ერესში“ ბრალის დადებით ადამიანის ცოცხლად დაწვის უკანასკნელი შემთხვევა ჩვენ გვაქვს 1826 წელს ესპანეთში. ამის შემდეგ ვატიკანი და მისი ინკვიზიცია, რომელიც ოფიციალურად დღემდე არ გაუუქმებია რომის პაპს, ვეღარ ბედავდნენ ასეთი მზაკვრობის ჩადენას. სამაგიეროდ, ღმერთით დაშინებით და ოქროთი მოსყიდვით ვატიკანი და ქრისტიანული ეკლესიის სხვა განშტოებანი, კაპიტალისტები და მათი მთავრობები, ცდილობენ ეკლესიას შეუნარჩუნონ ძველი „ავტორიტეტი“ და დაიცვან მისი დოგმები, ებრძოლონ პროგრესსა და მეცნიერებას. ისინი არ სცნობენ მეცნიერულ გამოკვლევებს, თუ ეს უკანასკნელნი არ ეთანხმებიან

(ისინი კი არასოდეს არ შეიძლება ეთანხმებოდნენ) ღმერთის, ბიბლიის და ქრისტიანობის მოძღვრებას.

მათი გაგებით, რელიგიასთან კონფლიქტში მყოფი მეცნიერება არ არის ნამდვილი მეცნიერება. ამიტომ იგი დაგმობილი და განდევნილი უნდა იქნესო. ასეთ ხაზს ატარებს ყველა რელიგია და მათ შორის ქრისტიანობაც. ასე, მაგალითად, როდესაც გამოიცა დიდი რუსი მეცნიერის სეჩენოვის ცნობილი წიგნი: „თავის ტვინის რეფლექსები", რომელშიც ფსიქიკური მოვლენები მატერიალისტურად იყო ახსნილი და ღმერთისათვის ადგილი აღარ რჩებოდა, პეტერბურგისა და ლადოგის მართლმადიდებელი ეკლესიის მიტროპოლიტი მთავრობას სწერდა, რომ: „სულის დამღუპველი და ზიანის მომტანი მოძღვრებისათვის" საჭიროა „ბატონი პროფესორი სეჩენოვი დასამშვიდებლად და გამოსასწორებლად" მოთავსებული იქნეს სოლოვეცკის მონასტრის საეკლესიო ციხეშიო. ხოლო პეტერბურგის ცენზორი თავის დასკვნაში წერდა: სეჩენოვის წიგნი, რომელიც ყველაზე უკიდურეს მატერიალისტურ თეორიას გადმოგვცემს, მაინეა. ეს მატერიალისტური წიგნი, უარყოფს რა ნებისყოფის თავისუფლებას და სულის უკვდავებას, არ ეთანხმება ქრისტიანობას".

თავადი მეშჩერსკი დიდი რუსი მეცნიერის, დარვინისტ ტიმირიაზევის შესახებ წერდა, რომ „პეტრესეული აკადემიის პროფესორი ტიმირიაზევი ღმერთს სახელმწიფოს ხარჯზე აძევებს ბუნებიდან". ერთი სიტყვით, მეშჩერსკი მოითხოვდა სახელმწიფოს სამსახურში მყოფ პროფესორებს ექადაგათ თეიზმი და არა ათეიზმი, და მათ, სახელმწიფოსაგან მიღებული ხელფასის ანგარიშში, დაემკვიდრებინათ ღმერთი ბუნებაში და არა გაეძევებინათ ის იქიდან, როგორც ამას ტიმირიაზევი აკეთებდა. მეშჩერსკის ბუღალტერია აქ სრულიად მარტივია. მან იცოდა, რომ ღმერთის დამკვიდრება ბუნებაში ხელს უწყობდა პეტერბურგის სამეფო ტახტზე რომანოვების დინასტიის განმტკიცებას, ხოლო იგივე ღმერთის ბუნებიდან გაძევება, ასევე, არაპირდაპირი გზით, ხელს უწყობდა რომანოვების დინასტიის გაძევებას სამეფო ტახტიდან.

როდესაც მიჩურინმა თავის სანერგეში მცენარეების ნთელი რიგი ახალი ჯიშები გამოიყვანა, ეს ეწინააღმდეგებოდა „ბიბლიის“ მოძღვრებას. სამღვდელოების წარმომადგენლები მიჩურინს ეუბნებოდნენ, მცენარეთა ახალი ჯიშების შექმნა და ძველების მოსპობა მხოლოდ ღმერთის საქმეა, და ამიტომ შენი ახალი ჯიშები „უკანონოდ არიან დაბადებულნიო“. ამ მოტივით სამღვდელოება და მეფის მთავრობა მიჩურინისაგან მოითხოვდა, რომ მას თავი გაენებებინა ღმერთისა და ბიბლიის საწინააღმდეგო მცენარეთა ჰიბრიდიზაციისათვის და დაეკეტა თავისი სანერგე. მღვდელი ქრისტეფორე მიჩურინს პირდაპირ უბრძანებდა: „მე როგორც სულიერი მოძღვარი, წინადადებას გაძლევთ უარი თქვათ თქვენს მუშაობაზე, დაკეტოთ ეს მორწმუნეთა გულის გამხრწნელი და გარყვნილების კერა“.

მეცნიერების წინსვლასთან ერთად, მასების თვითშეგნებისა და მუშათა მოძრაობის ზრდა ასუსტებს რელიგიის გავლენას. მაგრამ რელიგია ადვილად როდი თმობს თავის პოზიციებს. იგი ცდილობს თავის ხელთ ჰქონდეს ადამიანის გონების სადაველები და სქოლასტიკის არტახებში ყავდეს იგი გამოკეტილი. ამ შავბნელ მიზანს ემსახურება დღეს არა მარტო სამღვდელოების უზარმაზარი არმია კაპიტალისტურ ქვეყნებში, არამედ ბურჟუაზიული სახელმწიფოების აპარატი და უნივერსიტეტების მრავალი პროფესორიც. სამხრეთ კალიფორნიის უნივერსიტეტის პროფესორი ფლიუველინგი წერს, რომ „მატერია არსებობს უმაღლესი ძალის მიზანშეწონილი ნების მოქმედების შედეგად“. და რომ ეს უმაღლესი ძალა, ე. ი. „ღმერთი, უზენაესი პიროვნება, სამყაროს წესრიგის შემოქმედი საიდუმლოებაა“.

ბურჟუაზიულ ქვეყნებში რელიგიას იმდენად ჰყავდა და ჰყავს მეცნიერები დაშინებული, რომ მრავალი მათგანი, მათ შორის თვითონ დარვინიც კი, ვერ ბედავდა მის წინააღმდეგ აშკარა და საჯარო გალაშქრებას, თუმცა მთელი მისი მოძღვრება, როგორც ეს მასაც კარგად ესმოდა, რელიგიის წინააღმდეგ იყო მიმართული. დარვინის გაუბედაობა იმითაც აიხსნება, რომ მას სწორად არ ესმოდა ანტირელიგიური

პროპაგანდის მნიშვნელობა და, გარდა ამისა, არ სურდა ასეთი პოზიციის დაკავებით უსიამოვნება მიეყენებინა თავისი ოჯახის ზოგიერთი წევრისათვის. 1880 წლის 13 ოქტომბრის თარიღით, დარვინი სწერდა მარქსს, — რელიგიის წინააღმდეგ პირდაპირ გალაშქრებას არ შეუძლია ეფექტის მოცემა, რადგანაც, ჩემი აზრით, „...უფრო დიდი სარგებლობა აზრის თავისუფლებისათვის მოაქვს გონების თანდათანობით განათლებას, რომელიც შედეგია მეცნიერების პროგრესისა. ამიტომ მე ყოველთვის შეგნებულად გავურბოდი რელიგიაზე წერას და შემოვიფარგლე მეცნიერების სფეროთი. თუმცა, შესაძლოა, ჩემზე გავლენას ახდენდა იმ ტკივილების წარმოდგენა, რომელსაც მივაყენებდი მე ჩემი ოჯახის ზოგიერთ წევრს მხარი რომ დამეჭირა რელიგიის წინააღმდეგ პირდაპირი გალაშქრებისათვის“.

რელიგიის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხში, მიუხედავად დარვინის ასეთი პოზიციისა, არსებითად დარვინის მოძღვრებამ ისევე შეუწყო ხელი ღმერთის გაძევებას ბიოლოგიიდან, როგორც ჯორდანო ბრუნოს მოძღვრებამ შეუწყო ხელი ღმერთის გაძევებას ზეციდან (ასტრონომიიდან), ხოლო მარქსის მოძღვრებამ კი საზოგადოებრივი ცხოვრებიდან. დარვინის მოძღვრების ამ ათეისტურ მხარეზე ენგელსი სწერდა მარქსს, — დარვინამდე ბუნებისმეცნიერებაში „თელეოლოგია... კიდევ არ იყო დანგრეული, ახლა კი ეს საქმე გაკეთებულია“. დარვინიზმს სწორედ ამ ათეისტური ხასიათის გამო ებრძოდა და ებრძვის ყველა ქვეყნის სამღვდელოება. ამერიკის შეერთებული შტატების ოცზე მეტ შტატის სკოლებსა და უნივერსიტეტებში აკრძალულია დარვინიზმის სწავლება. თუ რომელიმე მასწავლებელი ამ შტატებში პროგრამიდან გადახვევით მოწაფეებს გააცნობს დარვინის მოძღვრებას, მას ასამართლებენ და სჯიან ისევე, როგორც ეს უქნეს მასწავლებელ ჯონ სკოპს 1925 წელს.

აშშ სასამართლოებში, დარვინიზმის პროპაგანდის გამო ბრალდების არგუმენტირებისათვის, ხშირად იყენებენ „ბიბლიას“. მისი „დებულებით“ ახდენენ ბრალდების კვალიფი-

კაციას და სასჯელის ზომის განსაზღვრას. ამავე დროს პროკურორები და მოსამართლეები ცდილობენ ურყევად დაიცვან ყველა ის აბსურდი, რაც ამ ორიათასხუთასი და მეტი ხნის წინათ დაწერილ „ბიბლიაშია“ მოცემული. ასე, მაგალითად, აშშ სასამართლოში, როცა იქ დარვინიზმის პროპაგანდის გამო ასამართლებდნენ ერთ-ერთ მასწავლებელს, ამ მასწავლებლის დამცველმა პროკურორს ასეთი კითხვა მისცა: „ბიბლიაში წერია, რომ წინასწარმეტყველმა იონამ სამი დღე და ღამე დაჰყო ვეშაპის მუცელში და იქედან უვნებელი გამოვიდა. გწამთ თუ არა თქვენ ასეთი უაზრობა?“. პროკურორმა უპასუხა: „დიახ, მწამს, იმიტომ, რომ ასე წერია „ბიბლიაში“. მაშინ დამცველმა შეაბრუნა იგივე საკითხი და პროკურორს ჰკითხა: დავუშვათ „ბიბლიაში“ ყოფილიყო ჩაწერილი, რომ იონა კი არ იყო ვეშაპის მუცელში არამედ, პირიქით, ვეშაპი (რომელსაც ოცდაათამდე მეტრის სიგრძე აქვს) იყო იონას მუცელში — იწამებდით თუ არა ამასაც?“. პროკურორმა, რომელიც ოცდახუთი საუკუნის სისულელეს იცავდა, უპასუხა: „დიახ, ასე რომ იყოს ჩაწერილი საღეთო წიგნში, მაშინ მე ამასაც ვიწამებდი“ [1].

აქ, რა თქმა უნდა, შეიძლება დაისვას კითხვა, სხვისი ბედის განმკარგულებელი ეს პროკურორი, ნამდვილად ასეთი ყეყეჩი იყო და გულწრფელად სწამდა ასეთი სიცრუე, თუ იგი დოლარის გულისთვის და თავისი ოფიციალური მოვალეობის გამო აკეთებდა ამას? საქმე იმაშია, რომ თანამედროვე ამერიკაში ბლომად მოიპოვებიან როგორც ასეთი ყეყეჩები, ისე ისეთი ადამიანებიც, რომელნიც მზად არიან დოლარზე გაყიდონ თავიანთი რწმენაც და სინდისიც. ამერიკის ბურჟუაზია წარმატებით იყენებს ორივე ამ კატეგორიის ადამიანებს რომ ვესპუჩის კონტინენტზე დარვინის მოძღვრების სამოსელით არ „შეეჭრას“ „ათეისტური კომუნიზმი“ და საფრთხე არ შეუქმნას მისი ინტერესების დამცველ ღმერთსა და „ბიბლიას“.

---

[1] С. Вальдгард, Наука против религии, გვ. 124.

მეცნიერებისა და პროგრესის წინააღმდეგ ბრძოლაში განსაკუთრებულ აქტივობას იჩენს ვატიკანი. ვატიკანი მზად არის ჩაიდინოს არა მარტო ახალი ცოდვები და მზაკვრობა მეცნიერების, პროგრესის და ხალხის ინტერესების წინააღმდეგ, არამედ გაამართლოს კიდეც მის მიერ წინათ ჩადენილი სიმუხთლე. 1942 წელს ვატიკანის მიერ გამოცემულ ერთ წიგნში ლაპარაკია იმაზე, რომ მართალი იყო ვატიკანი, როცა მან 1600 წლის 17 თებერვალს ცოცხლად დაწვა ჯორდანო ბრუნო, რადგან მისი მოძღვრება „ბიბლიისა“ და ქრისტიანობის დოგმებს ეწინააღმდეგებოდაო.

1950 წელს კი ვატიკანმა მეცნიერების წინააღმდეგ სპეციალური ცირკულიარული მიმართვა გამოაქვეყნა პაპის პიუს XII ხელმოწერით. ამ მიმართვაში ,,ქრისტეს მოადგილე'' პაპი თავგამოდებით იცავს ბიბლიურ დოგმებს, ,,ამტკიცებს'' მათ ნამდვილობასა და სისწორეს. პაპი წერს, ,,კათოლიკური რწმენა გვავალდებულებს ვირწმუნოთ ცოცხალ არსებათა ღმერთის მიერ უშუალოდ შექმნა''. პაპი უარყოფს ცხოველთა სამეფოდან ხანგრძლივი ისტორიული ევოლუციით ადამიანის წარმოქმნას, რაც დიდი ხანია მეცნიერებამ ურყევად დაამტკიცა, და კვლავ იცავს ღმერთის მიერ ადამიანის შექმნის ბიბლიურ ლეგენდას. პაპი საერთოდ უარყოფს განვითარების თეორიას, უწოდებს მას ,,ცრუ დოქტრინას'' და თავის მიმართვაში წერს, ეს თეორია ,,საფრთხეს უქმნის კათოლიკური მოძღვრების საფუძვლებს'', ,,ეხმარება კომუნისტებს უფრო ეფექტურად აწარმოონ თავიანთი დიალექტიკური მატერიალიზმის პროპაგანდა''.

პაპი პიუს XII თაღლითობით, ღმერთის ,,მოწველიებით“ და ამერიკული დოლარის დახმარებით ცდილობს მეცნიერების, პროგრესის შეჩერებას და კაპიტალისტური სამყაროს გადარჩენას. მაგრამ მან არ იცის, ან არ სურს იცოდეს, რომ იგი შეუძლებელი ამოცანის გადაწყვეტას ეჭიდება; რომ არც მის საკუთარ და არც ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკში შეთრეულ მუსულმანების ღმერთებსა და ანგელოზებს, ჯოჯოხეთსა და ეშმაკებს არ ძალუძთ ისტორიული პროცესის

შეჩერება და კაპიტალიზმის გადარჩენა. როგორც ენგელსი წერდა, ,,ან უნდა ვირწმუნოთ ზებუნებრივი გამოცხადება, ან უნდა ვაღიაროთ, რომ არაეითარ სარწმუნოებრივ ქადაგებას არ შეუძლია უშველოს დაღუპვის გზაზე დამდგარ საზოგადოებას'' [1]. მაგრამ, რადგანაც ზებუნებრივი გამოცხადება არ არსებობს, ამიტომ ბურჟუაზიას და მისი ინტერესების დამცველ რელიგიას რჩებათ ერთადერთი გზა — დაღუპვის გზა.

---

[1] მარქსიზმ-ლენინიზმი რელიგიასა და მასთან ბრძოლის შესახებ, გვ. 21.

ვატიკანის დიპლომატია და დაზვერვა

ვატიკანის დიპლომატიას ხანგრძლივი ისტორია აქვს. შეიძლება ითქვას, რომ ეს დიპლომატია სხვადასხვა ფორმით თვით რომის პაპების წარმოშობის დროიდანვე იწყება, როდესაც ისინი კათოლიკური ეკლესიის რელიგიის პროპაგანდის მიზნით უცხო ქვეყნებში აგზავნიდნენ მისიონერებსა და წარმომადგენლებს. შემდეგ, როდესაც 755 წელს რომის პაპმა საერთო ხელისუფლებაც იგდო ხელთ და ე. წ. „პაპის სახელმწიფო“ შექმნა, ვატიკანი უფრო სისტემატური ხასიათის დიპლომატიურ ურთიერთობას ამყარებს უცხო ქვეყნებთან. 1870 წელს, როდესაც პაპის სახელმწიფო ლიკვიდირებული იქნა, პაპს მაინც შეუნარჩუნეს უფლება—საეკლესიო საქმეების ხაზით სხვა ქვეყნებში თავისი დიპლომატიური წარმომადგენლობა ჰყოლოდა. 1929 წელს კი, როდესაც დადებული იქნა ლატერანიის ხელშეკრულება და ვატიკანი კვლავ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ იქნა ცნობილი, მისი დიპლომატიური ფუნქციები უფრო გაფართოვდა.

ამჟამად ვატიკანს მსოფლიოს ორმოცამდე სახელმწიფოსთან აქვს დიპლომატიური ურთიერთობა, ჰყავს ამ სახელმწიფოში თავისი ელჩები (ნუნციები), დესპანები (ინტერნუნციები), ლეგატები (პაპის პირადი წარმომადგენლები) და, პირიქით, ამ ქვეყნებს ვატიკანში ჰყავთ აკრედიტებული ელჩები, დესპანები, ან სახელმწიფოთა მეთაურების პირადი წარმომადგენლები. ჯერ კიდევ 1815 წელს, როდესაც აღდგენილი იქნა ნაპოლეონის მიერ 1809 წელს ლიკვიდირებული პაპის სახელმწიფო, ვენის კონგრესის დადგენილებით, პაპის ნუნციები ელჩის, ხოლო ინტერნუნციები დესპანების რანგში იყვნენ გათანაბრებულნი. იმავე დადგენილებით,

პაპის ნუნცია ითვლებოდა დიპლომატიური კორპუსის მეთაურად [1].

ეს დიპლომატიური წარმომადგენლობა ვატიკანს, რა თქმა უნდა, მხოლოდ რელიგიური მოტივებით არ სჭირდება, რომ თავისი ელჩებისა და დესპანების საშუალებით დაიცვას უცხო ქვეყნებში მცხოვრები კათოლიკების ინტერესები (როგორც ამის შესახებ თვითონ აცხადებენ). ამას ის გარემოება ამტკიცებს, რომ ვატიკანს დიპლომატიური ურთიერთობა აქვს, ჯერ ერთი, ისეთ ქვეყნებთან, სადაც კათოლიკები არ ცხოვრობენ, როგორიცაა, მაგალითად, ფინეთი და იაპონია; მეორეც, იმ უცხო ქვეყნებშიაც, სადაც კათოლიკები ცხოვრობენ, პაპის ნუნციები და ინტერნუნციები დაკავებულნი არიან არა ქრისტესა და კათოლიკებზე ზრუნვით, არამედ წმინდა პოლიტიკური და სამეურნეო ხასიათის ამბებით, ჯაშუშური ხასიათის ცნობების შეკრებით და დივერსიებით.

იმპერიალიზმის ეპოქაში ვატიკანის „დიპლომატიის" ეს მხარე მეტად გაიზარდა, თუმცა მას თავისი მისიონერების საშუალებით ვატიკანი წინათაც საკმაო ყურადღებას აქცევდა. 1681 წელს საქართველოში ჩამოსული იტალიელი კათოლიკი მისიონერი დიონიჯო კარლი „სარწმუნოების გამავრცელებელი კონგრეგაციისადმი" რომში გაგზავნილ მოხსენებით ბარათში მრავალ ისეთ ცნობას იძლევა, რომელთაც რელიგიასთან არავითარი დამოკიდებულება არა აქვთ [2].

ევროპის დიდ სახელმწიფოთა მისიონერები უცხო ქვეყნებში ჩვეულებრივ ნიადაგის მოსინჯვისა და დაზვერვის ამოცანებს ასრულებდნენ, რათა შემდეგ მათ გამომგზავნ სახელმწიფოებს დაესახათ ამ უცხო ქვეყნებში შეღწევისა და შემდეგ კი კოლონიებად მათი გადაქცევის გეგმები. ამიტომ იყო, რომ ხშირ შემთხვევაში მისიონერებს შემდეგ ვაჭრები მოჰყვებოდნენ, ვაჭრებს კი ჯარისკაცები, რომელნიც ამთავრებდნენ მოცემული ქვეყნის ოკუპაციასა და კოლონიად მის გადაქცევას.

---

[1] Б. Е. Штейн, Дипломатия Ватикана, 1945, გვ. 7.

[2] დიონიჯო კარლი, თბილისის აღწერა (იხ. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, 1951, ნაკვეთი 29), გვ. 157.

ამგვარად, მისიონერებს უცხო ქვეყნებში მიჰქონდათ არა მარტო „სულიერი მათრობელას“ ახალი სახე, ქრისტიანული რელიგიის სახით, არამედ, ისინი ამ ქვეყნების მიერ დამოუკიდებლობის დაკარგვის და ევროპის „ცივილიზებული“ სახელმწიფოების კაბალაში მათი ჩავარდნის მაუწყებლებიც იყვნენ. მცირე როლი როდი შეასრულეს ვატიკანის მისიონერებმა აზიის, აფრიკის, ავსტრალიის და ამერიკის მკვიდრი მოსახლეობის ჯერ დაპყრობასა და შემდეგ მათ განადგურებაში. ყოველივე ამ „სიკეთესთან“ ერთად, მისიონერები და მათი მიმყოლი ვაჭრები უცხო ქვეყნებში აერცელებდნენ სხვადასხვა ავადმყოფობას და თავაშვებული ქცევით რყვიდნენ მოსახლეობას. აი რას წერდა მათი ამგვარი „მოღვაწეობის“ შესახებ სახელგანთქმული რუსი მოგზაური მიკლუხო-მაკლაი: მისიონერებისაგან, — ამბობს იგი, — „... მკვიდრი მცხოვრებნი სწავლობენ კითხვას, წერას და ა. შ. მაგრამ მე არა მითქვამს რა წუნარი ოკეანის კუნძულებზე მისიონერთა გამოჩენის ჩრდილოვან მხარეებზე. ეს ჩრდილოვანი მხარე, ჩემის აზრით, უმთავრესად იმაში მდგომარეობს, რომ მისიონერებს უშუალოდ მიჰყვებიან ვაჭრები და სხვა ყოველგვარი სახის ექსპლოატატორები, რომელთა გავლენაც გამოიხატება ავადმყოფობის, ლოთობის, ცეცხლმსროლ იარაღის გავრცელებაში და ა. შ. „ცივილიზაციის ამ წყალობას“ ძნელია გაუწონასწორდეს კითხვის, წერის და ფსალმების სიმღერის ცოდნა“[1].

კათოლიკმა მისიონერებმა, წერს გეოგრაფი ნ. ა. ვივო, დაწვეს და გაანადგურეს მექსიკის მკვიდრთა კულტურისა და დამწერლობის მრავალი ძეგლი. „ბერი დიეგო დე ლანდი, იუკატანიის კოლონიზაციის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, სისტემატურად სპობდა მკვიდრი მოსახლეობის ქანდაკებებს, ტაძრებს, იეროგლიფებით დაწერილ წიგნებს (კოდექსებს). ამ გარემოებამ შეუძლებელი გახადა დიდი ინდიელი ხალხის ისტორიისა და კულტურის ყოველმხრივი შესწავლა“[2].

---

[1] М. М. Шеннман, Краткие очерки истории папства, გვ. 135.

[2] იქვე, გვ. 136.

როგორც ჩინელი ისტორიკოსი ხუ შენი წერს: „1861 წლის შემდეგ უცხოელმა მისიონერებმა, ხელშეკრულებათა საფარქვეშ, შეაღწიეს ჩინეთის ყველა შიდა რაიონებში. შეიძლება ზოგიერთ მათგანს არც კი გაეგებოდა, რომ ისინი აგრესიული კაპიტალისტური სახელმწიფოების ავანგარდს წარმოადგენდნენ, მაგრამ უკლებლივ ყველა ისინი სარგებლობდნენ თავიანთი სახელმწიფოს ავტორიტეტით იმისათვის, რომ ჩინეთში პრივილეგიური მდგომარეობა დაეკავებინათ“[1].

მისიონერები, თავიანთი უგვანო ქცევით, ზოგჯერ უცხო ქვეყნების ადგილობრივ მკვიდრთა მსხვერპლნი ხდებოდნენ. ამ გარემოებას ხშირად მათი გამომგზავნი მთავრობები საბაბად იყენებდნენ შეიარაღებული შეტევის დასაწყებად ამ ქვეყნების კოლონიებად გადაქცევის მიზნით. თავიანთ ვერაგულ მოქმედებას ბურჟუაზიული ქვეყნები ნიღბავდნენ ქრისტიანული რელიგიისა და მისი მქადაგებელი მისიონერებისათვის ვითომდა ამ „ბარბაროსულ“ ქვეყნებში შექმნილი „საფრთხით“.

1897 წლის აგვისტოში გერმანიის კაიზერი ვილჰელმ II პეტერბურგში ჩავიდა და რუსეთის მეფე ნიკოლოზ II ხელშეკრულება დასდო. ამ ხელშეკრულებით, მათ შეიარაღებული ძალით ერთად უნდა ემოქმედათ ჩინეთის დამონების საქმეში და დაეჩქარებინათ მისი კოლონიზაცია. ჩინეთის წინააღმდეგ შეიარაღებული მოქმედების დასაწყებად „საბაბიც“ მალე „გამოჩნდა“. ამავე წლის 1 ნოემბერს ჩინეთში მოკლეს ორი გერმანელი მისიონერი. 14 ნოემბერს გერმანიის არმიამ, ვითომდა გერმანიის ქვეშევრდომთა და მისიონერთა სიცოცხლის დაცვის უზრუნველსაყოფად, ცზიაოჩჟოუს ოკუპაცია მოახდინა[2].

მალე, იძულებითი „იჯარის“ ფორმით ან პირდაპირი დაპყრობით, ინგლისმა, საფრანგეთმა და რუსეთმა ჩინეთის საკმაოდ დიდი ტერიტორიები ჩაიგდეს ხელში. ჩინელმა ხალხ-

---

[1] М. М. Шепиман, Краткие очерки истории папства, გვ. 137.

[2] Новая история колониальных и зависимых стран, ტ. 1, 1940, გვ. 619.

მა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ დაიწყო აჯანყება (ე. წ. „ბოქსიორთა აჯანყება“) და ალყა შემოარტყა უცხოელ დიპლომატთა საკონსულოების უბანს პეკინში. 1900 წელს რვა დიდმა ბურჟუაზიულმა სახელმწიფომ (გერმანია, რუსეთი, ინგლისი, საფრანგეთი, აშშ, იაპონია, იტალია და ავსტრო-უნგრეთი) შექმნა სამოცათასიანი არმია და გერმანელი ფელდმარშლის ვალდერზეეს სარდლობით გაგზავნა ჩინეთში აჯანყების ჩასაქრობად.

გერმანიის იმპერატორმა ვილჰელმ II ჩინეთში მიმავალ ვალდერზეეს არმიის ჯარისკაცებს მიმართა კანიბალისტური შინაარსის სიტყვით. „რაკი თქვენ გამოჩნდებით მტრის წინაშე, — ამბობდა ვილჰელმი, — იგი განადგურებული იქნება. შეწყალება არ მისცეთ, ტყვეები არ აიყვანოთ. ვინც თქვენს ხელში ჩავარდება, ის თქვენია. როგორც 1000 წლის წინათ მეფე ატილას წინამძღოლობით ჰუნებმა თავიანთ თავს შეუქმნეს სახელი, რომელიც გადმოცემებსა და მოთხრობებში ჩვენს დღეებამდე მათ დიდებით მოსავს, ასევე, დაე გერმანელების სახელი ჩინეთში თქვენს მიერ აყვანილი იქნეს იმ სიმაღლემდე, რომ 1000 წლის შემდეგაც არცერთმა ჩინელმა მეტად ვეღარ გაბედოს თუნდაც ალმაცერად შეხედოს გერმანელს“[1].

ლენინი 1900 წელს სტატიაში „ჩინეთის ომი“ წერდა, რომ ევროპის მსხვილი კაპიტალისტური ქვეყნები დაპყრობით ომს ეწევიან ჩინეთში და ამავე დროს ისინი იძულებულნი ხდებიან „...ფარისეველურად ფარავდნენ ძარცვა-გლეჯის ამ პოლიტიკას ქრისტიანობის გავრცელების მომიზეზებით“[2]. ამგვარად, აღმოსავლეთის ქვეყნებში ქრისტიანობის გავრცელება და შემდეგ მისი „დაცვა“, მხოლოდ საფარი იყო ვატიკანის ზურგსუკან მდგარი ევროპის ბურჟუაზიული ქვეყნებისათვის, ახალი კოლონიების შეძენისა და ექსპლოატაციის საქმეში.

ევროპის ქვეყნების შემდეგ ჩინეთში ფეხს იკიდებს ამერიკის იმპერიალიზმი. ამერიკელი იმპერიალისტები ჩინეთში

---

[1] Новая история колониальных и зависимых стран ტ. 1, 1940, გვ. 629.

[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნი, ტ. 4., გვ. 458.

შეღწევას იწყებენ ქრისტიანული რელიგიის გავრცელების აბრით. მათ ჩინეთის „რელიგიურ-კულტურულ“ მშენებლობაში 42 მილიონამდე დოლარი დააბანდეს. ჩინეთში ამერიკის ექსპანსიის მოწინავეთა რაზმებში ისევ მისიონერები იყვნენ, რომელნიც მთელ ჩინეთს და განსაკუთრებით მის შიდა რაიონებს მოეფინენ. „ეს იყო ცდა, — წერს ჩინელი მკვლევარი ცინ ბენ-ლი, — ქვეყნის თითოეულ მიყრუებულ კუთხეში დაეარსებინათ აგრესიის ავანპოსტები და „კულტურის“, „ღმერთის“, „მოწყალების“ ქურქით შენიღბულებს ჩინეთის ხალხი მიეჩვიათ იმისთვის, რომ მას მტერი მოყვარედ მიეღო. ეს იყო ცდა გამოეყენებინათ ჩინელთა კეთილმოყვარეობა იმისათვის, რომ ისინი ამერიკელთა მონებად გადაექციათ“[1]. აი ნამდვილად რა მიზნებს ისახავდნენ მისიონერები და მათი „გენერალური შტაბი“ — ვატიკანი.

ვატიკანის მისიონერებისა და დიპლომატების დაზვერვითი როლი უფრო მეტად გაძლიერდა პირველი და მეორე მსოფლიო ომის პერიოდში და მას შემდეგ. საქმე იმაშია, რომ, როგორც ისტორიკოსი ბ. ე. შტეინი წერს, „ყოველგვარი დიპლომატიური მოღვაწეობა, უპირველეს ყოვლისა, დამყარებულია მართებულ ინფორმაციაზე, რომლის გარეშე აზრი არა აქვს არავითარ საგარეო პოლიტიკას. წყაროების თვალსაზრისით და პოლიტიკური ინფორმაციის შინაარსით ვატიკანი იმყოფება განსაკუთრებულ პრივილეგიურ მდგომარეობაში“.

ვატიკანისათვის პრივილეგიურ მდგომარეობას ჰქმნის თვით ამ „ღვთის სახელმწიფოს“ სპეციფიკური პირობები. მისი მდგომარეობის ეს სპეციფიკურობა კი იმაში გამოიხატება, რომ კათოლიკური ეკლესია ათვლის 350 მილიონამდე წევრს, რომელნიც დედამიწის ყველა კუთხეში ცხოვრობენ. სწორედ ამიტომ ვატიკანის დიპლომატიას შესაძლებლობა აქვს ინფორმაცია მიიღოს ისეთი გზებით, რომელიც მიუწვდომელია ყოველი სხვა სახელმწიფოს დიპლომატიისათვის. გარდა რამდენიმე ათეულ სახელმწიფოებში თავისი

[1] М. М. Шейнман, Краткие очерки истории папства, გვ. 133.

ელჩებისა და დესპანების საშუალებით დიპლომატიური ინფორმაციის მიღების ნორმალური არხებისა, ვატიკანი რეგულარულად ღებულობს მისთვის აუცილებელ ცნობებს მთელი მსოფლიოს 1.300 კათოლიკი ეპისკოპოსისაგან. ეპისკოპოსები, თავის მხრივ, ამ ინფორმაციას ღებულობენ მათდამი დაქვემდებარებული მღვდლების მთელი არმიისაგან, რომელთაც უშუალო ურთიერთობა აქვთ მოსახლეობასთან. კათოლიკურ ეკლესიაში მიღებული „აღსარება“ აგრეთვე წარმოადგენს პოლიტიკური ინფორმაციის მიღების მნიშვნელოვან წყაროს[1]. და ბოლოს, მხედველობიდან არ უნდა იქნეს გაშვებული მრავალრიცხოვანი ორდენების (დომინიკელების, იეზუიტების, ფრანცისკანელების და სხვა) როლი. ესენიც, თავის მხრივ, წარმოადგენენ ვატიკანის პოლიტიკური ინფორმაციის არხებს. რომის დიპლომატიურ წრეებში მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე რამდენიმე წლით ადრე იეზუიტთა ორდენის გენერალი ითვლებოდა „მსოფლიოში ყველაზე ინფორმირებულ „კაცად“[2].

ვატიკანის დაზვერვას განსაკუთრებით ერთგულად ემსახურებიან კათოლიკი ეპისკოპოსები. მათ ვატიკანის სახელმწიფო მდივანი (საგარეო საქმეთა მინისტრი) უგზავნის სპეციალურ ანკეტას, რომელშიაც ასამდე კითხვაა მოცემული. ეპისკოპოსი ვალდებულია ყოველწლიურად ამ კითხვების პასუხი გაგზავნოს რომში, ხოლო ხუთ წელიწადში ერთხელ

---

[1] როგორც ცნობილია, მორწმუნეთაგან „აღსარების“ დროს ნათქვამ დანაშაულს მართლმადიდებელი ეკლესიის მღვდლებიც იყენებენ დასჯისა და შპიონაჟისათვის. ქართულ ლიტერატურაში ოსმან-აღას თავგადასავალის გადმოცემის დროს ეს გარემოება დანიელ ჭონქაძემ აღნიშნა „სურამის ციხეში“. ცნობილია აგრეთვე ფაქტი, რომ 1923 წელს ნიკოლოზ პირველმა პეტრე-პავლეს ციხეში გამომწყვდეულ დეკაბრისტებს სპეციალურად მიუჩინა მღვდელი მისლოვსკი. რათა მას დაპატიმრებულთაგან როგორმე მიეღო ცნობები აჯანყების სხვა მონაწილეთა შესახებ. როგორც ჩანს, სიტყვით ღვთისა და საქმით ნიკოლოზის მსახურ მისლოვსკის ამ ბინძურ საქმეში ერთგვარი წარმატებისათვის მიუღწევია, რადგანაც ნიკოლოზმა იგი დააჯილდოვა წმიდა ანას მეორე ხარისხის ორდენით, აამაღლა ჩინში და გაიყვანა მეცნიერებათა აკადემიის წევრად.

[2] Б. Е. Штюмер, Дипломатия Ватикана, გვ. 8—9.

თვითონ პირადად ჩავიდეს ვატიკანში და უფრო დაწვრილებითი ცნობები მიაწოდოს იმ ქვეყნის პოლიტიკურ, სამხედრო და ეკონომიურ მდგომარეობაზე, სადაც ეს ეპისკოპოსი ღმერთის, ზეცისა და სამოთხის საქმეებს „ემსახურებოდა“. გარდა ამისა, თვითონ ვატიკანის ნუნციები (ელჩები) ხშირად იმდენად იძირებიან დაზვერვასა და შპიონაჟში, რომ შემდეგ მათი ეს „არაღვთაებრივი მოღვაწეობა“ სასკანდალოდ გახმაურდება ხოლმე, როგორც ეს დაემართა პაპის ნუნციებს: ჩეხოსლოვაკიაში — ვერანოს, რუმინეთში ოხარას, ჩინეთში რიბერს[1].

ვატიკანის დაზვერვა და დიპლომატიური წყაროები, მისი დიდი ეკონომიური შეძლება, ქრისტესა და ზეცის სახელით თავისი მგლური, მიწიერი ინტერესების ზეციური ელფერით შენიღბვის შესაძლებლობა, უქმნიან მას იმის პირობებს, რომ უდიდესი ზეგავლენა მოახდინოს თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობაზე. მართლაცდა, ვატიკანი მეტ გავლენას ახდენს თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკაზე, ვიდრე მასზე მოსახლეობითა და ტერიტორიით ათასჯერ დიდი რომელიმე ახლანდელი სახელმწიფო.

ვატიკანი რომ ბურჟუაზიული ქვეყნების შპიონაჟის ერთერთ ყველაზე უმსხვილეს ცენტრს წარმოადგენს ამჟამად ამას თვითონ კათოლიკი ეპისკოპოსებიც აღიარებენ. 1940 წელს ამერიკელი კათოლიკი ეპისკოპოსი რაიანი პრესაში გამოვიდა მოთხოვნით, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს ვატიკანთან დიპლომატიური ურთიერთობა დაემყარებინა. თავისი მოთხოვნის მიზანშეწონილობას რაიანი იმით ასაბუთებდა, რომ ვატიკანს მსოფლიოში ყველაზე უკეთ აქვს მოწყობილი დაზვერვა და ამერიკამ შეიძლება მრავალი საჭირო ცნობა მიიღოს მისგანო[2].

ვატიკანის დიპლომატია ყველა ქვეყნის დიპლომატიაზე უფრო შენიღბულია. ამ გარემოებას სხვა მიზეზებთან ერთად

---

[1] М. С. Вознюков, Ватикан на службе американского империализма, 1952, გვ. 11.

[2] М. М. Шейнман, Ватикан и католицизм на службе империализма, 1950, გვ. 25.

ისიც უწყობს ხელს, რომ რომის პაპი ვატიკანის ბიუჯეტის საკითხში სრულიად დამოუკიდებელია. ამ ბიუჯეტს არავინ არ ამტკიცებს და არასოდეს იგი არ ქვეყნდება. ეს გარემოება კი პაპს საშუალებას აძლევს ვატიკანის მდიდარი ფინანსური შესაძლებლობა გამოიყენოს დიპლომატიისა და დაზვერვისათვის თავისი საკუთარი შეხედულების მიხედვით.

ვატიკანის დიპლომატიის შენიღბვას არანაკლებ უწყობს ხელს ისიც, რომ არც ვატიკანის ნოტები და არც უცხო ქვეყნების სახელმწიფო მოღვაწეებთან ვატიკანის ელჩების პირადი მოლაპარაკების შინაარსი არასოდეს არ ქვეყნდება. ეს გარემოება კი ბევრ შემთხვევაში, თუ სხვა რაიმე გზით ვატიკანის დიპლომატიური ღონისძიებანი ცნობილი არ გახდა, აძნელებს ვატიკანის პოზიციის ნათლად გამორკვევას[1]. რა თქმა უნდა, ვატიკანის საიდუმლო დიპლომატია უცნობი არ არის მისი დამფინანსებელი იმპერიალისტური ქვეყნების მთავრობებისათვის, რომელთა მითითებითაც ვატიკანი მოქმედებს და რომელთაც ის ხალისით აძლევს ამ ცნობებს.

---

[1] Б. Е. Штейн, Дипломатия Ватикана, გვ. 9.

ვატიკანის ცდა კათოლიკურ სარწმუნოებაში რუსეთისა და საქართველოს მოსაქცევად

რომის პაპებმა XI საუკუნის ბოლოდან დაიწყეს რუსეთში კათოლიციზმის გავრცელების უშედეგო ცდები. შემდეგ, XIII საუკუნეში პაპი ინოკენტი III წინასწარ პირდებოდა ცოდვების გაუქმებას ყველა იმათ, ვინც ილაშქრებდა ბალტიისპირა სლავთა მიწაწყლის დასაპყრობად და კათოლიკურ სარწმუნოებაში მათი მცხოვრებლების მოსაქცევად. რომის პაპები აქტიურ დახმარებას უწევდნენ ყველა იმ რელიგიურ ორდენს, რომელნიც ბალტიისპირა ქვეყნის დასაპყრობად იბრძოდნენ.

მთელ იმ უბედურებას და სისასტიკეს, რასაც რელიგიური ორდენები ქრისტიანობის გავრცელების აბრით სჩადიოდნენ ბალტიისპირა სლავი და არასლავი ხალხების დაპყრობის დროს, აღწერილი აქვს „ლივონიის ქრონიკაში“ თვით ამ ლაშქრობათა მონაწილეს გერმანელ ისტორიკოს ჰენრიხ ლატვიელს. სლავები კათოლიციზმში მოქცევას სასტიკად ეწინააღმდეგებოდნენ და რომის პაპები ამ მხრივ წარმატებას ვერ აღწევდნენ.

1439 წელს პაპმა ევგენი IV ფლორენციის საეკლესიო კრებაზე მიაღწია დადგენილების მიღებას პაპის საერთო ხელმძღვანელობით კათოლიკური და მართლმადიდებელი ეკლესიის უნიის (გაერთიანების) შესახებ. ამ დადგენილების სისრულეში მოყვანა ნიშნავდა რუსეთში კათოლიციზმის დანერგვას. მაგრამ თვით რუს ხალხს არ სურდა კათოლიციზმში მოქცევა, ამიტომ მოსკოვის მიტროპოლიტი ისიდორე, რომელმაც 1439 წელს ფლორენციაში მხარი დაუჭირა უნიის შესახებ დადგენილების მიღებას, 1441 წელს განდევნილი იქნა რუსეთიდან და რომში გაიქცა.

XVI საუკუნის ბოლოს პაპმა გრიგოლ XIII იეზუიტი პოსევინი გაგზავნა ივანე IV. პოსევინი ივანე IV უმტკიცებდა, რომ კათოლიციზმის მიღება გაზრდიდა მისი ქვეყნის ძლიერებასა და დიდებას. როცა ამ ცდებიდან არაფერი გამოვი-

და, მაშინ გრიგოლ XIII მემკვიდრე პაპი სიქსტ V, რუსეთის დასუსტების და მისი ტერიტორიული შემცირების მიზნით, ფულად დახმარებას უწევდა პოლონეთის მეფეს რუსეთის წინააღმდეგ ომის მოსაწყობად. XVII საუკუნის დასაწყისში ვატიკანი დახმარებას უწევდა ცრუ დიმიტრის, რომელმაც 1604 წელს კათოლიკობა მიიღო და რომელსაც, რომის პაპთან დადებული პირობის მიხედვით, რუსეთის მოსახლეობაც უნდა მოექცია კათოლიკობაში, მაგრამ ცრუ დიმიტრის მარცხმა და თვით კათოლიციზმისადმი რუსი ხალხის წინააღმდეგობამ ჩაშალა ეს გეგმა[1].

კათოლიციზმისადმი რუსი ხალხის, კერძოდ, მოსკოველთა წინააღმდეგობა იმდენად ცნობილი ყოფილა, რომ კათოლიკი მისიონერი დიონიჯო კარლი 1681 წელს თბილისიდან რომში გაგზავნილ მოხსენებაში წერდა: „ქართველთა წეს-ჩვეულება კეთილშობილურია და ბუნებით მკვირცხლნი არიან. ბერძენთა მსგავსად სარწმუნოებაში პირველობას არ ჩემულობენ. რომის ეკლესიისადმი არც ის სიძულვილი აქვთ მოსკოვიტებს რომ სჩვევიათ“[2].

იმისათვის, რომ სლაველები თანდათან გადაეყვანათ მართლმადიდებელი რწმენიდან კათოლიკურზე, რომის პაპმა კლიმენტი VIII კვლავ წამოაყენა მართლმადიდებელი და კათოლიკური ეკლესიის შეერთებით ნარევი რელიგიის (უნიატური რელიგიის) მიღების და მისი, პირველყოველისა, უკრაინასა და ბელორუსიაში დანერგვის იდეა. ქრისტიანობის ამ უნიატურ მოდერნიზაციაში მართლმადიდებელი ეკლესიიდან შევიდოდა „... წეს-ჩვეულება, სამღვდელოების ქორწინების უფლება და ღვთისმსახურების შესრულება მშობლიურ ენაზე; კათოლიციზმიდან — რომის პაპის მეთაურობის აღიარება და კათოლიკური დოგმატები. პაპები მიიჩნევდნენ, რომ ხალხი ვერ ერკვევა რჯულის მოძღვრების დეტალებში და მხოლოდ იცის რელიგიის წეს-ჩვეულებითი მხარე, და რომ, ამიტომ, თავს

---

[1] М. Шепинман, Краткие очерки истории папства, გვ. 111.

[2] დიონიჯო კარლი, თბილისის აღწერა (იხ. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვეთი 29, 1951, გვ. 161).

მოვახვევთ რა მას უნიატობას, შესაძლებელი იქნება მოსახლეობა თანდათანობით მოვაქციოთ კათოლიკობაში. უნიის საკითხი გადაწყვეტილი იქნა 1596 წელს ბრესტის საეკლესიო კრებაზე''[1].

ვატიკანის ამ მაქინაციებს მხარი დაუჭირეს უკრაინისა და ბელორუსიის სამღვდელოების უმაღლესმა წარმომადგენლებმა, რომელნიც პოლონელ ფეოდალებთან საერთო ინტერესებით იყვნენ დაკავშირებული. შემდეგ ხანებში, კერძოდ, 1720 წლიდან, სახელად უნიატურ ეკლესიაში, მთლიანად კათოლიციზმის შინაარსი იქნა შეტანილი.

უკრაინელი და ბელორუსი ხალხები წინააღმდეგობას უწევდნენ უნიატობის გავრცელებას. ამის გამო ვატიკანის მისიონერები და პოლონელი ფეოდალები ცეცხლითა და მახვილით ცდილობდნენ მის დანერგვას. ერთ-ერთ იმდროინდელ დოკუმენტში წერია, რომ ქსენძი მოკრიცკი 1766 წელს ჩავიდა სოფელ ტელეპინში და მის მცხოვრებთ გამოუცხადა, რომ ყველა ისინი უნიატობაზე უარის თქმისათვის დასჯილნი იქნებოდნენ სიკვდილით. ამავე დროს, ამ განაჩენის სისრულეში მოსაყვანად, ტელეპინში ჩაყვანილი იქნა 500 ჯარისკაცი. ასეთი შიშის ქვეშ, სოფლის მოსახლეობა იძულებული გახდა მიეღო უნიატობა.

იმავე 1766 წელს მეორე სოფელ მგლეევში ერთი მოხუცი ცოცხლად დაწვეს მხოლოდ იმიტომ, რომ მან უარი განაცხადა უნიატობის მიღებაზე[2]. ასეთი მაგალითები მრავლად მოიპოვება ვატიკანის ,,მოღვაწეობაში'' სლავი ხალხის მიმართ. უკრაინელი ხალხი თავიდანვე დიდ წინააღმდეგობას უწევდა უნიატური რელიგიის გავრცელებას. როცა ზბოროვასთან უკრაინის ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ბელადმა ბოგდან ხმელნიცკიმ გაანადგურა პოლონელ ფეოდალთა არმია, 1649 წ. ხელშეკრულებაში, დამარცხებულ პოლონეთთან რომ იყო დადებული, უკრაინაში უნიატობის

---

[1] **М. М. Шейнман**, Краткие очерки истории папства, გვ. 112.

[2] იქვე, გვ. 113.

აკრძალვა და მართლმადიდებელთა დევნის შეწყვეტაც იყო შეტანილი.

რუსეთში კათოლიციზმის გასავრცელებლად ვატიკანის ცდებისათვის ეს იყო უდიდესი ლახვარი. ამიტომ რომის პაპი ყველა მათ, ვინც მონაწილეობას მიიღებდა ბოგდან ხმელნიცკის წინააღმდეგ ლაშქრობაში, შეპირდა ცოდვების მიტევებას[1]. მაგრამ პაპის ამ ღონისძიებას შედეგი არ მოყოლია. მიუხედავად ამისა, რომის პაპები შემდეგშიც არ ეშვებოდნენ რუსეთს და ცდილობდნენ იქ კათოლიციზმის დასანერგავად მათთვის ხელსაყრელი ყველა შემთხვევის გამოყენებას.

ვატიკანი კათოლიციზმის დანერგვას ცდილობდა აღმოსავლეთის ქვეყნებში: კავკასიაში, თურქეთში, ირანში და სხვ. ამ უკანასკნელი ქვეყნებიდან ვატიკანს განსაკუთრებით საქართველო აინტერესებდა. ვატიკანის მესვეურებს ეგონათ, რომ ისინი ადვილად მოახერხებდნენ მართლმადიდებელი ქრისტიანების კათოლიკურ ქრისტიანობაზე გადაყვანას საქართველოში. მათი აზრით, რადგანაც, არსებითად, აქ საქმე ეხებოდა ძირითადში ერთი და იგივე რელიგიის (ქრისტიანობის) ორი (კათოლიკური და მართლმადიდებლური) განშტოების შერწყმას, ამიტომ კათოლიკურისაგან მართლმადიდებლური ქრისტიანობის განმასხვავებელი ნიშნების თანდათანობითი ლიკვიდაციის გზით დაბოლოს მივაღწევთ კათოლიციზმის გაბატონებას საქართველოშიო. შემდეგ, აღმოსავლეთში ამ კათოლიკურ საქართველოზე დაყრდნობით ფიქრობდნენ უფრო მეტი დაწოლა მოეხდინათ თურქეთსა და ირანზე, სადაც ვატიკანს თავისი მისიონერების საშუალებით კათოლიკური ეკლესიების ქსელის გაშლა ჰქონდა დაწყებული[2] და, სადაც უფრო ძნელი იყო კათოლიციზმის გავრცელება მაჰმადიანური რელიგიის ბატონობის პირობებში.

---

[1] М. М. Шейнман, Краткие очерки истории папства, გვ. 115.

[2] მღვდელი მიქელ თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის 1902, გვ. 18, 32, 39, 50, 80 და ა. შ.

კათოლიციზმის გასავრცელებლად ვატიკანის რელიგიური ექსპანსია, რა თქმა უნდა, თვითმიზანი არ იყო და როგორც ყოველთვის და ყველგან ასეთ შემთხვევებში ყველა სხვა რელიგიის გავრცელებას, ახლა ვატიკანსაც, ახალი ქვეყნების კათოლიციზმში მოქცევისას. პირველ რიგში პოლიტიკური და ეკონომიური მიზნები ამოძრავებდა.

რომის პაპები საქართველოთი დაინტერესდნენ ჯვაროსნული ომების დაწყების დროიდან. შემდეგ, XIII საუკუნის დამდეგიდან, ვატიკანი აღარ კმაყოფილდება მის მიერ წამოწყებულ ამ უაზრო ხოცვა-ჟლეტაში ქართველთა ცალკეული რაზმების მონაწილეობით და მოითხოვა იმდროისათვის ძლიერი საქართველოს მთელი ძალების ჩაბმა ამ ხანგრძლივსა და გამაპარტახებელ ომში. როგორც უნდა ვიფიქროთ, მაშინდელი საქართველოს ჯესვეურებიც თავის მხრივ დაინტერესებულნი უნდა ყოფილიყვნენ ,,წმიდა ადგილების განთავისუფლების'' აბრით მიეღწიათ ახალი ტერიტორიების დაპყრობისათვის მცირე აზიაში. რადგან რომის პაპების ზემოაღნიშნული სურვილი ემთხვეოდა ქართველ მეფეთა და დიდებულთა ინტერესებს, ამიტომ ეს უკანასკნელნიც ხალისით პირდებოდნენ რომის პაპებს ძლიერი არმიით ჯვაროსნულ ლაშქრობაში მონაწილეობის მიღებას.

1223 წელს დედოფალი რუსუდანი რომის პაპს ონორიო III წერდა: „... ჩემი ძმა ქართველთა მეფე მიიცვალა და მისი სამეფო მე მერგო. აწ ვითხოვთ თქვენს კურთხევას ჩვენთვის და ყველა ჩვენ ქვეშევრდომ ქრისტიანეთათვის. დამიეტში მყოფს თქვენის ელჩისაგან მივიღეთ თქვენი დიდებული რჩევა და ბრძანება, რომე ჩემი ძმა წასულიყო ქრისტიანების შესაწევნელად. ისიც ამ ზრახვასა და წასვლის მზადებაში იყო, როდესაც ბოროტნი თათარნი შემოვიდნენ ჩვენს ქვეყანაში. ეს იქნება თქვენც შეიტყეთ, დიდი უბედურება მიაყენეს ჩვენს ერსა და დაგვიხოცეს ექვსი ათასი კაცი. ჩვენ მათ არ უფრთხილდებოდით, რადგან ქრისტიანები გვეგონა; მაგრამ როდესაც ვსცანით, რომ კარგი ქრისტიანები არ იყვნენ, მაშინ შევკრიბეთ ყოველი ჩვენი ძალა და წინ აღვუდექით, ოცდახუთი ათასი კაცი გავუწყვიტეთ, ბევრიც დავატყვევეთ და

დანარჩენი მათი მხედრობა ჩვენის ქვეყნიდგან გავდევნეთ: აი ამის გამო აქ დავრჩით და თქვენის ელჩის ბრძანებისამებრ ვერ წამოვედით.

ხოლო აწ დიდად განვიხარეთ, რა შევიტყეთ, რომ თქვენის ბრძანებით იმპერატორი სირიაში უნდა წავიდეს წმიდა ადგილების დასახსნელად. გთხოვთ გვაცნობოთ, თუ როდის უნდა გამოიაროს იმპერატორმა, რათა ჩვენც წმიდა ადგილების დასახსნელად გავგზავნოთ ჩვენი მხედართმთავარი ივანე მთელის ჯარით იმ ადგილს, საცა თქვენ ინებებთ. ეგრეთვე გაუწყებთ, რომ ამ ჩვენმა მხედართმთავარმა და ჩვენის სამეფოს სხვა მთავრებმა მიიღეს ჯვაროსნობა და წასვლას ელიან''[1].

რუსუდანის ამ წერილთან ერთად პაპს გაეგზავნა მხედართმთავარ ივანე მხარგრძელის წერილი. ამ წერილში მხარგრძელი თავის მხრივ სწერდა პაპს: „აწ გაუწყებთ, რომ თქვენს ბრძანებას ველით და მზად გახლავართ მთელის ჩვენის ძალით წავიდეთ ქრისტიანების შესაწევნელად; მე თვით მზად ვარ წმიდა ადგილების დასახსნელად წავიდე ორმოცი ათასი მეომრით, სადაც თქვენ ისურვებთ"[2].

პაპს სასიამოვნოდ დაურჩა ჯვაროსნულ ლაშქრობაში მონაწილეობის შესახებ რუსუდანისა და ივანე მხარგრძელის შეპირება და 1224 წლის 12 მაისის თარიღით გამოგზავნილ წერილში რუსუდან დედოფალს სწერდა: „... გვახარებს თქვენი მორწმუნეობა, რომელიც გაქვსთ უფლისა იესო ქრისტეს სარწმუნოებისადმი და რომელიც დიდათ სათნო საყოფელია, რადგან მას იცავთ ურწმუნოთა შორის, რომლებთანაც სცხოვრობთ, და ბრწყინავთ, როგორც ნათელი სიბნელეში და შროშანი ეკლებში[3]." ამავე დროს პაპი ამხნევებდა დედოფალსა და მხედართმთავარს კარგად მომზადებულიყვნენ „დიდისა და წმიდა საქმისათვის'' და ატყობინებდა სირიაში

---

[1] მღვდელი მიქელ თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, 1902, გვ. 7—8.

[2] იქვე, გვ. 9.

[3] იქვე, გვ. 10.

„რომის იმპერატორისა და სიცილიის მეფის“ ფრედერიკოს გამგზავრების დროს. მაგრამ მონღოლების შემოსევის შედეგად საქართველოში დატრიალებულმა შავბედითმა ამბებმა შეუძლებელი გახადეს რუსუდანისა და ივ. მხარგრძელის მიერ განზრახული ამ დიდი ლაშქრობის განხორციელება.

რომის პაპებმა კარგად იცოდნენ, რომ აღმოსავლეთში ვატიკანის პოლიტიკისათვის საქართველოს მხარდაჭერა, უფრო მეტად ეფექტური მაშინ იქნებოდა, თუკი ისინი შეძლებდნენ კათოლიკურ სარწმუნოებაში საქართველოს მოქცევას. ამ მიზნის მისაღწევად რომის პაპები საქართველოს მეფეებისა და დიდებულებისადმი მოწერილ წერილებში ცდილობდნენ დაემტკიცებიათ, რომ ქრისტეს მოძღვრება ორთოდოქსალურად მხოლოდ კათოლიკურ ეკლესიაში იყო დაცული და ვისაც ქრისტეს ნამდვილი მოძღვრების აღიარება უნდოდა, მას თავი უნდა მიენებებინა ქრისტიანობის სხვა, მათ შორის მართლმადიდებლური განშტოებისათვის, როგორც შემცდარი და მწვალებლურისათვის, და დამდგარიყო კათოლიკური ეკლესიის მოძღვრების ნიადაგზე.

1240 წლის 13 იანვარს რომის პაპი გრიგოლ IX რუსუდან დედოფალს და მის შვილს დავითს სწერდა: „... არც ბუნების კანონი იგუებს, რომ ერთ სხეულს ებას მრავალი თავი და მრავალ სხეულთ ებას ერთი თავი... ამიტომ საყვარელნო შვილნო, საჭიროა ქრისტეს მონაცვლე და წმიდა პეტრეს მოსაყდრე რომის პაპი სცნოთ თქვენ და ყველა თქვენთა ქვეშევრდომთა, როგორც მამა და ჩვენი სარწმუნოების მწყემსი. შეუერთდით მას და რომის ეკლესიას და სწუხდეთ, რომ აქამდე დაგიგვიანდათ. დაემორჩილენით მას ყველაფერში, რაც კი შეეხება თქვენი სულის ცხონებას... ვინც ამ მხრივ ჩვენი ურჩი იქნება, ის სწორედ კეთილი სული არ უნდა იყოს... თქვენც კარგად უწყით და ზემოთ ჩვენც მოვიხსენიეთ, რომ უფალმა მარტო პეტრეს ჩააბარა სასუფევლის კლიტენი, ამიტომ სასუფევლის კარი გაეღება მხოლოდ იმათ, ვინც პეტრესი და მისი მოსაყდრის მორჩილნი იქნებიან. ამის გამო ვგზავნით თქვენთან მოქადაგეთა წესის ძმათა უგუიჩინოს, იაკობს, ბენევენტოს, რუბინოს, პეტრეს, ბერნარდეს, ლამ-

ბერტის და გვიძარდოს, რომელნიც ძლიერნი არიან სიტყვითა და საქმით, რომელთა შორის ბრწყინავს კეთილი ცხოვრება და მოძღვრება, რადგან რასაც სხვას სიტყვით ასწავლიან, მას ჯერ თვით საქმით ასრულებენ. მაშ მიიღეთ იგინი სახიერებით, როგორც ქრისტეს მიერ მოვლინებულნი და გულმოდგინებით ისმინეთ ყოველი მათი მოძღვრება"[1].

ამგვარად, რომის პაპები არა მარტო სთხოვდნენ საქართველოს მეფეებს ქართველები გაკათოლიკებულიყვნენ, არამედ აშინებდნენ კიდეც, რომ სასუფეველში სხვაგვარად ვერ მოხვდებით, თუ არ გაკათოლიკდებით, ე. ი. თუ ქრისტიანობის გაგების საკითხში არ დაემორჩილებით პეტრესა და მის მოსაყდრე რომის პაპს, რომელთაც უპყრიათ სასუფეველის კარების გასაღებიო. კათოლიკობაში საქართველოს მოქცევის გასაადვილებლად ვატიკანის მესვეურები ამტკიცებდნენ, რომ, რადგან ერთ სხეულს რამდენიმე თავი არ შეიძლება ებას, ამიტომ ერთადერთი ჰეშმარიტი თავი, რომელიც ქრისტიანულ რელიგიას აქვს, ეს, როგორც პაპი ურბანო VIII 1628 წელს თეიმურაზ მეფეს სწერდა, არის „ეკლესიის ხილული თავი, რომელიც ჩის რომის საყდარსა"[2], ე. ი. რომის პაპი. ამიტომ მარტო ამ თავით ნაქადაგარი ქრისტიანობა არის ჰეშმარიტი ქრისტიანობა და ქრისტიანობის მართლმადიდებელი განშტოება. რომელსაც თქვენ აღიარებთ, შემცდარია. ნამდვილ ქრისტიანობას თქვენ გაგაცნობენ და შეგასწავლიან ჩვენი მისიონერებიო.

1321 წლის 15 ოქტომბერს ავინიონიდან (სამხრეთ საფრანგეთი) პაპი იოანე XXII საქართველოს მეფე გიორგი ბრწყინვალეს სწერდა: „გთხოვთ ყოვლის მპყრობელის ღვთისა და იესო ქრისტეს სახელით, რათა სახიერებით მიიღოთ და კარგად მოეპყრათ ამ წერილის მომტანთ, ჩვენს საყვარელ შვილებს, მინორიტების წესის მონაზონთა, რომელნიც არიან სათნონი, გაწვრთნილნი ღვთის სჯულში, გამოცდილნი საქმეში, მიმბაძავნი მაცხოვრის სიმდაბლისა და რომელნიც შეიქ-

---

[1] მღვდელი მიქელ თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, 1902, გვ. 16—17.

[2] იქვე. გვ. 98.

მნებიან თქვენთვის დიდად სასარგებლონი. მიიღეთ ისინი ღვთისა და ჩვენი პატივისათვის, ისეთის გულმოდგინებით მოუსმინეთ, თითქო თვით ჩვენგან მოგესმინოსთ და მტკიცედ ირწმუნეთ, რასაც მოგახსენებენ ჩვენ მაგივრად"[1].

იმ მიზნით, რომ უფრო მეტი გავლენა მოეხდინათ საქართველოზე და დაეჩქარებინათ კათოლიკობაში მისი მოქცევა, რომის პაპი იოანე XXII საქართველოს შესახებ თავის მეორე წერილში 1328 წლის 9 აგვისტოს თარიღით წერდა: „... შემდგომ ბევრის რჩევისა და გამოძიებისა დავრწმუნდით ჩვენ და ჩვენი ძმები კარდინალები, რომ თბილისი, ქართველთა სამეფოს შუაგული ადგილი, საუკეთესო, მეტად შესანიშნავი, ერით სავსე, მარჯვე და სიმდიდრით უხვი ქალაქია". შემდეგ პაპი დასძენს, რომ „... ღვთის სახელის საქებ-სადიდებლად, სარწმუნოების პატივისათვის და გასავრცელებლად, ჩვენის ხსენებულის ძმების რჩევით და ჩვენის სრულის მოციქულებრივის ხელმწიფების ძალით სმირნის საეპისკოპოსო კათედრა გადაგვაქვს ხსენებულის თბილისის ქალაქსა"[2].

პაპის მეოთხე წერილიდან (1329 წლის 7 თებერვლის თარიღით) ირკვევა, რომ მას ზემოხსენებული განზრახვა სისრულეში მოუყვანია და თბილისის პირველ კათოლიკ ეპისკოპოსად დაუნიშნია საქართველოში ნამყოფი, დომინიკიანების მისიონერი იოვანე ფლორენციელი[3]. ამავე დროს რომის პაპი კვლავ სწერდა საქართველოს მეფეს (გიორგი ბრწყინვალეს), რომ გთხოვთ „...ეცადოთ თქვენ და თქვენი ქვეშევრდომნი ერნი შეუერთდეთ იმავე მსოფლიო კათოლიკე ეკლესიას, რომლის გარეშეც არც მადლის მოპოვება შეიძლება და არც ცხონება. მაშ ეცადეთ და თქვენის ერითურთ შემოეერთდით წმიდა რომის ეკლესიას სამარადისოთ და დაურღეეველის ერთობით"[4].

---

[1] მღვდელი მიქელ თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, 1902, გვ. 30.

[2] იქვე, გვ. 32.

[3] იქვე, გვ. 35.

[4] იქვე, გვ. 38.

როდესაც 1348 წელს თბილისის პირველი კათოლიკე ეპისკოპოსი იოანე ფლორენკიელი გარდაიცვალა, 1349 წელს რომის პაპმა კლემენტო VI თბილისის ეპისკოპოსად დანიშნა დომინიკელი ბერთრანდო კოლეტი, რომელიც წინა ეპისკოპოსის თანამსახური იყო და თბილისში იმყოფებოდა. ბერთრანდო კოლეტისადმი გამოგზავნილ წერილში რომის პაპი წერდა: გნიშნავთ რა თბილისის ეპისკოპოსად „...ერთიან გაბარებთ მის ყველა მმართველობას როგორც სასულიეროს, ისე სახორციელოს"[1].

საქართველოში კათოლიციზმის დანერგვის საქმეში რომის პაპები დიდ იმედებს ამყარებდნენ თავიანთ მისიონერებზე. პაპები ყოველმხრივ ცდილობდნენ მისიონერების აქტიურიტეტის, მათი თითქოსდა „კეთილი საქმეების" გაბერვას. 1626 წლის 4 იელისს რომის პაპი ურბანო VIII კახეთის მეფე თეიმურაზს სწერდა. „... გიგზავნით ღვთიურ მეცნიერებაში განსწავლილ მღვდლებს, რომლებიც სხვას არას ნატრობენ, თუ არა ერის გაბედნიერებას... იტალიისათვის დიდად სასიქადულოა, რომ კახეთის მეფემ მოუწოდინოს რჩეულ მღვდლებს, რომელთაც უნდათ განამზადონ გზანი უფლისანი და ჭრელჰყონ ალაგნი მისნი... ჩვენც დაუცხრომელად ვილოცავთ უფლის მიმართ, რათა გაგიღოს ზეცის კარი, გაწინამძღვროს თავისი სჯულის გზით და შეძლოთ მოგაგოს უცდომების და გამარჯვებისა სუფევა. თქვენი ერიც დიდად კმაყოფილი დარჩება ამ მღვდლებისაგან, რადგან ესენი ევროპიდან აწიან იმიტომ კი არ მოდიან სიმდიდრე, ანუ შეძლება რამ შეიძინონ, არამედ მათი მიზანი და ნატვრა მარტო ერის ბედნიერება და მეფეთათვის დიდების შეძენაა. ო! რაოდნათ ბედნიერ შეიქმნებით, უკეთუ ეცდებით, რომ თქვენმა ქვეშევრდომმა ერმა მოისმინოს მათი სასარგებლო მოძღვრება, რომელიც ამოღებული აქვთ ქრისტეს მკერდიდან, და ოომელსაც შეუძლია კაცი ანგელოზად აქციოს და ქვეყანა სასუფეველად შესცვალოს"[2].

---

[1] მღვდელი მიქელ თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, 1902, გვ. 40.

[2] იქვე, გვ. 91.

იმისათვის, რომ ავტორიტეტი დაემსახურებინა და წინ წაეწია კათოლიციზმის გავრცელება საქართველოში, რომის პაპი „გულშემატკივრობას“ იჩენდა ისპაჰანში შახის პატივრობაში მყოფ მეფე ვახტანგის დასახსნელად. 1714 წლის 13 აპრილს პაპი კლემენტი XI საფრანგეთის მეფეს ლუდოვიკოს სწერდა, რომ გთხოვთ„... თქვენის ძრიელის მფარველობის ქვეშ მიიღოთ და თქვენი შემწეობა აღმოუჩინოთ საქართველოს მეფეს, რომელიც ამჟამად სპარსეთის მეფის მიერ დატყვევებულია. როგორათაც ვსცანით, თუ ეს მეფე თავის სამშობლოში დაბრუნდა თავისუფლად, ცხადად აღმოუჩენს თავის გულკეთილობას კათოლიკებს და გულმოდგინებით მათ ყოველნაირად შეეწევა და დიდი იმედიცა გვაქვს, რომ იქ კათოლიკე სარწმუნოება, ღვთის შემწეობით, აღორძინდეს და დღითი-დღე წარემატოს. ამას დაწვრილებით სცნობთ წმიდა ბასილის წესის მონაზონის, ჩვენის საყვარელის შვილის, საბა სულხან ორბელიანისაგან, რომელიც ნათესავია საქართველოს მეფისა და რომელიც გადმოგცემსთ ამ წერილს“[1]. თვითონ საბა სულხან ორბელიანი საფრანგეთის მეფის ლუდოვიკოსათვის გადაცემულ წერილში წერდა, რომ, თუ თქვენ 300.000 ეკიუს გაიღებთ სპარსეთის დიდებულთა ჯგუფის „დასასაჩუქრებლად“, ისინი იმოქმედებენ შახზე, რომ მან ვახტანგ მეფე გაათავისუფლოს და საქართველოში დააბრუნოს. თუ ეს მოხერხდა, დაბრუნების შემდეგ ვახტანგი თავის ერსაც მოაქცევს და თვითონაც მიიღებს კათოლიკობას, „რადგან იგი ამ თავის უბედურებას აწერს იმას, რომ აქამდე შეაყოვნა კათოლიკობის მიღება. მეფე ამას გარდა ფიქრობს ყოველი დახმარება აღმოუჩინოს მისიონერებს, რათა მოაქციონ მთელი ჩერქეზეთი, რომელიც საქართველოს საზღვარზეა და საიდანაც თავისი მეუღლე მოიყვანა“[2].

საქართველოში მომავალ საბას ვახტანგისათვის გადაცემად რომის პაპმა გამოატანა წერილი, სადაც ნათქვამია: „ბრწყინვალე და უძლიერეს ვახტანგს, აზიელ იერარიის

[1] მღვდელი მიქელ თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, 1902, გვ. 320.

[2] იქვე, გვ. 321

მეფეს... ჩვენ არაფერი დავზოგეთ, ყოველი ღონე ვიღონეთ, რათა თქვენ გეღირსოთ მალე განთავისუფლება და თქვენს სამთავროში მობრუნება, ვითარცა ამას ვრცლად მოგახსენებს ეს ხსენებული მი ნაზონი. აწ უფლისა მიერ მამობრივის სიყვარულით შეგიგულიანებთ, რათა ყოველი შეწუხება და სატანჯველი, რომელიც ხშირად შეგვემთხვევა ამ ცრემლის ხევში, მოთმინებითა და მხნედ იტვირთოდ"[1].

მიუხედავად რომის პაპების და მისიონერების დიდი ცდისა, მათ მაინც ვერ შეძლეს საქართველოში კათოლიციზმის ასე თუ ისე მნიშვნელოვანი მასშტაბით გავრცელება. ამიტომ ყალბია რომის პაპის იოანე XXII მტკიცება, თითქოს XIV საუკუნის პირველ ნახევარში მისიონერებმა თავიანთი „... მოღვაწეობით და დაუცხრომელის შრომით, თუ ამ ქალაქისა (თბილისის—მ. ა.) და თუ მის გარეშე ადგილების მცხოვრებთა უმეტესი ნაწილი მოაქციეს კათოლიკე სარწმუნოებაზედ"[2]. ნამდვილად კათოლიკობაში მოქცეულთა რიცხვი ყოველთვის მცირე იყო როგორც თბილისში, ისე გორსა და ქუთაისში. კათოლიკთა რიცხვი შედარებით უფრო მეტი იყო სამცხეში. კათოლიკ ეპისკოპოსის ფრანჩისკე იერონიმეს 1748 წლის ცნობით, ახალციხეში 10.000, ივლიტას—500, ახალციხის გარეშე სოფლებში—უდეს, არალსა და ვალეში—600, ახალქალაქში — 1.000, შავშეთში — 1.000, სათლელში — 500, არტანუჯში — 100, ართვინში — 2.000 კათოლიკი[3] იყო. კათოლიკთა რიცხვი ყოველთვის მერყეობდა ხან ზრდისა და ხან შემცირების მიმართულებით, მაგრამ მნიშვნელოვან სიმაღლემდე იგი მაინც ვერასოდეს ვერ ადიოდა, როგორც ეს 1757, 1815 და 1818 წლების ცნობებიდან ჩანს[4].

საქართველოში კათოლიციზმის წარუმატებლობა,—წერდა პატრი თამარაშვილი, — „... უნდა მივაწეროთ საქართველოს სხვადასხვა გარემოებას... აგრეთვე უნდა დავაბრალოდ მისიო-

---

[1] მღვდელი მიქელ თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, 1902, გვ. 326.

[2] იქვე, გვ. 32.

[3] იქვე, გვ. 421.

[4] იქვე, გვ. 427, 502—505, 510—511.

ნერების უხეირობასაც, რადგან ისინი არ ეცადნენ დაანუ ვერ შეიძლეს, აღმოეფხვრათ ქართველების გულში, რაც კი ბერძნებმა შურით ჩაუნერგეს მათ კათოლიკე სარწმუნოების წინააღმდეგ... კაფუცინებს საკმაო ნიჭი რომ ჰქონოდათ, უეჭველად, თუ ერთიან საქართველოს არა, მის უმეტეს ნაწილს მაინც მიაღებინებდნენ კათოლიკობას"[1]. რა თქმა უნდა, საქართველოში კათოლიციზმის წარუმატებლობა მხოლოდ მისიონერთა უხეირობითა და უნიჭობით ვერ აიხსნება.

აქ საქმე იმაში იყო, რომ ხალხი გულგრილად ეკიდებოდა კათოლიციზმს, ვერ ხედავდა რაიმე მხრით მართლმადიდებლობაზე მის უპირატესობას. ხოლო ქართველი მართლმადიდებელი სამღვდელოება კი დარწმუნებული იყო, რომ კათოლიციზმის მიღებით, იგი თავის ძველ უპირატესობასაც და გავლენას დაჰკარგავდა თავის სამრევლოში. ამავე დროს მათ კარგად ესმოდათ, რომ რაიმე სახით კათოლიციზმისადმი დათმობა ნიშნავდა ბერძნულ-ბიზანტიურ და რუსულ მართლმადიდებლურ სამყაროსთან კავშირის გაწყვეტას, რომლებთანაც საქართველო საუკუნეთა მანძილზე დაკავშირებული იყო გეოგრაფიულადაც, კულტურულ-ეკონომიურადაც და რელიგიურადაც. ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ ფლორენციის საეკლესიო კრებაზე (1437—1439 წწ.) საქართველოს მიტროპოლიტმა იოანემ რომის კათოლიკურ ეკლესიასთან უნიის (კავშირის) შეკვრაზედაც კი სასტიკი უარი განაცხადა. შემდეგ, როცა იოანემ შეიტყო, რომ რომის პაპი ევგენი IV ძალით და ეშმაკობით ცდილობდა მის დაყოლიებას აღნიშნულ უნიაზე ხელის მოსაწერად, იგი ფარულად ფლორენციიდან ვენეციაში გაიქცა და იქიდან კი კონსტანტინოპოლის გზით საქართველოში დაბრუნდა[2]. რომის პაპების ასეთ ძალადობას, მათი მისიონერების ქადაგებას და ამ ქადაგებაში გახვეულ შპიონაჟს, ბოლო მოეღო 1844 წელს, როდესაც

---

[1] მღვდელი მიქელ თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, 1902, 559—560.

[2] Православная Богословская Энциклопедия, 1908, ტ. IX, გვ. 227.

რუსეთის ხელისუფლებმა კათოლიკი მისიონერები საბოლოოდ განდევნეს საქართველოდან.

მაგრამ 1921 წელს რომის პაპმა კვლავ მოახერხა კათოლიკი ეპისკოპოსი სმეტსის გამოგზავნა საქართველოში. სმეტსი კათოლიციზმის ქადაგების საფარქვეშ ეწეოდა კონტრრევოლუციურ საქმიანობას, იბრძოდა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, აქტიურ მონაწილეობას იღებდა ამიერკავკასიის ხალხთა შორის ნაციონალური შუღლის გაღვივებაში და ქართველი მენშევიკების ანტისაბჭოთა გამოსვლებში, რისთვისაც იგი გაძევებული იქნა ჩვენი ქვეყნის საზღვრებიდან.

ვატიკანი სსრ კავშირის წინააღმდეგ ბრძოლაში

რუსეთში კათოლიციზმის გაბატონების განზრახვაზე რომის პაპებს ხელი არ აუღიათ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგაც. ამ ამოცანის განხორციელებაში საიმედო დასაყრდენად ვატიკანი სთვლიდა უკრაინასა და ბელორუსიაში შემორჩენილ უნიატური ეკლესიის ზედაფენებს. ამ ზედაფენებისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად, 1917 წელს ვატიკანში შეიქმნა „აღმოსავლეთის ეკლესიის კონგრეგაცია“. 1918 წელს უნიატური ეკლესიის მეთაური, ლვოვის მიტროპოლიტი, მსხვილი მემამულე, გრაფი შეპტიცკი კიევში დაუკავშირდა უკრაინელ ბურჟუაზიულ ნაციონალისტებს უნიატური ეკლესიის გაძლიერების საერთო გეგმის გამოსამუშავებლად.

უნიატისტები და უკრაინის ბურჟუაზიული ნაციონალისტები ცდილობდნენ ბოლშევიზმისათვის სსრ კავშირის საზღვრებზე მოეწყოთ ე. წ. იდეური ბლოკადა. მწერალი სტეფან ტუდორი წერდა, რომ ამ ახირებული „თეორიის“ მესვეურთა აზრით, საბჭოთა „რევოლუციის ეს იდეური ბლოკადა უწმინდესი კათოლიკური ეკლესიის ხელმძღვანელობით საფუძვლად უნდა დადებოდა ბოლშევიკების პოლიტიკურ და სამხედრო იზოლაციას... ბოლშევიკების ირგვლივ კათოლიკური ეკლესიის სანგრების მოწყობა, ეს რევოლუციისაგან მსოფლიოს საუკეთესო დაცვაა“ [1].

პირველად ისტორიაში ოქტომბრის რევოლუციის შედეგად მშრომელთა ხელში ხელისუფლების გადასვლამ და რევოლუციის ტალღის აგორებამ ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში, მეტად დიდი შიში და ცახცახი გამოიწვია ვატიკანის წრეებში. 1918 წელს ვატიკანის გაზეთი „ოსსერვატორე რომანო“ მოითხოვდა საბჭოთა რევოლუციის წინააღმდეგ ბურჟუაზიუ-

[1] М. М. Шейнман, Краткие очерки истории папства, გვ. 117.

ლი ქვეყნების ძალთა კონსოლიდაციას. იგი წერდა: „ანარქია ყველა ქვეყანას კარებზე უკაკუნებს, სასწრაფოდ შეკრიბეთ თქვენი ძალები, რომ გზა გადაუღობოთ მას“. რომის პაპმა ბენედიქტე XV, საქმეების ადგილზე გასაცნობად და ანტისაბჭოთა ბუშაობის გასაშლელად, 1918 წელს კარდინალი ახილ რატი სასწრაფოდ მიავლინა რუსეთში, მაგრამ საბჭოთა მთავრობამ ეს მომავალი პაპი (ახილ რატი პიუს XI სახელით რომის პაპი გახდა 1922 წელს) თავისი ქვეყნის საზღვრებში არ შეუშვა.

ვატიკანის დაბნეულობა და შიში თანდათან ძლიერდებოდა. რუსეთის თეთრგვარდიელთა მთავრობის წარმომადგენელი რომის პაპთან ლისაკოვსკი 1919 წლის 14 ოქტომბერს თავის „მთავრობისადმი“ გაგზავნილ ცნობაში აღნიშნავდა, რომ ვატიკანი სიმპათიით მოეკიდება „ბოლშევიზმთან ბძოლას, რომლისაც მას ყველაზე მეტად ეშინია“. 1920 წელს კი, როგორც პ. კარმანსკი წერს, პირად საუბარში რომის პაპი ბენედიქტე XV მას ეკითხებოდა: „როგორ გგონიათ, ბოლშევიკები მოელენ რომში?“ იგივე პაპმა 1919 წელს დეპეშა გაუგზავნა ლენინს, რომელშიაც იგი საბჭოთა მთავრობისაგან მოითხოვდა, რათა მას სპეციალურად გამოქვეყნებულ ბრძანებაში აღენიშნა, რომ საბჭოთა რუსეთში ყველა კულტის მსახურნი პატივცემულნი იქნებოდნენ [1].

საბჭოთა მთავრობას არც იქამდე და არც მის შემდეგ, არასოდეს არ ჰქონია რელიგიის დევნის პოლიტიკა და არც შეიძლებოდა მას ასეთი პოლიტიკა ჰქონოდა, ამიტომ პაპი ბენედიქტე XV ტყუილად ირჯიდა თავს. საბჭოთა მთავრობის 1918 წლის 21 იანვრის დადგენილებით, ეკლესია გამოყოფილი იქნა სახელმწიფოსაგან და სკოლა—ეკლესიისაგან. ამ დადგენილების მესამე მუხლში წერია, რომ: „თითოეულ მოქალაქეს შეუძლია აღიაროს, რომელიც უნდა რელიგია, ანდა არცერთი არ აღიაროს. ყოველგვარი უფლების აღკვეთა, რომელიც არ უნდა იყოს რწმენის აღიარებასთან, ანდა არავითარი რწმენის არ აღიარებასთან დაკავშირებით უქმდება“ [2].

---

[1] М. М. Шейнман, Краткие очерки истории папства, გვ. 145.

[2] Календарь антирелигиозника на 1941 год, გვ. 24.

ამგვარად, როგორც ამ დადგენილებიდან ჩანს, საბჭოთა რუსეთში რელიგიის და მის მსახურთა დევნას თვით საბჭოთა მთავრობის კანონი კრძალავდა. ამერიკის მუშათა პირველ დელეგაციასთან საუბარში, ეხებოდა რა საბჭოთა კავშირში რელიგიური რწმენის თავისუფლების საკითხს, ამხანაგი სტალინი ამბობდა: „ჩვენი ქვეყნის კანონმდებლობა ისეთია, რომ ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს აღიაროს როგორიც უნდა რელიგია. ეს თითოეულის სინდისის საქმეა“ [1].

ყოველივე ზემოთ თქმულის შემდეგ ცხადია, რომის პაპს არავითარი საფუძველი არ ჰქონდა საბჭოთა ქვეყანაში რელიგიის ამ არარსებული დევნის გამო თავის შეწუხებისათვის. მაგრამ რომის პაპს აწუხებდა მორწმუნეთა დევნა კი არა, რომელსაც ადგილი არ ჰქონია, არამედ ურწმუნოთა არ დევნა, რომელსაც მსოფლიო ისტორიაში საბჭოთა მთავრობის ზემოაღნიშნული ღონისძიება პირველად აკანონებდა. სწორედ ეს უკანასკნელი გარემოება აბოროტებდა „ქრისტეს რომაელ მონაცვლეებს“. მათ უნდოდათ, ქრისტესა და სამოთხის ლამაზი მირაჟით, ადამიანი ყოველთვის ჰყოლოდათ სულიერად დამბლადაცემულის მდგომარეობაში. ყველაზე მეტად კი რომის პაპს ის აწუხებდა, რომ საბჭოთა ხელისუფლების შექმნა მოასწავებდა ექსპლოატაციაზე დამყარებული კლასობრივი საზოგადოების ლიკვიდაციას, საზოგადოებისა, რომლის მარადიულობასაც ისინი ქადაგებდნენ. ხოლო კლასობრივი საზოგადოებისა და ექსპლოატაციის ლიკვიდაციას, ადამიანის განათლების ამაღლებას, საზოგადოებრივი ცხოვრებისა და ბუნების მოვლენების მეცნიერულ შემეცნებას, არ შეიძლებოდა არ მოყოლოდა და არ მოყვეს რელიგიის, ამ „სულიერი მათრობელას“ (ლენინი), დამცველთა და მქადაგებელთა მთელი არმიის, მისი რომაული „გენერალიტეტის“ (ვატიკანი) და „მთავარსარდლის“ (რომის პაპი) ლიკვიდაცია.

ერთი სიტყვით, ძველ, ექსპლოატაციაზე დამყარებულ მსოფლიოსათვის, რუსეთში დაწყებულ საფრთხეს არ შეიძლებოდა არ გამოეწვია გაცოფება ექსპლოატაციის დამცველ როგორც

---

[1] ი. ს ტ ა ლ ი ნ ი, ტ. 10, გვ. 141.

საერო თანამდებობის, ისე სასულიერო თანამდებობის პირთა და მათ მიმყოლთა შორის. ექსპლოატაციის და ამ ექსპლოატაციაზე დამყარებული მათი კეთილდღეობის ლიკვიდაციის სწორედ ეს მუქარა ხდებოდა ბაზად ყველა მათი გაერთიანებისათვის საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

ჯერ კიდევ „კომუნისტური პარტიის მანიფესტში“ მარქსი და ენგელსი წერდნენ, რომ „აჩრდილი დადის ევროპაში— აჩრდილი კომუნიზმისა. ძველი ევროპის ყველა ძალა საღმრთო კავშირში შეერთდა ამ აჩრდილის სადევნელად: პაპი და მეფე, მეტერნიხი და გიზო, საფრანგეთის რადიკალები და გერმანიის პოლიციელები“ [1]. და თუკი მაშინ, XIX საუკუნის შუა წლებში, კომუნიზმის აჩრდილის შიშმა დააკავშირა ერთმანეთთან „პაპი და მეფე, მეტერნიხი და გიზო“, ბუნებრივია, დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციაში ამ აჩრდილის სინამდვილედ გადაქცევას კიდევ უფრო თავზარი უნდა დაეცა, გაებოროტებინა და დაეკავშირებინა ერთმანეთთან XX საუკუნის „პაპები და მეფეები, მეტერნიხები და გიზოები“. აი სად არის საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ რომის პაპის და იმპერიალისტების ერთიანი ფრონტის შექმნის და მათი ნამდვილი გაბოროტების მიზეზი.

როდესაც საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, მისი არსებობის პირველ წლებში, რომის პაპმა თავისი „დემარშებით“ და „მემორანდუმებით“ ვერაფერი გააწყო, მან გადაწყვიტა გამოეყენებინა საბჭოთა ხელისუფლების ზოგიერთი სიძნელეები და უცოდველი კრავის სახით „მოწყალების“ აღმომჩენის ჭურჭში გახვეულს დაეწყო რუსეთში შემოღწევის ცდა.

1921 წელს დიდი გვალვის გამო მოუსავლიანობის ნიადაგზე პოვოლოჟიეში დაიწყო შიმშილი. 1922 წელს საბჭოთა მთავრობასთან დადებული შეთანხმებით, რომის პაპმა პოვოლოჟიეს დამშეული მოსახლეობის დასახმარებლად გამოგზავნა

---

[1] კ. მარქსი და ფ. ენგელსი, კომუნისტური პარტიის მანიფესტი, 1952, გვ. 36.

მისია, რომელსაც სათავეში ამერიკელი იეზუიტი ედმუნდ ვოლშე ედგა. მისიამ, დამშეულთა დახმარების აღმოჩენის მაგიერ, ხელი მიჰყო ანტისაბჭოთა საქმიანობას და აგიტაციას, რის გამოც 1924 წელს მას წინადადება მიეცა დაეტოვებინა საბჭოთა კავშირის საზღვრები. ამავე წლებში საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ აქტიურ ბრძოლას ეწეოდა ევგენი პაჩელი (ახლანდელი პაპი პიუს XII, რომელიც მაშინ (1917—1929 წწ.) პაპის ნუნციად (ელჩად) იყო გერმანიაში). პაჩელი, ვითომდა სასულიერო პირების სახით (ეპისკოპოსები), რუსეთში აგზავნიდა ვატიკანის ჯაშუშებს. ამავე დროს საბჭოთა ხელისუფლებისათვის სიძნელეების შექმნისა და მის წინააღმდეგ მორწმუნეთა ასაჯანყებლად, 1923 წელს პაპი პიუს XI ცოდვების გაუქმებას შეპირდა ყველა იმ მორწმუნეს, რომელიც ბოლშევიზმისაგან რუსეთის „გადასარჩენად“ 300 დღის განმავლობაში იტყოდა ამ მიზნით შეთხზულ სპეციალურ ლოცვას: „ქვეყნის მხსნელო, იხსენი რუსეთი“ [1].

რომის პაპი ცდილობდა აგრეთვე საბჭოთა კავშირის საერთაშორისო იზოლაციის მიღწევას. 1922 წელს გენუის კონფერენციის მონაწილე სახელმწიფოებს პაპმა მიმართა მოთხოვნით, რომ მათ არ ეცნოთ საბჭოთა რუსეთი და არ დაედოთ მასთან არავითარი ხელშეკრულება. 1928 წელს პაპმა პიუს XI ვატიკანში შექმნა სპეციალური კოლეგია „რუსსიკუმი“, რომელშიც რუსეთიდან გაქცეულ თეთრგვარდიელებს, მეფის ყოფილ თავადებსა და სისხლის სამართლის დამნაშავეებს ამზადებდნენ, ვითომდა კათოლიკ მღვდლებად, ნამდვილად კი მათ ასწავლიდნენ ცეცხლსასროლი იარაღის ხმარებას და საპარაშუტო სპორტს, რათა ისინი შემდეგ საბჭოთა კავშირში შემოეგზავნათ შპიონაჟის მიზნით [2]. 1929 წელს კი შექმნილი იქნა სპეციალური კონგრეგაცია „პრო რუსსია“, რომლის მეთაურად პაპმა დანიშნა თეთრგვარდიელი

---

[1] П. Карманский, Ватикан—вдохновитель мракобесия и реакции, 1953, გვ. 35.

[2] М. М. Шейнман, Краткие очерки истории папства, გვ. 145.

თავადი ვოლკონსკი. ამ კონგრეგაციის ამოცანა იყო: „კომუნიზმის შესწავლა და მასთან ბრძოლა“.

1930 წელს პაპმა დაიწყო საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ე. წ. „ჯვაროსნული ლაშქრობის“ კამპანია, რომელშიაც ჩათრეული იყვნენ პროტესტანტები, მუსულმანები და სხვა რელიგიის მიმდევარნიც. ამ კამპანიის დროს, ვატიკანის რადიო განუწყვეტლივ ქაქანებდა და ანთხევდა ანტისაბჭოთა ჰორებს. მისი პრესა გულმოდგინედ თხზავდა მითებს საბჭოთა კავშირში რელიგიის დევნისა და ზნეობის დაცემის შესახებ. პაპი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ „ჯვაროსნულ ლაშქრობის“ მოწყობას იმით ასაბუთებდა, რომ „რუსეთის ათეისტური კომუნიზმი“ დევნის რელიგიასა და რელიგიის მსახურთ. ღმერთი რუსეთში, მისი მსახურებით და მორწმუნეთა არმიით, საფრთხეშია და საჭიროა მათთვის დახმარების აღმოჩენაო. ჯერ ერთი, ეპიკურეს თქმის არ იყოს, საერთოდ, რა ღმერთია ის ღმერთი, რომელსაც კაცუნების დახმარება სჭირდება და, მეორეც, რაც მთავარია, საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ პიუს XI მიერ წამოწყებულ „ჯვაროსნული ლაშქრობის“ კამპანიას ისევე არ აინტერესებდა რუსეთში ღმერთისა და ანგელოზების „ბედი“, როგორც პალესტინაში „ქრისტეს საფლავის“ ბედი არ აინტერესებდა რომის პაპს ურბან II, რომელმაც წამოიწყო ისტორიაში ცნობილი ჯვაროსნული ლაშქრობა.

როგორც ცნობილია, ეს ჯვაროსნული ლაშქრობები შესვენებებით თითქმის ორ საუკუნემდე (1096—1270 წწ.) გაგრძელდა, მილიონობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, აღმოსავლეთი გააპარტახა, რომის პაპები, ეპისკოპოსები და ენრიკო დანდოლის ტიპის ვაჭრები, რომელსაც მარქსის თქმით შეეძლო „გაეკეთებინა ჯვაროსნული სისულელისაგან სავაჭრო ოპერაცია“ [1]—გაამდიდრა. ამ ჯვაროსნულ ლაშქრობათა შესახებ ჩერნიშევსკი წერდა, რომ მასში ემბლემები და დროშები იყო საეკლესიო, მოტივები კი ჩვეულებრივი, ამქვეყნიურიო.

---

[1] შუა საუკუნეების ისტორია, 1947, ტ. I, გვ. 297.

ასეთივე, ამქვეყნიური მიზეზები ამოძრავებდა ურბან II XX საუკუნის ნაშიერს პიუს XI, როდესაც ის 1930 წელს ჯვაროსნული ლაშქრობის კამპანიას იწყებდა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. მას უნდოდა ეამებინა თავისი პატრონი იმპერიალისტებისათვის და ამ კამპანიის წარმატების შემთხვევაში, მათ კაპიტალთან ერთად გზა გაეხსნა რუსეთის ბაზრებზე ვატიკანის კაპიტალისათვის და თანაც დაენერგა კათოლიციზმი რუსეთში, რასაც მისი წინაპრები ასე უშედეგოდ ცდილობდნენ.

რომის პაპის „ჯვაროსნული ლაშქრობის“ კამპანიას მალე გამოუჩნდნენ მედაფდაფენიც. ამავე წელს გერმანელმა კათოლიკმა მღვდელმა შტენცელმა სსრ კავშირის შესახებ დაწერა ბროშურა, სადაც ის საკუთარი ბოროტი ფანტაზიის ნაწარმს, რომ საბჭოთა კავშირში ვითომდა ადგილი ჰქონდა „ქალების ნაციონალიზაციას“, „რელიგიის დევნას“; „მორალის დაცემას“ და სხვა, ჰეშმარიტებად ასაღებდა. შტენცელი ივიწყებდა არა მარტო ხალხურ ანდაზას, რომ: „ტყუილს მოკლე ფეხები აქვს“, არამედ შექსპირის აფორიზმსაც, რომ: „ბოროტი საქმე დღის სინათლეს ვერსად წაუვა, თუნდ დასამალად დედამიწა გადაეფაროს“.

საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ კათოლიკური ეკლესია თანდათან უფრო მეტად აძლიერებდა დაზვერვასაც. 1931 წელს საბჭოების VI ყრილობაზე ამხანაგი ვ. მოლოტოვი ამბობდა: „უკვე დიდი ხანია ცნობილია, რომ კათოლიკი მღვდლების შერჩევა იმ ხალხიდან ხდება, რომელთაც უნარი აქვთ გენერალური შტატებისათვის სადაზვერვო მუშაობა გასწიონ“.

1937 წ. პაპმა გამოსცა სპეციალური ენციკლიკა, რომელშიაც მან თავი მოუყარა ჭორებსა და ცილისწამებას სსრ კავშირის შესახებ და გაილაშქრა საერთოდ კომუნიზმის წინააღმდეგ. ამავე წელს, ვატიკანის სახელმწიფო მდივანი (საგარეო საქმეთა მინისტრი), ევგენი პაჩელი გერმანიის ელჩს ვატიკანში სწერდა, რომ პაპი კმაყოფილია ჰიტლერული რეჟიმით, კერძოდ, იმიტომ, რომ ის ებრძვის „ათეისტური კომუნიზმის საფრთხეს.“—ვატიკანიც ამავე მიზანს ემსახურება,

მაგრამ „სულიერი“ საშუალებითო. ამგვარად, თვით პაჩელის აღიარებით, რომის პაპს კარგად ესმოდა, რომ ის და ჰიტლერიც სხვადასხვა საშუალებით, ერთი რელიგიით, ე. ი. „სულიერი მათრობელათი“ (რომის პაპი) და მეორე კიტანკებითა და თვითმფრინავებით, გესტაპოს ჯურღმულებითა და საკონცენტრაციო ბანაკებით (ჰიტლერი) ერთ და იგივე საქმეს—კომუნიზმის იდეის და ჩვენს ქვეყანაში არსებულ სოციალიზმის მოსპობას ემსახურებოდნენ.

XX საუკუნის ამ ჰეროსტრატებს არ ესმოდათ, რომ ისინი ცდილობდნენ მოუსპობელის მოსპობას, ვინაიდან კაპიტალიზმის ეპოქაში მუშათა კლასის სპეციფიური, ექსპლოატირებული მდგომარეობის გამო კომუნიზმის იდეის დაბადება გარდაუვალია და მოსპობა შეუძლებელი.

XII საუკუნეში თამარ მეფე ამბობდა: „...და არა მიძლავს აჩრდილსა, მრუდისა ხისასა განმართვად“ [1].—ე. ი. არ გასწორდების ჩრდილი მრუდისა ხისაო. მართლაცდა, მრუდი ჩრდილის გასწორება შეუძლებელია თუნდაც მას ატომური ბომბები დააყაროთ და დედამიწა გახვრიტოთ, იგი სადღაც, სამყაროს რომელიმე პლანეტაზე კვლავ აისახება იმავე სახით. ჩრდილის გასწორების ან მოსპობისათვის უნდა გაასწოროთ ან უნდა მოსპოთ მისი გამომცემი საგანი და მაშინ ჩრდილიც თავისთავად გასწორდება, ანდა მოისპობა. ე. ი. უნდა ებძოლოთ არა ჩრდილს, არამედ საგანს, რომელიც მას გამოსცემს [2]. თუ ჩვენი დროის რომელიმე ჰეროსტრატეს სურს სოციალიზმის იდეის მოსპობა (რომელიც ჩვენში უკვე სინამდვილედ არის გადაქცეული), მაშინ მან ჯერ ამ იდეის მატარებელი მუშათა კლასი უნდა მოსპოს, მაგრამ, მუშათა კლასის გარეშე თვითონ კაპიტალიზმს არ შეუძლია არსებობა, ამიტომ, კაპიტალიზმის დროს ძალით მუშათა კლასის მოსპობის ცდა არა

---

[1] იხ. პ. ინგოროყვას წერილი. თამარ მეფის იამბიკონნი. (ჟურნალი „მნათობი“, 1941, № 3, გვ 152).

[2] კომუნიზმის სწორსა და ბრწყინვალე იდეებთან მრუდე ხის ჩრდილის ანალოგიის უხერხულობა ჩვენ გვესმის, მაგრამ, ამ შემთხვევაში, ჩვენ მას მხოლოდ ფორმალურად მსგავსი (ჩრდილის მოსპობა და იდეების მოსპობა) სიტუაციის გამოსახატავად ვიყენებთ.

მარტო უაზროა, არამედ იგი ისევე შეუძლებელია, როგორც ის, რომ რომელიმე ისუს ნავინმა მთვარე მუდად გადააქციოს. ჰიტლერი კომუნიზმის ქვეყნისა და კომუნიზმის იდეის მოსპობის ასეთ რეგვენულ ცდას თვითონ შეეწირა, რომის პაპები კი დღემდე აგრძელებენ ასეთსავე ცდებს.

1939 წლის აპრილ-მაისში, როდესაც ჩემბერლენმა და დალადიემ ფარისევლური დიპლომატიური აბრით საბჭოთა მთავრობასთან მოლაპარაკება დაიწყეს, ჰიტლერული გერმანიის საპირისპიროდ ინგლის-საფრანგეთ-საბჭოთა კავშირს შორის შეთანხმების დადების შესახებ, ვატიკანი მეტად შეშინდა, რადგან, როგორც ჩანს, ჩემბერლენისა და დალადიეს ეს ყალბი ნაბიჯი მან სერიოზულად მიიღო. ვატიკანის შიშის შესახებ ინგლისური გაზეთი „დეილი ჰერალდი" 1939 წლის 5 ივნისის ნომერში წერდა: „ვატიკანი შეშფოთებულია ინგლის-საფრანგეთ-საბჭოთა მოლაპარაკებით, რადგანაც მისი პოლიტიკა ანტისაბჭოთა ბლოკის შექმნისაკენ არის მიმართული" [1].

1939 წლის დეკემბერში ვატიკანი, „ფინელი კათოლიკეების სადმი" დახმარების აბრით (ფინეთში კათოლიკები არ არიან), ფულად დახმარებას უწევდა ფინეთს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომში [2]. 1941 წელს, როდესაც ჰიტლერული გერმანია საბჭოთა კავშირს დაესხა თავს, ყველა ქვეყნის კათოლიკი ეპისკოპოსები და კარდინალები დიდი აღფრთოვანებით მიესალმენ ამ ვერაგულ აქტს. რომის პაპმა საჩქაროდ შეკრა შეთანხმება ჰიტლერულ მთავრობასთან. ამ შეთანხმების ძალით კათოლიკი მღვდლები, ჰიტლერულ არმიასთან ერთად, იგზავნებოდნენ სსრ კავშირის ოკუპირებულ ტერიტორიაზე კათოლიციზმის დასანერგად და მოსახლეობის წინააღმდეგობის გატეხაში გერმანიის არმიისათვის დახმარების აღმოსაჩენად.

კათოლიკი მღვდლები თანამშრომლობდნენ გესტაპოსთან და აგროვებდნენ ჯაშუშური ხასიათის ცნობებს. 1941 წლის

---

[1] Б. Е. Штейн, Дипломатия Ватикана, გვ. 16.

[2] იქვე, გვ. 17.

10 აგვისტოს რომის პაპი პიუს XII ლიტვის არქიეპისკოპოს სკვირეცკასუს სწერდა, რომ სამღვდელოების მოვალეობაა „მთელი ძალებით აღმოუჩინოს დახმარება გერმანიის არმიას და გერმანიის სამხედრო ხელისუფალთ“ [1]. ამავე დროს, დასავლეთ უკრაინის ოკუპირებულ ოლქებში პაპის მითითების თანახმად, ფართოდ გაშალა ანტისაბჭოთა მუშაობა ლვოვის მიტროპოლიტმა შეპტიცკიმ. შეპტიცკიმ 1941 წელს ჰიტლერის ჯარების მიერ ლვოვის ოკუპაციასთან დაკავშირებით სპეციალური მოწოდება გამოაქვეყნა, რომელშიაც იგი ჰიტლერს გამარჯვებას ულოცავდა. ამასთან უნიატური სამღვდელოებისადმი მიმართულ ეპისტოლეში იგი მოუწოდებდა—ელოცათ გერმანული იარაღის გამარჯვებისათვის და მათ განკარგულებაში არსებული ყველა საშუალებით დახმარებოდნენ ჰიტლერს.

როდესაც ფაშისტურმა ჯარებმა კიევი დაიკავეს, შეპტიცკიმ მისალოცი წერილი გაუგზავნა ჰიტლერს, ხოლო 1942 წ. იანვარში, იგი კვლავ სწერდა მეოცე საუკუნის კერბერს, რომ მზად იყო „გერმანიასთან უმჭიდროესი თანამშრომლობისათვის“. და, მართლაც, ამ შეპირებას შეპტიცკი გულმოდგინედ ასრულებდა. იგი ერთ-ერთ ყველაზე აქტიურ მონაწილეობას იღებდა დასავლეთ უკრაინაში მოღალატე პირთაგან სამხედრო ნაწილების შედგენაში, რომელთაც შემდეგ წითელი არმიის წინააღმდეგ აგზავნიდნენ. ფაშიზმის „გამარჯვების მირაჟში“ მთლიანად აყვავდა შეპტიცკი. მან სრულიად დაივიწყა ზეცა და ანგელოზები და რომის პაპის ლოცვა-კურთხევით წამყვან როლს ასრულებდა გესტაპოს სისხლიან ტერორისტულ ორგიებში.

შეპტიცკის პატრონს რომის პაპსაც ეგონა, რომ „ათეისტურ კომუნიზმზე“ გამარჯვება მოახლოებული იყო და ყოველნაირად ცდილობდა საბჭოთა კავშირის მდგომარეობის გაუარესებას. 1942 წლის მარტში მან დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა იაპონიასთან და მსოფლიო რეაქციული ძალების ერთიანი ფრონტის შეკვრის მიზნით კვლავ წაბოი-

[1] М. М. Шепинан, Краткие очерки истории папства, გვ. 168—169.

სროლა 1930 წელს წინა პაპის (პიუს XI) მიერ წამოყენებული ლოზუნგი—საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ „ჯვაროსნული ლაშქრობის" მოწყობის შესახებ.

მაგრამ, როდესაც სტალინგრადთან 1943 წლის 2 თებერვალს დამთავრდა გერმანელ ფაშისტთა 300 ათასიანი არმიის განადგურება, რაც „გერმანელ ფაშისტთა არმიის მზის ჩასვენება იყო"[1], მეტად შეწუხდა და შეძრწუნდა ქრისტეს ეს რომაელი „მონაცვლე", რადგანაც ირკვეოდა, რომ ჰიტლერის ფრიცები „მესერშმიდტები" და „ჰერმანები" არა თუ ჰიტლერისა და პაპისათვის სასურველ შედეგებს აღწევდნენ ფრონტებზე, არამედ წითელი არმიის დარტყმებით თვითონ განიცდიდნენ განადგურებას და კატასტროფისაკენ მიდიოდნენ.

ასეთ პირობებში, საკუთარი ტყავის გადარჩენის უზრუნველსაყოფად, საჭირო ხდებოდა თადარიგის დროულად დაჭერა და ომის ცეცხლიდან გამოსვლა ისე, რომ ამ ცეცხლში, რომელიც ჰიტლერმა და პაპმა თვითონ გააჩაღეს ბოლშევიზმის დასაფერფლად, ახლა არ დაფერფლილიყო ფაშიზმი და მისი მოკავშირის რომის პაპის „ღვთიური სავარძელი". ცეცხლიდან გამოსვლისა და თავის გადარჩენის საშუალებად „მსოფლიოს გუშინდელი დამპყრობლები" ახლა სეპარატული ზავის დადებას მიიჩნევდნენ. ასეთი ზავის დადების „ინიციატორად" გამოდის „ნეიტრალური" ვატიკანი. იგი კულისებში ამ საკითხზე დიპლომატიური მოლაპარაკების ცენტრად გახდა სწორედ 1943 წლის თებერვლიდან, სტალინგრადის ამბების შემდეგ.

სტალინგრადის გმირული ეპოპეის დამთავრების დღეებში, ვატიკანს ესტუმრა კომპრომისული ზავის მომხრე ნიუ-იორკის კათოლიკი არქიეპისკოპოსი სპელმანი. ამავე დღეებში, მუსოლინმა იტალიის ელჩად ვატიკანში დანიშნა საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი ჩიანო, ხოლო ჰიტლერმა ვეიცზეკერი. ზავის დადების შესახებ მოლაპარაკებაში მონაწი-

---

[1] ი. სტალინი, საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომი, 1945, გვ. 111.

ლეობას იღებდა აშშ პრეზიდენტის პირადი წარმომადგენელი ვატიკანში ტეილორი.

ვატიკანის მოლაპარაკების მიზანი იყო, სეპარატიული ზავის დადებით, ანტიჰიტლერული კოალიციის გათიშვა, ამ გზით გერმანიასა და იტალიაზე დაწოლის შენელება და ამ ქვეყნებში ფაშიზმის გადარჩენა კატასტროფისაგან. „თუ უცხოეთის პრესის ცნობების მიხედვით ვიმსჯელებთ,—წერდა 1943 წლის მაისში ამხანაგი სტალინი,—შეგვიძლია იმ დასკვნამდე მივიდეთ, რომ გერმანელები მსურველნი იქნებოდნენ მიეღწიათ ზავისათვის ინგლისთან და ამერიკის შეერთებულ შტატებთან იმ პირობით, თუ ისინი ჩამოშორდებოდნენ საბჭოთა კავშირს, ან, პირიქით, ისინი მსურველნი იქნებოდნენ მიეღწიათ ზავისათვის საბჭოთა კავშირთან იმ პირობით, თუ იგი ჩამოშორდებოდა ინგლისსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს. გერმანელ იმპერიალისტებს, რომლებიც თვითონ სულით ხორცამდე მუხანათნი არიან, თავხედობა შესწევთ თავიანთი არშინით ზომონ მოკავშირენი და ფიქრობენ, რომ რომელიმე მოკავშირე წამრეგება ამ ანკესზე“ [1].

როგორც ცნობილია, არც ერთი მოკავშირე არ წამოეგო მაშინ ამ ანკესზე და ამიტომ სეპარატიული ზავის დადებას ვატიკანის მეშვეობით ჰიტლერმა და მუსოლინმა ვერ მიაღწიეს. ანტიჰიტლერულმა კოალიციამ გაიმარჯვა და მილანელმა პარტიზანებმა იტალიელი დუჩე (მუსოლინი) სახრჩობელაზე ფეხებით დაჰკიდეს, ხოლო კერბერი ჰიტლერი კი იძულებული გახდა თვითონ გამოსალმებოდა სიცოცხლეს.

მეორე მსოფლიო ომში ფაშიზმის დამარცხებამ საკმაოდ შეარყია ვატიკანის ავტორიტეტიც. მაგრამ ამ გარემოებამ კიდევ უფრო მეტად გააბოროტა იგი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ამიტომ ვატიკანი ომის შემდეგ კვლავ წარმოადგენს ანტისაბჭოთა ინტრიგების და ცილისწამების ერთ-ერთ ძირითად კერას. იგი მთლიანად გადაბარგდა ომის

---

[1] ი. სტალინი, საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომი, 1945, გვ. 97—98.

გამჩაღებელთა ამერიკულ ბანაკში და მხარს უჭერს საბჭოთა კავშირისა და დემოკრატიული ქვეყნების წინააღმდეგ ამერიკელთა ყველა წამოწყებას. მას ამერიკის იმპერიალიზმის სამსახურში ჰყავს ჩაყენებული მითიური ქრისტეც და მისი „მისიონერი ჯარისკაცებიც“. ამჟამად იგი, მთელი თავისი, ესოდენ გულმოდგინედ მოწყობილი დაზვერვით და დიპლომატიით, ემსახურება ახალი ომის გაჩაღებას საბჭოთა კავშირისა და დემოკრატიული ქვეყნების წინააღმდეგ. მაგრამ ვატიკანის ამ ხრიკებსა და გაიძვერობას ენერგიულ წინააღმდეგობას უწევენ საბჭოთა კავშირისა და დემოკრატიული ქვეყნების ხალხები, მთელი მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ხალხები.

ვატიკანი სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ ბრძოლაში

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ევროპასა და აზიაში სახალხო დემოკრატიის მთელი რიგი ქვეყნების წარმოქმნამ მეტად გააბოროტა მთელი ბურჟუაზიული სამყარო და მისი მსახური ვატიკანი. მათ ამ მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობის მოვლენაში დაინახეს ზეციური ღმერთების სახელით მოვაჭრე ვატიკანისა და „ნამდვილი მიწიერი ღმერთების" — მილიარდერებისა და მილიონერებისათვის შექმნილი საფრთხის გაძლიერება. ამიტომ გადაწყვიტეს თავიანთ განკარგულებაში არსებული ყველა მიწიერი და „ზეციერი ძალებით" დაეწყოთ ბრძოლა სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ.

ამ ბრძოლაში ვატიკანს თავისი სპეციალური როლი აქვს მიჩენილი და თავისი „საკუთარი" ლოზუნგები გააჩნია. ვატიკანის როლი ძირითადად განისაზღვრება მორწმუნე ადამიანთა გონების სულიერი მათრობელათი მოშხამვით, ჯოჯოხეთით დაშინებით და სამოთხის შესახებ ილუზიით მორწმუნეთა გატაცების გზით, მათი ყურადღების მათიეე მძიმე მდგომარეობის ნამდვილი მიზეზებისაგან ჩამოშორებით.

არ შეიძლება ითქვას, რომ პროგრესისა და მასების რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლის ეს მეთოდი ვატიკანს და ექსპლოატატორულ კლასებს საკმაო შედეგებს არ აძლევდეს. რა თქმა უნდა, ეს შედეგი, წინათ, შუა საუკუნეებში მასების სიბნელის და ფანატიზმის დროს უფრო დიდი იყო, მაგრამ მას ამჟამადაც საკმაო ზიანი მოაქვს როგორც რევოლუციური მოძრაობისათვის კაპიტალისტურ ქვეყნებში, ასევე სოციალისტური საზოგადოების მშენებლობისათვისაც სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში, რომელთა საშინაო საქმეებში ჩარევასაც ვატიკანი ცდილობს.

სახალხო დემოკრატიის ქვეყნებისადმი ვატიკანის დამოკიდებულების შესახებ მორის ტორეზი წერს: „სახალხო

დემოკრატიის ქვეყნებისადმი დამოკიდებულებაში ვატიკანი არ მიყვება ცნობილ ფორმულას „მიეცი უფალსა — უფლისა და კეისარსა — კეისრისა". ერთი სიტყვით, ვატიკანს არ უნდა, რომ სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში მმართველობის სადაჭეებთან იდგეს ხალხი და მათვე ეკუთვნოდეს მათივე სისხლითა და ოფლით შექმნილი ამ ქვეყნების სიმდიდრე. მას უნდა, რომ ამ ქვეყნებს კვლავ თავზე ჰქონდეთ მოხვეული მსხვილი კაპიტალისტური ქვეყნების და მათი ფინანსური ტუზების ბატონობა.

აღმოსავლეთის დიდი ქვეყნებიდან ვატიკანს და მის იმპერიალისტ პატრონებს ომამდე და ომის შემდეგაც განსაკუთრებით აინტერესებთ ჩინეთი. როგორც ჩვენ ზემოთ ვნახეთ, ამერიკის კაპიტალმა და კათოლიკურმა ეკლესიამ ჯერ კიდევ XIX საუკ. 60-იანი წლებიდან დაიწყეს ჩინეთში შეღწევა და მათ საკმაო პოზიციებიც მოიპოვეს იქ. შემდეგ მათი პოზიციების გამაგრებას ჩინეთში ხელს უწყობდა ჩან კაი-შის მოღალატური და ნაციონალური ინტერესების გამყიდველი პოლიტიკა. 1930 წელს ამერიკელმა მისიონერებმა ჩან კაი-ში ქრისტიანად აკურთხეს, ხოლო 1942 წელს მის მთავრობასთან ვატიკანმა დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა. 1946 წლის ცნობით, ჩინეთში იყო მარტო 562 ამერიკელი კათოლიკი სასულიერო პირი.

ქრისტიანობისადმი ძველი ჩინეთის მმართველი წრეების სიმპათიების საფარქვეშ ვატიკანი და იმპერიალისტური ქვეყნები იადვილებდნენ იქ შეღწევას და აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ იმპერიალიზმის ბატონობის წინააღმდეგ მიმართული ნაციონალურ-განმათავისუფლებელი ძალებისა და რევოლუციური მოძრაობის შებოჭვაში. ვატიკანის დირექტივების თანახმად ჩინეთში მყოფი ქრისტიანი მისიონერები ეგუებოდნენ ადგილობრივ პირობებსა და ზნეჩვეულებას, რათა ამით უფრო დაეახლოვებინათ მოსახლეობა და უფრო შემპარავად ეწარმოებინათ თავიანთი ძირგამომთხრელი მუშაობა.

ჩან კაი-შის რეჟიმის დამხობისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკად გამოცხადების შემდეგ, ჩინეთში მყოფ ქრისტიანული რელიგიის მოციქულებს მათი წარმგზავნი სახელ-

მწიფოების მიერ განსაკუთრებით საპასუხისმგებლო ამოცანა დაესახათ. ეს ამოცანა იმაში მდგომარეობდა, რომ ახლა საბოტაჟი და დივერსიები მოეწყოთ სახალხო ხელისუფლების წინააღმდეგ, ეწარმოებინათ მთავრობის საწინააღმდეგო აგიტაცია და დაეცათ მისი ავტორიტეტი მოსახლეობაში. ამავე დროს გაეძლიერებინათ დაზვერვა გენერალური შტაბებისათვის ცნობების მისაწოდებლად, რომელსაც შემდეგ ჩინეთის წინააღმდეგ ომის შემთხვევაში გამოიყენებდნენ.

ამ „მოღვაწეობაში“ მთავარი როლი განკუთვნილი ჰქონდა ჩინეთში ვატიკანის დიპლომატიურ წარმომადგენლობას და მისიონერებს, რომელნიც გულმოდგინედ ემსახურებოდნენ ბინძურ წამოწყებას. საქმე იქამდე მივიდა, რომ მათ მიერვე დაარსებულ „საქველმოქმედო დაწესებულებებში“ ისინი იმდენად აუტანელ პირობებს ქმნიდნენ, რომ ათასობით სრულიად უდანაშაულო ბავშვები წუთისოფელს ესალმებოდნენ. „1951 წლის იანვარში ქ. კანტონის უპატრონო ბავშვთა სახლში, რომელიც „უბიწოდ ჩასახვის“ კანადის კათოლიკური მისიის გამგებლობაში იყოფებოდა, აღმოჩენილი იქნა სამი ორმო ბავშვთა გვამებით. გამორკვევამ დაადგინა, რომ 1950 წლის იანვრიდან 1951 წლის თებერვლამდე უპატრონოთა ამ სახლში მიღებული იყო 2.216 ბავშვი, რომელთაგან მხოლოდ 48 გადარჩა, მაგრამ ყველა ისინი ტუბერკულოზით დაავადებულნი აღმოჩნდნენ. ამგვარად, „საქველმოქმედო“ კათოლიკურ დაწესებულებაში სიკვდილიანობა 97,8% აღწევდა. მხოლოდ უკანასკნელ ორ წელიწადში ამ საბავშვო სახლში 4.000 ბავშვზე მეტი მოკვდა... ამგვარივე ფაქტები იქნა აღმოჩენილი ჩინეთის სხვა ქალაქებშიც. 1951 წლის ივლისში დადგენილ იქნა, რომ ქ. უჩანის ბავშვთა სახლში, რომელსაც ამერიკელი კათოლიკი მისიონერები ხელმძღვანელობდნენ, მისი დაარსებიდან 23 წლის მანძილზე დაიღუპა 58 ათასი ბავშვი“ [1].

ამგვარ დანაშაულებათა ჩადენასთან ერთად კათოლიკი მისიონერები თანდათან აძლიერებდნენ დაზვერვასა და შპიო-

[1] М. М. Шейнман, Краткие очерки истории папства, გვ. 135—136.

ნაეს. ამ უკანასკნელ „პროფესიაში“ ზოგიერთი მათგანი იმდენად გაიწაფა, რომ ერთდროულად რამოდენიმე ქვეყნის დაზვერვას ემსახურებოდა. ისინი ზოგჯერ „ივიწყებდნენ“ თავიანთ მეტროპოლიის ინტერესებს და ემსახურებოდნენ იმ ქვეყნებს, რომელნიც ამგვარ ცნობებში მათ უფრო მეტს აძლევდა. ერთი სიტყვით, ისინი მოქმედებდნენ არა ნაკლებ ვერაგულად, ვიდრე იუდა ისკარიოტელი, რომელმაც, გადმოცემის თანახმად, თვით მისი მასწავლებელი მითიური იესო ქრისტე გასცა.

1951 წელს ჩინეთის კონტრდაზვერვამ დააპატიმრა და შემდეგ პეკინში გაასამართლა პაპის მისიის წევრი, კათოლიკი ტარჩიშიო მარტინი. გამოირკვა, რომ ტარჩიშიო მარტინი, როგორც პაპის ეპისკოპოსი, „ღვთის საქმის სამსახურის მიზნით“, ჩინეთში ჩასულა 1926 წელს. შემდეგ მას „დავიწყებია“ თავისი მოვალეობა და გამხდარა იაპონიისა და ამერიკის დაზვერვის აგენტი. ჩინეთში სახალხო რესპუბლიკის შექმნის შემდეგ მარტინს მის წინააღმდეგ საბრძოლველად მოუწყვია ბანდიტთა ჯგუფი, რომელსაც ამარაგებდა იარაღითა და საბრძოლო მასალით. მისიონერთა ეს ძირგამომთხრელი მუშაობა ჩინეთში იმდენად გამძაფრდა, რომ მარტო 1951 წლის სამი თვის განმავლობაში გამოვლენილი იქნა რელიგიის ნიღბით მომქმედი 113 მისიონერი—შპიონი. ამავე წლის სექტემბერში ჩინეთიდან გაძევებულ იქნა პაპის ყოფილი ელჩი გომინდანის მთავრობასთან — ანტონიო რიბერი, რომელიც ეწეოდა შპიონაჟს და აწყობდა შეთქმულებას სახალხო რესპუბლიკის წინააღმდეგ [1].

ჩინეთში მისიონერებმა შექმნეს სხვადასხვა კონტრრევოლუციური ორგანიზაციები, როგორც, მაგალითად, „სახალხო თავდაცვის რაზმები“, „სახელმწიფო მშენებლობისათვის ხელშემწყობი საზოგადოება“, „ღვთისმშობლის არმია“ და სხვა. ნამდვილად ამ ორგანიზაციებს მიზნად ჰქონდათ დასახული არა „ხალხის თავდაცვა“ და „სახელმწიფო მშენებლობისათვის ხელის შეწყობა“, არამედ იმპერიალისტების ინტერესების დაცვა და სახელმწიფო მშენებლობის ჩაშლისათვის

[1] М. М. Шенинман, Краткие очерки истории папства, გვ. 139.

ხელის შეწყობა, ხოლო „ღვთისმშობლის არმიის“ წევრებს სახალხო დემოკრატიის წინააღმდეგ უნდა ებრძოლათ არა სახარებითა და ხატებით, არამედ ამერიკული ცეცხლსასროლი იარაღით.

რომის პაპი უშუალოდ ერევა აღმოსავლეთის ქვეყნების შინაურ საქმეებში და ცდილობს იმ ქვეყნებს, რომელთაც მამაცური ბრძოლით დაწყვიტეს იმპერიალიზმის ჯაჭვები და დაიწყეს ცხოვრება უღმერთოდ და უბატონოდ, კვლავ თავს მოახვიოს ძველი ღმერთები და ძველი ბატონებიც. 1951 წლის 17 ივნისის ენციკლიკაში ჩინეთისა და კორეის მიმართ რომის პაპი პიუს XII წერდა: „ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ჩინეთისა და კორეის ხალხები რაც შეიძლება ჩქარა იქნებიან განთავისუფლებულნი ომის საშინელებისაგან და მასთან ერთად დამღუპველი მატერიალისტური მოძღვრებისაგანაც“. როგორც აქედან ჩანს, რომის პაპს არ უნდა ომის საშინელებისაგან კორეისა და ჩინეთის ხალხების განთავისუფლება ისე, თუ ისინი, ამავე დროს, არ განთავისუფლდებიან მატერიალისტური მოძღვრებისაგან, ე. ი. მარქსიზმ-ლენინიზმისაგან და, მაშასადამე, ამ მოძღვრების საფუძველზე მოპოვებული სახალხო ხელისუფლებისაგანაც, კვლავ არ გადაიქცევიან საკუთარი ფეოდალებისა და უცხოეთის იმპერიალისტების მონებად. ასეთია პაპის „რჩევა-დარიგება“. ამ ენციკლიკიდან ისიც ჩანს, რომ პაპებისათვის ლოგიკა სრულიადაც არ ყოფილა სავალდებულო. ამიტომ გასაკვირი როდია, თუ მას თვით ჩინელი კათოლიკებიც არ უჯერებენ. 1951 წელს შემდგარმა ჩინეთის კათოლიკთა წარმომადგენლების კონფერენციამ მიიღო რეზოლუცია, რომელშიაც დაგმო პაპისა და ამერიკელი ქრისტიანების ხრიკები და ჩინელ კათოლიკთაგან მოითხოვა კავშირის გაწყვეტა ვატიკანსა და იმპერიალიზმთან.

ვატიკანი მეტად დიდ ყურადღებას აქცევს ევროპის სახალხო დემოკრატიის ქვეყნებს. მას მეტად აწუხებს თავის მეზობელ ქვეყნებში იმპერიალიზმის ბატონობის დამსხვრევა და სახალხო დემოკრატიის რეჟიმის გამარჯვება. ჯერ კიდევ ომის დროს ვატიკანი ცდილობდა არ დაეშვა ამ ქვეყნებში

ძველი რეჟიმის დამხობა. იკი გამოდიოდა ევროპაში მეორე ფრონტის გახსნის წინააღმდეგ. 1943 წელს ვატიკანმა უარყო მოკავშირეების გადაწყვეტილება, რომ ომის შემდეგ სასამართლოს გადასცემოდა მთავარი სამხედრო ფაშისტი დამნაშავეების საქმე. ამავე დროს, ომის წლებში ევროპაში და კერძოდ ბალკანეთში შექმნილ გართულებულ სიტუაციას ვატიკანი იმისათვის იყენებდა, რომ იქ გაეფართოებინა კათოლიციზმის დანერგვა. ამ მხრივ ვატიკანმა ყველაზე მეტად თავი ხორვატიაში „ისახელა".

ხორვატიაში ვატიკანის სანქციით, ზაგრების კათოლიკი არქიეპისკოპოსის სტეპინაცის მეთაურობით და ხორვატიელი ფაშისტების (უსტაშების) დახმარებით, ვატიკანის წარმომადგენლები ცდილობდნენ სსრ კავშირის საზღვრების მახლობლად, ბოლშევიზმისათვის კათოლიკური „რწმენის ბარიერების" შექმნის მოტივით, ძალით მოექციათ კათოლიციზმში მართლმადიდებელი სერბი მოსახლეობა. კათოლიკები, მათი დამჭაში უსტაშები და რომის პაპის წარმომადგენლები ანგრევდნენ ხორვატიაში მართლმადიდებელთა ეკლესიებს და ხოცავდნენ ყველა იმ მართლმადიდებელს, მათ ეპისკოპოსებსა და მღვდლებს, რომელნიც კათოლიკობაში მოქცევაზე უარს ამბობდნენ.

სერბიის ხოცვა-ჟლეტაზე 1943 წელს ჩიკაგოში გამოქვეყნებულ ანგარიშში აღნიშნული იყო, რომ: „რომის კათოლიკურმა სამღვდელოებამ გააძლიერა თავისი ცდა დარჩენილი სერბი მოსახლეობის კათოლიციზმში მოსაქცევად. მათ ჰპირდებოდნენ, რომ ამით ისინი შეინარჩუნებდნენ სიცოცხლეს. ამგვარად შეძლეს მათ დარჩენილი მოსახლეობის დაახლოებით 30 პროცენტის მოქცევა კათოლიკობაში, მაგრამ ბევრ მათგანს ამ გარემოებამაც არ უშველა, რადგან შემდეგ უსტაშთა ტერორის ახალი ტალღის დროს, ისინი დახოცეს". სულ რომის პაპის მიერ წამოწყებული ამ სისხლიანი ორგიის დროს სერბიაში მოკლეს 800 ათასამდე კაცი და ძალით მოაქციეს კათოლიციზმში 300 ათას კაცამდე[1]. ხორ-

[1] М. М. Шейнман, Краткие очерки истории папства, გვ. 169.

ვატიის ამ ამბებთან ლანდიით მოჩანს ისტორიაში ცნობილი და საფრანგეთის კათოლიკების ინიციატივით მოწყობილი ჰუგენოტების ხოცვა-ჟლეტა პარიზში 1572 წლის 24 აგვისტოს.

მაგრამ არც რომის პაპის მიერ მიღებულ დრაკონულ ზომებს კათოლიკური „რწმენის ბარიერების“ შესაქმნელად და არც ჰიტლერის ფრიცებს არ შეეძლოთ გმირული წითელი არმიის შეჩერება. წითელმა არმიამ დაამარცხა ფაშისტური არჩიები და ამით ევროპის მთელ რიგ ხალხებს გაუწია დახმარება სახალხო დემოკრატიული რეჟიმის შექმნაში. მაგრამ სწორედ სახალხო დემოკრატიული რეჟიმის შექმნამ უფრო მეტად გააბოროტა ვატიკანი.

რადგან ვატიკანისა და მისი იმპერიალისტ პატრონების მიერ მიღებულმა ღონისძიებებმა, საბოლოო ანგარიშით, ხელი ვერ შეუშალეს ამ ქვეყნებში სახალხო დემოკრატიის რესპუბლიკების წარმოქმნას, ახლა ისინი შეეცადნენ ამ ქვეყნების შიგნით კონტრრევოლუციურ ძალებთან კავშირში, გარედან დაწოლისა და შიგნიდან აფეთქების გზით მიეღწიათ მათი ლიკვიდაციისათვის. ვატიკანის დიპლომატიამ და დაზვერვამ ამერიკელებთან და ინგლისელებთან კავშირში ამ მიმართულებით გამალებით დაიწყეს სახალხო დემოკრატიის ევროპის ყველა ქვეყანაში მუშაობა. უნგრეთში მათ სახალხო რესპუბლიკის წარმოქმნიდანვე შექმნეს არალეგალური კონტრრევოლუციონური ორგანიზაცია, რომელსაც სათავეში ედგა კარდინალი, უნგრეთის კათოლიკური ეკლესიის პრიმასი (მეთაური) მინდსენტი.

მინდსენტი ნიუ-იორკის კათოლიკი კარდინალის სპელმანის და უნგრეთში ამერიკის დესპანის საშუალებით დაკავშირებული იყო ამერიკის მმართველ წრეებთან. მათი ფინანსური დახმარებით და მორალური წაქეზებით, მან მოაწყო ეს არალეგალური კონტრრევოლუციური ორგანიზაცია. ორგანიზაცია მიზნად ისახავდა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის დამხობას და მემამულეებისა და კაპიტალისტების ბატონობის აღდგენას. მინდსენტის ვარაუდით, თუ ქვეყნის შიგნით კონტრრევოლუციური ძალების შემჭიდროება, მათი აჯან-

ყებები, დივერსიები და ამერიკის ფარული ფინანსური დახმარება სახალხო რესპუბლიკის დამხობისათვის საკმაო არ იქნებოდა, მაშინ მათ უნდა მოეწყოთ უცხოეთის აშკარა შეიარაღებული ინტერვენცია.

კონტრრევოლუციის გამარჯვების შემთხვევაში, მათ უნდა მოეხდინათ ჰაბსბურგთა დინასტიის რესტავრაცია და ტახტზე დაესვათ ჰაბსბურგთა ნაშიერი ოტო ჰაბსბურგი. ოტო ჰაბსბურგთან, 1947 წელს ამერიკაში მოგზაურობის დროს, თვითონ მინდსენტმა დაამყარა პირადი ურთიერთობა და შეხვდა მას ჩიკაგოს მახლობლად ქალთა ერთ-ერთ კათოლიკურ მონასტერში. შემდეგ კი ურთიერთობა ოტო ჰაბსბურგთან მინდსენტს ჰქონდა უნგრეთში ამერიკის დესპანის საშუალებით [1].

ახალ, მონარქიულ მთავრობაში, თვითონ ეშმაკების და ანგელოზების „სპეციალისტს"—მინდსენტს, უნდა „ეკისრა" მიწიერი საქმეების „გაძღოლა",—დაეკავებინა მთავრობის მეთაურის პოსტი. მაგრამ მინდსენტს ამ ბინძური საქმის რეალიზაციაში ვერც ანგელოზებმა უშველა და ვერც ვატიკანმა. 1949 წელს შეთქმულება გამომჟღავნებული იქნა და მინდსენტი დააპატიმრეს. სასამართლოში მინდსენტმა აღიარა, რომ იგი დაკავშირებული იყო ამერიკის მმართველ წრეებთან, და მათგან შეთქმულთა კონტრრევოლუციური ორგანიზაციის გასაძლიერებლად აგენტ ფოკსის ხელით 12 ათასი, ხოლო მეორე აგენტ მღვდელ ფლინის საშუალებით 20 ათასი დოლარი მიიღო. გარდა ამისა, მინდსენტმა აღიარა, რომ მან ამავე მიზნით მსხვილი თანხები მიიღო ვატიკანიდან და ნიუ-იორკის კარდინალ სპელმანისაგან, როცა იგი რომსა და ამერიკაში მოგზაურობდა.

მინდსენტის დაპატიმრების შემდეგ, უნგრეთის კათოლიკების მეთაურებმა სახალხო რესპუბლიკის მთავრობასთან დადეს შეთანხმება. შეთანხმებაში ისინი აცხადებდნენ, რომ ამიერიდან სცნობდნენ უნგრეთის სახალხო დემოკრატიულ რეჟიმს, არ იბრძოლებდნენ მის წინააღმდეგ და ამ მიზნით

[1] А р т у р о в, Католические партии Европы на службе американского империализма, გვ. 28.

არ გამოიყენებდნენ რელიგიას. შეთანხმებას ხელს აწერდა კათოლიკი არქიეპისკოპოსი იოქეფ გრესი.

1951 წელს გრესი და მისი თანამოაზრენი დაპატიმრებული იქნენ. გამოირკვა, გრესის ეს შეთანხმება მხოლოდ ცბიერი შენიღბვა იყო, და რომ, ნამდვილად, უნგრეთის კათოლიკები აგრძელებდნენ სახალხო დემოკრატიის წინააღმდეგ ბრძოლის მინდსენტის პოლიტიკას. ისინი კვლავ ილაშქრებდნენ მიწის რეფორმების, სამრეწველო პროდუქციის გადიდების და წარმოებაში შრომის დისციპლინის განმტკიცების წინააღმდეგ, აწყობდნენ საბოტაჟს, შექმნეს შეიარაღებული ტერორისტული ბანდები და ხოცავდნენ უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის დამცველ პატრიოტებს. ორთავიანი იანუსი გრესის ერთი თავით ნაქადაგარი (შეთანხმება მთავრობასთან). ეწინააღმდეგებოდა იმავე იანუსის მეორე თავით ნამოქმედარს (ბრძოლა მთავრობის წინააღმდეგ).

1951 წლის ივნისში გრესმა სასამართლოში განაცხადა: „მინდსტენმა გამომიძახა და, რადგანაც იგი ითვალისწინებდა თავისი დაპატიმრების შესაძლებლობას, უნდოდა ჩემი ინფორმირება იმაში, რომ მან დოქტორ პალ ბოჟიკას დაავალა ორგანიზაციის გაფართოება, რომლის მოქმედებაც მიმართული იყო არსებული რეჟიმის დამხობისაკენ. მასვე დაავალა მთავრობის (მომავალი კონტრრევოლუციური მთავრობის—მ. ა.) პროგრამის გამომუშავება. მე დამავალა, მისი დაპატიმრების შემთხვევაში, თვითონ ამეღო ხელმძღვანელობა". არქიეპისკოპოსმა გრესმა, მინდსენტის დაპატიმრების შემდეგ, თვითონ იდო რა თავს შეთქმულთა მთელი ორგანიზაციის ხელმძღვანელობა, ამერიკის მისიას ბუდაპეშტში შემდეგი განცხადება გაუგზავნა: „თანახმად უნგრეთის ძველის-ძველი კანონებისა, მეფის არ არსებობის და შექმნილ წინააღმდეგობათა შედეგად „ხომო რე გიუს" (მთავრობის მეთაურად) კარდინალის არ ყოფნის გამო, მე ვიღებ ჩემს თავზე მთავრობის მეთაურის მოვალეობის შესრულებას და დროებითი მთავრობის დანიშვნის უფლებას".

მღვდელ ბოჟიკას მიერ გამომუშავებული მომავალი კონტრრევოლუციური მთავრობის პროგრამა განსახილველად გაე-

გზავნა ვატიკანს, ამერიკელ კარდინალ სპელმანს და ტახტის მაძიებელ ოტო ჰაბსბურგს. ეს პროგრამა მათ მოიწონეს, მხოლოდ ამერიკელები გრესს ურჩევდნენ პრემიერ-მინისტრად მომავალ კონტრრევოლუციურ მთავრობაში მღვდელ ბოჟიკას მაგიერ დაენიშნა დოქტორი ფრიდრიხი, რომელსაც ხორტის რეჟიმის დროს 1919 წელს „სახელი ჰქონდა განთქმული“ უნგრეთის მშრომელთა აწიოკებაში. მაგრამ ვატიკანის აგენტების და მათი ამერიკელი ბატონ-პატრონების გეგმები უნგრეთის მშრომელთა სიფხიზლემ ჩაშალა, მათ შეძლეს „ქრისტეს ჭურჭში“ გახვეული კონტრრევოლუციური კარდინალებისა და ეპისკოპოსების გამომელავნება და იზოლირება.

ვატიკანისათვის განსაკუთრებით „საზრუნავი“ პოლონეთი გახდა. ვატიკანი ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომის დროს იყო წინააღმდეგი პოლონეთის დამოუკიდებელი სახელმწიფოს წარმოქმნისა და მოითხოვდა, მართლმადიდებელი რუსეთისაგან პოლონეთის გამოყოფის შემდეგ, კათოლიკურ ავსტრიასთან მის გაერთიანებას. 1916 წელს ვატიკანში ჩავიდა პოლონეთის დელეგაცია, რომელშიაც პოლონეთის მაშინდელი ბურჟუაზიული მოღვაწე რომან დმოვსკიც შედიოდა. დმოვსკის მოჰყავს ვატიკანის უმაღლეს ჩინოვნიკთან თავისი საუბრის ჩანაწერი. იგი აღნიშნავს, რომ ჩემს მიერ პოლონეთის დამოუკიდებლობის იდეის წამოყენება ვატიკანში არ მოეწონათ და მიპასუხეს“: — დამოუკიდებელი პოლონეთი!... ეს ფანტაზიაა, განუხორციელებელი ფანტაზიაა“. დმოვსკი შემდეგ წერს, „ვერ ვიტყვი, რომ ჩემი პოლონური ყურებისთვის სასიამოვნო იყო ეს სიტყვები. მე ვკითხე:

„ — მაინც რას გვირჩევდა ჩვენ თქვენი ემინენცია?“ [1] ამ კითხვაზე, ამბობს დმოვსკი, ვატიკანის ჩინოვნიკმა მიპასუხა: „თქვენი მომავალი ავსტრიასთან არის“ [2].

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, როდესაც სახალხო-დემოკრატიული პოლონეთის დამოუკიდებლობა ფაქტი გახდა,

[1] ემინენცია (eminentia) კათოლიკი ეპისკოპოსების და კარდინალების ტიტული.

[2] М. М. Шиниман, Краткие очерки истории папства, გვ. 151.

ვატიკანი, ამერიკისა და ინგლისის ზედაფენები ვერ ურიგდებოდნენ ამას. მათ სახტიკი იერიში მიიტანეს პოლონეთზე. პოლონეთში რელიგიის აბრით შექმნეს რამდენიმე კონტრრევოლუციური ჯგუფი. ერთ-ერთ ასეთ ჯგუფს ხელმძღვანელობდნენ იეზუიტები როსტვოროვსკი და ნაიროცკი. ეს ჯგუფი ამერიკა-ინგლისისა და ვატიკანის დავალებით ეწეოდა ძირგამომთხრელ მუშაობას პოლონეთის სახალხო დემოკრატიული რეჟიმის წინააღმდეგ. მეორე ჯგუფს, რადენჩინიცეს მონასტერი გადაქცეული ჰქონდა იარაღის საწყობად.

ვატიკანი ცდილობდა გაერთულებინა პოლონეთის საერთაშორისო მდგომარეობაც. ამ მიზნით, 1948 წელს პაპი პიუს XII გერმანელ ეპისკოპოსებისადმი მიმართვაში წერდა, თქვენ მხარი უნდა დაუჭიროთ პოტსდამის კონფერენციის გადაწყვეტილების გადასინჯვას, რომ გერმანიამ ისევ შეიერთოს პოლონეთისათვის დაბრუნებული ტერიტორიაო [1], ამერიკელ იმპერიალისტთა წაქეზებით, რომის პაპის ამ გამოხდომაზე 1951 წ. ივლისში „პრავდაში" ბოლესლავ ბერუტი წერდა: „ამერიკელი იმპერიალისტები გერმანელ ნეოჰიტლერელებთან, ადენაუერებთან და შუმახერებთან ერთად, მთელი მსოფლიოს რეაქციული ძალების, მათ რიცხვში ვატიკანის დახმარებით აძლიერებენ რევიზიონისტულ კამპანიას ჩვენი დასავლეთი მიწა-წყლის წინააღმდეგ, იმ მიწა-წყლის, რომელიც ჩვენ დავასახლეთ და აღვადგინეთ და რომელნიც ჩვენთვის ყოველთვის დარჩებიან მშვიდობის საზღვრად და ჩვენი სახელმწიფოს განუყოფელ ნაწილად". რომის პაპის ამ მაქინაციებს მხარი დაუჭირა პოლონეთის კათოლიკურმა ეპისკოპატმა არქიეპისკოპოს ვიშინსკის მეთაურობით, მაგრამ, პოლონეთის დაბალმა კათოლიკურმა სამღვდელოებამ გაილაშქრა რომის პაპის ამ მოთხოვნის წინააღმდეგ, როგორც ეს ჩანს მათ მიერ 1951 წლის დეკემბერში ვრაცლავში მიღებული გადაწყვეტილებიდან.

რომის პაპი ცდილობს პოლონეთის საშინაო საქმეებში აშკარა ჩარევას. 1947 წლის იანვარში პაპი პიუს XII

[1] М. М. Шеинман, Краткие очерки истории папства, გვ. 184.

მიმართვა წაკითხული იქნა პოლონეთის ყველა კათოლიკურ ეკლესიაში. პაპის ეს „საეკლესიო უსტარი" მიმართული იყო პოლონეთის სახალხო დემოკრატიის მთავრობისა და მის მიერ გატარებულ ღონისძიებათა წინააღმდეგ. პაპმა პოლონეთის რესპუბლიკის მთავრობისაგან მოითხოვა 200 ჰიტლერელის, მათ რიცხვში პოლონეთში ჰიტლერის ყოფილი „გენერალ-გუბერნატორის" ფრანკის და გრეიზერის, შეწყალება [1].

ვატიკანის დირექტივებით, პოლონეთის კათოლიკთა ზედაფენებმა სახალხო დემოკრატიული რეჟიმის დამცველთა წინააღმდეგ გააძლიერეს ტერორი. სოფელ ვოლბროჟში მათ მოკლეს 15 წლის ვალდემარ გრაბინსკი, რომელსაც უნდოდა ხელისუფლების ორგანოებისათვის შეეტყობინებინა, რომ მისი დედა დაკავშირებული იყო ბანდიტთა ჯგუფთან. ვალდემარის დედა კათოლიკმა მღვდლებმა შვილის მოკვლაზე იმით დაითანხმეს, რომ მას ქრისტესა და პაპის სახელით საიქიოში ცოდვების პატიების შეპირდნენ [2]. ასე მუხთლად და უსინდისოდ იყენებენ პოლიტიკური ბრძოლისათვის „ცოდვების პატიების" დაულეველ ბიუჯეტს „უცოდველი კრავის" ქურქში გამოხვეული ღვთის კაცები. აი როგორ აფასებდა პოლონეთის კათოლიკური სამღვდელოების ბრძოლას დემოკრატიული რეჟიმის წინააღმდეგ ბოლესლავ ბერუტი: „სამღვდელოება პოლონეთში, — წერდა იგი, — ყველაზე უფრო ხშირად დგება მემარჯვენეთა მხარეზე, და არ ეთანხმება დემოკრატიულ მთავრობას". პოლონეთში კათოლიკ შეთქმულთა რამოდენიმე ჯგუფი აღმოჩენილი, გასამართლებული და იზოლირებული იქნა.

ვატიკანი თავიდანვე დიდ დაინტერესებას იჩენდა ჩეხოსლოვაკიის მიმართაც, რომლის ზედაფენები თვითონვე ცდილობდნენ ვატიკანისათვის ჩეხოსლოვაკიაში გაბატონებული მდგომარეობის უზრუნველყოფას. როდესაც ჰიტლერმა ჩეხოსლოვაკია დაიპყრო და სლოვაკიის მარიონეტუ-

---

[1] Артуров, Католические партии Европы на службе американского империализма, გვ. 26.

[2] П. Карманский Ватикан — вдохновитель мракобесия и реакции, 1953, გვ. 50.

ლი მთავრობა შექმნა, ამ მთავრობის პრემიერ-მინისტრმა ტუკამ საჯაროდ განაცხადა: „სლოვაკიის მომავალი სახელმწიფო იქნება გერმანიის ფაშიზმის რომის კათოლიციზმთან შეერთება“ [1]. როდესაც ტუკას ეს სურვილი ჩეხოსლოვაკიის გაერთიანებამ და იქ სახალხო დემოკრატიული რეჟიმის დამყარებამ დაასამარა, მაშინ ვატიკანმა გააძლიერა ბრძოლა ჩეხოსლოვაკიის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ და ამ ბრძოლაში ჩაება ჩეხოსლოვაკიის კათოლიკური ეკლესიის მეთაური არქიეპისკოპოსი ბერანი.

სახალხო დემოკრატიულ ჩეხოსლოვაკიაში კათოლიკურ ეკლესიას შესაძლებლობა აქვს ემსახუროს ღმერთსა და ანგელოზებს, მაგრამ კათოლიკურ ეპისკოპატს ეს არ აკმაყოფილებს. მათ უფრო მეტად აინტერესებთ ემსახურონ დოლარს და ამერიკელ კაპიტალისტებს, ემსახურონ დამხობილი ბურჟუაზიული რეჟიმის რესტავრაციის საქმეს. გასაგებია, რომ ჩეხოსლოვაკიის სახალხო დემოკრატიულ მთავრობას არ შეუძლია მათ ამის უფლება მისცეს. ამის გამო ქრისტეს ჩეხოსლოვაკიელი „მოციქული“ ბერანი იწყებს გოდებას, რომ ჩეხოსლოვაკიის მთავრობა კათოლიკურ ეკლესიას ავიწროვებს და დასახმარებლად იწვევს ყველა მიწიერ და „ზეციურ ძალებს“.

ეკლესიის უმაღლესი იერარქიის თაღლითობას თვითონ დაბალი სამღვდელოება და მორწმუნეებიც მიხვდნენ, და ამ ნიადაგზე გაემიჯნენ კიდეც თავიანთ ზედაფენებს. ზედაფენები კი ისევ აგრძელებენ ბრძოლას ჩეხოსლოვაკიის სახალხო დემოკრატიული რეჟიმის წინააღმდეგ. მათ აქტიური მონაწილეობა მიიღეს ხელისუფლების წინააღმდეგ 1948 წლის თებერვალში მოწყობილ აჯანყებაში, და მთელი რიგი მონასტრები გადააქციეს შპიონაჟისა და დივერსიის ცენტრებად. ამ მონასტრებში ისინი თავშესაფარს აძლევენ უცხოთიდან მღვდლების ანაფორით შემოგზავნილ შპიონებს და, თავის მხრივ, თვითონაც ამზადებენ ამ სპეციალობის „კადრებს“. მათ ჩეხოსლოვაკიელი ეპისკოპოსები შემდეგ იყენე-

[1] П. Карманский, Ватикан—вдохновитель мракобесия и реакции, 1953, გვ. 39.

ბენ ვატიკანთან და უცხოეთის სხვა სადაზვერვო ცენტრებთან შპიონური ხასიათის ცნობების წასაღებად და ცოცხალი კავშირის დასამყარებლად, როგორც ამას აკეთებდა ქ. ზნოიმოს მონასტერი.

ვატიკანი დრაკონულ ზომებს მიმართავდა თავისი ანტიხალხური მოქმედების დასაფარავად და ჩეხოსლოვაკიაში კათოლიკური ეკლესიის მთლიანობის შესანარჩუნებლად. ვატიკანის ამ ანტიხალხური და ანტიჩეხოსლოვაკური „მოღვაწეობის“ გამო, კათოლიკური ეკლესიის ზედაფენებისაგან გამოთიშულმა დაბალმა სამღვდელოებამ და რიგითმა მორწმუნეებმა შექმნეს „კათოლიკური მოქმედების“ ახალი ორგანიზაცია. ეს ორგანიზაცია მიზნად ისახავდა ეკლესიასა და მთავრობას შორის ნორმალური ურთიერთობის დამყარებას.

ვატიკანს, რომელსაც თავისი ამოცანების შესაბამისად ყოველთვის უნდოდა სახალხო დემოკრატიული მთავრობის მიმართ წინააღმდეგობაში ჰყოლოდა მორწმუნეები, არ აწყობდა ამ ახალი ორგანიზაციის შექმნა. ამიტომ 1949 წლის 20 ივნისს პაპმა გამოსცა სპეციალური დეკრეტი, რომელშიაც იგი აცხადებდა, რომ ყველა ის პირი, ვინც ამ ორგანიზაციაში შევა, მიჩნეული იქნება ერეტიკოსად და განიკვეთებიან კათოლიკური ეკლესიისგანო. მაგრამ ამ დეკრეტმა ვატიკანს საიმედო შედეგი ვერ მოუტანა. ვატიკანთან გაწყვეტილი იქნა დიპლომატიური ურთიერთობა, გაუქმდა პაპის ნუნციატურა ჩეხოსლოვაკიაში, ხოლო არქიეპისკოპოსი ბერანი გასახლებული იქნა ქ. პრაღიდან.

ასეთსავე ძირგამომთხრელ მუშაობას ეწეოდა ვატიკანი რუმინეთის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ. იქ მთელ ამ საქმიანობას სათავეში ედგა პაპის ელჩი რუმინეთში, ამერიკელთა შპიონი ოხარა და ეპისკოპოსი პახა. მათი ინიციატივით შეიქმნა „ქრისტიანთა სოციალისტური პარტია“. ეს კონტრრევოლუციური პარტია ეწეოდა უცხო სახელმწიფოთა სასარგებლოდ შპიონაჟს, ვალუტით სპეკულაციას, ხოცავდა სახალხო ხელისუფლების აქტიურ მუშაკებს და ამზადებდა შეიარაღებულ აჯანყებას რუმინეთის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის დასამხობად. ამ

„პარტიის“ საპროგრამო მანიფესტში ეწერა: „ძირფესვიანად მოისპოს რუმინეთის სახალხო არმია, საბოტაჟი გაეწიოს სახალხო დემოკრატიული ხელისუფლების ყველა ღონისძიებას, არსებულ ხელისუფლებასთან ბრძოლა სწარმოებდეს თოფით, ცულით, დანით“ [1]. რუმინელი ხალხის ინტერესების წინააღმდეგ მიმართული ავი და ბოროტი ადამიანების საქმენი გამომჟღავნებული და ლიკვიდირებული იქნა. ასეთსავე ძირგამომთხრელ საქმიანობას ეწევა ვატიკანი სახალხო დემოკრატიის წინააღმდეგ სხვა ქვეყნებშიც.

მიუხედავად იმ ჩავარდნებისა, რაც ვატიკანს დაემართა სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში, იგი მაინც კვლავ აგრძელებს „ღვთის სახელით“ ხალხის ინტერესების საწინააღმდეგო საქმიანობას: შპიონაჟს, დივერსიებს, ჩასაფრებით მკვლელობას, სიცრუეს, პროგრესისა და სამართლიანობის წინააღმდეგ ბრძოლას. ამით ვატიკანს სურს ხელი შეუშალოს მშრომელი ხალხის წინსვლას სოციალიზმისაკენ. ვატიკანის ეს ბრძოლა საბოლოო ანგარიშით ისევე უშედეგოა, როგორც მათი შორეული წინაპრის, ბიბლიური ისუს ნავინის ბრძანება მზის გაჩერების შესახებ.

---

[1] М. С. Вовченков. Ватикан на службе американского империализма, გვ. 20.

ვატიკანი და ამერიკის იმპერიალიზმი

ვატიკანი პროგრესის, სოციალური და ნაციონალური თანასწორობის ყველაზე უძველესი მტერია. საუკუნეთა მანძილზე გაბატონებულ კლასებთან კავშირში იგი ყოველთვის ილაშქრებდა ყველა იმ სოციალურ მოძრაობათა წინააღმდეგ, რომელთაც მიზნად ჰქონდა დასახული ექსპლოატირებული კლასების: მონების, ყმა-გლეხების და მუშების განთავისუფლება. ვატიკანის ასეთი მოქმედების მაგალითებით სავსეა მთელი მისი ისტორია ანტიკური ეპოქის მიჯნიდან დღემდე. საქმე იმაშია, რომ ისტორიულად ყველა ექსპლოატატორული კლასი იცვლებოდა და ისპობოდა, ვატიკანი კი რჩებოდა და ისტორიის სარბიელზე ახლად გამოსულ ექსპლოატატორულ კლასს უგუებდა თავის ინტერესებს; მის სამსახურში აყენებდა დროების შესაფერისად მოდერნიზებულ ქრისტეს მოძღვრებას.

XIX საუკუნის შუა წლებში, როდესაც მუშათა მოძრაობა გაძლიერდა და განვითარების ახალ საფეხურზე ავიდა, ვატიკანმა გააძლიერა ბრძოლა მუშათა მოძრაობისა და მეცნიერული კომუნიზმის წინააღმდეგ. 1849 წლის 8 დეკემბერს პაპმა პიუს IX გამოაქვეყნა თავისი პირველი მოწოდება კომუნიზმთან ბრძოლის შესახებ. ამიერიდან კომუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ამ საერთო ამოცანამ დააკავშირა ვატიკანი და ბურჟუაზია და, რაც დრო გადის, ისინი უფრო მეტად აძლიერებენ ზეციურ (ვატიკანი) და მიწიერ (ბურჟუაზია) ჯალათთა ძალების გაერთიანებას ერთმანეთისათვის დახმარების გასაწევად.

რეაქციის ძალთა კონსოლიდაციის მნიშვნელობა კარგად ესმოდათ როგორც XIX, ისე XX საუკუნის რომის პაპებსაც და ბურჟუაზიული კლასის პოლიტიკოსებსაც. როდესაც პირველი მსოფლიო ომის შემდეგ იტალიასა და გერმანიაში წარმოიქმნა ფაშისტური პარტიები, მსხვილმა ბურჟუაზიამ

მათში დაინახა კომუნიზმისაგან გადარჩენის ხსნა. 1927 წელს რომში ჩასული ჩერჩილი საჯაროდ აცხადებდა, რომ იგი სიმპათიით ეკიდება მუსოლინის ფაშისტურ დიქტატურას, რადგან მასში ხედავს „კომუნიზმის საწინააღმდეგო შხამის“ გამომუშავების საშუალებას.

იტალიისა და გერმანიის ფაშიზმი, ჯერ კიდევ ჩერჩილის ამ განცხადებამდე, ყველაზე მეტად სწორედ ამ კუთხით აინტერესებდა ვატიკანსაც. 1922 წელს ვატიკანი ფინანსურ დახმარებას უწევდა მუსოლინს ფაშისტური რეჟიმის დამყარებაში. ვატიკანის მესვეური პაპი პიუს XI მუსოლინის შესახებ წერდა, რომ იგი ღვთაებრივი განკვრეტით მოვლენილ ადამიანს წარმოადგენსო. აქებდა თავის ენციკლიკაში იტალიის ფაშიზმს და „რეკომენდაციას აძლევდა ყველა კათოლიკურ ქვეყანას შეექმნათ ფაშისტური კორპორატიული სახელმწიფოები“. ამავე დროს პაპი იძლეოდა გაფრთხილებას, რომ არც ერთ ნამდვილ კათოლიკს არ შეუძლია სოციალისტად ყოფნაო[1].

ვატიკანის და იტალიის ფაშიზმის კავშირი უფრო მტკიცე შეიქმნა ლატერანიის ხელშეკრულების დადების შემდეგ, 1929 წელს. ამ შეთანხმების დადებით, ვატიკანმა ბოლო მოუღო იტალიის მთავრობასთან თავის ძველ „უთანხმოებას“ და, სწორედ კომუნიზმის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის გაძლიერების მიზნით, დაუკავშირდა მას. ვატიკანისა და მუსოლინის ლატერანიის შეთანხმებას ამ თვალსაზრისით აფასებდა მაშინ ბურჟუაზიული პრესა. საფრანგეთის ბურჟუაზიული გაზეთი „პარი-სუარ“-ი ამის შესახებ წერდა: „ორი რომის (ფაშისტური და პაპის) კავშირი ემყარება კომუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლას“.

ასეთსავე მზრუნველობას იჩენდა ვატიკანი გერმანიის ფაშიზმისა და მისი ფიურერისადმი. 1924 წელს, როცა მიუნხენის უშედეგო ფაშისტური აჯანყების შემდეგ, ჰიტლერს ხუთი წლით ციხე მიუსაჯეს, იგი ნახევარი წლის შემდეგ

---

[1] П. Карманский, Ватикан — вдохновитель мракобесия и реакции, 1953, გვ. 35.

პატიმრობიდან გაათავისუფლეს მიუნხენის კათოლიკი კარდინალის ფაულგაბერის შუამდგომლობით. ფაულგაბერი ვატიკანის დირექტივებით მოქმედებდა. 1933 წელს კი, როცა ფაშიზმმა ხელისუფლება ჩაიგდო გერმანიაში, ვატიკანმა იმავე წლის 20 ივლისს კონკორდატი (ხელშეკრულება) დადო ჰიტლერთან ურთიერთთანამშრომლობის შესახებ. მუსოლინს კი სესხი მისცა აბისინიის წინააღმდეგ ომის წარმოებისათვის.

მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე და ომის დროს, ვატიკანი აქტიურად უჭერდა მხარს მუსოლინისა და ჰიტლერის ყველა ღონისძიებას, რომელიც კი მიმართული იყო საბჭოთა კავშირისა, საერთოდ დემოკრატიისა და პროგრესის წინააღმდეგ. მაგრამ კომუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლისათვის გერმანიის და იტალიის ფაშიზმთან კავშირს ვატიკანი საკმარისად არ მიიჩნევდა და ამიტომ იგი, როგორც ეს ირკვევა ვატიკანში უნგრეთის ელჩის ბარცას მიმოწერიდან, ჯერ კიდევ ოცდაათიანი წლებიდან აშშ მთავრობასთან თანამშრომლობის პოლიტიკას დაადგა. შემდეგ, 1936 წელს, აშშ ჩავიდა ვატიკანის კარდინალი პაჩელი (ახლანდელი პაპი პიუს XII), რომელიც ვაშინგტონის მთავრობას შეუთანხმდა ესპანეთის სახალხო რესპუბლიკის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლისათვის[1].

აშშ მთავრობას ვატიკანთან დაახლოებისათვის, წინათ ერთგვარ ფორმალურ დაბრკოლებას ის გარემოება უქმნიდა, რომ აშშ კონსტიტუცია კრძალავდა რელიგიურ ორგანიზაციებთან მთავრობის ოფიციალური კავშირის დამყარებას. მაგრამ მას შემდეგ, რაც 1929 წელს ლატერანიის ხელშეკრულებით ვატიკანი დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადდა, ამით აშშ მთავრობას ამ ფორმალური დაბრკოლების გადალახვა გაუადვილდა, რადგანაც ახლა მას შეეძლო ვატიკანთან ოფიციალური ურთიერთობა დაემყარებინა არა როგორც რელიგიურ ორგანიზაციასთან, არამედ როგორც სახელმწიფოსთან. 1939 წლის დეკემბერში, ე. ი. როდესაც

---

[1] А р т у р о в, Католические партии Европы на службе американского империализма, გვ. 4.

მეორე მსოფლიო ომი უკვე დაწყებული იყო, აშშ პრეზიდენტმა თავის პირად წარმომადგენლად ვატიკანში დანიშნა მორგანის ფოლადის ტრესტის დირექტორი მაირონ ტეილორი.

მეორე მსოფლიო ომის პროცესში ვატიკანი რწმუნდებოდა, რომ მსოფლიოს რეაქციულ ძალთა სათავეში ამერიკის შეერთებული შტატები ექცეოდა. ამიტომ იგი უფრო და უფრო მეტად ცდილობდა კომუნიზმის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლისათვის თავისი მოქმედების ძირითადი ხაზი აშშ მთავრობის პოლიტიკისათვის შეეფარდებინა. აშშ მთავრობასა და ვატიკანს შორის ასეთი კავშირის „საჭიროება“ კიდევ უფრო აშკარა გახდა ფაშიზმის განადგურების შედეგად, როდესაც ვატიკანს დაეღუპა თავისი ერთგული მოკავშირეები ჰიტლერისა და მუსოლინის სახით.

ვატიკანის მესვეურები ფიქრობდნენ, რომ კომუნიზმის წინააღმდეგ საკმაო ეფექტის მომცემი არ იყო მარტო ესშაკებისა და ჯოჯოხეთის მუქარით ბრძოლა, თუ მას საბჭოთა კავშირისა და ახლად წარმოქმნილი სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ არ მიემატებოდა ტანკებით, თვითმფრინავებით და ატომური ბომბებით ლაშქრობა. რამდენადაც ამ უკანასკნელი „მოვალეობის“ შესრულება, და თავისუფალი ხალხების მიწიერი ჯალათის დათრგუნვის როლი ამერიკის ბურჟუაზიამ იკისრა, იმდენად ვატიკანისათვის ცხადი იყო, რომ მას მთელი თავისი „ზეციერი ძალებიც“ მიწიერ ჯალათთან კოორდინაციაში უნდა მოექცია და ამ გზით იგი ამერიკის ბურჟუაზიის სამსახურში ჩაეყენებინა. ასეთი იყო საერთო პირობები, რომელმაც ვატიკანი და აშშ ბურჟუაზია ერთმანეთთან დააკავშირა.

აღსანიშნავია, რომ ამ გარემოებას ამერიკის ბურჟუაზიული პრესაც არ მალავს. ასე, მაგალითად, გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“ პირდაპირ წერდა, რომ ვატიკანი წარმოადგენს ამერიკის „მოკავშირეს კომუნიზმის წინააღმდეგ მსოფლიო ბრძოლაში“ [1]. ხოლო რომის ახლანდელი პაპი პიუს

[1] М. С. Вовчиков, Ватикан на службе американского империализма, გვ. 30.

XII კი თავის საჯარო გამოსვლებში აცხადებს, თვითონ ღმერთმა დანიშნა ამერიკის შეერთებული შტატები „მსოფლიოს ხელმძღვანელად“ [1]. ვატიკანის რადიო 1945 წელს მთელ მსოფლიოზე გაჰყვიროდა, რომ ამჟამად აშშ არის ერთადერთი სახელმწიფო, რომელსაც შესწევს უნარი მართოს მთელი მსოფლიო. ამერიკელი კათოლიკი კარდინალი, პაპობის პრეტენდენტი, სპელმანი კი მოუწოდებს მსოფლიოს ყველა კუთხის კათოლიკებს: „ირწმუნეთ ამერიკა და უფალი ღმერთი“ [2].

ამგვარად, ღმერთის რწმენა ამერიკელ ბურჟუაზიას ბურჟუაზიული სამყაროს გადარჩენისათვის ისევე აუცილებლად მიაჩნია, როგორც ამერიკული ბაქტერიოლოგიური იარაღი და ატომური ბომბი. ეს აზრი რელიეფურად გამოხატა დეპუტატთა პალატაში კონგრესმენმა დორნმა, როდესაც განაცხადა: მე ისეთი პოლიტიკის მომხრე ვარ, რომ ერთ ხელში თოფი გვეჭიროს, მეორეში კი — ბიბლიაო. ამავე აზრისაა ყოფილი პრეზიდენტი ჰარი ტრუმენიც. იგი, ერთის მხრივ, გამალებულ შეიარაღებასა და ატომური ბომბების დაგროვებას ახორციელებდა, მეორეს მხრივ კი 1947 წელს რომის პაპს პიუს XII სწერდა: „მე ვფიქრობ, რომ თანამედროვე მსოფლიოს ყველაზე მეტად რწმენის აღორძინება ესაჭიროება“.

ტრუმენს რელიგიური რწმენის აღორძინება არსებული კაპიტალის გადარჩენისათვის სჭირდება და არა არარსებული ღმერთის გადარჩენისათვის. ახლა ღმერთის შირმა მათთვის მხოლოდ დოლარის მოსასხამად არის გადაქცეული. ამას, გონებრივი ბრმების გარდა, ყველა კარგად ხედავს და ტრუმენებს შეუძლიათ მხოლოდ რელიგიური აბსურდით გამოთაყვანებული ადამიანების მოტყუების იმედი ჰქონდეთ. ფრანგი მწერალი ანრი კლოდი სრულიად სამართლიანად წერდა: „უფრო და უფრო მჭიდრო კონტაქტი მყარდება უოლსტრიტსა და ვატიკანს შორის. კათოლიკობის მსოფლიო

---

[1] М. М. Шейнман, Краткие очерки истории папства, გვ. 179.

[2] П. Павлихин, Религиозные суеверия и их вред. 1951. გვ. 82.

ბასიათი მშვენივრად უთავსდება ამერიკის ფინანსური კაპიტალის მსოფლიო ხასიათს. ამერიკის კაპიტალისტთა კლასს სურს დაეყრდნოს ისეთ კონსერვატიულ ძალას, როგორიც არის რელიგია, მსგავსად იმისა, როგორც აქეთკენვე მიისწრაფოდა XIX საუკუნის ევროპის ბურჟუაზია. ამასთან ერთად, ამერიკის ფინანსური კაპიტალი ქრისტიანობაში (კათოლიკურში თუ პროტესტანტულში) ხედავს იდეოლოგიურ იარაღს თავის ანტისაბჭოთა ბრძოლაში" [1]. ასეთია ვატიკანის რომაელი ღმერთებით შენიღბული ამერიკული ფინანსური კაპიტალის გადარჩენის რეგვენული ცდა.

ვატიკანისა და აშშ მმართველი წრეების ღონისძიებათა გაერთიანება სსრ კავშირის, სახალხო დემოკრატიის ქვეყნების და საერთოდ დემოკრატიული მოძრაობის წინააღმდეგ, როგორც აღნიშნული იყო, თანდათან უფრო ძლიერდებოდა. 1947 წელს ტრუმენმა ვატიკანს სთხოვა — ამერიკის ინიციატივით და ხელმძღვანელობით წამოწყებულ სხვადასხვა ანტისაბჭოთა ბლოკებისა და გეგმებისათვის მხარდაჭერა, რასაც პაპი აღფრთოვანებით დათანხმდა.

ამავე წელს ვატიკანმა, ყველა ქვეყნების კათოლიკური ეკლესიის საერთო პოლიტიკური ხაზის გამოსამუშავებლად, ესპანეთში მოიწვია კათოლიკების წარმომადგენელთა საერთაშორისო თათბირი. 1948 წლის 16 აპრილს, წინასწარ ჩატარებული მოსამზადებელი მუშაობის შემდეგ, ვატიკანსა და აშშ მთავრობას შორის დაიდო საიდუმლო შეთანხმება. ამ შეთანხმებით აშშ მთავრობას მხარი უნდა დაეჭირა ყველა ქვეყანაში კათოლიკური ეკლესიისათვის, ხოლო ვატიკანს კი,—„ქრისტიანული ცივილიზაციის გადარჩენის" ლოზუნგით, აშშ მთავრობის ყველა ანტიკომუნისტური და ანტიდემოკრატიული ღონისძიებისათვის. აშშ მთავრობისა და ვატიკანის საიდუმლო შეთანხმების შესახებ ტელეპრესის სააგენტო წერდა, რომ ეს შეთანხმება „საფუძვლად ხდება კათოლიკ კარდინალების, ეპისკოპოსების და პაპის ნუნციების უფრო მჭიდრო კავშირისათვის სახელმწიფო დეპარტამენტის პოლიტიკურ მისიასთან და შავი

[1] М. М. Шоинман, Краткие очерки истории папства, გვ. 180 — 181.

ინტერნაციონალის კიდევ უფრო მეტი კოორდინაციისათვის ვაშინგტონის პოლიტიკის ლიდერთა საქმიანობასთან“ [1].

რომის პაპმა არ დააყოვნა ეამებინა ამერიკელი იმპერიალისტებისათვის, და მალე, თავის საჯარო გამოსვლებში და მიმართვებში მოიწონა: „მარშალის გეგმა“, „ტრუმენის დოქტრინა“, „ჩრდილოეთ ატლანტიკის პაქტი“ და ამერიკული დამონების სხვა გეგმები. პაპის მეთაურობით, ვატიკანის პროპაგანდის მთელი აპარატი, პრესა, რადიო, სააგენტო და სხვ. ქება-დიდებას ასხამს ამერიკის იმპერიალიზმის ამ კაბალურ გეგმებსა და აგრესიულ პაქტებს. თუმცა მთელი მსოფლიოსათვის, გარდა გონებრივი ბრმებისა და იმ ხალხისა, რომელნიც თავს „განზრახ იბრმავებენ“, ცხადია, რომ „მარშალის გეგმა“ მისი მიმღები პაციენტი ქვეყნების ყელზე მოჭერილი ამერიკის ეკონომიური თოკია, რომელიც სახრჩობელისკენ ეზიდება ამერიკის „მოწყალებაში“ ჩავარდნილი ქვეყნების ეკონომიკას და დამოუკიდებლობას. ხოლო „ტრუმენის დოქტრინა“, უცხო ქვეყნების ეკონომიკასა და პოლიტიკაში ამერიკის კაპიტალისა და პოლიტიკის შეღწევის შენიღბული ფორმაა, მიმართული აგრეთვე ამ ქვეყნების ეკონომიური და პოლიტიკური დამოუკიდებლობის ლიკვიდაციისაკენ.

თავისი შედეგებით მთელი მსოფლიოსათვის უფრო უარესის მომტანი ამერიკული წამოწყებაა „ჩრდილოეთ ატლანტიკის პაქტი“, რომელსაც რომის პაპი ჰირფერულად „მომავლის საუკეთესო გარანტიად“ და „უღმერთოების“ წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებად სთვლის.

ერთი სიტყვით, კომუნიზმის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლისათვის, ვატიკანმა ამერიკის იმპერიალიზმს შეუხამა მთელი თავისი „ზეციერი“ და მიწიერი პოლიტიკა. ამერიკის იმპერიალიზმმა კი ვატიკანთან კავშირით საშუალება მიიღო, ერთის მხრივ, პაპის როგორც „ქრისტეს მონაცვლის“ დასტურით, ღვთის სახელით შეენიღბა თავისი აგრესიული, ანტიდემოკრატიული და ანტიკომუნისტური ღონის-

[1] М. С. Вовчиков, Ватикан на службе американского империализма, გვ. 9.

ძიებები და, მეორეს მხრივ, კათოლიკურ ეკლესიაზე დაყრდნობით, უფრო ღრმად შეჭრილიყო ევროპის და ლათინური ამერიკის ქვეყნების საშინაო და საგარეო საქმეებში.

ვატიკანს თავისი ამერიკელი მოკავშირე მალე უფროსად გაუხდა და ეს არც გასაკვირია, რადგან, დაწყებული 1944 წლიდან, ვატიკანი თავისი შემოსავლის დიდ ნაწილს ამერიკიდან იღებს. აქედან გასაგებია, თუ როგორ დაიმორჩილა ამერიკულმა დოლარმა ვატიკანის მითიური ღმერთები და მათი ახლანდელი „მოადგილეები“ რომის პაპების სახით. დოლარზე დაყრდნობით ამერიკამ თანდათან მიიტაცა ვატიკანის ხელმძღვანელობის სადაველები და პაპი ფაქტიურად ისეთ მდგომარეობაში აღმოჩნდა, როდესაც მას არც ზეცაზე და არც მიწაზე გასატარებელი ვატიკანის პოლიტიკის შესახებ აღარ ეკითხებიან ჭკუას (და თუ ეკითხებიან, მაშინაც მხოლოდ ფორმალობისა და „ზრდილობისათვის“).

ამერიკულმა დოლარმა და ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა იძულებული გახადეს პაპი, რომ მას დაენიშნა ამერიკელი იეზუიტები მაკორმიკი და ფორდი — თავის მრჩევლად სადაზვერვო მუშაობის დარგში, ამერიკელი ეპისკოპოსი მუნკი — პაპის ნუნციად (ელჩად) „ბონის მთავრობასთან“, ამერიკელი მაკ-მაგონი — პაპის წარმომადგენლად ახლო აღმოსავლეთში, ამერიკელი მღვდელი ბირნსი კი — ამავე მისიით სამხრეთ კორეაში[1]. ვატიკანზე ამერიკის დაწოლის გასაძლიერებლად, 1951 წელს ტრუმენმა აშშ მთავრობის ელჩად ვატიკანში დანიშნა გენერალი კლარკი, ამერიკის ყოფილი უმაღლესი კომისარი ავსტრიაში.

„ღვთის“ საქმეების მოსაგვარებლად თავისი ხალხის დანიშვნით, აშშ მთავრობა ამ ქვეყნებში აწყობს თავის „მეხუთე კოლონას“. ამ კოლონას დავალებული აქვს, არ დაიტვირთოს თავი ზეციერი საქმეებით, მიწიდან დაიწყოს ძირის გამოთხრა და მიაღწიოს ამ ქვეყნების ეკონომიურ და პოლიტიკურ დაძაბუნებას ამერიკის კაბალაში მათ ჩასაგდებად.

---

[1] М. С. Возчиков, Ватикан на службе американского империализма, გვ. 9.

მაგრამ, ნაციონალური ინტერესების გაცემას და ამერიკის დიქტატისადმი დამორჩილებას, ენერგიულ წინააღმდეგობას უწევენ ამ ქვეყნების ხალხები კომუნისტური და მუშათა პარტიების მეთაურობით. ეს კარგად იციან ამერიკელმა იმპერიალისტებმაც, ამიტომ ისინი ყოველმხრივ ცდილობენ სახელი გაუტეხონ კომუნისტებს, სხვა პროგრესულ მოღვაწეებსა და პატრიოტებს; შეავიწროონ და გამოდევნონ ისინი ხელმძღვანელი მასობრივი ორგანოებიდან და მთავრობიდან, რათა ამით გაიადვილონ ამერიკის კოლონიების მდგომარეობაში ამ ქვეყნების სრული გადაყვანა.

ამ მიმართულებით ამერიკელ იმპერიალისტებს ყველაზე მეტ დახმარებას უწევენ კათოლიკური და სოციალ-დემოკრატიული პარტიები. 1947 წლის იანვარში, რომში კონფერენციაზე შეიკრიბნენ ევროპის კათოლიკური პარტიების ხელმძღვანელები ხოლო ამავე წლის მარტში პაპის დასტურით ლიუცერნეში მოწვეული იქნა კათოლიკური პარტიების ყრილობა. ამავე დროს, პარალელურად, ლონდონში მიმდინარეობდა მემარჯვენე სოციალ-დემოკრატების ყრილობა.

ორივე ყრილობამ მოიწონა ამერიკელი პოლიტიკოსების მიერ გამომუშავებული ხაზი საერთო ძალ-ღონით და აშშ ხელმძღვანელობით ევროპის მთელი რიგი ქვეყნების მთავრობებიდან კომუნისტების გამოძევების შესახებ. ფორმალურად ქრისტესა და „სოციალიზმის“, ხოლო ფაქტიურად კი დოლარის სახელით მოქმედმა კათოლიკური და მემარჯვენე სოციალ-დემოკრატიული პარტიების ბელადებმა არ დააყოვნეს მათი ყრილობების მიერ მიღებულ დადგენილებათა რეალიზაცია და ევროპის მთელი რიგი ქვეყნების: საფრანგეთის, იტალიის, ლუქსემბურგის, ბელგიის და ავსტრიის კოალიციური მთავრობებიდან გამოაძევეს კომუნისტები. ამის შემდეგ, რა თქმა უნდა, დაჩქარდა ამ ქვეყნების ამერიკულ კოლონიებად გადაქცევის პროცესი.

მაგრამ, სხვადასხვა ქვეყნების კოალიციური მთავრობებიდან კომუნისტების გაძევებას, ამერიკელი იმპერიალისტებისათვის არ ექნებოდა სასურველი შედეგი, თუკი კომუნისტები არ დამარცხდებოდნენ ამ ქვეყნების პარლამენტთა მო-

შავალ არჩევნებში და არ დაკარგავდნენ ხმების დიდ რაოდენობას. ამ ამოცანის გადაჭრა ამერიკის, და აგრეთვე ევროპის ბურჟუაზიული ქვეყნების „ამერიკული პარტიების“ მთავარი საზრუნავი გახდა.

აშშ მთავრობას ამ მხრივ არ ჰქონდა თავისი „ევროპული პარტიების“ გამარჯვების სრული იმედი, ამიტომ იგი შენიღბულად და უბოდიშოდ თვითონვე ჩაება ამ ქვეყნების წინასაარჩევნო ბრძოლაში ამერიკული და პროამერიკული ორიენტაციის კანდიდატებისათვის მხარის დასაჭერად. ასე, მაგალითად, 1948 წელს იტალიის პარლამენტის არჩევნებში, ამერიკამ დახარჯა 30 მილიონ დოლარზე მეტი, ხოლო მისი უანკარგულებით ვატიკანმა 3 მილიარდი ლირი. წინასაარჩევნო კამპანიაში ვატიკანი აფინანსებდა ორმოცზე მეტ მემარჯვენე გაზეთს.

მოსახლეობის ტერორიზაციის მიზნით, რომ მათ ხმა არ მიეცათ დემოკრატიული პარტიის კანდიდატებისათვის, საარჩევნო კამპანიის პერიოდში იტალიაში დაფრინავდნენ ამერიკის თვითმფრინავები, ნავსადგურებში იდგა ამერიკის საზღვაო-სამხედრო ფლოტი ქვეითი არმიით. სასულიერო პირები კი მოსახლეობას უქადაგებდნენ, რომ ამერიკელები ატომურ ბომბებს ჩამოყრიან ყველა იმ ქალაქსა და დასახლებულ პუნქტში, სადაც დემოკრატიული პარტიები ხმების უმრავლესობას შეაგროვებენო. ამერიკული იარაღით მოსახლეობის ფიზიკური გაწყვეტისა და დაშინების მუქარას ემატებოდა „ჯოჯოხეთით“ და ვატიკანის მიერ ზეციდან „გამოწვეული“ ღმერთებით და ეშმაკებით მათი მორალური დაშინება.

წინასაარჩევნო კამპანიაში გამოსული რომის პაპი საჯაროდ აცხადებდა, რომ ყველა მოქალაქემ უნდა მიიღოს მონაწილეობა არჩევნებში და ხმა მისცეს ქრისტიან-დემოკრატთა პარტიას. ის ვინც არჩევნებში თავს შეიკავებს სიზარმაცით ანდა სილაჩრით, — აცხადებდა პაპი, — ამით ისინი მომაკვდინებელ ცოდვას ჩაიდენენო. ამავე დროს პაპი მორწმუნეთაგან მოითხოვდა, რომ თითოეულ ეშმარიტ კათოლიკს კანდიდატთა იმ სიისათვის მიეცა ხმა, რომელიც

მათ საკმარისად რეალურ გარანტიებს ჰპირდებოდა ღმერთისა და სულის რწმენის უფლებისას.

პაპი ასეთ კანდიდატთა სიის ქვეშ გულისხმობდა დე გასპერის „ქრისტიან-დემოკრატთა კათოლიკურ პარტიას“, მაგრამ, რომ მაინც მორწმუნეებს მისამართი არ შეშლოდათ, იმავე დღეებში მილანის კარდინალ შუსტერის და 79 ეპისკოპოსის ხელმოწერით გამოქვეყნდა მორწმუნეებისადმი მოწოდება, რომ მათ ხმა მიეცათ დე გასპერის პარტიის კანდიდატებისათვის. ამ მოწოდებაში „ქრისტეს კაცები“ იმუქრებოდნენ ეკლესიიდან ყველა იმათი განკვეთით, ვინც დემოკრატიული პარტიების კანდიდატებს მისცემდა ხმას.

გამოგონებული იქნა „ამერიკული აგიტაციის“ ახალი ფორმაც. ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა იტალიაში გამოგზავნა 10 მილიონი წერილი და დეპეშა, თითქოს მათ ამერიკაში მცხოვრები იტალიური წარმოშობის პირები თავიანთ ნათესავებს უგზავნიდნენ. ამ წერილებს და დეპეშებს, რომლებშიაც იყო მოწოდება დე გასპერის პარტიის კანდიდატებისათვის ხმის მიცემის შესახებ, მღვდლები საჯაროდ კითხულობდნენ ეკლესიებში. ამავე დროს მონასტრებში მასიურად აკეთებდნენ ყალბ ბიულეტენებს ქრისტიან-დემოკრატთა პარტიის კანდიდატების სასარგებლოდ, და რამდენადაც ახერხებდნენ ჰყრიდნენ მათ საარჩევნო ყუთებში.

აღსანიშნავია, რომ ასეთი მაქინაციების გაკეთებას კათოლიკი სასულიერო პირები არ თაკილობდნენ არც 1953 წლის არჩევნებში. გაზეთ „უნიტას“ 1953 წლის 8 ივნისის ნომერში ასეთი მაგალითები მოჰყავდა: „ქალაქ ტრანში მღვდელმა შეისყიდა საარჩევნო მოწმობები სურსათზე გაცვლით. ქალაქ ანდრიაში მღვდელმა ძალით ჩამოართვა საარჩევნო მოწმობები ორ ამომრჩეველს იმიტომ, რომ ისინი უარს ამბობდნენ ხმა მიეცათ ქრისტიან-დემოკრატებისათვის“. ხოლო „რეჯოკალაბრიის პროვინციაში 150 მონაზონმა ხმა მისცა ერთ საარჩევნო უბანში, ხოლო შემდეგ გადავიდნენ მესინის სრუტეზე, რათა ხმა მიეცათ სიცილიის ერთ-ერთ ქალაქში“, „ნეაპოლში ერთ მონაზონს უპოვეს 11 საარჩევნო მოწმობა“, „ფლორენციაში ხუთმა მონაზონმა ხმა მისცა ერთ საარ-

ჩევნო უბანში და შემდეგ ავტომობილით გაემგზავრა მეორე უბანში, რათა იქ მეორე ბიულეტენი ჩაეშვა ურნაში. მაგრამ რამდენიმე მოქალაქე დაედევნა მათ და ხელი შეუშალა ამას".

ასეთ თაღლითურ ხერხებს მიმართავდნენ ამერიკული დოლარით მოსყიდული „ღვთის კაცები", რათა არჩევნების შედეგებით განემტკიცებინათ ვატიკანისა და დე გასპერის „ამერიკული პარტიის" პოზიციები. მაგრამ ამჯერად ვერც ამ მაქინაციებმა და ვერც ამერიკულმა დოლარმა ვერ მოიტანა სასურველი შედეგი და მოსახლეობის ნახევარზე მეტმა დე გასპერის პარტიის წინააღმდეგ მისცა ხმა. იტალიის მშრომელები თანდათან, თვით ცხოვრების პრაქტიკული გამოცდილებიდან რწმუნდებიან, რომ ვატიკანის და კათოლიკური პარტიის ამერიკელ იმპერიალისტებთან კავშირს მათი ქვეყანა დაღუპვისა და ნაციონალური სუვერენიტეტის დაკარგვისაკენ მიჰყავს. ამიტომ ისინი, როგორც ჭეშმარიტი პატრიოტები, აძლიერებენ ბრძოლას „ვატიკანის ღმერთების" და ამერიკული დოლარის კავშირის წინააღმდეგ.

კათოლიკური პარტიები და ვატიკანი. მეხამე მსოფლიო ომის პროპაგანდა

გერმანელი ფაშისტები „მზის ქვეშ ადგილის გამონახვის“ აბრით, ჯერ კიდევ ხელისუფლების დაპყრობამდე აყენებდნენ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მეორე მსოფლიო ომის გაჩაღების ლოზუნგს. ვატიკანმაც, თავის მხრივ, „რუსეთის ათეისტური კომუნიზმის“ შემუსვრის ყბადაღებული ლოზუნგით, მაშინვე გეზი აიღო გერმანიის ფაშიზმისათვის დახმარების გაწევაზე. ვატიკანის ამ საერთო ხაზიდან გამოსვლით, გერმანელ კათოლიკთა (გერმანიაში კათოლიკები მოსახლეობის ერთ მესამედ ნაწილს შეადგენენ) ბელადები: ფონ პაპენი, ბრიუნინგი და სხვები დაეხმარნენ ჰიტლერს ხელისუფლების დაპყრობაში. საერთოდ, ფაშიზმის გამარჯვებას დიდად შეუწყო ხელი მაშინ გერმანიაში არსებულმა კათოლიკურმა პარტიამ („ცენტრი“), რომლის დეპუტატებმაც ხმა მისცეს ჰიტლერს რაიხსტაგში.

ვატიკანი და გერმანიის ფაშიზმი უფრო მეტად დაუახლოვდნენ ერთმანეთს ჰიტლერის მიერ ხელისუფლების დაპყრობის შემდეგ. 1936 წლის სექტემბერში გერმანელი ეპისკოპოსები ვატიკანის მოწონებით ჰიტლერს სწერდნენ, რომ ჩვენ გადაწყვეტილი გვაქვს მტკიცედ დავუპიროთ მხარი ფიურერს, განსაკუთრებით კომუნიზმის მხრივ თანდათან მზარდი საშიშროების წინააღმდეგ ბრძოლაშიო[1]. როდესაც მეორე მსოფლიო ომის პროცესში გერმანიის ფაშიზმი და მისი ანტიკომუნისტური გეგმები მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა, ვატიკანი ყოველგვარ ზომებს ხმარობდა მეჩეჩზე გარიყული ფაშისტებისათვის დახმარების გასაწევად. 1944 წელს ვატიკანი 123 მილიონი ლირით დაეხმარა იმ ტყვე ფაშისტ

---

[1] О. А. Артуров, Католические партии Европы на службе американского империализма, გვ. 21.

ოფიცრებს, რომელნიც ინტერნირებულნი იყვნენ ინგლისელთა და ამერიკელთა იტალიის სამხედრო ბანაკებში.

1946 წელს პაპმა კარდინალის ჩინში აამაღლა სამი გერმანელი ეპისკოპოსი, რომელნიც ფაშიზმისადმი განსაკუთრებული სიმპათიით გამოირჩეოდნენ. ერთ-ერთმა მათგანმა (ფონ ფრინგსმა), მთელი რეაქციული ძალების ახალი კონსოლიდაციის მიზნით, ჰიტლერული გერმანიის კაპიტულაციის მეორე დღესვე წამოაყენა ლოზუნგი: „მტერი იმყოფება მარცხნივ". ამ „მარცხნივ მყოფი მტრის" წინააღმდეგ ვატიკანმა დაიწყო ყველა შავრაზმული ძალის გაერთიანება და ამ გაერთიანების ცენტრად აქცია ომის შემდეგ ევროპის ქვეყნებში რესტავრირებული, ანდა მისივე თაოსნობით ახლად წარმოქმნილი, კათოლიკური პარტიები.

კათოლიკურ პარტიებში, რომლებსაც მძლავრი ფინანსური ბაზა შეუქმნეს ვატიკანმა და იმპერიალისტებმა, შედიოდნენ მემარჯვენე განწყობილების ადამიანები. მათ უნდოდათ სამსახური გაეწიათ „ღვთისა" და კაპიტალის გადარჩენისათვის. მათ გაძლიერებაში მცირე მნიშვნელობა როდი ჰქონდა იმასაც, რომ ეს პარტიები, გულუბრყვილო და მორწმუნე კათოლიკების მისამხრობად, დემაგოგიურად თავიანთ თავს აცხადებდნენ ხალხის ინტერესების დამცველებად და პირდებოდნენ მათ სახელმწიფო მმართველობის დემოკრატიულ ყაიდაზე აგებას და სოციალურ გარდაქმნებს.

კათოლიკური პარტიების პოლიტიკურ მოღვაწეთა შორის დემაგოგიის ყველაზე გაქნილი ოსტატია იტალიის ყოფილი პრემიერ-მინისტრი დე გასპერი. დე გასპერი იტალიის ძველი კათოლიკური „სახალხო" („პოპოლიარი") პარტიის ერთ-ერთი ლიდერია. 1922 წელს იგი მუსოლინს ეხმარებოდა ხელისუფლების დაპყრობაში, ხოლო 1926 წელს, როდესაც ფაშიზმი ერთგვარად განმტკიცდა ხელისუფლების სათავეში, დე გასპერმა თავისი პარტია თვითდაშლილად გამოაცხადა და თვითონ ვატიკანში გადაბარგდა სამუშაოდ.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დე გასპერი კვლავ გაძვრა პოლიტიკურ სარბიელზე. მან ვატიკანის რჩევით იტა-

ლიაში კომუნიზმის დამუხრუჭებისა და სოციალური მოვლენების მარცხნივ განვითარების აღკვეთის მიზნით, შეჰქმნა „ქრისტიან-დემოკრატთა“ კათოლიკური პარტია, რომლის თავმჯდომარედ თვითონვე გახდა. დე გასპერი ამ პარტიის მიზანსა და ამოცანებს დემაგოგიურად შემდეგნაირად ხატავდა: „ჩვენი პარტია, — ამბობდა იგი, — წარმოადგენს მორწმუნეთა ორგანიზაციას, რომელიც პოლიტიკისა და ეკონომიკის სფეროში ისწრაფვის, სამართლიანობის პრინციპის თანახმად, განახორციელოს ნამდვილი პოლიტიკური დემოკრატია და ღრმა სოციალური გარდაქმნები. მაგრამ ჩვენს პარტიაში შემოსვლით პოლიტიკური მებრძოლი არ იცვლის თავის კრედოს, და ის კავშირი, რომელიც მას სულიერ დედაეკლესიასთან აერთებს, არ ირღვევა. სწორედ ქრისტიანული რჯულის მოძღვრებიდან იწოვს ის თავის სასიცოცხლო ძალებს, რომელმაც უნდა შეინახოს და ასაზრდოოს ის თავის საზოგადოებრივ მოღვაწეობაში“ [1].

ეს დაპირებები „დემოკრატიასა და სოციალურ გარდაქმნებზე“ დე გასპერმა მაშინათვე მაუდქვეშ ამოდო, როგორც კი 1946 წლის 2 ივნისს საკანონმდებლო კრების არჩევნებში გამარჯვებას მიაღწია და მთავრობის მეთაური გახდა. დე გასპერისა და შინაგან საქმეთა მინისტრ შელბას განკარგულებით, სამხრეთ იტალიაში დახვრიტეს მოჯამაგირეები და უმიწაწყლო გლეხები, რომელნიც ცდილობდნენ მემამულეთა მიტოვებული მიწების დაკავებას და დამუშავებას. მათივე ნებართვით, იტალიის პოლიციამ არაერთხელ აუტეხა სროლა გაფიცულ მუშებს. 1951 წელს იტალიის კომპარტიის ბელადი პ. ტოლიატი აღნიშნავდა, რომ დე გასპერის მთავრობის სანქციით, მარტო უკანასკნელი ორნახევარი წლის განმავლობაში იტალიის მოედნებზე მოკლეს 62 და დასჭრეს 3. 000 მშრომელიო [2].

ასეთსავე რეაქციულ როლს თამაშობენ კათოლიკური პარტიები საფრანგეთში, რომელთაგან უველაზე მრავალრიცხოვანს, „სახალხო-დემოკრატიული მოძრაობის“ კათოლიკურ

[1] О. А. Артуров, Католические партии Европы на службе американского империализма, გვ. 12.

[2] П. Павелкин, Религиозные суеверия и их вред, გვ. 90.

პარტიას, სათავეში უდგას ბიდო და შუმანი. ბიდომ და შუმანმა დიდი მოწონება დაიმსახურეს ამერიკელი იმპერიალისტების წინაშე იმით, რომ გასცეს ნაციონალური ინტერესები და პრემიერ-მინისტრისა და მინისტრების პოსტებზე ყოფნის დროს, ხელს უწყობდნენ საფრანგეთის გადაქცევას ამერიკის კოლონიად.

კათოლიკური პარტიები დიდ როლს თამაშობენ დასავლეთ გერმანიაში, ავსტრიაში, ბელგიაში, ჰოლანდიაში და ლუქსემბურგში, სადაც ისინი ფაქტიურად წარმოადგენენ ამერიკის იმპერიალიზმისათვის „მეხუთე კოლონას“ და აჩქარებენ ამ ქვეყნების სუვერენიტეტის ლიკვიდაციას და ამერიკის სრულ კაბალაში მათ ჩავარდნას.

იმ გარემოებას, რომ ევროპის კათოლიკური პარტიები წარმოადგენენ რეაქციის დასაყრდენს, ამერიკისა და ინგლისის იმპერიალიზმის მსახურს, კომუნიზმისა და საერთოდ პროგრესის წინააღმდეგ ბრძოლის კონსოლიდაციის ცენტრს, არ მალავს არც ბურჟუაზიული პრესა. 1946 წლის აგვისტოში ინგლისის ბურჟუაზიული ჟურნალი „ეკონომისტი“ წერდა: კომუნიზმის წინააღმდეგ „კათოლიკები თამაშობდნენ და თამაშობენ დიდ როლს, ვიდრე განხეთქილებაში ჩავარდნილი სოციალ-დემოკრატია, ანდა დაცემის გზაზე დამდგარი ლიბერალიზმი“. იგივე ჟურნალი შემდეგ წერდა, რომ: „უკანასკნელი წელი აღინიშნა კათოლიკების პოლიტიკური აქტივობის სფეროს მოულოდნელი და გასაოცარი გაფართოებით... კათოლიკური ეკლესია ახალი კონსერვატიზმის საყრდენს წარმოადგენს“ [1]. საფრანგეთის რეაქციული გაზეთი — „ეპოკი“ კი 1946 წლის 4 ივლისის ნომერში მიმართავდა რა ბიდოსა და შუმანის კათოლიკურ პარტიას, წერდა: „თქვენ რომ არ ყოფილიყავით, 1944 წლის სექტემბერში კომუნიზმი აიღებდა ხელისუფლებას საფრანგეთში. თქვენ მას ხელი შეუშალეთ თქვენი ყოფნით, დამუხრუჭების და დათმობის მოხერხებული თამაშით“ [2].

---

[1] Ц. Павлович, Религиозные суеверия и их вред, გვ. 89.

[2] О. А. Артуров, Католические партии Европы на службе американского империализма, გვ. 18.

ევროპის და ამერიკის ბურჟუაზია კაპიტალიზმის განმტკიცებისათვის კათოლიკური პარტიების საშუალებით ცდილობს მოახდინოს კომუნისტებისა და კომუნიზმის იდეის იზოლაცია მასებისაგან, და ამ მიზნის მისაღწევად, სადაც მოსყიდვა და დოლარი არ გასჭრის, იქ გამოიყენოს ღმერთით, ეშმაკებით და ჯოჯოხეთით მორწმუნეების დაშინება. კათოლიკური პარტიების და ვატიკანის „მოღვაწეობის“ ეს მხარე საყოველთაოდ ცნობილია. ასე, მაგალითად, იგივე ინგლისური ჟურნალი „ეკონომისტი“ წერდა, რომ იტალიაში 1946 წლის 2 ივლისის საკანონმდებლო კრების არჩევნების დროს სიცილიის ეპისკოპოსები აფრთხილებდნენ კათოლიკ-ამომრჩევლებს, რომ მატერიალიზმსა და კლასობრივ ბრძოლაზე აგებული პარტიისათვის ხმის მიცემა ცოდვად ჩაგეთვლებათო [1].

თვითონ „ქრისტეს მონაცვლე“ რომის პაპი პიუს XII 1946 წლის 16 მარტის და 1947 წლის 17 ნოემბრის სიტყვებში საჯაროდ მოითხოვდა, რომ კათოლიკ-მორწმუნეებს არჩევნებში ხმა მიეცათ იმ კანდიდატებისათვის, ვისზედაც მათ სამღვდელოება მიუთითებდა. 1949 წლის ივლისში კი ვატიკანმა გამოსცა დეკრეტალია (საეკლესიო ბრძანებულება), რომლითაც, შერისხვისა და ეკლესიიდან განკვეთის შიშით, კათოლიკებს ეკრძალებოდათ კომუნისტურ პარტიაში შესვლა და ან იმ ორგანიზაციაში ყოფნა, რომელიც კომუნისტებთან ერთად მოქმედებდა. ამავე წლის სექტემბერში პაპმა მოითხოვა ბურჟუაზიისათვის უწყინარი „კათოლიკური პროფკავშირების“ დატოვება და ყველა იმ პროფკავშირის დაშლა, რომელნიც კლასობრივი ბრძოლის აღიარების ნიადაგზე იდგნენ.

მაგრამ ვატიკანი კომუნიზმსა და პროგრესიულ ორგანიზაციებს მარტო იმიტომ არ ებრძვის, რომ თანამედროვე მსოფლიოში სოციალური მოვლენების მარცხნივ განვითარების შესაძლებლობა მოკვეთოს და მიაღწიოს არსებული მდგომარეობის სტაბილურობას (რაც მას, რა თქმა უნდა, არ ძა-

[1] П. Павелкин, Религиозные суеверия и их вред, გვ. 34.

ლუობს). მას სურს ასალი, მესამე მსოფლიო ომის გაჩაღებით თავის უფროს პარტნიორებთან ერთად მიაღწიოს საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების შემუსრვას და გზა გაუკაფოს ამერიკის იმპერიალიზმის მსოფლიო ბატონობას. ვატიკანი ფიქრობს, რომ ამერიკის მსოფლიო ბატონობის დროს მშრომელთა სისხლითა და ოფლით კარგად „ეცხოვრებათ“ არა მარტო ქრისტესა და მის ანგელოზებს ცაში, არამედ თვითონ პაპისა, კარდინალებისა და მათ ძმათა სახით ამქვეყნელებასაც მიწაზე. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ, როდესაც მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ ამერიკის იმპერიალიზმი, მსოფლიო ბატონობის მისაღწევად, მესამე მსოფლიო ომის მომზადებისა და გაჩაღების ინიციატორად გამოვიდა, ვატიკანი მთელი თავისი „ღვთიური“ და მიწიერი ძალებით დაშინდა მის სამსახურში ჩადგა.

ვატიკანმა და ამერიკელმა იმპერიალისტებმა კარგად იციან, რომ საერთოდ ომს, და კერძოდ მესამე მსოფლიო ომს, მატერიალური მომზადების გარდა (რასაც „ჩრდილოეთ ატლანტიკის პაქტი“ ახორციელებს), იდეოლოგიური მომზადებაც უნდა. სწორედ აქ, ამ ამოცანის დაძლევაში, სჭირდებათ ამერიკელ იმპერიალისტებს დალესის ამერიკული პროპაგანდის უწყების დანამატად ვატიკანის გადაქცევა. ვატიკანიც ცდილობს. „ათეისტური კომუნიზმის“ საფრთხის ქადაგებით, გამოაყეყეჩოს ჯარისკაცები და მორწმუნეები; აიძულოს ისინი იბრძოლონ „ათეისტური კომუნიზმის“ შესამუსრად და მოკვდნენ მითიური ქრისტესა და მისი მოციქულების მოძღვრებისათვის.

მაგრამ ვატიკანს და მის უფროსებს, როგორც ჩანს, არასაკმარისად მიაჩნიათ მარტო კათოლიკი ჯარისკაცების სისხლითა და სიკვდილით „ათეისტური კომუნიზმის საფრთხის“ დაძლევა. ამიტომ რომის პაპი პიუს XII, 1950 წლიდან დაწყებული, ცდილობს შექმნას „ჩრდილოეთ ატლანტიკის პაქტის“ მაგვარი რამ და მასში ჩააბას მუსულმანური და სხვა რელიგიების მიმდევარი ხალხები. მაგრამ, რადგანაც არაქრისტიანი ჯარისკაცებისაგან, საკუთარი ღმერთის ღალატზე

და ქრისტესათვის სიკვდილზე თანხმობის მიღება ძნელი ხდება, ვატიკანმა დაიწყო ქადაგება, რომ „ათეისტური კომუნიზმი“ საფრთხეს უქმნის ყველა დიდსა და პატარა ღმერთს; ამიტომ არის საჭირო საერთო ძალ-ღონით მის წინააღმდეგ გამოსვლაო. ასეთი აბრით ცდილობს ვატიკანი „ჩრდილოეთ ატლანტიკის პაქტის“ იდეოლოგიური ტყუპის შექმნას რელიგიის სფეროში.

ვატიკანს და მის ამერიკელ ბატონებს ავიწყდებათ, რომ შეუძლებელია მარქსიზმის, ან როგორც ისინი ზოგჯერ მას უწოდებენ, „ათეისტური კომუნიზმის“ მოსპობა, რადგან „მარქსიზმი არის მუშათა კლასის საარსებო ინტერესების მეცნიერული გამოხატულება. რომ მოსპო მარქსიზმი, უნდა მოსპო მუშათა კლასი. მუშათა კლასის მოსპობა კი შეუძლებელია“ [1]. „ათეისტური კომუნიზმის“ წინააღმდეგ მოლაშქრეები ტყუილად ივიწყებენ სულ ცოტა ხნის წინათ ისტორიის მიერ მათი დაღუპული ლაშქრისა და „ფიურერებისათვის“ მიცემულ გაკვეთილებს, როცა ჰიტლერი და მუსოლინი ტანკებითა და ავიაციით, ხოლო ვატიკანი ღმერთებითა და ანგელოზებით ცდილობდნენ მის მოსპობას. როგორც ცნობილია, ჰიტლერი და ძმანი მისნი თვითონ გადაყვნენ ამ ურჯულკულ ლაშქრობას, ხოლო ვატიკანი, საკმაოდ ნაცემი და დასუსტებული, ძლივს გამოძვრა ამ კამპანიიდან, მარქსიზმმა კი — ახალ მსოფლიო ისტორიულ გამარჯვებას მიაღწია და თავისი საზეიმო დროშა პეკინიდან ელბამდე გაშალა.

ვატიკანს, როგორც ჩანს, ისტორიის კანონზომიერების გარეშე მდგომი რაღაც სასწაულების მოხდენის იმედი აქვს. იგი აქტიურად უჭერს მხარს ამერიკელი მონოპოლისტების მიერ წამოწყებულ კამპანიას და მათ ყველა თეორიას. ასე, მაგალითად, ვატიკანს მეტად აწყობს ამერიკელი იმპერიალისტების მფარველობით მსოფლიო მთავრობის შექმნის კოსმოპოლიტური იდეა. ვატიკანის ვარაუდით, თუ კი ეს მოარული თეორია განხორციელდება, მაშინ ციდან ჩამოცვივდებიან ყველა ძველი და ახალი ღმერთი: ბუდა და კონფუცი,

[1] ი. სტალინი, ლენინიზმის საკითხები, 1951, გვ. 611.

მიტრა და იაღვე, იუპიტერი და დიონისე, ზევსი და ალახი. დარჩება მხოლოდ ორი ღმერთი — ცაში ქრისტე და მიწაზე დოლარი. და, რადგანაც ამერიკელ მონოპოლისტებს ცა არ დააინტერესებთ, ამიტომ ქრისტეს სახელით ვატიკანის ხელში გადავა ზეცის საქმეების მსოფლიო მასშტაბით ხელმძღვანელობა, შეიქმნება კათოლიციზმის მსოფლიო ზეიმი და, მის შესაბამისად, გაიზრდება ვატიკანის სეიფებიც ოქროთი. ერთი სიტყვით, ცაში იბატონებს რომი და მიწაზე — ვაშინგტონი.

სუსტი გონებით დასახულ ამ პერსპექტივასა და მირაჟში ვატიკანის მეთაურები არა მარტო იმის გაგების უნარს კარგავენ, რომ ასეთი რამ არასოდეს არ მოხდება, არამედ ისინი იმასაც ივიწყებენ, რომ ვატიკანს ამერიკელებმა უკვე ახლავე წაართვეს თვით იტალიაშიც კი ზეცის საქმეების გამგებლობის უფლება, რაც ვატიკანს ოდიდანვე ჰქონდა მისაკუთრებული. მაგრამ ვატიკანი იმდენად არის გატაცებული „ათეისტური კომუნიზმის“ შემუსვრის იდეით, რომ „ვერ ამჩნევს“ ასეთ „წვრილმანებს“. იგი, მთლიანად, ვიდრე ცისა და მიწის გაყოფაზე მიდგება საქმე, ჯერ მესამე მსოფლიო ომის იდეოლოგიური მომზადების გეგმებით არის დაკავებული.

მისი მოციქულები, ომის იდეოლოგიური მომზადების დროს, არა ნაკლებ სიშმაგეს და ურჯულკობას იჩენენ უდანაშაულო ადამიანთა, მოხუცთა და ბავშვთა სისხლისღვრასა და ხოცვა-ჟლეტის ქადაგებაში, ვიდრე კომუნიზმის წინააღმდეგ ლაშქრობაში მათი თანამოსაგრე საერო პირები. ასე, მაგალითად, ამერიკის ქ. ტამპას (ფლორიდას შტატი) უნივერსიტეტის რექტორი, მღვდელი ნენსი აცხადებს: „მე ვფიქრობ, რომ ჩვენ (ე. ი. ამერიკელებმა — მ. ა.) უნდა ვაწარმოოთ ომისათვის მზადება და ვიხელმძღვანელოთ ჯუნგლების[1] კანონით. თითოეულმა უნდა ისწავლოს მკვლელობის ხელოვნება.

[1] ჯუნგლები — ჰიმალაის მთის ძირის (ინდოეთი) ჭაობიანი და გაუვალი ტყეებით დაფარული ადგილია, სადაც ყველაზე მრავლად არიან მტაცებელი ცხოველები და შხამიანი გველები. ჯუნგლების კანონი — ამ მტაცებელი ნადირების და შხამიანი გველების ურთიერთ ფლეთისა და გლეჯის კანონია. ჯუნგლებს უწოდებენ საერთოდ ტროპიკულ გაუვალ ჭაობიან ტყეებსაც.

მე არ ვფიქრობ, რომ ომი შეწოიფარგლოს არმიის, სამხედრო ფლოტის და ავიაციის მოქმედებით. არ უნდა არსებობდეს არავითარი შეზღუდვა მოსპობის მეთოდებსა და იარაღის არჩევაში. ნე გავამართლებდი ბაქტერიოლოგიურ ომს, განსაკუთრებით ხმარებას, ატომური და წყალბადის ბომბების და სატელანეტათაშორისო რაკეტების გამოყენებას. მე არ ვიქნებოდი ჰოსპიტლების, სკოლების, ეკლესიების, ანდა სამოქალაქო მოსახლეობის ცალკეული ჯგუფების მიმართ გამაფრთხილებელი ზომების მომხრე" [1].

აი „ღვთის კაცის" ნამდვილად კი ანაფორაგადაცმული ურჯულის ცინიკური აღიარება. იგი, როგორც თვითონვე აცხადებს, არ მოერიდება არაფერს, მათ რიცხვში, არც თვით „ანგელოზების" ნავსაყუდელ ეკლესიების დანგრევასა და დაწვას, ოღონდ კი რაც შეიძლება უფრო მეტი ადამიანი ჩოკლას და გასრისოს. ამას უკარნახებს ბას არა მითიური ქრისტეს მოძღვრება, რომელმაც გადმოცემით თავისი პირადი მტერი და გამცემი იუდა ისკარიოტელიც კი დაზოგა, არამედ ამერიკული დოლარი.

ომში ადამიანთა მასობრივი მოსპობის საშუალებათა გამოყენების საკითხში ამავე პოზიციაზე დგას თვით ქრისტეს „პირველი მონაცვლე მიწაზე" რომის პაპიც. ეს პაპი სისასტიკის საკითხში ბერძნული პანთეონის უმაღლესი ღვთაების, წარმართი ზევსის მიმდევარი უფროა, ვიდრე თავისი „განსასახიერებელი" ქრისტესი. ზევსი კი, როგორც ამას ბერძნული მითოლოგია გადმოგვცემს, მოწინააღმდეგეს ღრუბლებზე დაკიდებით ახრჩობდა, მეხით წვავდა და მთების დარტყმით ამსხვრევდა. მაგრამ ზევსის ეს მრისხანება მხოლოდ მითია და არარსებულ ზევსს არასოდეს არ შეეძლო პრაქტიკულად განეხორციელებინა ის, რაც მას ადამიანის ბრმა ფანტაზიამ მიაწერა. ვატიკანი კი ყოველივე ამას რეალურად მოითხოვს და ეწევა პროპაგანდას ახალი ხიროსიმების [2]

---

[1] П. Панолкин. Религиозные суеверия и их вред, გვ. 31.

[2] ხიროსიმა ქალაქია იაპონიაში, რომელიც ამერიკელმა იმპერიალისტებმა 1945 წელს ატომური ბომბით დაანგრიეს და მოსპეს.

უფრო ხშირი და უფრო დიდი მასშტაბით განმეორების შესახებ.

1948 წელს პაპმა უარი განაცხადა საჯაროდ დაეგმო ატომური ბომბის გამოყენება, ხოლო მისი წარმომადგენელი ჰეილი მოითხოვდა, რომ ატომური ბომბი როგორც ომის საშუალება, რაც შეიძლება მალე ყოფილიყო დანერგილი ხმარებაში. ამის შემდეგ გერმანელი კარდინალი ფრინგსი იმის დასაბუთებასაც ცდილობდა, რომ ატომური ბომბის გამოყენება ქრისტეს მოძღვრებას არ ეწინააღმდეგებაო. 1950 წლის 23 იანვარს, უმაღლეს სასულიერო იერარქიის ბონში გამართულ კრებაზე, მხედველობაში ჰქონდა რა ატომური ბომბის გამოყენების საკითხში რომის პაპის პოზიცია, ფრინგსი აცხადებდა: თუ უწმიდესი მამის აზრით, ომის წარმოება არა მარტო რომელიმე სახელმწიფოს უფლება შეიძლება იყოს, არამედ ვალდებულებაც, მაშინ ეს იმას ნიშნავს, რომ ომის იარაღის განუსაზღვრელი და აბსოლუტური აკრძალვის პროპაგანდა არ ეთანხმება ქრისტიანულ მოძღვრებასო [1].

იმავე წლის 26 სექტემბერს კათოლიკური სამღვდელოებისადმი მიმართვაში რომის პაპი პიუს XII წერდა, რომ კომუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში არ უნდა იყოს „არავითარი მერყეობა ანდა დაურწმუნებლობა" [2].

როდესაც ატომური იარაღის აკრძალვისა და შეიარაღების შემცირების საკითხი საბჭოთა დელეგაციის მოთხოვნით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეის სესიაზე იდგა, ვატიკანის ოფიციოზი „ოსსერვატორე რომანო" სასტიკად ილაშქრებდა მისი მიღების წინააღმდეგ. უფრო მეტიც, ვატიკანის წაქეზებით ვერსალის ეპისკოპოსი და მილანის არქიეპისკოპოსი და სხვები პირდაპირ მოუწოდებდნენ რიგით კათოლიკებს ხელი არ მოეწერათ ატომური ბომბის აკრძალვის შესახებ მშვიდობის მსოფლიო საბჭოს

---

[1] М. С. Возников, Ватикан на службе американского империализма, გვ. 23.

[2] იქვე, გვ. 22.

სტოკჰოლმის მოწოდებაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი მათ ეკლესიიდან განკვეთით ემუქრებოდნენ.

ვატიკანს და საერთოდ კათოლიკთა ზედაფენებს თავიანთი გალაშქრება მშვიდობის წინააღმდეგ ახალი ომის მომზადებისა და გაჩაღების პირობად მიაჩნიათ. ერთი სიტყვით, ვატიკანი დაადგა რა ომის მომზადებისა და გაჩაღების ამერიკულ პოლიტიკას, იგი ამავე დროს არ შეიძლებოდა არ დადგომოდა მშვიდობის წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკასაც. ეს გასაგებიცაა. მშვიდობის შენარჩუნებისათვის მოძრაობა, რომელმაც პოლიტიკური და რელიგიური რწმენისა და რასობრივი კუთვნილების მიუხედავად, ჰეშმარიტად საყოველთაო და ხალხური ხასიათი მიიღო, მსოფლიოს ყველა ქვეყანა მოიცვა და ასეულობით მილიონი ადამიანი ჩაითრია მოძრაობაში, წარმოადგენს უდიდეს დაბრკოლებას ომის გამჩაღებლებისათვის.

სწორედ ამიტომ ებრძვიან მშვიდობის მოძრაობას ყველა ქვეყნისა და პირველ რიგში ამერიკელი კაპიტალისტები და ვატიკანი. მათ უნდათ აღგავონ ყველა დაბრკოლება მესამე მსოფლიო ომის გაჩაღების გზაზე და მსოფლიოს ხალხები კვლავ გადაჩეხონ ომის საშინელებათა უფსკრულში, ოღონდ კი მასების ექსპლოატაციის და მათი გონებრივი დამბლისათვის შეინარჩუნონ დოლარი და ოქროს სეიფები, „ღმერთები“ და „ანგელოზები“.

რომის ახლანდელი პაპი პიუს XII მელანქოლიურად ჩივის, რომ უწმიდეს პეტრეს ნავს განუწყვეტლივ ეხეთქებიან მძაფრი ტალღები და ემუქრებიან მიალეწონ ის სანაპირო კლდესო[1]. ერთ-ერთ ასეთ მძაფრ ტალღად, რომელიც პეტრეს ნავს დამსხვრევით ემუქრება, ვატიკანს მიაჩნია მშვიდობა, რადგან მას „ათეისტური კომუნიზმის“ გახანგრძლივება მოაქვსო. ამ გიჟური ლოგიკიდან გამოდის რომის პაპი, როდესაც იგი იმ კათოლიკებსაც კი, რომელთაც რელიგიის საკითხებში არავითარი განხეთქილება ვატიკანთან არა აქვთ,

---

[1] О. А. Артуров, Католические партии Европы на службе американского империализма, გვ. 32.

მაგრამ არ სჯერთ ომი და ემხრობიან მშვიდობას, — „ერეტიკოსებად“ აცხადებს, ხოლო მშვიდობის შენარჩუნებისათვის ბრძოლას კი ჩვენი დროის „ერესად“.

მშვიდობისათვის ბრძოლის „ერესად“ გამოცხადებაში თვალნათლივ ჩანს, რომ ვატიკანი ვამპირი და ჯოჯოხეთის კარების მცველი კერბერია, და, რომ ქრისტეს მოძღვრების რელიგიურ სამოსელში გახვეული ვატიკანის ლოზუნგები წმინდა მიწიერ ხასიათს ატარებენ და იმპერიალისტების ხელში გამოყენებული არიან პოლიტიკური ბრძოლის ჟონგლიორობის ფორმებად. როგორც, ოდესღაც (წარმართულ ეპოქაში), გამიჯნურებული გენერალი დეციუს მუნდუსი ღმერთ აკუბისის ტანსაცმელში გამოეწყო და მისი სახელით, შიშითა და ხათრით, რომაელი მანდილოსანი, ულამაზესი პაულინა შეაცდინა, ასევე, ქრისტეს მოძღვრების სამოსელში გახვეული ვატიკანი და ამერიკელი იმპერიალისტები პოლიტიკურად აცდენენ გულუბრყვილო მორწმუნეებს, და მათ ვატიკანის ოქროს სეიფების და ამერიკული დოლარის, მშვიდობის წინააღმდეგ ბრძოლის და მესამე მსოფლიო ომის გაჩაღების ინტერესებისათვის იყენებენ.

ვატიკანს თავის ღმერთებით და ანგელოზებით ექსპლოატატორული კლასებისათვის სამსახურის გაწევის დიდი გამოცდილება აქვს. მან შუა საუკუნეებში, ქრისტესა და მისი მოციქულების მოძღვრების დაცვის აბრით, სიკვდილით დასაჯა 12 მილიონამდე ადამიანი. ცოცხლად დაწვა ისეთი მეცნიერები, როგორიც იყვნენ: ჯორდანო ბრუნო, ჩეკო დე ასკოლი, იან ჰუსი, იერონიმე პრაღელი, ლიუჩილიო ვანინი და მრავალი სხვა. ქრისტეს მოძღვრების დაცვისათვის ვატიკანის ურჯულოები, როგორც თვითონვე აცხადებდნენ, არ ერიდებოდნენ აგრეთვე „ანგელოზებისათვის ფეხების დაწვასა და ცაში ვარსკვლავების დადნობას“. ნამდვილად კი ქრისტეს მოძღვრების შირმით, შუა საუკუნეებში ისინი ფეოდალური კლასის ინტერესებს იცავდნენ.

ასეთივე გამძაფრებული მხეცობით და ისევ ქრისტესა და მისი მოციქულების სახელით ემსახურებოდა და ემსახურება ვატიკანი ბურჟუაზიულ კლასსაც. ამის უტყუარი საბუთია

ომისდაც მეორე მსოფლიო ომის დროს ვატიკანის ხელშეწყობით ბატარა ხორვატიაში 800.000 კაცის სიკვდილით დასჯა.

ახლა ვატიკანი ცდილობს მესამე მსოფლიო ომის გაჩაღებას და მის ხანძარში მილიონობით ადამიანის დაფერფლას. მაგრამ, საკითხავია, ისტორია ამ ცეცხლში თვითონ ვატიკანს და მის ამერიკელ პატრონებს ხომ არ დაფერფლავს? გამოცდილების მიხედვით ამბობენ, რომ სწორედ ასეთი იქნება ისტორიის განაჩენიო.

მართლაცდა, მესამე მსოფლიო ომის გამჩაღებლები ერთ საყოველთაოდ ცნობილ ჰეშმარიტებას არ უწევენ ანგარიშს. მათ მხოლოდ ის ახსოვთ, რომ კაპიტალიზმი „სისხლის და ცეცხლის გავარვარებული ენით არის ჩაწერილი კაცობრიობის ისტორიაში“ [1] და რომ ამ კაპიტალიზმის „დაბადების დღესასწაული გადახდილი იქნა ყრმათა იროდისებური დიდი მოსვრით“ [2], მაგრამ ივიწყებენ პირველ და მეორე მსოფლიო ომის შედეგებს, „ივიწყებენ“ იმას, რომ თვითონ ეს კაპიტალიზმი იწვება და კვდება მსოფლიო ომის იმ ხანძარში, რომელსაც იგი თვითონვე ანთებს. ამხანაგი სტალინი 1934 წლის 26 იანვარს პარტიის XVII ყრილობაზე აღნიშნავდა: კაპიტალისტები „... ფიქრობენ, რომ ომი უნდა მოეწყოს სსრ კავშირის წინააღმდეგ. ისინი ფიქრობენ დააძარცხონ სსრ კავშირი, გაინაწილონ მისი ტერიტორია და ხელი მოითბონ მის ხარჯზე“. მაგრამ, ამბობდა შემდეგ ამხანაგი სტალინი, „ ჩვენ ნუღარ გვისაყვედურებენ ბატონი ბურჟუები, თუ მათ ასეთი ომის მეორე დღეს სათეჯლავში დააკლდებათ ზოგიერთი, მათთვის ახლობელი მთავრობა, რომლებიც ამჟამად მშვიდობიანად მეფობენ „წყალობითა ღვთისათა“ [3].

როგორც ცნობილია, ამხანაგი სტალინის ეს გენიალური წინასწარხედვა საოცარი სიზუსტით გამართლდა და მეორე

---

[1] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, გვ. 659.

[2] იქვე, გვ. 699.

[3] ი. სტალინი, ლენინიზმის საკითხები, 1951, გვ. 549.

მსოფლიო ომის წამოწყებით იმპერიალისტურმა ქვეყნებმა, რა თქმა უნდა, საბჭოთა კავშირი ვერ დაამარცხეს, პირიქით, მათ ახიასა და ევროპაში სათვალავში დააკლდათ მთელი რიგი ქვეყნები, რომლებმაც დაამსხვრიეს კაპიტალიზმის მონობა და განვითარების ახალ, სოციალისტურ გზაზე გამოვიდნენ. ასეთია სოციალურ მოვლენათა ფაქტების ლოგიკა, რომელიც ამსხვრევს იმპერიალისტთა ყველა ვარაუდს. ვაი მათ, ვინც ამ ლოგიკას ანგარიშს არ უწევს და მსოფლიო ბატონობის თავის ვარაუდებს ქვიშაზე აშენებს და ღრუბლებზე ჰკიდებს.

უკვე ერთი საუკუნეა („კომუნისტური პარტიის მანიფესტის“ გამოსვლის შემდეგ), რაც ისტორიის მატერიალისტური გაგება იქნა აღმოჩენილი. ამის შემდეგ მარქსიზმი, მთელი საუკუნით და ათეული წლებით, ძირითად ხაზებში შეუმცდარად სვამს სოციალური ცხოვრების განვითარებისა და მოძრაობის შესახებ პროგნოზებს მაშინ, როდესაც ბურჟუაზია ხვალინდელი დღის ხასიათის გაგების უნარსაც მოკლებულია. და ეს იმიტომ, რომ მას არ ესმის და არც სურს ესმოდეს ადამიანთა საზოგადოების ობიექტური კანონზომიერების ხასიათი, რომელიც მსოფლიო მასშტაბით ბურჟუაზიის ბატონობის დამსხვრევის გზით მიდის.

მაგრამ ადამიანთა საზოგადოების განვითარების ობიექტური კანონზომიერების არცოდნა, ან მისი არცნობა და მისთვის წინააღმდეგობის გაწევა, როდი ცვლის თვით ამ კანონზომიერების ხასიათს. ბუნების ობიექტური კანონზომიერების არცოდნამ ბიბლიური ისუს ნავინი იქამდე მიიყვანა, რომ იგი ბუნების მოვლენათა აუცილებლობას ებრძოდა და ბრძანებით მზეს უკრძალავდა ჩასვლას; ბურჟუაზია და ვატიკანი კი ერთ საუკუნეზე მეტია ისტორიულ აუცილებლობას ებრძვიან და კომუნიზმის მზეს უკრძალავენ ამოსვლას. ჩვენი დროის ამ უკანასკნელ სანჩო-პანსებს არ ესმით, რომ ისტორიული აუცილებლობით განსაზღვრული მოვლენები ბრძანებას არ ექვემდებარებიან, და რომ, ეს ისტორიული აუცილებლობა უფრო ძლიერია ვიდრე ატომური ბომბი, მითიური ქრისტე, ყალბის ქმნის ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენ-

ტი, ბურჟუაზიის ყველა თავიანი და უთავო გენერალი, მათი შტაბები, არმიები და საერთოდ ყველაფერი ის, რაც ადამიანის ნებისაგან არის დამოკიდებული. მათ არ ესმით, რომ, როგორც ისუს ნავინს არ შეეძლო ბუნების ობიექტური კანონების შეცვლა და ბრძანებით მზის შეჩერება, ასევე ბურჟუაზიას და ვატიკანს არ შეუძლიათ ადამიანთა საზოგადოების ობიექტური კანონზომიერების გაქვავება, ან მისი მოსპობა და კომუნიზმის მზის ამოსვლის შეჩერება. ეს მზე, მათ დაუკითხავად და მათი სურვილის წინააღმდეგ, უკვე დიდი ხანია ამოსულია. იგი თანდათან მაღლა იწევს ჰორიზონტზე და ამ საუკუნის დამლევამდე მთელ ჩვენს პლანეტაზე — ნიუ-ორკის ცათამბჯენებიდან ტასმანიელი ღარიბების ქოხებამდე, ყველგან მოჰფენს ახალი ცხოვრების დამკვიდრების მაუწყებელ თავის ცხოველმყოფელ სხივებს, დასწვავს და გააქრობს მითიურ ქრისტესაც, მის მონაცვლე რომის პაპსაც და ამ პაპების უფროსს ამერიკელ იმპერიალისტებსაც. ყველაფერი ეს კი იმიტომ მოხდება და მოხდა კიდეც პეკინიდან ელბამდე, რომ ამ მიმართულებით მიდიან ისტორიის ობიექტური კანონზომიერებანი. ისინი „...მოქმედებენ და ხორციელდებიან რკინისებური აუცილებლობით“ [1], და ყოველივე ამის გამო კი, როგორც ენგელსი წერდა: „...არავითარ სარწმუნოებრივ ქადაგებას არ შეუძლია უშველოს დაღუპვის გზაზე დამდგარ საზოგადოებას“.

---

[1] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, გვ. 111.

შინაარსი

წინასიტყვაობა	3
რელიგიის წარმოშობა და მისი კლასობრივი ხასიათი	10
ქრისტიანობის წარმოშობა	22
ქრისტიანობის მსოფლიო რელიგიად გადაქცევა	27
ქრისტეს საკითხის შესახებ	34
ქრისტიანული ეკლესია და ქრისტიანობის რომის იმპერიის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება	41
რომის პაპებისა და კათოლიკური ეკლესიის წარმოშობა	58
რომის პაპების არჩევა	69
ვატიკანი და მისი ორგანიზაცია	78
კათოლიკური ეკლესიის სიმდიდრე	86
ვატიკანი. ცემით ცოდვების გამოსყიდვა და სამოთხის ბილეთებით (ინდულგენციებით) ვაჭრობა	100
ვატიკანი. „წმიდანთა ნაწილებით", „საღვთო წლებით" და სასწაულებით ვაჭრობა	110
პაპების ვერაგობა და ფულისადმი სიყვარული	120
რომის პაპების ზნეობრივი დაცემა	127
დოგმები და სასწაულები. სამოთხისა და ჯოჯოხეთის საკითხი	134
სხეულის გკემა და ასკეტიზმი	146
ქრისტიანული რელიგია მეცნიერებისა და პროგრესის წინააღმდეგ ბრძოლაში	156
ვატიკანის დიპლომატია და დაზვერვა	173
ვატიკანის ცდა კათოლიკურ სარწმუნოებაში რუსეთისა და საქართველოს მოსაქცევად	182
ვატიკანი სსრ კავშირის წინააღმდეგ ბრძოლაში	196
ვატიკანი სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ ბრძოლაში	209
ვატიკანი და ამერიკის იმპერიალიზმი	224
კათოლიკური პარტიები და ვატიკანი. მესამე მსოფლიო ომის პროპაგანდა	236